

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

ნაკვ. 34 Вып.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

ნაკვ. 34 Вып.

8385



მ. ლორთქიფანიძე

 მიწისმფლობელობის ფორმების სპიტიზისათვის
 IX-X სს. საქართველოში*

(საქართველოს ფეოდალურ გაერთიანებასთან დაკავშირებით)

IX—X საუკუნეებში საქართველოს ისტორიული განვითარება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. IX საუკუნის დასასრულს ფეოდალური საქართველოს დიდი ნაწილი პოლიტიკურად გაერთიანდა, და საფუძველი ჩაეყარა ქართულ ფეოდალურ მონარქიას.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება გაპირობებული იყო, როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის მრავალი სხვადასხვა ფაქტორით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, კულტურულ-იდეოლოგიური და სხვა).

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება წინარე ხანის, და განსაკუთრებით IX—X საუკუნეების საქართველოს, ისტორიული განვითარებით მომზადდა. იმ მრავალ ფაქტორთა შორის, რომელთაც შექმნეს პირობები ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ფეოდალურ მიწისმფლობელობას ეკუთვნის. ჩვენ ყურადღებას ამაჯერად იპყრობს მიწისმფლობელობის ის ფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას და, ამდენად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებას.

* * *

ფეოდალიზმის ეპოქაში მიწის ფეოდალური საკუთრება მონოპოლიზებულია. იურიდიულად მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოა (მეფე, ხალიფა, შაჰი, სულთანი...). ფაქტიურად, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე, საკუთრება მიწაზე განწილებულია მეფესა და ფეოდალურ არისტოკრატის შორის. ფეოდალიზმის საფუძველს სწორედ ეს მიწის ფეოდალური, მონოპოლისტური საკუთრება შეადგენს.

მთელი მიწა ფეოდალების ხელთაა, მაგრამ ეს მიწა გადაცემული აქვთ დასამუშაველად მწარმოებლებს. ფეოდალებსა და გლეხებს შორის არსებული ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც გულისხმობს გლეხის მიერ მებაატონისაგან მიღებული მიწის დამუშავებას, არსებობს ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში. ამავე დროს თვით ფეოდალებს მიწები, როგორც წესი, მიღებული აქვთ თავისი სიუზერენებისაგან (მეფე). ასე რომ ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე იერარქიულობაც. ცალკეული ფეოდალი ვასალია თავისი სიუზერენის მიმართ, მაგრამ ამავე დროს ის სიუზერენია თავისი ვასალის მიმართ. საქართველოში ფეოდალური იერარქიის საკითხთან დაკავშირებით, აკად. ს. ჯანაშია წერს: „მეტად განვითარებული იყო აგრეთვე ფეოდალური იე-

* ქვეყნდება განხილვის წესით, რედ.

რარქია სენიორებით, ვასალებითა და არიერვასალებით. სენიორს ეწოდებოდა „პატრონი“, ვასალს „ყმა“. უმაღლეს პატრონად ითვლებოდა მეფე. აზნაურთა ცალკეული ჯგუფები ასეთსავე დამოკიდებულებაში იყვნენ ურთიერთ შორის.¹ ამ ფეოდალური იერარქიის საფუძველი იყო ფეოდალური მიწისმფლობელობა. „პატრონყმობის“ (ასე ერქვა სენიორისა და ვასალის დამოკიდებულებას) საფუძველი—წერს ს. ჯანაშია, იყო მიწა: „ყმა იღებდა მიწას „პატრონისაგან“ პირობით მფლობელობისა და სარგებლობისათვის, და სამაგიეროდ ვალად იღებდა „პატრონის“ ერთგულს სამხედრო სამსახურს“². ე. ი. ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის ერთი მხრით დამახასიათებელია საკუთრების მონოპოლიური ხასიათი, ხოლო მფლობელობის—იერარქიულობა. ამავე დროს ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, პირობითობაც.

მიწისმფლობელობის სწორედ ასეთი პირობითი და იერარქიული ფორმა ჩაისახა და განვითარდა ფეოდალურ საქართველოში.

ადრეფეოდალური ხანისათვის სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით დამახასიათებელია მრავალწყობიანობა. წამყვანი და განვითარებადი ფეოდალური ურთიერთობაა. მისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის ფორმებით, მაგრამ, ამავე დროს, არსებობენ წინარე ფორმაციების გადმონაშთებიც. ადრეფეოდალურ ხანაში ამა თუ იმ ქვეყანაში თემობრივობისა და მონათმფლობელობის გადმონაშთების არსებობა გაპირობებულია ამ ფორმაციების განვითარების დონით. საკუთრივ საქართველოში, ადრეფეოდალურ ხანაში, მონათმფლობელობასთან ერთად საცქაოდ მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი თემური მიწისმფლობელობის ფორმებიც. აღნიშნული გარემოება აიხსნება იმ ფაქტით, რომ, როგორც ცნობილია, მონათმფლობელობას ჩვენში განვითარების კლასიკური დონისათვის არასოდეს არ მიუღწევია, და ამდენად, მონათმფლობელობის ხანაში საქართველოში თემური მიწისმფლობელობის არსებობა თავისთავად იგულისხმება. მონათმფლობელობამ ვერ მოსპო ჩვენში თემური მიწისმფლობელობა და ამ გადანაშთის ლიკვიდაცია მან შემკვიდრებით ფეოდალიზმს დაუტოვა.

მონათმფლობელობისა და თემური წყობილების გადმონაშთების ლიკვიდაცია მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, თემური მიწისმფლობელობა გამძლე აღმოჩნდა და მან მთელი ფეოდალიზმის მანძილზე შემოიჩინა თავი. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ თემი ადრევე იქცა ექსპლოატაციის ობიექტად, ხოლო ადრეფეოდალურ ხანაში სასოფლო თემის ექსპლოატაცია ფეოდალურ ხასიათს ატარებდა უკვე. სასოფლო თემი ფეოდალური ექსპლოატაციის ერთეულად, ფისკალურ ერთეულად იქცა და თემობრივობის პრინციპი, მიწების პერიოდული გადანაწილების პრინციპი თემის ცალკეულ წევრებს შორის თემის შიგნით მოქმედებდა და, შეიძლება ითქვას, არ ცვლიდა ფეოდალური ექსპლოატაციის ხასიათს საერთოდ. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ თემურმა მიწისმფლობელობამ რიგ ფეოდალურ ქვეყნებში და საკუთრივ საქართველოში, დიდხანს შეინარჩუნა არსებობა. ესა თუ ის ფეოდალი ხელს სდებდა თემს საექსპლოატაციოდ, ითვისებდა თემის მიწებს (ძალით, შეწყალებით და სხვა გზებით) და მის წინაშე

¹ ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 429.

² ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

ბასუხისმგებელი მთელი თემი ხდებოდა. გადასახადი მთელ თემს (სოფელს) მართებდა. სოფლის შიგნით მიმდინარე გადაჯგუფებანი სოფლისა და ფეოდალის ეკონომიურ ურთიერთობაზე არ მოქმედებდნენ. ამ თვალსაზრისით ადრე-ფეოდალური ხანისათვის უალრესად საინტერესო ცნობაა დაცული ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. ავტორის ცნობით ძარღველი „კაცი“ ბერად აღკვეცას ლამობს, მაგრამ მის ამ სურვილს მათი „უფალი“ და თანასოფლელები აღუდგებიან წინ. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე „ალბათ იმიტომ, რომ მისი მონასტერში წასვლით სოფელს აკლდებოდა აქტიური წევრი, რაც უმნიშვნელო არ იყო მათ მიერ სახელმწიფო თუ საბატონო ვალდებულებათა სიმძიმის დაძლევისათვის, ხოლო ბატონს მუშა ხელი და გამოცდილი მოსამსახურე“⁵. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის მხარე საკითხისა, რომ სოფელი აღუდგება წინ ამ „კაცის“ ბერად აღკვეცას, ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვალდებულებადებული მთელი „სოფელი“.

მონათმფლობელობის დროინდელი მიწისმფლობელობის ფორმების არსებობა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში დადასტურებულია ისეთი უპირობო მიწისმფლობელობით, როგორცაა „ნასყიდი“ მიწის კატეგორია⁶.

ვფიქრობთ, „აგარაკის“ სახითაც ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში წარმოდგენილი უნდა იყოს ფეოდალიზმამდე არსებული მიწისმფლობელობის ფორმა.

„აგარაკი“-ს საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება მიაქცია აკად. ს. ჯანაშიამ. ს. ჯანაშია „აგარაკს“, როგორც მიწისმფლობელობის ფორმას, ასახელებს მე-4—5 საუკუნეების ქართლის საადგილმამულო ურთიერთობის განხილვის დროს⁷. სრულიად მართებულად, ამ ხანის საადგილმამულო ურთიერთობაში ს. ჯანაშია ჭრელ სურათს ხედავს. მონათმფლობელური საადგილმამულო ურთიერთობის გვერდით დადასტურებულია ამ ხანაში ჩვენში, როგორც თემური საადგილმამულო ურთიერთობის გადმონაშთები, ასევე ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი ფეოდალური საადგილმამულო ურთიერთობის ფორმებიც.

მიწისმფლობელობის თემური და მონათმფლობელური ფორმების განხილვასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერს: „ამასთან ერთად, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე ჩნდება, სუსტად გამოხატული, ინდივიდუალური კერძო საკუთრება მიწაზე. მისი ობიექტია წვრილი მიწის ნაჭრები, რომელნიც, ახოს აღებისა თუ სხვა გზით, თავისუფალი განკარგულებისა და, მამასადამე, ყიდვა-გაყიდვის საკნად არიან გადაქცეულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მიწის ნაკვეთები იწოდება „აგარაკებად“⁸.

როგორც ვხედავთ, „აგარაკი“ ს. ჯანაშიას ინდივიდუალური კერძო საკუთრების ობიექტად მიაჩნია, ამავე დროს „აგარაკი“ მას განხილული აქვს, როგორც ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების ობიექტი⁹.

⁵ კ. კეკელიძე, ადრეფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, 127.

⁶ ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 21; მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1958, გვ. 191.

⁸ ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, 1944, გვ. 282—283.

⁹ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

⁷ იქვე.

„აგარაკი“-ს საკითხს სომხეთის ისტორიის მაგალითზე, სპეციალურად იხილავს პროფ. ს. ერემიანი⁸. სომხურ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე ს. ერემიანი ადასტურებს „აგარაკის“ როგორც კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის არსებობას ელინისტური ხანის სომხეთში.

ადრინდელი და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართული წყაროების მონაცემები სრულიად აშკარად ასაბუთებენ ს. ჯანაშიას დებულებას—„აგარაკის“, როგორც ინდივიდუალურ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის განსაზღვრას. „აგარაკი—წერს ს. ჯანაშია, ათვისებული და მითვისებულია არა სოფლის, თემის, არამედ ინდივიდის მიერ“⁹.

პირადი კუთვნილების მნიშვნელობით ესმის „აგარაკი“ აკად. ივ. ჯავახიშვილს¹⁰.

მე-8 საუკუნის ქართული წყაროს, იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობის“ მიხედვით „აგარაკი“ სრულიად გარკვეული, კერძო, ინდივიდუალური საკუთრებაა. არაბეთიდან წამოსული აბოს შესახებ ავტორი ამბობს: „დაუტევა მამამ და დედა და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები“¹¹. „აგარაკი“-ს ასეთი გაგება მოცემულია ოთხთავის ქართულ რედაქციაში, საიდანაცაა შესული ის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში¹¹.

„აგარაკი“, როგორც კერძო საკუთრების ობიექტი, რომლის გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, შეწირვის უფლება აქვს მის მფლობელს, დადასტურებულია ბასილ ზარზმელის „სერეპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში. ბასილ ზარზმელის ცნობის თანახმად დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა“¹² და რომ გიორგიმ თავის დისწულებს მემკვიდრეობით დაუტოვა ეს „აგარაკნი თავისუფლებით“¹³. აქ სწორედ ისაა მითითებული, რომ მემკვიდრეები ამ აგარაკებს საკუთრებაში იღებენ, ყოველგვარი უფლებებით (თავისუფლობით).

მერჩულეს თხზულებიდან აშკარად ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის კურაპალატები (აშოტი, ბაგრატ) მონასტრებს, როგორც წესი, სწირავენ აგარაკებს¹⁴. „აგარაკი“ აქაც გაგებულია როგორც კერძო საკუთრება, რომლით განკარგულების უფლებაცაა აქვს მის მფლობელს.

XI საუკუნის ქართული საბუთების მიხედვითაც „აგარაკი“ („აგარა“) ისეთი მიწის ნაკვეთია, რომელსაც ყიდიან და ყიდულობენ. სწირავენ¹⁵ ასახლებენ მასზე გლეხებს¹⁶ და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, „აგარაკი“, როგორც მიწისმფლობელობის ობიექტი დადასტურებულია მონათმფლობელობის ხანის სომხეთში და ს. ერემიანს ის კერძო საკუთრებაში მყოფ მიწად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ ს. ერემიანი

⁸ С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1.

⁹ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნ. 2, გვ. 392.

¹¹ იხ. მრ. 10,29; მ. 13,44 და სხვა.

¹² ბ. ზარზმელი, ს. ზარზმელის ცხოვრება, გვ. 154.

¹³ იქვე, გვ. 173.

¹⁴ გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ინგოროყვას გამ. გვ. 41,63, 64.

¹⁵ მცხეთის საბუთი XI ს. ქრონიკები, II, გვ. 33.

¹⁶ ნიკორწმინდის სიგელი, ქრონიკები, II, გვ. 47.

„აგარაკის“ წარმოშობაში გარკვეულ ევოლუციას ხედავს და აღნიშნავს, რომ „агарак эволюционировал от понятия поля, посева, пахотного поля к имению, усадьбе, поместью и сельскому поселению“¹⁷. იქვე ს. ერემიანო შენიშნავს, რომ „По настоящее время в Армении (как и в Грузии) можно встретить селения с названием „Агарак“.

ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევა „აგარანი“, საიდანაც აშკარად ჩანს „აგარა“, „აგარაკების“ სიმრავლე საქართველოში¹⁸.

ს. ერემიანის თვალსაზრისით, აგარაკების მესაკუთრენი ძველ სომხეთში სამხედრო მონათმფლობელური არისტოკრატია და ქურთუმები იყვნენ. და ამ აგარაკებზე „Основными производителями являлись рабы“¹⁹.

როგორც ვხედავთ, „აგარაკი“ სომხეთის სინამდვილეში, ს. ერემიანს ფეოდალიზმამდე კატეგორიად მიაჩნია, სახელდობრ, ის მას მონათმფლობელობის დროინდელ კატეგორიად თვლის. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა „აგარაკის“ დადასტურება ელინისტური ხანის სომხეთში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს „აგარაკი“, როგორც კატეგორია, ვივარაუდოთ ფეოდალიზმამდელი ხანის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ფეოდალიზმის ხანაში „აგარაკი“ ქართულ და სომხურ სინამდვილეში დაახლოებით ერთნაირადაა წარმოდგენილი²⁰.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეფეოდალურ ხანაში „აგარაკი-აგარა“ კერძო, ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთია. ამავე დროს საინტერესოა, რომ ის აგრეთვე სოფელთანაცა დაკავშირებული (სასოფლო თემთან). XI საუკუნის საბუთში „აგარა“ სოფელს უკავშირდება. როგორც წესი გვხვდება ფორმა „ვიციდე სოფელი-აგარათა“. აგარა ამ შემთხვევაში სასოფლო თემის წევრების ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფ ალოდს გვაგონებს. ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სინამდვილეში ალოდი მეთემეთა კერძო მფლობელობიდან ფეოდალური მიწისმფლობელობის ბირთვად იქცა, ჩვენშიც, შესაძლებელია, აგარა, როგორც უძველესი ფორმა მეთემეთა ინდივიდუალური მფლობელობისა, ფეოდალურ ხანაში გვევლინებოდა ერთი მხრით როგორც მეთემეთა კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთი. ხოლო მეორე მხრით, როგორც ფეოდალის კერძო საკუთრება. ჩვენ გვერდს ვუვლით საკითხს აგარაკის რაობის შესახებ მონათმფლობელობის ხანაში, მაგრამ სასოფლო თემებისა და ფეოდალურ საზოგადოებაში, ვფიქრობთ, ჩვენმა „აგარაკმა“ ალოდის მსგავსი ევოლუციის გზა განვლო. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეოდალიზმის ხანაში „აგარაკი“ ფეოდალის „მამულის“ შემადგენელ ნაწილად იქცა, და მას გლეხები ამუშავებენ. ამ თვალსაზრისით თითქოს ნიშანდობლივია ნიკორწმინდის საბუთის ცნობა, რომ „გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გადაიხდიდეს“²¹. იმ მხრივაც საინტერესოა მცხეთისა და ნიკორწმინდის საბუთების მონაცემები, რომ ამ ცნობების თანახმად „აგარები“ ფეოდალური სამფლობელოების შექმადგენლობაში შედიან.

¹⁷ ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან (აგარანი). ისტორიის ინსტიტუტის „მომზადებული“, II, 1951, გვ. 37—60.

¹⁹ ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

²⁰ ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ.

²¹ ქრთნიკები, II, გვ. 47

ფეოდალური მიწისმფლობელობა არსებითად განსხვავდება მისი წინარე ხანის მიწისმფლობელობის ფორმებისაგან. მისთვის დამახასიათებელია მიწის მფლობელობა, მფლობელობის კოლექტიურობა, პირობითობა და იერარქიულობა. ამავე დროს მიწის საკუთრების მონოპოლიზაცია ერთი პიროვნების (მეფე) ან ფეოდალთა კლასის ხელში.

IX—X სს. საქართველოში დადასტურებულია ფეოდალური მიწისმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა, პირობითი მიწისმფლობელობა, სამსახურის (ძირითადად სამხედრო) სანაცვლოდ მიღებული წყალობა ე. წ. „საკარგავი“ და „მამული“ (ფეოდალური სახლის საკუთრება).

ფეოდალური საკუთრებისათვის დამახასიათებელია საკუთრების შეზღუდული მფლობელობა, როდესაც ფეოდალი გვევლინება არა იმდენად როგორც მესაკუთრე, არამედ—როგორც მფლობელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები ადრეფეოდალურ ხანაში უნდა განვითარებულიყო, რომელიც ძველი დროიდან მომდინარე ფორმებიდან (მონათმფლობელური და სათემო) არსებითად განსხვავდებოდა და თანდათან, ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ქმნიდა იმას, რასაც ჩვენ მიწის ფეოდალურ მფლობელობას ვუწოდებთ. თავისთავად ცხადია, რომ ეს მფლობელობა პირობითი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარება ფეოდალურ საქართველოში ორი გზით მიმდინარეობდა: ერთი მხრით ვითარდებოდა სამამულო სისტემა, როდესაც ფეოდალი გვევლინებოდა მიწის მესაკუთრედ, ხოლო მეორეს მხრივ—მიწის მფლობელობის პირობითობაში გამოხატული საკარგავების სისტემა. საკარგავების შემთხვევაში ფეოდალი გვევლინება როგორც მფლობელი.

შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ საქართველოში მე—6—13 საუკუნეებში მიწის მფლობელობის ეს ფორმები ერთმანეთის პარალელურად ვითარდებოდა და უშუალოდ უკავშირდება ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოებისათვის.

ფეოდალურ საქართველოში თავიდანვე ძლიერი ჩანს მსხვილი მემამულეობის ტენდენციები. მეექვსე საუკუნიდან საქართველოში თანდათან მტკიცდება ფეოდალური „მიწისმფლობელობა მემკვიდრეობითი მყარი მემამულეობის სახით“²².

ფეოდალურ საქართველოში როგორც მსხვილი, ასევე წვრილი და სამუშალო მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო „მამული“.

ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ტერმინ „მამული“-ს შინაარსობლივი მნიშვნელობა.

„მამული“-ს შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში „მამული“ და „დედული“ წინანდებურად მამისეულსა და დედისეულს, მამაბაბეულს ჰნიშნავდა“²³, მაგრამ „მე IX—და X სს ძეგლებში—კი „მამული“ უკვე საგვარეულო, მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინია“²⁴. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულე ზოგ შემთხვევაში „მამული“-ს იხსენიებს მამისეულის მნიშვნელობითაც ხმარობს (იხ. მაგ. ნ. მარის გამო-

²² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, გვ. 289.

²³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 388.

²⁴ იქვე, 389.

ცემის გვ. იზ—ინ. როდესაც ზენონი გადაწყვეტს „რადთამცა მამული და დედული და მონაგები დასა თუისსა დაუტევა ნებისა ებრ მისისა“). მაგრამ, როგორც წესი IX—X საუკუნეებიდან „მამული“ უკვე სახლის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას ნიშნავს. მაგ. როდესაც ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს სერაპიონისა და მისი ძმების შესახებ, წერს: „ხოლო უხუცესი ძმა იგი წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვიდრებელსა“²⁵. ე. ი. როდესაც სერაპიონი და მისი უმცროსი ძმა ბერად აღიკვეცენ. უფროსმა ძმამ მემკვიდრეობით მიიღო მშობლების მთელი სამფლობელო—„მამული“. ამდენად „მამული“ აქ არა მარტო მამისეულია, არამედ ის—რაც სახლს ჰქონდა როგორც მამისეული, დედისეული, ალბათ ნამშობივც და შეძენილიც. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ამავე ავტორის მეორე ცნობა. როდესაც სამცხის დიდი მთავრის მიჩიან ბაჰლანდელის მემკვიდრეებს შორის დაეა ატყდება მათი ბიძის, გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეობის გამო, ლაკლავი თავის ცოლის ძმებს ეუბნება: „ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაითგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს“²⁶. ბიძის (დედის ძმის) მიერ დატოვებული მემკვიდრეობაც „მამულია“.

ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ „მამული“—ს მნიშვნელობა მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გაფართოვდა და „მამული“ უკვე ეწოდებოდა მკვიდრ, ნაწყალობევე, შეწირულ, ნამშობივ, ნასყიდ, ნასისხლ, სამსახურის სანაცვლოდ მიღებულ და ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას. მამულის მნიშვნელობის ასეთი გაფართოების შემდეგ, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, წყაროებში ყოველთვის არის აღნიშნული თუ როგორი მამული იგულისხმება: მკვიდრი, ნაწყალობევი, მონაგები თუ სამსახურის პირობით მიღებული.

ამგვარად, IX—X სს. საქართველოში შექმნილია და არსებობს მიწის საკუთრების ფორმა „მამული“-ს სახით. „მამული“ ამ დროს ფეოდალური სახლის საკუთრებაა და მემკვიდრეობით გადადის.

„მამულის“, როგორც მიწის ფეოდალური საკუთრების, გვერდით აღებული ხანის საქართველოში არსებობს მიწის ფეოდალური მფლობელობაც.

მიწის ფეოდალური მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი IX—X საუკუნეების ქართულ წყაროებში სამწუხაროდ დადასტურებული არ არის.

ფეოდალური მიწისმფლობელობის დამახასიათებელი ფორმა არის პირობითი მიწისმფლობელობა, რაც ერთგული სამსახურის საფუძველზე დამყარებული საადგილმამულო ურთიერთობაა.

ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში ასეთი საადგილმამულო ურთიერთობის დამყარებისა მოცემულია ქართულ წყაროში მერვე საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით. არჩილ მეფემ, წერს ქართული წყარო. „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა ივინი“²⁷. და ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამსახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა“²⁸.

²⁵ ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 151.

²⁶ ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 173.

²⁷ ჯუანშეოი, იქცა, 1955, გვ. 243.

²⁸ საქართველოს ისტორია, I, 1956, გვ. 121.

პირობითი მიწისმფლობელობა საქართველოში, ისევე როგორც ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, სამსახურთან (უპირატესად სამხედროსთან) არის დაკავშირებული. მიწების პირობით გაცემა სამსახურის სანაცვლოდ, ქმნის საფუძველს ფეოდალური იერარქიისათვის.

ასეთი, სამსახურისათვის გაცემული, მიწის აღსანიშნავად ქართულ ისტორიოგრაფიაში იხმარება ტერმინი „საკარგავი“. ამ ტერმინის უადრესი ხმარება XI ს. მეფე გიორგი II სიგელშია დადასტურებული. პუფე გიორგი ბრძანებს: „აწ ვინცა ნახოთ ბრძანებნი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლავთ“²⁹.

„მოსაკარგავე“ აზნაურის და აღსთან დაკავშირებით ცნება „საკარგავის“ მნიშვნელობის დადგენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ამ კატეგორიის მიწისმფლობელობის არსის გარკვევისათვის.

„საკარგავე-მოსაკარგავის“ მნიშვნელობის გარკვევა სცადა ივ. ჯავახიშვილმა თავის 1907 წ. გამოცემულ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“. თავდაპირველად „საკარგავს“ ივ. ჯავახიშვილი თითქოს საკუთრივ ბეგარის აკრეფას უკავშირებდა და წერდა, რომ მოსაკარგავე „საგადასახადო დაწესებულებათა მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამისდა მიხედვით „აზნაური მოსაკარგავე“ მოხელე აზნაურს. ანუ მეფის მსახურ აზნაურს ნიშნავს“³⁰. ჩვენთვის უადრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ თავის ერთ-ერთ უადრეს ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი „საკარგავის“ ცნებას თითქოს ავიწროვებს და მას საკუთრივ გადასახადის აკრეფას უკავშირებს. მაგრამ ზოგადად მას ის მინც მოხელე აზნაურად მიაჩნია. საკარგავე-მოსაკარგავეს „საკითხს ივ. ჯავახიშვილი შემდეგაც უბრუნდება, სახელდობრ, „ქართული სამართლის ისტორიაში“. ივ. ჯავახიშვილი ძალიან ფრთხილობს დასკვნებში, ის წერს: „რომ „აზნაური მოსაკარგავენი“ მინც და მინც „მემამულეთა“, ანუ ჩამომავლობით აზნაურთა ჯგუფს არ ეკუთვნოდნენ რომ „ვისრამიანი“-ს ქართულ თარგმანშიც გვხვდება ეს სიტყვა და იქ ნათქვამია: „რამინმა ხელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულება და სამსახური მოიმატაო“. ამ წინადადების მიხედვით, ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, „საკარგავი“ თითქოს მოხელეთა სარგოს უნდა უდრიდეს“, და ბოლოს „აზნაური მოსაკარგავენი“ მანასადამე მოხელე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ“³¹.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „საკარგავი“ სამსახურის სანაცვლოდ მიღებული სამფლობელოს, ხოლო „მოსაკარგავე“ მსახურეული აზნაურის მნიშვნელობით იხმარება. „აზნაური იყვნენ ან მემამულენი, ესე იგი მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა მოსაკარგავენი, რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული“, ვკუთხულობთ საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას რედაქტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში. არჩილ მეფის მიერ გატარებულ ლონდისძიებებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: „გაჩნდნენ „ტაძრეუ-

²⁹ ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, გვ. 12.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 7.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 32—33.

ლი აზნაურები“, „მოსაკარგავე“ აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავეს“, ვ. ი. მიწა-ადგილს, დაბა-სოფლებს³². ამავე საკითხთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: „სამსახურის (უპირატესად სამხედრო) პირობით მიღებულ ქვეყანას (მოსახლეობითურთ) „საკარგავე“ ეწოდებოდა“³³.

„საკარგავისა“ და „მოსაკარგავის“ საკითხს, შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების განხილვასთან დაკავშირებით, ეხება პროფ. ალ. ბარამიძე ნაშრომში „შოთა რუსთაველი“³⁴. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით ალ. ბარამიძე იხილავს შოთა რუსთაველის პოემის მონაცემებს „საკარგავის“ შესახებ და აღნიშნავს, რომ „საკარგავე ეწოდებოდა ისეთ სამფლობელო მიწა-წყალს, რომელსაც მეფე უბოძებდა ხოლმე მის სამსახურში (უპირატესად სამხედრო სამსახურში) მყოფ ერთგულსა და მისანდო პირს. მოსაკარგავე თავის საკარგავს ფლობდა მანამდის, სანამ მეფის სამსახურში იმყოფებოდა და მისი ნდობით სარგებლობდა“³⁵.

რომ „საკარგავე“ ერთგულების სანაცვლოდ მიღებული სამაგიეროა ეს კარგად ჩანს XI ს. ძეგლის „მატიანე ქართლისაის“ ერთი ცნობიდან. მეფე ბაგრატ მეოთხის მიერ დამარცხებულ და გაქცეულ ანძის ამირას, ფადლონს ქართველი კაცი შეიპყრობს. ფადლონი ეუბნება მას: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვერცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ: გარდამიყვანე მინდორად და წამოწყევ თანა“³⁶. არა აქვს მნიშვნელობა სახელდობრ რა უთხრა ფადლონმა ამ ქართველ კაცს. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ XI ს. ავტორისათვის საკარგავე სამსახურის სანაცვლოდ მიცემული სამაგიეროა. ამ კონტექსტში, რადგან ფადლონი ქართველ კაცს თან წაყოლას სთავაზობს; საფიქრებელია რომ საკარგავე მიწა-წყალს გულისხმობს.

როგორც აღვნიშნეთ, მიწების პირობით (სამსახურის სანაცვლოდ) მფლობელობის სისტემა დამახასიათებელია ფეოდალური ხანისათვის. სახელდობრ როდის გვხვდება ის პირველად ქართულ სინამდვილეში, ვერ ვიტყვით, მაგრამ ის, როგორც წესი, არსებობს ადრეფეოდალურ ხანაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისევ ზემოთმოტანილ არჩილ მეფის შესახებ არსებულ ცნობას ვუბრუნდებით, სახელდობრ, რომ „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყენა იჯინი“³⁷. რის საფუძველზეც ნ. ბერძენიშვილი ასკვნის: „ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამსახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა; გაჩნდნენ „ტაძრეული აზნაურები“, „მოსაკარგავე“ აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავესა“, ვ. ი. მიწა-ადგილს, დაბა-სოფლებს“³⁸.

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ სწორედ პირობითი მიწისმფლობელობის სისტემის დამკვიდრებას (კანონიზირებას) უკავშირებს ნ. ბერძენიშვილი საზოგადოებრივ წყობილებაში მონათმფლობელობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდა-

³² საქართველოს ისტორია, დამზარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 121.

³³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, 1958, გვ. 138.

³⁴ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958.

³⁵ ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

³⁶ ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 311.

³⁷ ჯუანშერი, ვახტანგ გორგასალის ისტორია ქართლის ცხოვრება, I, 1955, 243.

³⁸ საქართველოს ისტორია, მაკეტი, თბილისი, 1956, გვ. 114.

ციას საქართველოში. „ასე გაქრა უკანასკნელი ნაშთი მონათმფლობელური სამეფოს ორგანიზაციისა და ქვეყანა საბოლოოდ მოეწყო ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე“, წერს ნ. ბერძენიშვილი³⁹.

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მონათმფლობელობის ნაშთების ლიკვიდაციას და ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო დამკვიდრებას ნ. ბერძენიშვილი პირობითი მიწისმფლობელობის დამყარებას უკავშირებს, რადგან ფეოდალიზმის საფუძველი არის ფეოდალური საკუთრება მიწაზე, ხოლო ფეოდალური მიწისმფლობელობის ძირითადი ფორმა პირობითი მიწისმფლობელობაა.

აღ. ბარამიძე ძირითადად იზიარებს ივ. ჯავახიშვილის დებულებას მოსაკარგავეთა მსახურეულობის შესახებ, მაგრამ არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს მოსაკარგავეთა დახასიათებაში. სახელდობრ: „ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, წერს აღ. ბარამიძე, მოსაკარგავე დიდი მამულის პატრონი ვერ იქნებოდა და დამორებული უნდა ყოფილიყო გვარიან აზნაურთა წრეს. ამ დასკვნას აბსოლუტური მნიშვნელობით ვერ მივიღებთ“⁴⁰. შოთა რუსთაველის პოემის ტექსტში დამოწმებული გაგება „საკარგავისა“ და „მოსაკარგავისა“ აღ. ბარამიძეს უფლებას აძლევს „მოსაკარგავედ“ სწორედ რომ დიდ-გვარიანი და დიდებული აზნაურები მოიხიოს. აღ. ბარამიძე წერს: „რა თქმა უნდა, სარიდანსა და ტარიელს ვერ დავაშორებთ ვერც დიდ-გვარიან „აზნაურთა“ წრეს (სარიდანი ინდოეთის მეშვიდე ნაწილის მეფე იყო, სანამ ფარსადანს შეეწყწინარებოდა). ინდოეთის მეფის ამირბარს საკარგავედ ერგო დიდი და საუკეთესო სამფლობელო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საკარგავი (და შესაფერისად მოსაკარგავე) პატარაც შეიძლება ყოფილიყო და დიდიც. ზოგი მოსაკარგავე აღბათ ნაწილობრივ სარგებლობდა საკარგავით, ზოგიც სრულად (ტარიელს ებოძა სრული საკარგავი), ზოგი კატეგორიის აზნაურს შეიძლება მართლაც გადასახადების აკრეფა ჰქონდა დაკისრებული“⁴¹. ვფიქრობთ, რომ „საკარგავი“ და „მოსაკარგავე“, როგორც ისტორიული კატეგორია, განვითარებაში უნდა განვიხილოთ და აშდენად ანგარიში გაუწიოთ მის ცვალებადობას დროში. სამწუხაროდ წყაროთა სიმციროს გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება თვალი გავადევნოთ საქართველ ეს ფეოდალურ სინამდვილეში „საკარგავ-მოსაკარგავეთა“ ევოლუციას, მაგრამ ის კი უდავოა ჩანს, რომ თავდაპირველად მოსაკარგავე აზნაურნი ჩამომავლობით აზნაურნი არ იყვნენ და არც დიდმამულიანი აზნაურები იყვნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში მოსაკარგავე აზნაური „ნათესავით“—„მემამულე“ აზნაურად იქცევა, მისი მემკვიდრენიც ახალ-ახალ საკარგავეებს იღებენ. დიდმამულიანები ზღებთან. აგრეთვე საკარგავეები იმავე სამსახურის პირობით ნათესავით აზნაურებსაც ეძლევათ, რაც ქმნის იმ გარემოების საფუძველს, რომ აზნაურები, როგორც წესი, X—XII სს-ში ფლობენ როგორც „მამულს“, ასევე „საკარგავს“. ე. ი. აზნაურის სამფლობელო შედგება როგორც საკუთრების—„მამულისაგან“. ისე პირობითი მფლობელობის „საკარგავისაგან“. ესაა ფეოდალური მიწისმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ფეოდალიზმის ჩასახვას.

³⁹ საქართველოს ისტორია, მაკეტი, თბილისი, 1956, გვ. 114.

⁴⁰ აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 121.

⁴¹ იქვე, გვ. 122.

ფეოდალურ საქართველოში იმთავითვე ისახება ბრძოლა მიწისმფლობელობის ამ ორ ფორმას—საკარგავებსა და მემამულეობას შორის. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ასეთი სამსახურის ან დამსახურების სანაცვლოდ მიღებული მიწა „დროთა განმავლობაში .სამკვიდროდ“ და „სამამულოდ“ ე. ი. თითქმის მემკვიდრეობით საკუთრებად ხდებოდა“⁴². აქ ივ. ჯავახიშვილი „თითქმის“-ო იმიტომ ამბობს, რომ ასეთი მიწის გაყიდვის, გაჩუქების თუ სხვა გზით გასხვისებისათვის მაინც პატრონის ნებართვა იყო საჭირო, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს მომენტიც გარკვეულ დრომდე მოქმედებდა და ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნიდან, ასეთ ნებართვას ქართველი ფეოდალები შეიძლება ითქვას მაინცდამაინც აღარ საჭიროებდნენ და როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. გაბაშვილი, მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გაბატონებამ ბატონყმობა გააპირობა, რადგან ბრძოლა მიწისათვის თავისთავად უკავშირდება ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოებისათვის. მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გაბატონება ქმნის საფუძველს ფეოდალთა მიერ ამ მიწაზე მსხდომი გლეხობის საბოლოოდ მიწაზე მიმაგრებისათვის. ამგვარად, თუ მიწისმფლობელობის სამამულო სისტემა ბატონყმობას აპირობებს, მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემა თავის მხრივ, აპირობებს მიწების პირობით გაყიდვას რაც ქმნის საფუძველს ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის.

მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემას მკვიდროდ უკავშირდება ქართული „პატრონყმობის“ საკითხი.

„პატრონყმობა“ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირობითად მიღებული ტერმინია და აკად. ივ. ჯავახიშვილი მას ფაქტიურად ფეოდალიზმთან აიგივებდა. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით ქართული პატრონყმობა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხერგში იყო გამოვლინებული. ქართული პატრონყმობის დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი წერდა: „პატრონყმობა მაშინდელი საქართველოს ცხოვრების როგორც სოციალურს, ისე ეკონომიურს მოვლენას ახასიათებდა და გამომხატველიც იყო.

მაგრამ ამასთანავე „პატრონყმობას“ სახელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. ამაზე მეტიც ითქმის, საქართველოს წესწყობილების ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენის გამომხატველიც იყო. ეს იმითაც მტკიცდება, რომ „პატრონი“ მარტო კერძო მესაკუთრესა და მფარველს კი არ ეწოდებოდა, ე. ი. მარტო საზოგადოებრივ და უფლებრივ დამოკიდებულებათა დამახასიათებლად კი არ ჩანს, არამედ მეფესა და ხელმწიფესაც ჰნიშნავდა.“⁴³.

„პატრონყმობის“ ცნების გაგებაში გარკვეული კორექტივი შეიტანა აკად. ს. ჯანაშიამ და აღნიშნა, რომ პატრონყმობა „ქართული ფეოდალიზმის ერთ-ერთი ძირითადი მოვლენათაგანი იყო“⁴⁴. ე. ი. პატრონყმობა მას ფეოდალიზმის ერთ-ერთ კერძობობით მოვლენად მიაჩნდა და აღნიშნავდა, რომ „პატრონყმობა განხილული იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია თავისი განვითარების კლასიკურ ხანაში (უპირატესად X—XI სს), არის (აღწერილობითი თვალსაზრისით)

⁴² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 88—89.

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ნ. II, გვ. 67.

⁴⁴ ს. ჯანაშია, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრომები, II, გვ. 434.

ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით“⁴⁵.

ამგვარად, ს. ჯანაშიას „პატრონყმობა“ სამხედრო სამსახურის პირობით არსებულ საადგილმამულო ურთიერთობად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ „პატრონყმობა არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია მწარმოებელი კლასის ზედმეტი შრომის მითვისებაზე შემამულებთა მიერ, პირველთა საადგილმამულო დამოკიდებულების პირობებში უკანასკნელთაგან“⁴⁶. განვითარებული პატრონყმური ურთიერთობის საძირკვლად ს. ჯანაშიას ფეოდალური ექსპლოატაცია მიაჩნია⁴⁷.

„პატრონყმობის“ ახლებური გაგებაა მოცემული საქართველოს ისტორიის 1958 წ. გამოსულ დამხმარე სახელმძღვანელოში. „მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა, რომელიც ადრეფეოდალური ხანის სოციალური ურთიერთობის—პატრონყმობის საფუძველს წარმოადგენდა, იქამად უკვე გაქრა ძირითადად და ქართული ფეოდალური საზოგადოება ირ მთავარ ანტაგონისტურ კლასად—აზნაურებად და გლეხებად დაიყო. ბატონყმობა შემოვიდა“—წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი⁴⁸.

როგორც ვხედავთ, აქ „პატრონყმობა“ და „ბატონყმობა“ გამოიწვლია ერთმანეთისაგან და „პატრონყმობა“ ფაქტიურად ადრეული ფეოდალიზმის მნიშვნელობით იხმარება. თუ ს. ჯანაშიასთან „პატრონყმობა“ არ გულისხმობს ურთიერთობას მწარმოებლებსა და ფეოდალებს შორის და ის ფეოდალთა კლასის შიგნით არსებული საადგილმამულო ურთიერთობის გამომხატველი და ამსახველი პირობითი ტერმინია, ნ. ბერძენიშვილი „პატრონყმობას“, როგორც მოვლენას, მთელ ფეოდალურ საზოგადოებაზე ავრცელებს და, როგორც აღნიშნეთ, მას ფაქტიურად ადრეფეოდალურ ურთიერთობათა გამომხატველ ტერმინად თვლის.

ამჟამად ჩვენ არ ვისახავთ მიზნად სათანადოდ დავასაბუთოთ პატრონყმობის შესახებ ცნობილ მეცნიერთა ესა თუ ის მოსაზრება ან წამოვაცენოთ საკუთრივ ჩვენი დამოკიდებულება ხსენებული საკითხისადმი. პატრონყმობის ბუნების პრობლემა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი. აქ ბევრი რამ შეიძლება სადავოც იყოს. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ფეოდალური მიწისმფლობელობის ის ფორმები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემასთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

სპეციალისტებს შორის თითქმის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ პატრონყმობის საძირკვლს მიწისმფლობელობის საკარგავეების სისტემა წარმოადგენდა. საკარგავი უნდა ყოფილიყო სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის დამაკავშირებელი ძირითადი მომენტი, ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერის ერთი ძირითადი პირობა. საკარგავის შენარჩუნების მიზნით ფეოდალთა უმრავლესობა იძულებული იყო გვერდში ამოდგომოდა სამეფო

⁴⁵ ს. ჯანაშია, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრომები., II, გვ. 434.

⁴⁶ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 435.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 180.

ხელისუფლებას და ასეთი ერთგულების გზით ებრძოლა იმისათვის, რათა მოხელეობასთან დაკავშირებული მიწისმფლობელობა „სამამულოდ“ ექცია.

პატრონყმობა ამა თუ იმ სახით, რასაკვირველია, ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე არსებობდა, მაგრამ ე. წ. „პატრონყმობის ხანად“ ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მიაჩნიათ X—XII საუკუნეები⁴⁹, ის პერიოდი, როდესაც პატრონყმობა კლასიკური სახითაა წარმოდგენილი. ე. ი. ის პერიოდი, როდესაც პატრონყმობა საფუძველს ქმნიდა საშუალო და წვრილი აზნაურობის იმ სახით არსებობისათვის, რომ ის დამოკიდებული ყოფილიყო სამეფო ხელისუფლებაზე, ე. ი. როდესაც წყალობად (საკარგავად) გაცემული მიწების დიდი უმრავლესობის „პატრონი“ მეფე იყო. რაც თავის მხრივ იყო ერთ-ერთი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.

როგორც აღვნიშნეთ „პატრონყმობის“ კლასიკურ ხანად ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მიაჩნიათ X—XII საუკუნეები. ე. ი. X საუკუნეში შეიქმნა საფუძველი პატრონყმობის, როგორც მოვლენის გაბატონებისათვის საქართველოს სინამდვილეში, ხოლო XIII საუკუნეში უკვე მას საფუძველი გამოეცალა.

„პატრონყმობის“ მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იყო „კომენდაცია (შეწყალება“), ბენეფიციუმი („წყალობა“, „ბოძება“), ინვესტიტურა შესაფერისი ცერემონიალით („დალოცვა“, და სხვ.) და სხვა. ფართოდ იყო გავრცელებული იმუნიტეტი („შუევალობა“, „თავისუფლობა“). განთავისუფლება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ გამოსაღებათაგან⁵⁰.

წყალობა (ბენეფიციუმი) შეწყალების (კომენდაციის) შედეგია. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ დაწვრილებით იხილავს ფეოდალურ საქართველოში „შეწყალება“—„წყალობის ინსტიტუტს“⁵¹. ივ. ჯავახიშვილი უჩვენებს, რომ „წყალობა“ (თანამდებობა მასთან დაკავშირებული ყმა-მამულით) შეწყალებულ ყმას ეძლეოდა⁵². შეწყალებასთან ორგანიულად იყო დაკავშირებული შეწყალებული ყმის დალოცვა. ეს ცერემონიალიც, ძირითად ხაზებში, შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

წყალობა-შეწყალება, როგორც ფეოდალური ინსტიტუტი, რომელიც ევროპული ფეოდალური სინამდვილის კომენდაციასა და ბენეფიციუმს უკავშირდება, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურზევე იჩენს თავს.

კომენდაციის ყველა სახე, როგორც წესი, ფეოდალური იერარქიის შექმნის პროცესს ემსახურება. ფეოდალური კომენდაციის მრავალი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მაგ. სუსტის შესვლა ძლეურის მფარველობაში, ან საერთო საქმისათვის გაერთიანება და სხვა. ამ მხრივ უაღრესად ნიშანდობლივია ქართველი ისტორიკოსის ცნობა აფხაზთა ერისთავის ლეონის შესვლის შესახებ არჩილ მეფის ყმობაში. ჯუანშერის ცნობით, „ლეონ რქუა (არჩილს, მ. ლ): „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამი-ერთიგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედიმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწულებს წუერი კავკასიისა ამის. შემრ-

⁴⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ნ. II, გვ. 67—107; ს. ჯანაშია, ქართული პატრონყმობის წარმოშობისა და ბუნების საკითხისათვის, შრომები, II, გვ. 434.

⁵⁰ ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია... შრ., II, გვ. 78—94.

⁵¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, I, გვ. 78—94.

⁵² იქვე.

თე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენნ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს⁵⁵. ვფიქრობთ. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ლეონ აფხაზთა ერისთავი, რომელიც გამოდის დასავლეთ საქართველოში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ არჩილ მეფეს უკავშირდება, მის ყმობაში შედის, მის „შვილად“ აღიარებს თავს. იმავე არჩილს მიუვა არაბთაგან შევიწროვებული ადარნასე ბაგრატიონი და არჩილი შეიწყალებს მას შულავერ-არტაანით. ჯუანშერის ცნობით ადარნასე ბაგრატიონი „ტყვეობასა მას ყრუსისასა შთასრულ იყო შვილთა თანა გუარამ კურაპალატისათა კლარჯეთს, და მუნ დაჩხომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქვეყანა. და მისცა შულავერი და არტანი“⁵⁴ და სხვა.

ფეოდალური კომენდაციის უაღრესად საინტერესო ფორმა ვლინდება IX ს. 80-იან წლებში ლიპარიტ ბაღვაშის მაგალითზე. ქართული წყაროს ცნობით, ლიპარიტ ბაღვაშმა „შეიპყრნა... ქუეყანანი თრიალეთისანი, ადაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“⁵⁶. ამიერიდან ლიპარიტი თავისი ყმებით დავითის მოკავშირეა დავითის მტრების წინააღმდეგ, ლიპარიტ ბაღვაში დავით ბაგრატიონის ყმაა.

ჩანს IX—X საუკუნეებში შეწყალება და წყალობა ჩვეულებრივი მოვლენა საქართველოში. წყალობა-შეწყალების ინსტიტუტი უშუალოდ უკავშირდება აზნაურთა ახალი ფენის, მოსაკარგავე აზნაურობის შექმნას ამ დროის საქართველოში.

ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს რამდენად უკავშირდება შეწყალება-წყალობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული მოსაკარგავეობა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხს.

„შეწყალების“ ინსტიტუტის შეფასებისას ივ. ჯავახიშვილი წერს: „საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათი პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წაიდერებათა და ბრძანებეთა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო შეწყალებულიც იქმნებოდა. „შეწყალებით“ მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღონიერებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა“⁵⁶. ე. ი. „შეწყალება“ მეფის მომხრეთა, ცენტრალური ხელისუფლების დასის გაძლიერება-გამრავლების ერთ-ერთი საშუალება იყო. „შეწყალება“ იყო მსახურეული, მოსაკარგავე აზნაურობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზა. „ამნაირად—წერს ივ. ჯავახიშვილი, დიდგვარიან მოხელეთა გვერდით მსახურეულ „შეწყალებულთა“ ჩგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მარტო დიდგვარიანობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული, მაგრამ რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალ ნაწყალობევე ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ აღზევებულნი“⁵⁷. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი სწორედ იმ ვარემობას უსვამს ხაზს, რომ „შეწყალება“ ფაქტიურად „მოსაკარგავე-მსახურეული“ აზნაურობის გაძლიერებას უქმნიდა საფუძველს.

⁵⁵ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 242.

⁵⁶ ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 242. 243.

⁵⁷ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 258.

⁵⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

⁵⁹ იქვე.

ძირითადად XII—XIII საუკუნეების წყაროების განხილვის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილმა სრულიად მართებულად შენიშნა ის გარემოება, რომ „შეწყალება“ ამასთანავე ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოღენი ძალა შეაღიეს. „შეწყალება“.—წერს ივ. ჯავახიშვილი, მოხელეს თუნდაც „უგვაროს“ და „უაზნოს“ ისევ თანდათანობით ქონებრივად ძლიერ და მრავალ „ყმათა“ პატრონად ხდიდა. მის ხელში დიდძალი სიმდიდრე გროვდებოდა. ამასთანავე, ხელისუფლების წყალობით, მას დიდი პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა. მის მემკვიდრეებს თავიანთი „უაზნობა“ ადვილად ავიწყდებოდათ და ისინიც მსხვილ მემამულეებად ხდებოდნენ⁵⁸. როგორც ვხედავთ, საკითხი ისევ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მსხვილი მემამულეობის შექმნის პროცესს უბრუნდება. ნაწყალობევი სამფლობელოები თანდათან, დროთა ვითარებაში, „პირობითიდან“ „სამკვიდროდ“ იქცეოდა და იმარჯვებდა მიწისმფლობელობის სამამულო სისტემა.

როგორც აღვნიშნეთ, შეწყალება-წყალობის საკითხს ივ. ჯავახიშვილი ძირითადად XII—XIII სს ქართული წყაროების მონაცემებით იხილავს. ამ დროს ეს ინსტიტუტი ძალიან განვითარებული და გავრცელებულია. სამწუხაროდ ადრეფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში, კერძოდ IX—X სს წყაროებში, შეწყალების ფაქტები მინცდამინც უხვად არ არის წარმოდგენილი. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომენდაცია მასთან დაკავშირებული ბენეფიციუმით, სწორედ ამ ხანაში უნდა გავრცელებულიყო ჩვენში ინტენსიურად და ფეოდალური საქართველოს გავრთიანებისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ მოვლენასაც უნდა შეეწყო ხელი.

თუ კომენდაცია და მასთან დაკავშირებული ბენეფიციუმი (დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სინამდვილეში) ერთი მხრით გულისხმობს მწარმოებლების შესვლას ფეოდალების ყმობაში, ამავე დროს ის გულისხმობს ფეოდალური იერარქიის შექმნას, ერთი ფეოდალის შესვლას მეორე ფეოდალის ვასალობაში.

„მცირე „მთავარი“—წერს ნ. ბერძენიშვილი, თავისი სასახლით, ციხით და მიტაცებულ-მითვისებული მიწებიცა და დაბა-სოფლებითურთ უფრო ძლიერი მფლობელის, „დიდი მთავრის“ „მფარველობაში“ შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდი მთავარს“ „ახლდნენ“, მის ამაღლას შეადგენდნენ. იქმნებოდა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის დანიშნულება ის იყო, რომ გამკლავებოდა როგორც მდაბიორებს და გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრის მტაცებულურ ზრახვებს⁵⁹. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, მერვე საუკუნის შუა წლებში გატარებული რეფორმით დაკანონდა ერისთავთა „ხელმწიფობა“ საქართველოში⁶⁰. მაგრამ იმავე დროს გატარდა ღონისძიება საშუალო მიწისმფლობელთა ფენის ე. წ. მოსაკარგავეთა გასაძლიერებლად, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო მის საქმიანობაში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს, ეს ე. წ. „რეფორმა“ მართლაც არჩილმა გაატარა თუ ვინმე სხვამ, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ქართული წყარო გარკვეულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას, მიმართულს სა-

⁵⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

⁵⁹ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958. გვ. 120.

⁶⁰ იქვე.

შუალო მიწისმფლობელთა ფენის, გასაძლიერებლად, მგრვე საუკუნეს უკავშირებს.

წყაროს ცნობით, არჩილმა ქვეყნის ნაწილი ერისთავებს მისცა, ხოლო ნაწილი სამეფოდ დაიტოვა, საიდანაც მიუბოძა მიწები თავის ტაძრეულებს და აზნაურ ყვანა ივინი.

„ამ ახალი ვითარების შესაბამისი იყო ლაშქრის ორგანიზაციაც, წერს ნ. ბერძენიშვილი. თითოეულ მთავარს, თითოეულ ერისთავს თავის „ერი“, თავისი ლაშქარი ჰყავდა. მთავრები თუ ერისთავები საჭიროებისამებრ მოვალენი იყვნენ თავიანთი რაზმებით მეფეს მისვლოდნენ. ლაშქრის მეორე ნახევარი საკუთრივ სამეფო ქვეყნებიდან გამოდიოდა“⁶¹. ეს ღონისძიება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აგარაული რეფორმა“ უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება ლაშქრის ორგანიზაციის საკითხს. სანამ ჩვენში „ერი“ არსებობდა ქვეყნის ხელისუფლება უზრუნველყოფილი იყო თავისუფალი ქვეითი ჯარით, მაგრამ „ერის“ შემცირება მწვავედ აყენებდა ლაშქრის ორგანიზაციის საკითხს. ამავე დროს მეშვიდე—მერვე საუკუნეებიდან ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში აშკარა ხდება ცხენოსანი ლაშქრის უპირატესობა ქვეითი ჯარის წინაშე რაც აუცილებელს ხდის სათანადო ღონისძიებებს.

ერთი მხრით მსხვილი მიწისმფლობელების ასალაგმავად, ხოლო მეორეს მხრივ ლაშქრის ახალი სახეობით ქვეყნის უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ის აგარაული რეფორმა ფრანკთა სახელმწიფოში, რომელიც კარლ მარტელის ბენეფიციური რეფორმის სახელწოდებით არის ცნობილი.

მეოთვინეების დროს არსებული წესის ნაცვლად, რომელიც გულისხმობდა მიწების სამეშვიდროდ ბოძებას კერძო საკუთრებაში, კარლ მარტელმა (715—741) წესად შემოიღო პირობითი მიწისმფლობელობის ახალი ფორმა „ბენეფიციუმში“ (beneficium)⁶².

ამ სისტემის დახასიათებისას ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ ეს რეფორმა კაროლინგების მიერ გატარებული იყო „Как способ объединить государство навсегда привязать магнатов к трону и усилить таким путем королевскую власть.“⁶³.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვხედავთ სრულ ანალოგიას კაროლინგების ხანის ფრანკთა მონარქიასა და ქართულ ფეოდალურ მონარქიას შორის, ეს ორი გაერთიანება პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერ შევამჩნიოთ პირობითი მიწისმფლობელობის ფორმების გავრცელების გავლენა ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზაციაზე.

მეშვიდე—მერვე საუკუნეებში საქართველოს გაერთიანება, მიუხედავად სამისო გარკვეული ტენდენციებისა, ვერ განხორციელდა. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, მერვე საუკუნე, ასე ვთქვათ „არზილის რეფორმების ხანა“, იყო გარკვეული ტენილი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით.

⁶¹ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო. 121.

⁶² История средних веков, Госполитиздат, 1955, გვ. 115.

⁶³ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I стр. 394.

⁶⁴ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 121.

მერვე საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: „ასე მოეწყო საბოლოოდ ფეოდალური ურთიერთობის, საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია“⁶⁴. ე. ი. ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე საბოლოოდ მოეწყო ერთი მხრით მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის კანონიზირებით, ხოლო მეორე მხრით, მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემის განმტკიცებით. ამდენად, მერვე საუკუნეში დასრულდა ჩვენში ადრეფეოდალური ურთიერთობის ერთი პირველი საფეხური და სწორედ ამიტომ აღვნიშნავთ ჩვენ რომ IX—X სს ესაა ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალი ეტაპი.

IX—X სს-ში ხდება წინარე ფორმაციების გადანაშთების ლიკვიდაცია-საბოლოოდ ყალიბდება მიწისმფლობელობის „სამამულო“ და „საკარგავების“ სისტემა. თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად ქრება. მწარმოებელი ან ფეოდალის მიწაზე ზის და მისი გლეხია, ან მეფის მიწაზე ზის და მეფის გლეხია. მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ ვრცელია სახელმწიფო მიწების ფონდი, რაც ქმნის ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერის წყაროს.

IX—X საუკუნეებში საქართველო, როგორც ცნობილია, რამდენიმე პოლიტიკური ერთეულითაა წარმოდგენილი. ბრძოლა გაერთიანებისათვის სწარმოებს ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის და თითოეული პოლიტიკური ერთეულის უზენაესი ხელისუფალი (აფხაზთა მეფე, ქართველთა მეფე, კახეთის მთავარი) თავის ბრძოლაში სახელმწიფოს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, ეყრდნობა გარკვეულ საზოგადოებრივ ფენებს. წყაროთა სიმცირის გამო ძნელია კატეგორიულად რაიმეს მტკიცება, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის განოთქმა მანაც შესაძლებლად გვეჩვენება. სახელმწიფოს ძირითად დასაყრდენ ძალას უნდა ქმნიდნენ სახელმწიფო გლეხები ანუ ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრენი“, როგორც მათ ნ. ბერძენიშვილი უწოდებს და წვრილი და საშუალო ე. ი. მოსაკარგავე აზნაურები.

მოსაკარგავე აზნაურობის სახით ჩამოყალიბდა ფეოდალ-მიწისმფლობელთა ისეთი ახალი ფენა რომელიც დინტერესებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერეში, რათა ამ ხელისუფლებას დაეცვა მისი მიწისმფლობელური უფლებები, უზრუნველყო მისთვის გლეხთა შრომის ექსპლოატაციის საშუალება და დაეცვა ისინი მსხვილ აზნაურთაგან. ცენტრალურ ხელისუფლებას „მოსაკარგავე“ (საშუალო და წვრილი) აზნაურობის სახით ჰყავდა ბუნებრივი მოკავშირე მის ბრძოლაში ფეოდალური არისტოკრატის სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ.

მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს პირობითი მიწისმფლობელობა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების შედეგად გატარებული ღონისძიება იყო. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ბუნების საკითხისა და ამასთან დაკავშირებით პირობითი მიწისმფლობელობის გავითარების განხილვისას ვ. ი. ლენინი პირობითი მიწისმფლობელობის შექმნას ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას უკავშირებდა და აღნიშნავდა, რომ პირობითი მიწისმფლობელობის „ახსნა იმდროინდელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურებაში უნდა ვეძებოთ“⁶⁵.

⁶⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, 1948, გვ. 167.

როგორც აღვნიშნეთ, IX—X სს-ში სახელმწიფო მიწების ფონდი შედარებით ვრცელი უნდა ყოფილიყო საქართველოში. ფეოდალური საქართველოს გაერთიანებასთან ერთად სამეფო დინასტიის (ბაგრატ III სახით) ხელთ აღმოჩნდა აფხაზთა სამეფოსა და ქართველთა სამეფოს სახელმწიფო მიწების ფონდი, რაც ბაგრატ III-ეს წყალობის ფართო შესაძლებლობებს აძლევდა. განსაკუთრებით გაფართოვდა სახელმწიფო მიწების ფონდი დავით აღმაშენებლის დროს. „დავითის დროს, წერს ნ. ბერძენიშვილი, დიდად გაიზარდა სახელმწიფო მიწების ფონდი. მეფემ მოწინააღმდეგე დიდაზნაურებს ჩამოართვა მამულები და ისინი სამეფოდ (სახსოდ) აქცია. ასევე სამეფოდ იქნა ჩარიცხული ჰერეთ-კახეთის და თბილისის ამირას ყოფილი ქვეყნები, აგრეთვე თურქთა მიერ დატოვებული ქართული მიწა-წყალი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ასეთივე იყო დავითის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ქვეყნების—სომხეთისა და შირვანის მიმართ. ამრიგად საქართველოს მეფის განკარგულებაში აღმოჩნდა უზარმაზარი ფონდი, რომელსაც დავით მეფე სამემკვიდროდ კი არა, არამედ საკარგავად (ე. ი. სამოხელეოდ, დროებით) უწყალობებდა ხოლმე თავის ერთგულსა და მორჩილ მოხელე-მოლაშქრებს“⁶⁶. მაგრამ XII—XIII სს საქართველოში „შეწყალების“ ფართო გავრცელებამ საბოლოო ჯამში იმის საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, რისთვისაც იყენებდა მას თავდაპირველად ცენტრალური ხელისუფლება. ბენეფიციუმის ფრანკთა მონარქიის ისტორიის კონკრეტულ მაგალითზე დახასიათებისას ფ. ენგელსი წერს: „... будучи применен как способ объединить государство, навсегда привязать магнатов к трону и усилить таким путем королевскую власть, он, в конце концов, совершенно обессилил корону, содействовал независимости магнатов и привел к распаду государства“⁶⁷.

ჩვენში „შეწყალების“ ფართოდ გავრცელებამ თანდათან წვრილი და საშუალო აზნაურების ნაწილიც მსხვილ მიწისმფლობელებად აქცია. წყალობაპირობად და დროებით მიღებული მიწები თანდათან სამამულო საკუთრებად იქცა და XII—XIII სს-ში შეიქმნა მსხვილ მემამულე აზნაურთა ძლიერი რაზმი. XIII საუკუნისათვის საბოლოოდ გაიმარჯვა მიწისმფლობელობის სამამულო სისტემამ და—„ნაწყალობევამ“ თავისი თავდაპირველი დანიშნულება დაკარგა, ჩვენ თავს ვიკავებთ XIII საუკუნეში შექმნილ ვითარებაზე მსჯელობისაგან, რადგან ეს სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ IX—X სს კომენდაცია-წყალობის ინსტიტუტს საგრძნობლად უნდა განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები საშუალო და წვრილმფლობელ ფეოდალთა გამრავლება—გაძლიერებით. ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დროისათვის მიწისმფლობელობაში ძირითადად ლიკვიდირებული უნდა იყოს წინარე ფორმაციების გადმონაშთები. თუ არსებობს კიდევ, და როგორც ცნობილია დიდხანს არსებობს, თემური მიწისმფლობელობა, ან „აგარაკები“ და სხვა ასეთი კატეგორიები, ესეხი ეხლა უკვე მხოლოდ ფორმალურად რჩებიან ძველ „სათემოდ“ ან ძველ „აგარაკებად“, ეხლა ესენი უკვე შესული არიან ფეოდალურ მიწისმფლობელობაში. „აგარაკმა“ სახე იცვალა და ის ფეოდალურ „მამულში“ შევიდა, ხოლო სათემო მიწის „პატრონი“ ეხლა უკვე მეფე ან კერძო ფეოდალია. მიწა უკვე ან სახელ-

⁶⁶ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 163.

⁶⁷ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I стр. 394.

მიწისმფლობელობის (საერო თუ სასულიეროსი), ხოლო ფეოდალის სამფლობელო მიწა შედგება „მამულის“ მემკვიდრეობითი საკუთრებისა და „საკარგავის“, სამსახურის სანაცვლოდ მიღებული პირობითი მფლობელობისაგან. მიწისმფლობელობის ამ ფორმების საბოლოოდ ჩამოყალიბება და მისი თანმხლები სხვა პროცესების ძირითად ჩარჩოებში დამთავრება, აპირობებს ადრე-ფეოდალური ხანის დასრულებას და ქვეყნის გადასვლას განვითარების უფრო მაღალ, განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე.

ფეოდალის მფლობელობასა თუ საკუთრებაში მყოფი მიწა პირობითად ფეოდალის „მამული“ იყო.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რას წარმოადგენდა IX—X სს-ში ქართველი ფეოდალის, მთავრის მამული.

ისტორიკოსი ბასილ ზარზმელი გვაძლევს ცნობებს სამცხის დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის მამულის შესახებ. ზარზმელის ცნობით გიორგი დიდი მიწა-წყლისა და მრავალ ყმათა მფლობელი იყო. „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომელთა სივრცე საზღვართვრცელ და მრავალ იყო“⁶⁸. გიორგი ჩორჩანელს, ჩანს რამდენიმე სასახლე აქვს, „რომელსა ტაძარნი შენ-იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“⁶⁹. მას ტყეში სპეციალური სანადირო დანიშნულებების სახლიცა აქვს. „ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ-ყვიან მას შინა სიძნელისათვის ღამისა და უვალობისა და სიხშირისა ტყეთაისა“⁷⁰.

როგორც ჩანს, სასახლე (ტაძარი) მთავრის მამულის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია ასევე სასახლის მფლობელია IX საუკუნის დიდი მთავარი მირიანი, რომელმაც მასთან მისული გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები თეოდორე და ქრისტეფორე მიიწვია „ტაძრად თვისად“⁷¹.

სახნავ-სათესი მიწების, ბალ-ვენახებისა და ტყის გარდა ფეოდალები საქონლის ჯოგებსაც ფლობენ. სამცხის დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა თავის დისწულებს მიწის გარდა მემკვიდრეობით დაუტოვა „სიმრავლე სახედართა და მროწეულთაი“⁷².

ფეოდალის სამფლობელოში მეურნეობას გლეხები ეწევიან. IX—X საუკუნეებში ქართველი გლეხის ვალდებულება ფეოდალის მიმართ ძირითადად ბეგარით განისაზღვრებოდა. ბეგარა გულისხმობდა როგორც ნატურალურ გადასახადს, ისე შრომით ვალდებულებას⁷³. შრომით ვალდებულებას ფეოდალი იყენებდა საბატონო მეურნეობასა და საამშენებლო სამუშაოებზე, ხოლო ნატურალური გადასახადი საგლეხო მეურნეობაზე იყო გადაკვეთილი.

ფეოდალის სამფლობელოში მის მიერ დაპყრობილ-შემოფრთხელებული თემებიც შედიან. როგორც აღვნიშნეთ ასეთ შემთხვევებში მეზეგრეებად თემები გამოდიოდნენ. მაგრამ ინდივიდუალური მეურნეობის შემთხვევებში, ბეგარა გლეხის ძირითად სამეურნეო ერთეულს ედო. გლეხის ეს ძირითადი სამეურნეო ერთეული კი იყო „ფუძე“. აღრინდელი ფეოდალიზმის ხანის ქართულ წყარო-

⁶⁸ ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 154.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამ. გვ. კვ.

⁷² სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 173.

⁷³ ნ. ლორთქიფანიძე, ძირითადი, საზოგადოებრივი კლასები IX-X სს საქართველოში, სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახ. მეცნ. განყ. „მომავლ“, I, თბილისი, 1960.

ებში საგლეხო ფუძის შესახებ ჩვენ თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საბუთების განხილვის საფუძველზე ამ ხანის „ფუძის“ შესახებ გარკვეული მოსაზრებები აქვს ივ. ჯავახიშვილს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „იმ მიწას, რომელიც გლეხს ჩვეულებრივ ეჭირა ხოლმე და რომელზედაც იგი იჯდა, „ფუძე“-ს ეძახდნენ“⁷⁴. იქვე ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „განსაზღვრულს რაოდენობის მიწას, რომელზედაც გლეხი იჯდა ხოლმე „ფუძეს“ ეძახდნენ. რაკი ეს მასალები სასეფო გლეხებსაც შეეხება და საეკლესიოსაც, ეტყობა „ფუძე“ და „კომლი“ გლეხების საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს. რამოდენა იყო ეს ფუძე?, ზემომოყვანილ მაგალითებიდან სჩანს. რომ ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჭდარიყო ერთის მაგიერ. ფუძე არ იცვლებოდა, ოჯახი-კი, შეიძლება, კომლობრივ გამრავლებულიყო“⁷⁵.

ამგვარად, გლეხის ძირითადი სამეურნეო ერთეული ფუძეა. ფუძე იყო ამავე დროს ძირითადი ფისკალური ერთეული. ივ. ჯავახიშვილი წერს: „რაკი ფუძე გლეხის განსაზღვრულ მიწის რაოდენობას შეადგენდა, ამიტომ ფუძეზევე იყო დადებული გადასახადი“⁷⁶. ყველა უმთავრესი გადასახადები, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი — „და ხარჯი მიწას, უძრავ საკუთრებას აწვა“⁷⁷.

ჩვენ გვინტერესებს საკითხი „ფუძისა“ და „კომლის“ ურთიერთობის შესახებ ადრეფეოდალურ ხანაში.

როგორც XII—XIII საუკუნეების საბუთების განხილვიდან ჩანს, ამ დროს „ფუძისა“ და „კომლის“ ურთიერთდამთხვევა დარღვეულია. ესლა უკვე სჩირა შემთხვევები, როდესაც ერთ ფუძეზე ორი და სამი კომლი ზის. მაგრამ ამავე დროს ივ. ჯავახიშვილს ჩვენ მიერ ზემომოტანილ ამონაწერში ერთი ჩვენთვის საინტერესო ფრაზა აქვს, რომ „ფუძე“ და „კომლი“ გლეხის საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს“. ივ. ჯავახიშვილს თვითონ მოაქვს საბუთები საიდანაც ჩანს, რომ ერთ ფუძეზე ორი და სამი კომლი გლეხიც ზის, მაგრამ ამავე დროს თვითონვე წერს, რომ „ფუძე“ და „კომლი“ გლეხების საერთო ტერმინია. ამ „საერთო ტერმინში“ ივ. ჯავახიშვილი იმას უნდა გულისხმობდეს, რომ „ფუძე“ უდრის „კომლს“, რომ ეს ორი ტერმინი ფარავს ერთმანეთს. მაგრამ როდის? როგორც ვხედავთ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეს ერთიანობა დარღვეულია. ვფიქრობთ „ფუძისა“ და „კომლის“ ერთიანობა ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს დაცული. ამ ერთიანობის დარღვევა გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი იყო.

რომ „კომლი“ და „ფუძე“ გარკვეულ დროს ერთმანეთს ემთხვევა ჩვენში, ამის მოწმობა უნდა იყოს ის გარემოება, რომ არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე გაწერილი „ჯიზია“ კომლობრივ იყო გადაკვეთილი. არაბ-ქართველთა ხელშეკრულება „დაცვის სიგელით“ გაფორმებული, კრძალავს კომლების შეერთებას ან დაყოფას გადასახადის ოდენობის შეცვლის მიზნით. ე. ი. საგადასახადო ერთეული ამ დროს კომლია, მაგრამ კომლი იმდენადაა საგადასახადო ერთეული, რამდენადაც ის სამეურნეო ერთეულია, ე. ი. ფუძეა.

⁷⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 16.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე, გვ. 17.

⁷⁷ იქვე.

ძნელია თქმა IX—X სს-ში დარღვეული იყო თუ არა ჩვენში ფუძისა და კომლის ერთიანობა, მაგრამ ვფიქრობთ, ადრეფეოდალურ ხანაში ეს ერთიანობა ძირითადად დაცული უნდა იყოს. ეს პროცესი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში იჩენს თავს და განსაკუთრებით ინტენსიურად გვიანი ფეოდალიზმის ხანაში ვითარდება.

გლეხის ფუძე შედგება საყანე მიწის, ვენახის, ბაღის, ბოსტნის, საცხოვრებელი სახლისა და აუცილებელ სათავსოთაგან. როგორც წესი, საგლეხო ფუძის მესაკუთრე ფეოდალია, გლეხი ფლობს მას ბეგარის გადახდის პირობით.

ამგვარად, X საუკუნეში ძირითადად სრულდება მიწისმფლობელობის ფეოდალიზაციის პროცესი. მიწის საკუთრება მონოპოლიზებულია, მიწის მესაკუთრეა სახელმწიფო, ფეოდალთა კლასთან ერთად. მიწისმფლობელობა იერარქიულია. მიწისმფლობელობის იერარქიულობა, რომლის საფუძველი პირობითი მიწისმფლობელობაა, აპირობებს ფეოდალური იერარქიის არსებობას. ხოლო როდესაც პირობით გაცემული მიწების უდიდესი უმრავლესობის მესაკუთრე სახელმწიფოა, ასეთი ხასიათის მიწისმფლობელობა ქმნის საფუძველს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.



მამისა ბარძნიშვილი

ნიკორწმიდის „დაწერილი“

(ტექსტის გამოცემისათვის)

ქართულ დიპლომატიკაში უურადღებას იქცევს ერთი წყება საბუთები-სა, რომლებიც თავისი შინაარსითა და აღნაგობით ერთნაირი არიან და წინამძღვართა თუ ეპისკოპოსთა საქმიანობის ანგარიშს შეიცავენ. საეკლესიო მესვეურთა ასეთი ანგარიშგებები ჩვენამდე საკმარისი ოდენობითაა მოღწეული¹. ერთ-ერთი ასეთი საბუთია ე. წ. ნიკორწმიდის „დაწერილი“.

XI საუკუნის ეს საბუთი ძვირფასია ისტორიული მეცნიერებისათვის იმიტომ, რომ მისი ყოველმხრივი შესწავლა შესაძლებლად ხდის მაშინდელი საქართველოს ერთი მხარის—რაჭა-არგვეთის შინაური ცხოვრების გათვალისწინებას, და ამას გარდა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ XI საუკუნის მთელი საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიის შესასწავლადც. ამჟერად ჩვენ ვიფარგლებით ამ საბუთის ტექსტის გამოცემითა და ამ გამოცემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხის გარკვევით.

დედანი ამ საბუთისა, თავის დროზე დაცული ნიკორწმიდის მონასტერში, დღეს დაკარგულია. ჩვენამდე მხოლოდ მისმა პირმა მოაღწია². მაგრამ მაშინაც, როცა მისი პირი იქნა გადმოღებული, ეს საბუთი ნაკლული ყოფილა. მას ჰკლებია დასაწყისი და ბოლო, ანუ სწორედ ის ნაწილი, სადაც, თუ საერთოდ ამ რიგის საბუთებისდა მიხედვით ვიმსჯელებთ, მოსალოდნელი იყო საბუთის გამცემის ვინაობა და გაცემის თარიღი ყოფილიყო აღნიშნული. ჩვენამდე მოღწეული ტექსტიდან კი მხოლოდ ის ჩანს გარკვევით, რომ ამ საბუთის გამცემი ნიკორწმიდის წინამძღვარია, ამასთან ისიც ჩანს, რომ ეს წინამძღვარი, როგორც ეს უკვე თ. ჟორდანიასაც ჰქონდა აღნიშნული, მონასტრის პირველი წინამძღვარი არა ყოფილა და მას ამ საქმეში წინამორბედიც ჰყოლია. „რომელ ჩემობასა გლეხნი შემოწირულ არიან ან მე თუთ მიყიდიან...“ „მე დამხედა იადგარი ნახევარწერილი :ა: და გავასრულე“—ნათქვამია საბუთში. აქედან უკვე ცხადია, რომ ნიკორწმიდის „დაწერილის“ ავტორი წინამძღვარია („ჩემობასა“), მაგრამ არა პირველი—მას დახვედრია წინამორბედისაგან დატოვე-

¹ ამ რიგის საბუთებზე უფრო ვცალად იხ. ჩვენი წერილი „ქართული დიპლომატიკის ერთი სახეობის წარმოშობისათვის“.—ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, 1950, გვ. 35—50.

² დაბეჭდილია თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“... წ. II, გვ. 43—49.

ბული „ნახევარწერილი იადგარი“. მაგრამ თუ სახელდობრ ვინ იყო ჩვენი საბუთის შემდგენი წინამძღვარი, ეს „დაწერილიდან“ არ ჩანს³.

რაც შეეხება საბუთის დათარიღებას, დღეს ჩვენთვის შესაძლებელია მხოლოდ საბუთის შედგენის terminus ante quem non-ის დადგენა. საბუთში გვხვდება ბიზანტიური ოქროს ფულის — კონსტანტინატისა და დუკატის ხსენება. მაგ., „იალზავისაგან ვიყიდე ყანაჲ და მივეც დრაჰკანი კონსტანტინატი :ბ:“ (IX. 3). „ნასრაჲსა ასულისაგან ვიყიდე გლეხი.. და მივეც... დრაჰკანი დუკატი:ბ:“. (XIX 2) და სხვ. ცნობილია, რომ კონსტანტინატი ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X-ის (1059—67 წწ.) მიერ მოჭრილ ოქროს ფულს ერქვა, დუკატი კი მიხეილ VII დუკა პარაბინაკისას⁴ (1071—1078 წწ.). რაკი ეს ფულები ჩვენს საბუთში იხსენიებიან, ამიტომ ცხადია, საბუთი 1071 წელზე (დუკატის მოჭრის თარიღზე) ადრე ვერ შესდგებოდა.

შედარებით უფრო ძნელდება საბუთის შედგენის terminus post quem non-ის განსაზღვრა. ამ მხრივ დამაფიქრებელია, რომ საბუთში არსად არა გვხვდება ბიზანტიური ფული ბოტინატი (—მოჭრილი იმპერატორ ნიკიფორე III ბოტინატის—1078—81 წწ. მიერ), რომლის ხმარებაში შემოსვლა დუკატის გავრცელებას უშუალოდ თან სდევდა. საბუთში ბოტინატის მოუხსენებლობა, საფიქრებელია, იმას მიუთითებდეს, რომ საბუთი ნიკიფორე ბოტინატის გამეფებამდე (1078—81) უნდა იყოს შედგენილი. რომ საბუთში ასახული ხანა არ უნდა სცილდებოდეს XI საუკუნის 70-იან წლებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ საბუთის შემდგენის საქმიანობის ასპარეზი—რაჰა და არგვეთი, ეკონომიურად ძლიერ მხარედ წარმოგვიდგება. ცხადია, საბუთში ასახულ საქართველოს ამ კუთხეს ჯერ არ განუცდია სელჯუქიან თურქთა ამოხრებელი ლაშქრობანი, კერძოდ 1080 წლის ე. წ. „დიდი თურქობა“. ამიტომ ნიკორწმიდის „დაწერილი“ 1080 წელზე ადრე უნდა იყოს შედგენილი.

ყოველივე ამის შემდეგ ნიკორწმიდის „დაწერილის“ შედგენის ხანა 1071—80 წლების შუალედით უნდა შემოიფარგლოს. ამასთან, ცხადია, რომ დროის ამ მანძილზე შედგენილი ეს საბუთი ასახავს ნიკორწმიდელის მოღვაწეობის მთელ ხანას, რაც საბუთის შედგენის დროს საკმაოდ იქნებოდა დაცილებული.

ამასთან შეიძლება დაახლოებით განისაზღვროს ნიკორწმიდის ჩვენი უცნობი წინამძღვრის მოღვაწეობის ხანაც. ცნობილია, რომ ნიკორწმიდის ტაძრის მთავარი ნაწილი აშენდა ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო ხანებში, XI საუკუნის ათიან წლებში⁵. უნდა ვითქვოდეთ, რომ იმ 70-იოდე წლის მან-

³ თ. ყორძანიას გამოთქმული აქვს აზრი, რომ ამ საბუთის გამცემი უნდა იყოს ნიკორწმიდის ტაძარში დაცულ ჯვარზე მოხსენებული კახაბერ-ყოფილი კირილე, ძე ერისთავთ-ერისთავ რატისა (ქრ, II, 43). ამ წარწერის თარგმანი მოყვანილი აქვთ კონდაკოვსა და ბაქრაძეს („Опись памятников древностей в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890, გვ. 61), და უვაროვას (Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва, 1894, გვ. 138).

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 16.

⁵ რაზედაც მიუთითებს ტაძრის დასავლეთი კარიბჭის წარწერა: „ქე ძო ღოთსო ადუ სიმრთელთ და დღეგრძობთ შუ მრ გრგნსნი ბგრტ აფთა და რანთა მდე და ქროველთა კურაალატი და გაზრდე ძემთი გი ნებასა შუნა შნსა მზბთა წმიდსა მღდლთ მძღრსა ნკლზისთა“ (გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, მუზეუმის მონაბე, V, გვ. 195). ამ წარწერაში მოხსენებული მეუის ტიტულატურა—ბაგრატ აფხაზთა და რან-

ძილზე, რაც ნიკორწმიდის მონასტრის აგებას და ჩვენი საბუთის შექმნას ერთმანეთს აშორებს, ნიკორწმიდაში ორი ან სამი წინამძღვარი მაინც გამოიკვლევბოდა. აქედან, ჩვენი საბუთის გამცემი წინამძღვარი ნიკორწმიდელად იქნებოდა დაახლოებით 1050-იანი წლებიდან.

დაახლოებით ამავე ხანის მოღვაწეებად ჩანან საბუთში მოხსენებული ჩვენი ნიკორწმიდელის თანამედროვე ზოგი ისტორიული პირი. ამათგან უპირველეს ყოვლისა იე ლიპარიტის ძე. საბუთში ნათქვამია: „იე ლიპარიტის ძემან შემოსწირა სტავრაჲ“ (1,2). ეს იოანე ლიპარიტის ძე ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვეა. იგი ისტორიაში ჩნდება დაახლოებით 1058 წლიდან, როცა სულა კალმახელის და სხვათა შემწეობით შეპყრობილმა ლიპარიტმა „გამოიღო თავისი ხუასტაგი და ჩაიკუნა ჩოჯანი...“ შევედრა ძე თუასი მეფესა ივანე, დარჩა არგუეთისა მამული ივანეს⁶. მალე ეს ივანე არგვეთიდან ბიზანტიაში გაპარულა, მაგრამ მამის თხოვნით ბაგრატ IV-ემ იგი კვლავ საქართველოში დააბრუნა და არგვეთისა და ქართლის მამულეებიც უბოძა⁷. ივანე ლიპარიტის ძის სამშობლოში დაბრუნება, როგორც კაცხის მონასტრის ერთი ხელნაწერიდან ჩანს, 1059 წელს მომხდარა⁸.

საფიქრებელია, რომ იოანეს შეწირულება ნიკორწმიდის მონასტრისადმი მისი არგვეთში მეორედ დამკვიდრებასთან იყოს დაკავშირებული (1060 წლის ახლო ხანებში). მაგრამ იოანეს ეს შეწირულება 1080 წელზე ადრე მოხდებოდა რადგან, როგორც ითქვა, საბუთი 1080 წლამდეა შედგენილი და გარდა ამისა, თვით იოანე ლიპარიტის ძეც ამ წლის შემდეგ ისტორიაში აღარა ჩანს. 1080 წელს.. „მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვილდეს და წარიღო, ივანე, ძე ლიპარიტისი, ტყვე ყო“⁹. გამოდის, რომ იოანე ლიპარიტის ძის შეწირულებას ადგილი ექნებოდა 1060—80 წლებში.

დაახლოებით ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს კახაბერის შეწირულება ნიკორწმიდისადმი. საბუთში ეს კახაბერი გაურკვეველ კონტექსტში იხსენიება: „... და უკიდაეს კახაბერსა...ს ცოლმან ზაზი შემოსწირა ბაღდადური აფი“ (1,3). ჩვენს საბუთში მოხსენებული ეს კახაბერი შესაძლოა იყოს ის კახაბერი, რომელიც ნიკორწმიდის ტაძრის დასავლეთი მინაშენის ფასადის წარწერაში იხსენიება: წო ნკუ მხ ეყვ წე ქა კბრსა და რტს. ამინ¹⁰ (მინაშენი, რომელზედაც ეს წარწერაა, XI საუკუნის შუაწლებშია აგებული¹¹).

თა მეფე—მიუთითებს იმაზე, რომ ეს ტაძარი აგებულა ბაგრატის რანზე ლაშქრობის შემდეგ—ი. 1010—1014 წლებში. ძველის ამგვარ დათარიღებას იძლევიან გ. ბოჭორიძე, გ. ჩუბინაშვილი (Памятники грузинской архитектуры—Кумурдо и Никорцинда, 1947, სტ. 3) და ლ. ა. მაცულავაძე (ნიკორწმინდა და მისი ადგილი საქართველოს კულტურაში, ენიშკის მოამბე, 1938. III, გვ. 32). ზოგი მკვლევარი კი ამ წარწერაში მოხსენებულ ბაგრატ III-ეს ბაგრატ IV-ედ მიიჩნევს. დ. ბაქრაძე, Кавказ в памятниках христианства, стр. 114) და მ. ბროსე, Rapport sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, XII გვ. 55). უვაროვა კი, ფურცელაძის მიერ შეცდომით დაბეჭდილ გვიან ხანის საბუთზე დაყრდნობით, ნიკორწმიდის ტაძრის აგებას XV-ს მიაკუთვნებს (Материалы по археологии Кавказа, IV, 1894, გვ. 127—8).

⁶ მატჩანე ქართლისაჲ, — ქართლის ცხოვრება, ტომი, I, თბ., 1955, გვ. 305 14—15.

⁷ იქვე, გვ. 305²⁰.

⁸ თ. უზორდანია, Описание рукоп. церк. музея, II, 50, № 484.

⁹ მატჩანე ქართლისაჲ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317 და 318.

¹⁰ გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზეუმის მოამბე, V, გვ. 196.

¹¹ Чубинашвили, Памятники груз. архитектуры—Кумурдо и Никорцинда, Москва, 1947, გვ. 23.



ჩვენს საბუთში, როგორც შემწირველი, იხსენიება აგრეთვე ვარაზ-ვაჩე. „ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათვის ფუთს გლენი ბ. და ალაბი გარდა-ეგდების დღესა ახალ კურიაკესა“ (1,6). ვარაზ-ვაჩეს სახელით ქართულ სა-ინტორიო წყაროებში გვხვდება ერთი პირი, რომლის ვინაობის შესახებ სა-მეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი აზრი არსებობს. აკად. კ. კეკელიძის აზრით წყაროებში მოხსენებული იოანე ვარაზ-ვაჩე ცნობილი იოანე ათონე-ლია, ექვთიმე ათონელის მამა¹², რომელიც 1005 წელს გარდაიცვალა. მაქს. ბერძნიშვილის სიტყვით კი იოანე ვარაზ-ვაჩე „არაა ექვთიმეს მამა, იგი იო-ანე თორნიკეს ძმა და ჩანს მხოლოდ 977—992 წლებში“¹³. ვინც არ უნდა იყოს ეს იოანე ვარაზ-ვაჩე, იგი მინც წარ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენს სა-ბუთში მოხსენებულ ვარაზ-ვაჩედ, რადგან ამათი მოღვაწეობა წინ უსწრებს ნიკორწმიდის ტაძრის აშენებას და ამიტომ არც შეიძლებოდა იგი ნიკორ-წმიდის შემწირველი ყოფილიყო.

ნიკორწმიდის „დაწერილში“ მოხსენებული ვარაზ-ვაჩე ქრონოლოგიურად ემთხვევა ბერძნული წყაროების მიხედვით ცნობილ ვარაზ-ვაჩეს. ეს ვარაზ-ვაჩე კედრენეს მიხედვით იმპერატორ რომან IV არგირას (1028—32) თანამედრო-ვედ ჩანს¹⁴, ხოლო ტურინოს კომპილაციით კონსტანტინე მონომახოსის (1042—54) თანამედროვედ¹⁵. თუკი ეს ვარაზ-ვაჩე და ჩვენი საბუთის ვარაზ-ვაჩე ერთი და იგივე პირია, მაშინ ნიკორწმიდის „დაწერილში“ მოხსენებუ-ლი ვარაზ-ვაჩე ჩვენი ნიკორწმიდელის უფროს თანამედროვედ წარმოგვი-დგება.

საბუთში მოხსენებული დანარჩენი პირები სხვა წყაროების მიხედვით ჩვენთვის უცნობი არიან.

მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ შეიძლება გამოითქვას გარკვეული აზრი. საბუთში ჩამოთვლილია რამდენიმე ფაქტი შეწირულებისა. შეწირულებ-ბათა ნაწილი უსასყიდლო არ არის. შეწირულები თავის შეწირულებათა სანუქფოდ მონასტერში ალაპს იღებენ. მაგრამ საბუთში მოიხსენებიან ისეთი შემწირველებიც, რომელთა შეწირულება უსასყიდლო ჩანს. ასეთებია: 1. „... შემოსწირა.. კუბასტი... ინვე შუშანამან. (1,1). 2. იე ლიპარიტის ძემან შე-მოსწირა სტავრაჲ (1,2). 3. კახაბერსა..ს ცოლმან ზაზი შემოსწირა ბაღდადური აფი:ა“ (1,3); 4. „ზნაკუხს ეე მნ მქლ წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწა ტყიანი.. და იგი მიწაჲ წა ნიკოლაოსს შემოსწირა“ (IV,4). 5. „ეე მნ მქლ შემოსწირა წიგნი სჯნაქსარი“ (XX, 1). ყველა ამ შემთხვევაში შეწირულებათა სანუქფოდ ალაპის დადების მოუხსენებლობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. უნდა დაფუძვით, რომ ეს უსასყიდლო შემომწირველები მონას-ტერთან ახლოს მდგომნი არიან და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მონასტ-

¹² კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გამოც. III, 1951. გვ. 154.

¹³ მაქს. ბერძნიშვილი, იოანე ვარაზ-ვაჩისთვის, ანალები, I, 1947 წ., გვ. 246—249.

¹⁴ კედრენეს იგი გამოყავს კონსტანტინე დიოგენის შეთქმულების მონაწილედ. ასეთი, დანაშაულისათვის მისთვის ექსტორია უყვიათ. (Georgii Cedreni—Compendium historiarum tomi duo, Venetis გვ. 566. C.).

¹⁵ იქ ნათქვამია, რომ როცა კონსტანტინე მონომახოსმა ბაგრატ IV და ლიპარიტი დააბავა, ვარაზ-ვაჩე იმპერატორს ეახლა და მისგან კეთილად იქნა მიღებული.—ს. ყაუხ-ჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის, ტფ. უნივერსიტეტის მონაბე, IV, 1924 წ., გვ. 351.

რის მატერიალური გაძლიერებით არიან დანტერესებული. ასეთი ინტერესი კი შეიძლება იქნება იმ კერძო ფეოდალს, რომლის საგვარეულო საკუთრებაშიც შედის ეს მონასტერი.

თუ ამ მხრივ გადავხედავთ „უსასყიდლო“ შემწირველებს, ისინი დაახლოებით ერთი საგვარეულოს წარმომადგენლებად ჩანან. კახაბერი და მისი ცოლი ზაზი რაჭის ერისთავებს—კახაბერიძეებს უნდა ეკუთვნოდნენ. იგი ლიპარიტის ძე კი წარმომადგენელია ბაღვაშთა საგვარეულოსი, რომელიც, ცნობილია, რომ კახაბერიძეთა მონათესავედ ითვლებოდა¹⁶. ერისთავთ-ერისთავი მიქელი, საფიქრებელია, რომ სწორედ ადგილობრივი საგვარეულოს წარმომადგენელი იყოს. იგი რაჭის სოფელ ზნაკვაში ნასყიდ მიწას წირავს ნიკორწმიდას (IV. 4). ცხადია, ამას იგი ჩადის მეტი მოუღვერობისათვის მხოლოდ და არა იმიტომ, რომ მას არა აქვს საკუთარი მიწა მონასტრის სიახლოვეს. მის მიერ მონასტრისათვის სენიანქსარის შემოწირვა (XX, 1)—ამ სახის სხვა შემოწირვა საბუთში არ არის აღნიშნულ, —სწორედ მიქელის ადგილობრივი საგვარეულოს წევრობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ეს ადგილობრივი საგვარეულო—ბაღვაშთა მონათესავე კახაბერიძეთა საგვარეულო—გვევლინება ნიკორწმიდის მონასტრის მფლობელად (სწორედ ამ საგვარეულოს წევრები—კახაბერი, რატი და რატის ასული დიოფალთ დიოფალი ეფემია—იხსენიებიან ნიკორწმიდის ტაძრის დასავლეთი მინაშენის წარწერებში¹⁷).

საინტერესო საკითხია, თუ რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდა კახაბერიძეთა ამ მონასტრის სამამულო მფლობელობა. ნიკორწმიდის „დაწერილის“ მიხედვით ნიკორწმიდას მამულები აქვს 31 გეოგრაფიულ პუნქტში. ანათგან | ცხრა იმერეთში მდებარეა და | ცხრავე არსებობს დღესაც. ესენია: საწირე, ჯვარისა, ცხილათი, მუხურა, ბობოთი, ჩიხა, ფუთი, ბაჯითი და ადგილის კრებითი სახელი ოკრიბა. დანარჩენთაგან ცხრა რაჭის ეხლაც არსებული სოფელია: ნიკორწმინდა, ხოტევი, აგარა, კაჩეთი, ზნაკვა, ჯვარისა¹⁸, ხიმში, ძირაგული, შქერი.

დანარჩენი პუნქტები კი, რიცხვით 13, როგორც დასახლებული ადგილები, დღევანდელი რაჭის რუკაზე არა გვხვდება. ანათგან სამის ადგილმდებარეობა მონახა გ. ბოჭორიძემ. ესენია ზნრო, შონიეთი და ჰევემელი¹⁹. სამივე ეს სახელწოდება შემორჩენილია სოფ. ნიკორწმიდის ნიღამოებში. ამრიგად მოსაძებნი რჩება 10 პუნქტის ადგილმდებარეობა. ესენია: მეტეხარა,

¹⁶ კახაბერიძეთა და ბაღვაშთა ნათესაობაზე აშკარა ცნობებს იძლევიან ძველი ქართველი ისტორიკოსები: 1. „დაწყბადსავე ამისსა მეფობისასა (—თამარის) მისევე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, | შეილთა კახაბერიძეთთა.. ქმნესცა დიდი ბოროტი“ (ბასილი ნოზის მოძღვარი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1944, გვ. 24_{ა-ბ}; 2. „კახაბერი.. მოკუდა და შთისბოთ ყოველი ნათესავი მისი ბაღვაშთა კახაბერის ძეთა“ (ქანთა აღწერელი, ქართლის ცხოვრება, 11, 275_გ).

¹⁷ გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზეუმის მოამბე, V, გვ. 196, 198.

¹⁸ ნიკორწმიდას მამულები აქვს ორ [ჯვარისაში—იმერეთისა და რაჭისაში. ამ გარემოების გასარჩევად საბუთში ნათქვამია: „ოკრიბას ჯვარისას“ და „ზნაკვას ჯვარისას“. რაჭის ჯვარისას (ოფ. ზნაკვის დასავლეთით მდებარეს) დღეს შრომას უწოდებენ.

¹⁹ გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზეუმის მოამბე, V, გვ. 163—4. სქოლიო.



ზახლეული, ქუმელოანი, ჰერნეული, ველიჭრული, სამი ჯვარი, საჯადი, ზნაკვის აგარა და ველიშეული.

ამათგან ადვილად ირკვევა ზნაკვის აგარის ადგილმდებარეობა. საბუთში ნათქვამია: „ზნაკუს ვიყიდე აგარასთანა აბულათაჲს ძისაგან ვენაჲ: ა: (IV, 5)“. სოფელ ზნაკვას დასავლეთიდან თავს დასცქერის მომადლო ბორცვი, რომელზედაც წინათ წულუკიძეთა სასახლე ყოფილა. ამ ნასასახლარსა და მის მიდამოებს დღეს „ნააგარევს“ უწოდებენ. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ დღეს ნააგარევის სახელით ცნობილი ეს ადგილი სწორედ ჩვენს საბუთში მოხსენებული ზნაკვის აგარაა.

სხვა მოსაძებნ ბუნქტათგან ჯერ შევჩერდეთ „საჯადზე“ (VII, 1), რომელსაც მეორე ადგილას „საჯადი“ (XX, 5) ჰქვია, რაც საბუთის გრაფიკული ან გამომცემლის კორექტურული შეცდომა უნდა იყოს; მართებულია ფორმა „საჯადი“, დადასტურებული გვიანდელ საბუთშიაც²⁰. საჯადი გარკვეული ადგილის კრებით სახელად ჩანს, როგორც ჩვენს საბუთში, ასევე გვიანდელ საბუთშიაც. ჩვენი საბუთით „საჯადი“ აერთიანებს შემდგომ ჩამოთვლილ ბუნქტებს: ზახლეულს, კაჩაეთს, ჯეგჰელას, შხროს, ველიჭრულს, ქუმელოანს, შოჩიეთს და ჰერნეულს. რაკი ამათგან ჯეგჰელი, კაჩაეთი, შხრო და შოჩიეთი გარკვეულად ნიკორწმიდის მახლობლად მდებარე ადგილებია, ამიტომ „საჯადი“ სწორედ ნიკორწმიდის მიდამოების ზოგად სახელად უნდა მივიჩნიოთ. ნიკორწმიდის მიდამოების აღმნიშვნელად ჩანს საჯადი გვიანდელ საბუთშიაც: „ჩვენ მეფეთ-მეფემან... ბაგრატ... შემოვსწორენ (ნიკორწმიდას—მ. ბ.) მამულნი და გლეხნი: სახადს აგარა²¹...“ აქედან სახადი ისეთი ადგილია, რომელშიაც შედის სოფ. აგარა. აგარა კი ნიკორწმიდის აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარე სოფელია. რაკი საჯადი ნიკორწმიდის მიდამოებს ერქვა, მაშინ ამ საჯადში შეშავალი ჩვენთვის დღეს უცნობი ზახლეული, ველიჭრული, ქუმელოანი და ჰერნეული ნიკორწმიდის მახლობელ ბუნქტებად უნდა მივიჩნიოთ.

ასევე შეიძლება მოვუხახოთ ადგილი „დაწერილში“ მოხსენებულ მეტეხარასაც. ამ სახელით ცნობილი ბუნქტი დღევანდელ რაჭაში არა გვხვდება. საბუთით მეტეხარა ვენახოვან ადგილად ჩანს: ნიკორწმიდელი მეტეხარაში მხოლოდ ვენახებსა ყიდულობს და ყურძნის საწნებ ნაგებობასაც მაინცადამაინც იქა დგამს. (III, 1, 3, 5, 6). მეტეხარა ნიკორწმიდელის მეურნეობაში გვევლინება ისეთ ბუნქტად, სადაც ძირითადი სწორედ შევენახეობაა (მეორე ასეთი ბუნქტი—მევენახეობით წარმოდგენილი—საბუთით ჩანს ხევში, რიონის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფელი). ასეთი ადგილები კი რაჭაში მდ. რიონის პირას არის მხოლოდ და ამიტომ რიონის პირას მდებარე ბუნქტად უნდა ვივარაუდოთ.

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება სამი ჯვარის, ბეთაბრელისა და ველიშეულის ადგილმდებარეობა. სამივე ეს ბუნქტი რაჭაშია საძებნი, მაგრამ მათი ლოკალიზება არა ხერხდება.

თუ საერთოდ ნიკორწმიდის მამულების ადგილმდებარეობას გადავხედავთ, გამოდის, რომ ამ მონასტრის მეურნეობის უდიდესი ნაწილი თვით

²⁰ ეს საბუთი დაბეჭდილი აქვს ს. კაკაბაძეს. იხ. მისი „ბაგრატ უცნობი XIV საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი“. 1913 წ. გვ. 4-5. დედანი იხ. საქ. ხ. ი. ფ. Sd № 2838

²¹ ს. კაკაბაძე, ბაგრატ უცნობი XIV საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი, გვ. 4-5.

რაჭაშია. მეურნეობის მეორე ნაწილი კი საკუთრივ რაჭას სცილდება და ოკრიბასა (ჯვარისა, საწირე, ბოზოთი) და ნაწილობრივ არგვეთს (მუხურა, ცხილათი, ფუთი, ჩიხა, ბაჯოთი) შეიცავს. კახაბერიძეთა სამონასტრო მშენებლობაც სწორედ ამ რაიონებზე მოდის (მღვიმე, სავანე).

ნიკორწმიდის „დაწერილის“ არქიტექტონიკა მსგავსია სხვა ამავე დანიშნულების საბუთებისა. პირველი ნაწილი საბუთისა შეწირულებათა ჩამოთვლას წარმოადგენს. ამას მისდევს პირადად საბუთის გამცემის ნამოღვაწარის აღწერილობა. საბუთის ამ ნაწილს განსაკუთრებული სათაურიცა აქვს: „რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთუხ გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყვად“ (II), რის შემდეგ იწყება „შენაძენის ჩამოთვლა“. ეს ჩამოთვლა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვითაა დალაგებული. ჯერ ჩამოთვლილია რაჭის სხვადასხვა პუნქტებში ჩატარებული საქმიანობა (III—XIV) და შემდეგ აღწუსებულია ნიკორწმიდელის საქმიანობა უკვე რაჭის გარეთ—იმერეთშიც (IV—IX).

საბუთის უკანასკნელი ნაწილი (XX, XXI) შეიცავს საბუთის გამცემის უკვე სხვა საქმიანობის აღწერას—იადგარის გასრულებას, პარაკლიტონის შეძენას და სხვა მსგავსი ხარჯების ჩამოთვლას. ყოველივე ამის შემდეგ კი შეჯამებულია საბუთის გამცემის მოღვაწეობა „რლ ჩემობსა გლეხნი შემოწირულ არიან და რნი მე თუთ მიყიდიან რიცხუთ ოც და ათი“²². ესე რომელ აქა შა დამიწერია, ყლი დაუკლებლად წა ნიკოლაოს აქუს და სხა რლი გავითა (sic) მგონები.. შემძლებელ ყოფილვარ ყლი ერთგულებით მიმსახურებია წდისა ნიკოლაოსისათუს და პატრონისათუს მიმსახურებია, ღთი მხედვარ და წა ნიკოლაოს (XXI)²³.

ამით თავდება საბუთის ძირითადი ნაწილი. სხვა მსგავს საბუთთა მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ საბუთის გამცემი საუკუნო სახსენებელს გაიჩენდა მონასტერში, მაგრამ ეს არაა ჩვენს საბუთში, იმიტომ, რომ საბუთის გამცემი არ თვლიდა თავის მოღვაწეობას დამთავრებულად და თავის საბუთში ტოვებდა ადგილს შემდგომი ნამოღვაწარის მისაწერადაც. და მართლაც, საბუთის ძირითად ნაწილს თ. ჟორდანიას სიტყვით „სხვა მეღნით, მაგრამ იმავე ხელით“ მიწერილი აქვს შემდეგი: „შდ პლ დაწერილისა ამის კდ ვიყიდენ ცხილათს გლეხნი. ბ. ნი... ძისაგან და მივეც ფასად დრაჰკანი ღუჰატი: ლვ: მუნვე ცხილათს ვიყიდე გლეხი წა... ლისაგან :ა: და ფასად მივეც...“ აქ წყდება ჩვენი საბუთი.

დედანი საბუთისა, როგორც ითქვა, დღეს დაკარგულია. იგი შესრულებული ყოფილა ნუსხა-ხუცურიით, ეტრატზე, ჩვენამდე მოაღწია ამ საბუთის ორმა პირმა. პირველი პირი ამ საბუთისა გადმოიღო თ. ჟორდანიამ თავის რაჭაში მოგზაურობის დროს და გამოსცა თავის „ქრონიკების“ მეორე ტომში²⁴. იგივე საბუთი ნახა და გადმოიღო პროფ. ს. კაკაბაძემაც. მისგან შე-

²² საბუთის ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში კი აღწუსებულია გლეხის სყიდვის თუ შეწირვის მხოლოდ 17 შეძახვევა. რაკი საბუთის ის ნაწილი, რომელიც სყიდვის შესახებ ცნობებს შეიცავს, მთლიანად დაღარჩენილია, ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ დანარჩენი 13 გლეხი მონასტერს შეწირულებათა სახით შეუძენია და ამის შესახებ საბუთის პირველ, ჩვენამდე ნაკლებული სახით მოღწეულ, ნაწილში იქნებოდა საუბარი.

²³ ქრ., II, გვ. 49, შენ. 37

²⁴ იქვე, გვ. 43—49.

სრულებული პირი ამგამად ინახება საქ. ცენტრ. არქივში²⁵. ამ პირთა შეჯამება არ გვაძლევს რაიმე ფაქტიურ განსხვავებებს. საეკვო, გაურკვეველი ადგილები ორივე მკვლევარს ერთნაირადა აქვთ ამოკითხული. განსხვავებანი მათ შორის ცალკეული სიტყვების ამოკითხვაში ჩვენს მიერ გათვალისწინებულია ტექსტის გამოცემისას. ამ ორ პირს შორის არსებულ სიტყვიერ განსხვავებებში უდაოდ მისაღები ჩანს ს. კაკაბაძის წანაკითხი: „ვიყიდე მიწა ხილოანი“ (VIII, 7)—ეს ადგილი თ. ჟორდანიას ამოკითხული აქვს როგორც „მიწა ხლოანი“.

„დაწერილის“ ტექსტში ჩვენს მიერ მოცემულია ორი ნაკლული სიტყვის აღდგენის ცდა. საბუთის შემდეგი ადგილის—„შემოსწირა ჯითს ვენაჯი :ა: მოწაჲ არიან კაცნი—ბას ვიყიდე აჩეჩლისაგან გლეხი :ა ბობოთს და მივეც ცხენი :ა:..“ (ქრ. II, გვ. 48²¹⁻²²; ჩვენი გამოცემის (XVI—XVII)—ხაზგასმული სიტყვების შესახებ თ. ჟორდანიას ნათქვამი აქვს, რომ „ამ სიტყვებს თავში ორასოსოდენა ადგილი მოგლეჯილი აქვს“—ო. ორივე ეს ნაკლული სიტყვა „...ჯითს“ და „...ბას“—როგორც კონტექსტიდან ჩანს, გეოგრაფიული სახელის აღმნიშვნელია. ამათგან...„ბას“ აღდგენა უფრო ადვილია. ვფიქრობთ, აქ უნდა იყოს ადგილის ზოგადი სახელი „ოკრიბა“, მით უფრო რომ შემდგომ დასახელებული ბობოთი სწორედ ოკრიბაში მდებარე სოფელია.

რაკი საბუთის ამ ადგილას საერთოდ იმერეთში შეძენილი მამულებია ჩამოთვლილი, პირველი ნაკლული სიტყვაც „ჯითს“ იმერეთის ერთ-ერთი პუნქტის სახელწოდება უნდა იყოს. აქ უნდა იგულისხმებოდეს არგვეთის სოფელი ბაჯითი, რომელიც დღესაც არსებობს და საჩხერის რაიონში სარკვის სასოფლო საბჭოში შედის.

გარდა ზემოაღნიშნულისა „დაწერილის“ ტექსტში საკუთრივ ჩვენს მიერ შეტანილია შემდეგი შესწორება. საბუთში ნათქვამია: „ხოტევეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ჯარი :ა: და ზა აგარა დაედგი სახლი სენაითა და ქვეშე ორითა ბოსლითა“.. (VIII, 1). ამ ადგილის პირველი წინადადება „ხოტევეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ჯარი :ა:“—გასაგებია სავსებით; აქ აზრიც დამთავრებული ჩანს. შემდგომი გამოთქმა „და ზა აგარა დაედგი სახლი სენაითა და ქვეშე ორითა ბოსლითა“ უკვე ისე უნდა გავიგოთ, თითქოს აგარა რაღაც შენობის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს.

მაგრამ, ცნობილია, რომ აგარა (—აგარაკი) სოფლის კუთვნილ სახნავ-სათესს ადგილს ერქვა²⁶. ჩვენს საბუთშიაც აგარა ყველგან გარკვეული გეოგრაფიული სივრცის, ადგილის სახელწოდებად არის ნახმარი; საბუთში გარკვევით ჩანს ორი სხვადასხვა აგარა—ხოტევეს აგარა (XIII, 4, 5, 6) და ზნაკვის აგარა (IV, 5). თუკი აგარა გარკვეული ადგილის სახელია და თანაც საბუთის ჩვენთვის საინტერესო ადგილას ხოტევეს მიდამოებზეა საუბარი, მაშინ ზემომოყვანილ გაუგებარ წინადადებაში სიტყვა აგარა-სთვის მხოლოდ „ს“-ს მიმატება იქნება საჭირო და მთელი წინადადება გარკვეულ სახეს მი-

²⁵ საქ. ც. ა. ფ. 1449 (227) № 1563

²⁶ აგარაკის ასეთი მნიშვნელობა ჩანს, მაგ. გ. მერჩულის თხზულებაში: კურაპალატმა „უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატერდსა“ (ს. ყუბანეიშვილის გამოც., ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომატია, ნაწ. 1, გვ. 119). ი. იმნაიშვილსაც აგარაკი განმარტებული აქვს როგორც „სახნავ-სათესი ადგილი“. ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი, ნაკვეთი I, 1948 წ., გვ. 3.

იღებს: „ხოტევეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწად და მივეც ჯარი :ა: და ზა აგარას დავდგი სახლი სენაითა და ქუეშე ორითა ბოსლითა“. ამგვარი კონიექტურა უკვე ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ ლაპარაკია სოფ. ხოტევის ზედა აგარაზე. სოფელი აგარა დღესაც არსებობს ხოტევეთან, მის სამხრეთ დასავლეთით.

სტილი საბუთისა მარტივი და კონკრეტულია. ფრაზები მოკლე და შეკუმშული. ავტორი ერიდება მრავალსიტყვაობას, იგი ძუნწად, მაგრამ ზუსტად აღწერს თავისი საქმიანობის თითოეულ ფაქტს. ყოველი ეს ფაქტი სხარტად და ამოწურავად აქვს მას ჩამოყალიბებული—სად, ვისგან, ოა იყიდა და რა მისცა. ამასთან მას ეს ფაქტები გარკვეული გეოგრაფიული პრინციპითა აქვს დალაგებული.

ტექსტის ჩვენს გამოცემაში რომაული ციფრით აღნიშნულია საბუთის ყოველი ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტში ჩატარებულ საქმიანობას შეეხება. რომაულივე ციფრით აღნიშნება შინაარსობლივად განსხვავებული ნაწილებიც. ხოლო თითოეულ ამ ნაწილში შემავალი წინადადებები აღნიშნულია არაბული ციფრებით. მარცხენა არეზე დასმულია ციფრები, რომლებიც თ. ყორღანის გამოცემის შესაბამის გვერდებსა და სტრიქონებს უჩვენებენ. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია აღდგენილი სიტყვები:

აბუთის ტექსტი

I. 1. შემოსწირა --- კობასტი --- ინვე შუშანმან --- ისაი ვერცხლი- 44
 საა :ა: - საა: ა: 2. იე ლიბარიტის [ძემან შემოსწირა] სტავრაი ლომო-
 ანნ ბერძ --- და უკიდავს. 3. კახაბერსა --- ს ცოლმან ზაზი შე[შოსწირა]
 [ბა]ლდადური აფი :ა: და შევეკ[რე]ნ კუართი :ა: და სასოაული :ბ: 4. ნუშ
 შემოსწირა კუბასტი ბერძ[ული] :ა: და კუართად შევეკრეთ და გლეხი -- და
 აღაბი გარდაეცდების სულისა [წ]სა მოფენასა. 5. წორბელმან შემოსწირა
 ზნაკუას გლეხი :ბ: და მიწანი და მისთვს აღაბი გარდაეცდების ჯრისა გამო-
 ჩინებასა. 6. ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათვს ფუთს გლეხი :ბ: და აღა-
 ბი გარდაეცდების დღესა ახალ კარიაკესა. 7. წირქუალელისა ძემან შემოსწი-
 რა გლეხი :ზ: და მას თანა შემოატანეს ჯორი :ა: ძოლოა :ა: ჯრმალი :ა: და
 ამისთვს გარაეცდების აღაბი დღე ფერისცვალებად და საფლავეთა მისთა ზა
 დაგვდგენია ჟამის მწირველი :ა:

II. და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთვს გამიცემია 45¹⁰
 ეკლესიისაგან განძად და პირუტყუად:

III. 1. მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი :ა: და მისთვს
 მივეც ძულოა ახალი ერთი და შედეგი ძულოა :ა: ტაბასტა²⁷ სონხური :ბ:
 ჯაკვ :ა: და ჯარი კარგი :ა: და სასთული ხირაითა კარგი :ა: და ქაფი ჯაკვ-
 საა :ა: და მოწამე არიან კაცნი.

2. მისვე დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი :ა: და მივეც ცხენი
 :ა: და ჩაბალახი გუდამაყრული :ა: და მოწამე არიან კაცნი.

3. და მუნვე მეტეხარას კასალის ძისაგან ვიყიდე ვენაჯი :ა: და მივეც
 ჯარი :ა: და საწინისი :ბ: და მოწამე არიან კაცნი.

²⁷ თ. ყორღანია აღნიშნავს, რომ თუმცა ტექსტში სწორია ზაბასტა, მაგრამ ეს შეცდო-
 მა უნდა იყოს. მართებულია ტაბასტა.

4. ჯინჭარაას ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჯისაჲ, ჩნ თანა ედგა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ :ა: და ორმოცისა დრამისა ჯმელადი და მოწამე არიან კაცნი.

45₂₀ 5. მუნვე მეტეხარას ჯინჯინოძისაგან ვიყიდე ვენაჯი, ჩნსა გლეხსა თანა ედგა და მივეც ფური :ა: და ჯმელადი სამოც-და-თხუთმეტისა დრამისაჲ და მოწამე არიან კაცნი.

46₁ 6. და მუნვე მეტეხარას დავდგი სასაწინებლოჲ ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწინები ქვითკირი²⁸ :ა: და შეშისა საწინებელი :ა:

IV. 1. ზნაკუას შევექმენ სასაწინებლოჲ ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწინები :ბ: და შეშისა საწინებელი :ა: 2. [ქვითკირი ბოსელი :ა: და ზედა ხერხული ბედელი :ა: ქვითკირი ფარები :ა: და ზა ქორეთი სახლი :ა: 3. და დავჰვალ მარანსა შა ჭური :გ:

4. და მუნვე ზნაკუას ენ მნ მქლ წორბელისგან და ვახტანგისგან იყიდა მიწაჲ ტყიანი და მათ უბოდა ფასად ჯაჰჲ :ბ: და იგი მიწაჲ წა ნიკოლაოზს შემოსწირა.

5. და მუნვე ზნაკუას ვიყიდე აგარასთანა აბულათაჲს ძისაგან ვენაჯი :ა: და ყანაჲ :ა: და მისთჲს მივეც ცხენი კარგი :ა: და მოწამე არიან კაცნი.

46₁₀ 6. და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანაჲ :ა: და მივეც ხუარბალი გრივი :გ: და მოწამე არიან კაცნი.

7. მუნვე ზნაკუას კეპოას ძისაგან ვიყიდე ყანაჲ :ა: და მივეც ჯარი ერთი, რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი :ბ: და მოწამე არიან კაცნი.

8. და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხსა მივეც სახლი :ა: და მისგან ავიღეთ ყანაჲ :ა: და მოწამე არიან კაცნი.

9. გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე ზნაკუას და საზღავად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი :ბ: და მოწამე არიან კაცნი.

10. აქმემოისძისაგან ვიყიდეთ მუნვე ზნაკუას ჯუარისას ჩამომართებით ყანაჲ :ა: და მისთჲს მივეც ფასი სრული.

V. 1. ნიკოლაოს წმიდას შევექმენ სახლი ქვითკირი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი :ა: მარანი ქვითკირი :ა: და დავჰვალ შიგან ჭური ნავარძული :ივ:

46₂₀ 2. შევექმენ სახლი მუხისაჲ :ა: და ზედა სახლი ქორედინი და სენიანი :ა:

3. სხ^ა სახლი შევექმენ ცილოფისა²⁹ და მუხისაჲ :ა:

4. სხ^ა სახლი შევექმენ მუხისა სამზარაულოჲ :ა:

5. სხ^ა სახლი შევექმენ სახუცოჲ მუხისაჲ :ა: და ნაძვისაჲ :ა:

VI. 1. ბეთაბრელსა შევექმენ³⁰ სახლი სრული ვითა ტამს ყოვლითაჲვე ფერთა :ა:

2. ჭიშკარი შევექმენ :ა: ქვითკირი შევექმენ ბოსელი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი :ა: სამეგრეოჲ სახლი შევექმენ :გ:

VII. 1. საჯადს რომელ ვიყიდენ მიწანი:

²⁸ თ. ჟ. აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა სტრიქონზემოთაა ჩაწერილი.

²⁹ ს. კაკაბაძეს აქვს ცლოფი.

³⁰ თ. ჟორდანიას აქვს შეუქმენ.

2. ქველასძისაგან ვიყიდე ზახლელუს მიწაჲ :ა: და მისთჳს მივეც ჯარი :ა: საჯნისი :ა: და მოწამე არიან კაცნი.

3. შუბავთაგან ვიყიდე კაჩეთს ყანაჲ :ა: და ჳევგემელს :ა: და მისთჳს მივეც ჯარი :ა: საჯნისი :ა: და მოწამე არიან კაცნი.

4. ჳევგემელს მლლა³¹ ყანისა ნახევარი შემოსწირა და ნახევარი ფასითა ვიყიდე. მოწამე არიან კაცნი.

5. შხროს ზა ნავარქაისაგან ვიყიდე ყანაჲ და მისთჳს მივეც ხუარბალი გრივი :ა: საჯნისი³² :ა: და მოწამე არიან კაცნი.

6. ქველას ძისა შვილთაგან ავიღეთ საზღავად მიწაჲ შხროს ზა რუსისძესა თანა და მოწამე არიან კაცნი. 47₁

7. ცისკარაის ძისაგან³³ ვიყიდე შხროს ამომართებით ყანაჲ და ტყე და მითჳს მივეცი³⁴ ფასად დრაჰკანი :ა: საჯნისი :გ:

8. მლილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღავად³⁵ ავიღეთ ველიჭრულსა რაჲცა იყო მისი კერძი. მოწამე არიან კაცნი.

9. ჳვდილიანის სულისათჳს შემოსწირეს შხროს ყანაჲ, მოწამე არიან კაცნი.

10. ზნაკჳსა თავსა ჳვდილიანმან შემოსწირა მიწაჲ სანახევროჲ. მოწამე არიან კაცნი.

11. ნეჩრელთაგან ვიყიდე კაჩეთს ყანისა ნახევარი და მისთჳს მივეცი³⁶ ფური :ა: ხაჳოჲ კაბიწი :ბ: ფეტჳ კაბიწი :ე: მოწამე არიან კაცნი.

12. კლარჯეთ³⁶ შემოსწირეს შომეთს³⁷ ჩნ თანა საზიაროჲ ყანაჲ და მოწამე არიან კაცნი. 47₁

13. ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაჲსძისაგან ყანაჲ :ა: და მივეც რკინაჲ და მატყლი დრამისა :ლ: საჲ. მოწამე არიან კაცნი.

14. ჳერნელისა თავსა ვიყიდე თავბრტყელისაგან ყანაჲ და მივეც ფასად ოცისა დრამისაჲ და მოწამე არიან კაცნი.

VIII. 1. ხოტევეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც ჯარი :ა:

2. და ზა აგარას³⁸ დავდგი სახლი სენიათა და ქუეშე ორითა ბოსლითა. დავდგი ბედელი სადაგი :ა: და ზა შველი ხერხული :ა:

3. ჩაყრივისაგან³⁹ ვიყიდე მიწაჲ და მივეც ოთხმოცისა დრამისაჲ. მოწამე არიან კაცნი.

4. ეფრემ შემოსწირა ყანაჲ :ბ: ხოტეველისა⁴⁰ სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შეეკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარსა გარდაიგდიდის.

³¹ ეს სიტყვა თ. შორდანიას მოცემული აქვს როგორც მალა. მაგრამ რადგან ამ ფრაზას აკლია დასახელება იმ პირობა, რომელმაც ყანა შესწირა, საფიქრებელია სიტყვა მლლა-ში ადამიანის სახელი იმალებოდეს. (შესაძლოა, ეს იყოს ამავე საბუთოში დასახელებული მლილა—VII. 8).

³² დედანში ყოფილა „საყნისი“.

³³ კაკაბაძესთან—ცისკარაისაგან.

³⁴ კაკაბაძესთან მივეცი³⁴.

³⁵ თ. შ.—მის დასაზღავად.

³⁶ კაკაბაძესთან—კლარჯეთ.

³⁷ კაკაბაძესთან—შომეთს.

³⁸ თ. შორდანიას აქვს ზა აგარას. (ამ შესწორების შესახებ იხ. აქვე, გვ 32).

³⁹ კაკაბაძეს—ჩაყრივისაგან

⁴⁰ „—ხოტეველისა

- 47₂₀ 5. ვიყიდე აგარასავე თანა ყანაა ოტაბოჯს ძისაგან და მივეც ჯარი :ა: და ქუაბი :ა: საქუაბე :ა: და ჯარის ტყავი :ა: და მოწამე არიან კაცნი.
6. კოროფხისშვილისაგან⁴¹ ვიყიდე ყანაა აგარასა თანა და მივეც ჯარი :ა: და მოწამე არიან კაცნი.
7. ლატკაისაგან ვიყიდე მიწაა ხილოანი⁴² და მივეც ჯარი :ბ: ხუარბალი გრივი :გ: და მოწამე არიან კაცნი.
- IX. 1. და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერთ ყანაა ეფრემის ძისაგან და მივეც ლაფაჩი სტავრისა და მელის ტყავი შიგან ამოკერებული. მოწამე არიან კაცნი.
2. ვიყიდე მსვე მიწასა თანა ლისმსაგან⁴³ ყანაა და მივეც ზროხაა :ბ: და მოწამე არიან კაცნი.
3. ვიყიდე მსვე მიწასა თანა იალმაგისაგან ყანაა და მივეც მას დრაჰკანი კოსტანტინატი :ბ: მოწამე არიან კაცნი.
- 48₁ X. 1. ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლისძისაგან ყანაა და მივეც ორი მოცეთი ზროხაა. მოწამე არიან კაცნი.
2. მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაა გრივისა ერთისა სათესავი და მოწამე არიან კაცნი.
3. მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაა ექუსისა კაბიწისა სათესავი და მოწამე არიან კაცნი.
- XI. 1. კაჩაეთს სქელაეთგან ავიღე ყანაა ცხენისა საზღავად და მივეც ხუკაძსა.
2. ველიშეულს ფარსმანისცეთგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაა და მივეც ჯაჭვ :ა: და დრაჰკანი კოსტანტინატი :ბ: და მოწამე არიან კაცნი.
- 48₁₀ XII. 1. ჭივშს გუნაფაძისაგან ვიყიდე ვენაჯი და მივეც ჯარი :ა: ცხოვარი :ა: და საწნისი :ა: მოწამე არიან კაცნი და გლეხთა მივეც.
2. მუნვე ჭივშს ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაჯი და მივეც ჯარი :ა: საწნისი :გ: და ქალამანი ოლოტი :ა: მოწამე არიან კაცნი და მივეც გლეხსა საბეგროდ.
3. ვიცვალე ჭივშს ვენაჯითა ჩემითა მოგებულთა ადგილი და ფასად ზედა დაურთენ უღელნი ჯარნი და რვაა აჟურაა და მის ზედა დავდგი სასაწნეხლე ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი :ბ: და შეშისა საწნეხელი :ა:
- XIII. 1. შქმერს ვიყიდე შქკლოდსგან გლეხი :ა: და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი :ა: ცხენი :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: ჯარი :ბ: ფური :ა: და მოწამე არიან კაცნი.
- XIV. 1. ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან :ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი, სტავრაი კაბაა :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: და ავშარაი რკინისა :ა:

⁴¹ კ ა კ ა ბ ა ძ ე ს — კოროფხისშვილთაგან.

⁴² თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ს — ხლოანი. მაგრამ მართებული უნდა იყოს ს. კაკაბაძის წანაკითხი — ხილოანი.

⁴³ კ ა კ ა ბ ა ძ ე ს — ლომსაგან

2. მუნვე ცხილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწა-
 მე არიან კაცნი.

XV. 1. წონელამან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წა ნიკოლაოსს და 48₂₀
 ყრა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრასა :ლ: სა

XVI. 1. ფეთამან შემოსწირა [ბა]ჯითს⁴⁴ ვენაჯი: :ა: მოწამე არიან კაცნი

XVII. 1. [ოკრი]ბას⁴⁵ ვიყიდე აჩეჩლისაგან⁴⁶ გლეხი :ა: ბობოთს და
 მივეც ცხენი :ა: ჯარი :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: ცვლი ლიტრა :იდ:
 და ბოსლაი :ა: და ჯელის საწერლად მივეც ცვლი ლიტრა :თ: და მოწამე
 არიან კაცნი.

XVIII. 1. შევექმენ საწირეს ქვითკირი ბოსელი :ა: და ზა სახლი სა-
 მამასახლისოა :ა: და მარანი მუხისა :ა: და დავჭვალ შიგან ჭური :ი: და
 დავდგი ზა ბელელი ხერხული :ბ: 2. სხა სახლი ცილოფისა :ა: და ზა
 საჯუარე :ა: 3. სხა სახლი სამზარაულოა :ა: და შევექმენ ჭიშკარი ბოსელ-ქო-
 რედიანი :ა: 4. და შევექმენ სხა ბოსელი ქვითკირი :ა:

5. საწირესვე ღთის მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჯი და მივეც
 ფური :ა: აყურა :მ:

6. მუნვე საწირეს ვიყიდე ყანა და მივეც ფური :ა: ჯაჭვ :ა: ჩაბალახი.
 ვეცხლი დრამა :კ: და მოწამე არიან კაცნი.

7. მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძულსა უქანათ მოვიგე მიწა და მი-
 ვეც გლეხსა საბეგროდ და მოწამე არიან კაცნი.

XIX. 1. და შევექმენ მუხურას ქვითკირი ბოსელი :ა: და ზა სახლი 49₁
 :ა: და ხერხული⁴⁷ ბელელი :ა: დავდგი ჭიშკარი ზემო—ქუემო :ბ:

2. ოკრიბას ჯუარისას ვიყიდე ნასარაჲსა ასულისაგან გლეხი, რომელი
 მიეცა მისდა წირქულელის ცესა, მამამთილსა მისსა, გელწერით უკე და მისთჳს
 მივეც ფასად ცხენი :ა: დრაჰკანი დუკატი :ზ: და ფური :ბ: და მოწამე არიან
 კაცნი.

XX. 1. და ენ მნ მქლ შემოსწირა წიგნი სუნაქსარი :ა:

2. და მე დამზუდა იადგარი ნახევარ წერილი :ა: და გავსარულე, ყრითავე
 სისრულითა შემოსე და მოცუთარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და
 შევაზმვისათჳს მივეც დრაჰკანი დუკატი :იე:

3. და ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი :ა: და მივეც ფასად ცხენისა ნა-
 ხევარი.

4. ქართველნი ხუცესნი მოვიყვანენით და და[ე]კარგენით. მათ ზა 49₁₀
 გაგვცემია დრაჰკანი კოსტანტინატი: ნბ: საალესგოდ.

⁴⁴ თ. ჟორდანიას აღნიშნული აქვს, რომ ეს სიტყვა თავში ნაკლულია. შეიძლება დაეშვათ რომ მას აკლია ორი ასო—ბა. აქ ვწერებოდა ბაჯითს. (ბაჯითი სოფელია საჩხერის რაიონში). ამის შესახებ იხ. აქვე. გვ. 32.

⁴⁵ ამ სიტყვაზე თ. ჟორდანიას ნათქვამი აქვს, რომ მას თავში „ორასოსოდენა ადგილი მოგლეჯილი აქვს (ქრ. 11. 48, შენ. 31). ვფიქრობ, რომ აქ უნდა აკლდეს „ოკრი“—და ამ ნაკლულ სიტყვად გეოგრაფიული სახელი ოკრიბა უნდა ჩავთვალოთ მით უფრო, რომ ამავე წინადადებაში დასახელებული ბობოთი სწორედ ოკრიბაში მდებარე სოფელია. (ამის შესახებ იხ. აქვე. გვ. 32).

⁴⁶ ს. კაკაბაძეს აქვს—აჩეჩლისაგან.

⁴⁷ თ. ჟორდანიას აქვს ხირხული—შეცდომით.

5. ლეითის ძ(რო?)ხაჲ საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთუნ საზღავად ავი[ლე] საჯადს⁴⁸ სახლი ჯავთა გაეთი და ზა [კა]ბალაჲ დავსდევით• XXI. 1. რლ ჩემობ[ა]სა გლ[ეხნი] შემოწირულ არიან და რნი მე თვთ მი-ყ[იდიან] რიცხვთ ოც და ათი, ესე რომელ აქა შა და[მი]წერია, ყლი დაუკლებლად წა ნიკოლაოსს აქუს და სხჲ რლი გავითა 2. მგონები - - შემძლებელ ყოფილვარ ყლი ერთგულებით მიმსახურებია წდისა ნიკოლაოსისთჳს და პატრონისთჳს მიმსახურებია ღთი მხედვარ და წა ნიკოლაოს.

XII.⁴⁹ 1. და შდ პლ დაწერილისა ამის კდ ვიყიდენ ცხილათს გ[ლე]ხნი :ბ: ნი[მრ]. ძისაგან და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი :ლვ:

2. მუნვე ცხ[ილ]ათს ვიყიდე გლუხი წა - ლისაგან და ფასად მივეც...⁵⁰

⁴⁸ კ ა კ ა ბ ა ძ ე ს — საჯდს, ყორდანის — საჯიდი. მაგრამ ეს გრაფიკული შეცდომაა. მართებულია ფორმა საჯადი (დადასტურებული გვიანდელი ხანის საბუთში) და თვით ამ საბუთშიაც (VII ს.)

⁴⁹ თ. ყო რ და ი ა ს აღნიშნული აქვს, ამის შემდეგ დაწერილია სხვა მელნით, მაგრამ იმავე ხელით (ქრ. II, გვ. 49, შენ. 37).

⁵⁰ ამის შემდეგ ეტრატი მოხეული ყოფილა (ქრ. II, 49. შენ. 38).

პირთა სახელწოდების სამიჯნაველი

- აბულათაას ძე—IV. 5
 აბულახტარი—XIV. 1
 აქშემოის ძე—IV.10
 აჩეჩელი—XVII.1.
 გაბოზის ძე—VIII.1
 გუნაფაძე—XI.1
 დებორიანის ძე—III.1,2
 ფერემ—VIII.4.
 ფერემის ძენი—IX.1
 ვარაზ-ვაჩე—1.6
 ვახტანგი—IV.4
 ვახტანგის გლეხი—IV.6.8
 ზაზი—1.3
 ზოსქლედი—XII.2
 თავბრტყელი—VII.14
 იალმაგი—IX.3
 იე ლიპარიტის ძე—1.2
 კასაღის ძე—III.3
 კახაბერი—1.3
 კეპოძე ძე—IV.7
 კლარჯეთ—VII.12
 კოროფხიშვილი—VIII.6
 ლატკაი—VIII.8
 ლეითი—XX.5
 ლისმსაძე—IX.2
 მიქელ ე ერი.—IV.4 XX.1
 მლილა—VII.8
 მღლა (?)—VII.4.
 ნავარქაი—VII.5
 ნასრაძე ასული—XIX.2
 ნეჩრელნი—VII.11
 ნუშ—1.4
 ოტაბოძის ძე—VIII.5
 რუსის ძე—VII.6
 სგოჯაის ძე—VII. 13
 სქელაეთ—XI.1
 თარსმანის ძე—XI.2
 ფ... ეთი—XVI.1
 ქველაძე ძე—VII.2.6
 შუბაენი—VII.3
 შუშანა—1.1
 შქლოძე—XIII.1
 ჩაყრივი—VIII.3
 ცისკარაის ძე—VII.7
 წირქუალელის ძე—1.7.XIX.2
 წონელა—XV.1
 წორბელი—1.5.IV.4
 ქარტლის ძე—X.1.
 ხოტეველი—VIII.4
 ხუკაძე ძე—XI.1
 კვდილიანი—VII.9.10
 ჯავთა გაეთი—XX.5
 ჯინჭარაძის ძის გლეხი—III.4
 ჯინჯინოძე—III.5

გეოგრაფიული სახელმძღვანელო

- აგარა (ზნაკვის)—IV.5
 აგარა (ხოტევის)—VIII.1.4.5.6
 [ბა]ჯითი—XVI.1
 ბეთაბრელი—VI.1.
 ბობოთი—XVII.1
 ველიშეული—XI.2
 ველიჭრული—VIII.8.
 ზახლეული—VII.2.
 ზნაკუა—IV.1, 4,5,6,7,8,9,10.
 კაჩაეთი—VII.3,11. XI. 1
 მეტეხარა—II.1,3,5,6
 მუხურა—XIX.1
 ნიკოლას წმიდა—V.1
 ოკრიბა—XVII.1, XIX.2
 სამი ჯვარი—IX.1
 საწირე—XVIII. 1,5,6,7
 საჯადი—VII.1 XX.5
 ფუთი—1.6
 ქუმელოანი—VII.13
- შომეთი—VII.12
 შქმერი—XIII.1
 შხრო—VII. 5,6,7,9.
 ცხილათი—XIV.2,1.XXII 1,2.
 ძირგეული—X.1,2,3.
 ჩიხა—XV.1
 ხოტევი—VIII.1
 გეგმელი—VII.4
 გეგში—XII.1,2,3.
 ჯვარისა (ზნაკვასთან)—IV.10
 ჯვარისა (ოკრიბაში)—XIX.2
 ჰერნეული—VII.14

საბუთო მოხსენებულ ნაბამოხანი

- ბელელი სადაგი—VII.3
 ბელელი ხერხული—IV.2. XVIII.1,
 XIX.1
 ბოსელი ქვითკირი—IV.2 VI.2
 XVIII.1 XVIII.4
 ბოსელი სახლის ქვეშე—VIII.2
 ბოსლაი—XVII.1
 მარანი მუხისა—XVIII.1
 მარანი—IV.3
 „ ქვითკირი—V.1
 სასაწნახლო ქვითკირი IV.1
 სასაწნახლე ქვითკირი—III.6. XII.3
 სახლი—XIX.1
 „ მუხისა—V.2 VI.2
 „ „ კარგი—VI.1.
 „ სამამასახლისო—XVIII.1
 „ სამეგრეო—VI.2
 „ სამზარაულო—V.4. XVIII.3
 „ სახუცო მუხისა—V.5
 „ „ ნაძვისა V.5
 „ სენაითა—VIII.3
 „ ქვითკირი V.1.
 „ ქორედიანი და სენიანი—V.2.
 სახლი ქორეთი—IV.2
 სახლი ცილოფისა—XVIII.2.
 სახლი ცილოფისა და მუხისა V.3.
 საჯუარე—XVIII.2
 ფარეხი ქვითკირი—IV.2
 ყურძნისა საწნეხი ქვითკირი III. 6. XII.3
 „ „ „ „ V.1
 „ „ „ „ XII.3
 შემის საწნეხელი—III.6 IV.1. XII.3
 შველი ხერხული—VIII.3
 ჭიშკარი—VI.2
 ჭიშკარი ზემო—ქვემო—XIX.1
 „ ბოსელ—ქორედიანი—
 XVIII.3

ლექსიკონი

- ავშარა—XIV.1—ადვირი ულაგამო.
- აჟურა—XII.3. XVIII.5—ბიზანტიური ვერცხლის ფულის ო ჯეყყაჟის ზეპირად შეთვისებული სახელწოდება (ი. ჯავახიშვილი, ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გვ. 19). იხსენიება აგრეთვე გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებაში (ათონის კრებ., გვ. 335).
- აფი—1.3—ქსოვილი ერთდაგვარი.
- ალაპი—1. 4,5,6,7. (ბერძ. ἡ ἀλάπη)—პურის ჭამა მიცვალებულის მოსახსენებლად.
- ალეგება—(სააღესებოდ) XX.3—აღდგომა.
- გრივი—IV.6, VII.5, X.2.—წონის საზომი, საწყაო. უდრიდა 10 კაბიწს.
- დავაკარგენით—XX.4.—„საკარგავი“ გაუჩინეთ.
- დრამაჟ—XVIII.6; VII—13,14; VIII.3; III.4,5—ვერცხლის ფული.
- დრაჰმანი—VII.7; IX.4 XI.2; XIII. 1; XIV.1; XVII.1; XIX.2; XX.2,4; XXII.1—ოქროს ფულის ზოგადი სახელი
- დუჰატი—XIX.2; XX.2; XX.1—ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დუჰას მიერ მოჭრილი ოქროს ფული.
- ზროხა—III.4; IX.2 ზოგადი სახელი ეროხისა და ხარისა. „მოცეთი ზროხა“—X.1—საფურც ხზო ერთ წლამდის (საბა.)
- იადგარი—XX.1.—(სპარს. گدا—სახსოვარი)—საეკლესიო საგალობლების კრებული, იგივე სადღესასწაულო—თთუენი.
- კაბალაჟ—XIV.2; XX.5 (არაბ. كابل) — ეკონომიური დამოკიდებულების სახეობა. ამ ტერმინის შესახებ იხ. ჩვენი წერილი—გლეხთა კატეგორიები—XI—XII ს. ს. საქ-ში. ისტორიის ინსტ. შრომები. V, ნაკვ. I, გვ. 140.
- კაბიწი—VII.11; X.3—საწყაო, უდრიდა დაახლ. 10 ლიტრას.
- კობახტი || კუბახტი—1.1,4.—ლეჩაქი (საბა.)— აქ თხელი ქსოვილი.
- კონსტანტინატი—IX.3; XI.2; XIII.1; XIV.1; XVII.1; XX.4. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X-ის მიერ მოჭრილი ოქროს ფული
- კუართი—1.3,4., პერანგი, ჩასაცმელი.
- ლაფაჩაჟ—IX.1.—ბეწვის სარჩულიანი ზედა ჩასაცმელი.
- ლიტრაჟ—IV.7. XVII.1 XV.1.—წონის ერთეული, უდრიდა ოთხას მისხალს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ნუმისმატიკა-მეტროლოგია, გვ. 100).
- მოცეთი—X.1. იხ. ზროხა
- მოჰიდა—XV.1—მფარველობის ქვეშ შევიდა.
- პარაკლიტონი—XX.3 იგივე ოქტაიხონი—შვიდეულის დღეთა საგალობლების კრებული, რვა ხმაზე გაწყობილი.
- პარტახტი—III.2.—(სპარს. پارتاخ) —უმატრონო, მიტოვებული ადგილი.
- სადაგი—XVIII.2.—უბრალო, მარტივი
- ხახაწნახტი—XII.3; III.6; IV.1—ნაგებობა, რომელშიაც მოთავსებულია საწნახელი.



- სასთაული—1.3; III.1—ბამბის ბალიში (საბა)
 სასკე—XX.5—საფუტკრე (საბა), ადგილი, სადაც სკებია დადგმული.
 საქუაბე—VIII.5—ცეცხლის ასწვრივ ქვაბის ჩამოსაკიდი ჯაჭვი.
 საჩხეორი—XX.5—„ზროხისათვის“ განკუთვნილი შემოღობილი ადგილი.
 საწნეხელი—III.6; IV.1; XII.3.—ყურინის საწნეხი; ნავი.
 საწნეხი—III.6; IV.1; XII.3 (?)
 საჯუარე—XVIII.1.—საეკლესიო ნივთეულობათა შესანახი ნაგებობა.
 ხენე—V.2. VIII.2—რაიმეს შესანახად განკუთვნილი ნაგებობა.
 ხეფე, სახეფო ყანა—X.1; XII.1.—აქ საბატონო, გლეხებზე დაუნაწილებელი, მთლიანი მიწა.
 ხტავრაჟ—1.2; XIV.1—ოქროქსოვილი ფარჩა
 ხვნაქსარი—XX.1.—წმინდანთა ცხოვრებების კრებული; საეკლესიო ტიპი-კონთა კრებული.
 ტაბასტა—III.1. ტაბასტო—ქვეშაფენი, ლები (საბა).
 ქაფი—III.1.—ჯავშანი სამხაროლღე (საბა)
 ქორედი, ქორეთი—IV.1; V.2. ქორი—ორსართულიანი სახლის ზედა ნაწილი.
 ქორედი—სვეტებზე დადგმული სახლი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1956 წ. გვ. 122)
 შედეგი—III.1. პირველად ხსენებულზე ნაკლები. მაგ., „ძულოჲ ახალი ერთი და შედეგი ძულოჲ“—შედეგი ძულო—პირველად ხსენებულ ძულოზე ნაკლები ხარისხისა.
 შეფელი—VIII.2. რალაც ნაგებობა. (?)
 შოლტი—XII.2—ტყავის ანაჭერი გრძელი (საბა)
 ჩაბალახი—XVIII.6, III.2—თავსაბური; მეომრის აღჭურვილობის ნაწილი.
 ცილოფი—V.3. XVIII.1 სააღმშენებლო მასალა. (?)
 ძოლოჲ || ძულოჲ—1.7; III.1.—პატარა ხალიჩა.
 ხერხული—IV.1. VIII.2. XVIII.1. XIX.1.—გადახერხილი მორებისაგან ნაგები შენობა.
 ხირათა—III.1—ხირაული—თხელი ფიჩვი, ფარდაგი (საბა)
 ვშელადი—III.4.—ნივთეულობა
 ჯაჭვი—III.1 IV.4. XI.2. XVIII.—6.—ლითონის რგოლებისაგან ნაკეთი ჯავშანი; მეომრის ჩასაცმელი.



მ. ზ. უ. ხ. უ. ა.

ხიზან ბლესთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის

ფეოდალურ საზოგადოებაში ძირითად მწარმოებელ კლასს გლეხობა წარმოადგენს. ისტორიული მეცნიერების უპირველესი ამოცანა სწორედ მატერიალური დოვლათის შემქმნელი კლასის ისტორიის შესწავლაა. ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი დარჩა; კერძოდ, ხიზანთა საკითხი დღემდე მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა.

ხიზნები ბატონყმურსა და რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში გლეხთა განსაკუთრებულ კატეგორიას შეადგენდნენ. თუ რეფორმის შემდეგ ბატონყმობის დროიდან მომდინარე გლეხთა ყველა იურიდიული კატეგორია მოისპო და გლეხობის ძირითადი მასა დროებითვალდებულთა სახით ჩამოყალიბდა, იმავე დროიდან მომდინარე ხიზნები რეფორმამ ხიზნურ მდგომარეობაში დასტოვა და საბოლოოდ ხიზანთა საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გადაიჭრა.

ხიზნობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ეს ინსტიტუტი ერთი და იგივე არ ყოფილა ფეოდალურსა და კაპიტალისტურ საზოგადოებაში: ის არ იყო ერთი და იგივე არც მოცემული საზოგადოების განვითარების განსხვავებულ პერიოდებში. ამის შესაბამისად უნდა მოხდეს ხიზან გლეხთა ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა.

ამჟამად ჩვენ მიზნედ ვისახავთ მხოლოდ ერთი საკითხის—ხიზნის წარმოშობის, მისი თავდაპირველი ბუნებისა და ისტორიული განვითარების განხილვას ფეოდალურ საზოგადოებაში. საკითხები ფეოდალურსა და კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხიზნებსა და მემამულეებს შორის კლასობრივი ბრძოლისა და ხიზანთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ ცალკე იქნება განხილული.

* * *

ძველ ქართულ მწერლობაში, სამართლის ძეგლებსა და სიგელ-გუჯრებში არსად არ გვხვდება პირდაპირი და სრული ცნობები ხიზნებზე. ეს უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ ხიზნური ურთიერთობის ნორმები ჩვეულებას, სააღათო სამართალს ემყარებოდა და საკანონმდებლო ხასიათის აქტებში ის იშვიათად თუ იჩენდა ხოლმე თავს. რამდენადმე მნიშვნელოვანი ცნობები ხიზნების შესახებ XVIII-საუკუნის II ნახევრიდან ჩნდება. ამ დროისათვის ხიზნებსა და მემამულეთა შორის კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა.

გვიანდელი ხანის პირველწყაროებიდან აღსანიშნავია ხალხის აღწერის მასალები, მორიგე ჯარის სიები, საეკლესიო, სათავადაზნაურო, საგლეხო სიგელ-

გუგუშვილი და სასამართლოს აქტები. ზევრი მათგანი გამოცემულია (თ. ჟორდანი, ა. ცაგარელი, გ. თაყაიშვილი, დ. დურცელაძე, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ლორთქიფანიძე და სხვა), ზოგიც ჩვენ გამოვავლინეთ არქივებში.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დაისვა ხიზანთა საკითხი (1862 წ.) ჩნდება სპეციალური წერილები, მოხსენებანი, ანხსნა-განმარტებანი ხიზანთა ინსტიტუტის რაობის შესახებ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: მ. პ. თუმანიშვილის მიერ 1852 წლის 5 ივნისს ამიერკავკასიის საგლეხო კომიტეტისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათი „Записка о крестьянах, именующихся хизанами“¹, „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“², დიმ. ყიფიანის ვრცელი მოხსენება ბატონყმობის გაუქმების შესახებ³ და მისივე—საგლეხო რეფორმის დებულების პროექტი⁴. ეს დოკუმენტები საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში შედგა, როცა ქართველი თავადაზნაურობა ყმების ხიზნების მდგომარეობაში გადაყვანას მოითხოვდა. დოკუმენტებში ხიზანთა და მემამულეთა შორის არსებული ურთიერთობა დახასიათებულია, როგორც მამა-შვილური, ორივე მხარისათვის სასურველი და სანატრელი ურთიერთობა. მიუხედავად ამისა ისინი ძვირფას მასალას წარმოადგენენ ხიზნების უფლებრივი მდგომარეობის, ხიზნური გადასახადების, აგრეთვე ხიზნის ბუნების საკითხებზე.

დიდძალი ლიტერატურა ჩნდება ხიზნებზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ დროისათვის ხიზანთა საკითხი მეტისმეტად გამწვავდა და იგი ფართო საზოგადოებრივი განხილვისა და იდეოლოგიური ბრძოლის საგანი გახდა. მთავრობამ პირველად 1891 წელს, ხოლო მეორედ—1900 წელს გამოსცა კანონები ხიზანთა შესახებ. ამ პერიოდშია დაწერილი ი. ჭავჭავაძის⁵ ნ. ნიკოლაძის⁶, დიმ. ყიფიანის⁷, ქრის. ვერმიშევის⁸, მ. კუჭავის⁹ და სხვათა ნაშრომები.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში და მის შემდეგ დგება მთელი რიგი პროექტი, იწერება მრავალი მოხსენება და გამოკვლევა ხიზანთა შესახებ. მათ შორის უნდა დავასახელოთ ე. გვეიდენაუშის „Хизаны в Грузии“¹⁰. ამ საყურადღებო ნაშრომში დამსულია თითქმის ყველა საკითხი, რომელიც კი ხიზნობას შეეხება და ბევრ მათგანზე სწორი პასუხია გაცემული. 1913 წ. ჟურნალ „კლდე“-ში ალ. ყიფშიძემ დაწყო

¹ АКАК, ტ. 12 გვ. 213-220; „საისტორიო მოამბე“, წიგ. 4, 1950 წ. გვ. 375—379.

² პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, 1941, გვ. 391—470; შ. ჩხეტიია, „საისტორიო მოამბე“, წიგ. 4, 1950, 137—182.

³ „საისტორიო მოამბე“, წ. 4, გვ. 182—269; П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 2, 1950, стр. 28—117.

⁴ „საისტორიო მოამბე“, 4, გვ. 270—290; პ. გუგუშვილის დასახელებული შრომა, გვ. 118—129.

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 129—204; მისივე — „Что такое хизанство“. „Юридическое обозрение“, 1884, № 164 (1)

⁶ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1932, გვ. 257—261.

⁷ დიმ. ყიფიანი, Хизанский вопрос, Юридические обозрения, 1884, № 165(1)

⁸ Хр. Вермишев, Хизаны и хизанство, 1884.

⁹ М. Кучаев, „Материалы для изучения хизанского положения в Грузии, в книге: „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края“, М., 1. 1885.

¹⁰ Тифлис, 1913 г.

წერილების სერიების ბეჭედა სათაურით: „წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნებისა“¹¹, სადაც ის გადაჭრით ილაშქრებს ხიზნების წინააღმდეგ და მემამულეთა ინტერესების თავდადებულ დამცველად გამოდის. იმავე წელს გამოქვეყნდა ან-ფარის ბროშურა „Грузинские хизаны и идеологи хизанства“¹², ხოლო, 1914 წ. მაჩაბელმა და ალ. ყიფშიძემ გამოუშვეს ბროშურა „Прекрашение хизанских отношений в Грузии“¹³.

აღნიშნული შრომების ავტორები ილაშქრებდნენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ასე თუ ისე იცავდა ხიზნების ინტერესებს. უურნალ „კლდე“-ს და ა. ყიფშიძის ამ თავდაზნაურულ-რეაქციური იდეოლოგიის წინააღმდეგ თავისებურად იბრძოდნენ გაზ. „თემი“, „სახალხო გაზეთი“ და „სიმართლის ხმა“. 1914 წ. „სახალხო გაზეთი“ ბეჭდავს ივ. კარბელაშვილის წერილების სერიას სათაურით: „ხიზანთა ბედი“¹⁴, რომელშიაც ბევრი საყურადღებო აზრებია გამოთქმული ხიზანთა წარმოშობის საკითხზედაც.

რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიოგრაფიაში ხიზანთა საკითხის შედარებით სრული შესწავლის ცდა მოცემული აქვს პროფ. ს. ავალიანს¹⁵. მისი ნაშრომი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიაც ბევრი საკითხი სწორადაა გადაჭრილი. იგი სწორად მიუთითებს ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზებზე, რომლებიც წარმოშობდნენ ხიზანურ ურთიერთობას, მაგრამ ის უმთავრესად საკითხის ისტორიითაა დაინტერესებული და, რაც მთავარია, ხიზანთა წარმოშობის საკითხს ზოგადი თვალსაზრისით უდგება, უზგულვებელყოფილი რჩება ხიზანთა განსხვავებული კატეგორიების წარმოშობის კონკრეტული მიზეზები.

ქართული და რუსული თავდაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა დიდი შრომა გასწიეს, ბევრი ფაქტიურა მასალა დააგროვეს, მრავალი საგულისხმო და სწორი მოსაზრებაც წამოაყენეს, მაგრამ მანკიერი მეთოდოლოგიის გამო მათ საკითხის სწორი მეცნიერული ახსნა არ მოუციათ.

1903 წელს ხიზანთა საკითხი რსდმპ II ყრილობის განხილვის საგანი გახდა. ვ. ი. ლენინი ხიზნობას დამონების უმნიშვნელოვანეს ფორმას უწოდებდა. მისი წინადადებით ყრილობამ რსდმპ პროგრამის აგრარული ნაწილი შეავსო მოთხოვნით ხიზნებზე მიწის გადაცემის შესახებ. 1907 წელს ხიზნების მდგომარეობას შეეხო ფ. მახარაძე სტატიაში: „ამიერკავკასიის გლეხკაცობის მდგომარეობა“¹⁶ მაგრამ მას არ დაუსვამს ხიზანთა წარმოშობის საკითხი. 1932 წ. ხიზანთა საკითხს გაკვრით შეეხო პროფ. გ. ხაჭაპურიძე¹⁷. 1933 წ. ვ. ჩერედნიჩენკომ გა-

¹¹ „კლდე“ 1973, №№ 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21.

¹² Тифлис, 1913 г.

¹³ Тифлис, 1914 г.

¹⁴ „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. №№ 1175—1181.

¹⁵ „Крестьянский вопрос в Закавказье“, т. IV. Тифлис, 1920 г. მისივე—„ხიზანი“, ქუთაისი, 1920 წ.

¹⁶ ფ. მახარაძე, თხზ. კრებული, ტ. III, 1926, გვ. 51—58.

¹⁷ „გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში“, 1932.

მოაქვეყნა სტატია: „К истории осетин-хизан“¹⁸. ავტორის განცხადებით შრომა დაწერილია საარქივო მასალების მიხედვით, მაგრამ ასეთი მასალა მასში ძალიან ცოტა გამოყენებული. ყველა ის მასალა, საიდანაც ავტორს ცნობები აქვს ამოღებული, დაბეჭდილი და გამოქვეყნებული იყო. ასე მაგ., ხიზნების 4 კატეგორიის და მათი გადასახადების შესახებ მასალები მთლიანად ამოღებულია ქრ. ვერმიშევის ბროშურიდან „Хизаны и хизанство“, ავტორი კი ამ ნაშრომს არ ასახელებს.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში აკად. ნ. ბერძენიშვილი პირველი იყო, რომელმაც ხიზან გლეხთა წარმოშობის საკითხი სწორ მეცნიერულ ნიშნულზე დააყენა.¹⁹ მისმა მოსაზრებამ „ხიზნობის“ და „ბოგანობის“, როგორც ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმის, შესახებ შემდგომი განვითარება ჰპოვა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში²⁰. ხიზნობის ინსტიტუტის ზოგიერთი საკითხები განხილული აქვთ აგრეთვე პროფ. პ. გუგუშვილს²¹, პროფ. დ. გვრიტიშვილს²², ა. ფანცხავას²³, ა. იოსელიანს²⁴, ზ. ვანევეს²⁵ და სხვებს.

ვიღებთ რა ყველა პოზიტიურს, რაც რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა შენიშნეს. ჩვენ ვემყარებით აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას „ხიზნობის“, როგორც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმის, შესახებ.

* * *

ამჟამად ჩვენ მიზნად ვისახავთ პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე: რა არის ხიზნობა, ვის ეწოდება ხიზანი, რა მიზეზებმა წარმოშვეს ის, როგორი იყო ხიზნობის თავდაპირველი ბუნება და მისი განვითარების ტენდენცია ფეოდალურ საქართველოში?

სიტყვა „ხიზანი“ თავისი წარმოშობით ქართული არ არის. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, იგი არაბული ან გაარაბებული ტერმინია.²⁶ აკად. ივ. ჯავახიშვილიც ამ სიტყვას უცხო სიტყვად სთვლის,²⁷ მაგრამ აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი უცხო ენიდან მომდინარეობს ის. ფაფაროვისა და მილერის სპარსულ-რუსულ ლექსიკონებში „ხიზან“ განმარტობებულია, როგორც „Встающий“, „под

¹⁸ „Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения“, вып. I, 1933, ст. 161—172.

¹⁹ Н. Бердзенишвили. Очерк из истории феодальных отношений в Грузии (XII—XVI вв). Тбилиси, 1928.

²⁰ „საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958.

²¹ „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. IV, 1955 г.

²² დ. გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, 1955.

²³ „К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии“, 1957 г.

²⁴ „ი. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის საკითხები“, 1951 წ.

²⁵ „Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX в.“, Сталинири, 1956 г.

²⁶ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 104, შენიშვნა 2.

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები“, 1950, გვ. 175.

нимающийся с места²⁸. გაფაროვს თავის ლექსიკონში აღნიშნული აქვს სპარსულში სხვა ენებიდან შემოსული სიტყვები, ხოლო „ხიზან“-ის მიმართ არაფერი არ უწერია. ჩანს, ის ამ სიტყვას ძირეულ სპარსულ სიტყვად თვლის. მაგრამ არაბულში არის „ხიზ“. რაც ნიშნავს „Скакать“, „припригивать“²⁹. თუ ამ ტერმინის არაბულიდან წარმომავლობა სწორია, მაშინ ცხადია, ქართულ ენაში ის უნდა შემოსულიყო არა უადრეს VII საუკუნის II ნახევრისა ან VIII საუკუნისა, როცა ჩვენში არაბთა ბატონობა მკვიდრდება. ამ სიტყვის ქართულში უშუალოდ სპარსულიდან შემოსვლის წინააღმდეგ უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ ქართული მწერლობის არც ერთ ადრეულ ორიგინალურ, თუ ნათარგმნ ძეგლებში ის არ გვხვდება. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრება სწორია: სიტყვა „ხიზანი“ ან ძირეული არაბულია, ან სპარსულიდან არაბულში შესული (გაარაბულებული). ორივე შემთხვევაში ქართულში ამ სიტყვის დამკვიდრების ზემოთ აღნიშნული თარიღი სწორი უნდა იყოს.

ქართულ საბუთებში ეს სიტყვა ფორმით „სახიზანო“ პირველად IX საუკუნის მიწურულისა და X საუკუნის დასაწყისის „ფაენელთა სიგელში“ გვხვდება. აქ ნათქვამია: „დავიწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ხევისა კერძოდ. უკეთესი კოშკი შიგნით და გარეთ, უკეთესი სახიზანო ცხევერელთა ჰქონდეს“³⁰. სახიზანო კოშკი აქ საშიშროებისა და ომიანობის დროისათვის განკუთვნილ თავშესაფარს ნიშნავს. შემდეგი ხსენება ამ სიტყვისა საბუთებში XIII საუკუნეზე ადრე არ ჩანს. აბუსერიძე ტბელის 1233 წელს დაწერილ თხზულებაში ნათქვამია „მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთაჲსა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსაჲ იგლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხვარაზმელთაისა“³¹. მოყვანილი ტექსტის მიხედვით ხიზნობა ნიშნავს საკუთარი საცხოვრებელიდან აყრას, მტრისაგან გაქცევას, თავის გადამალვას, სადმე უშიშარ ადგილას თავის შეფარებას. ასევე აქვს ეს სიტყვა განმარტებული ს. ორბელიანს. „ხიზანი“ — „ლტოლვილი“, „ხიზნვა“ — „მტერთა და სენთ დარიდება“, „შეეხიზნა“ — „ლტოლვილი შეეფარა“³². დ. ჩუბინაშვილის განმარტებით ეს სიტყვა ზმინის მოკმედებით კილოში ნიშნავს „დავასახლებ, ბინას მივსცემ ლტოლვილსა მტრისაჲს ან სენთა, ზმნა ენებით კილოში („ვიხიზნები“) — „დავსახლდები, დავბინავდები სადმე, поселиться“³³. ამრიგად, „ხიზნობა“, „გახიზვნა“ ნიშნავს რაიმე უბედური შემთხვევისაგან თავის დაღწევის მიზნით საკუთარი ადგილიდან აყრას, გაქცევას და სხვაგან თავის შეფარებას დროებით ან მუდმივად. ამ გაგებით იხმარება ეს სიტყვა ახალ ქართულ ლიტერატურაშიც.

²⁸ Гафаров, Мирза Абдула, Полный персидско-русский словарь т. I, Москва, 1914, стр. 313; Миллер, Б. В. „Персидско-русский словарь“, Москва, 1953, стр. 205.

²⁹ Х. К. Баранов, „Арабско-русский словарь“, Москва, 1958, стр. 196.

³⁰ თ. შორდანი, ქრონიკები I, თბილისი, 1892, გვ. 87—88; მისივე „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა“. საბუთზე შიშითთა პროფ. მ. დუმბაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

³¹ აბუსერიძე ტბელი, ბოლოჯ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძისა საგვარეულო მატიანე, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა. თბილისი, 1941, გვ. 64.

³² ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928, გვ. 456 და 395.

³³ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1887, გვ. 1746.

სიტყვა „ხიზანი“ იხმარებოდა აგრეთვე სხვა მნიშვნელობითაც. მიხ. თუმა-ნიშვილის სიტყვით, „Слово хизан в буквальном переводе означает семейство“³⁴. ამასვე ადასტურებენ დიმიტრი ყიფიანი³⁵ და აკად. ივ. ჯავახიშვილი³⁶. გენ.—ლეიტენანტი თავ. რევაზ მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი გლეხთა განთავისუფლების თაობაზე დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი 14 კითხვის პასუხში 1863 წ. წერდა: „მტრობიანობის დროს მთაში მაგარ ადგილს დაჰხიზენდნენ თავის ცოლ-შვილს და თვით მტრის საომრად გამოვიდოდნენ. ამისთვის ძველთაგანვე დარჩენილა, რომ გლეხნი თავის ჯალაბობას, ანუ ცოლ-შვილს ეხლაც უწოდებენ ხიზანს და იმ ადგილს ანუ სიმაგრეს, სადაც იხიზნებოდნენ სახიზარს. დიდი შესაყარის ჭირის გარიდებას უწოდებნენ გახიზუნას“³⁷. სიტყვა „ხიზანი“, რომ ამ მნიშვნელობითაც იხმარებოდა („ხიზანი“-„ჯალაბობა“-„ცოლშვილი“), ეს მტკიცდება დოკუმენტებითაც: 1775 წ. ყა. ვი-ორგი ბუზიაშვილი არზას აძლევს ერეკლე მეორეს, სადაც ნათქვამია: „მამული არა მაქვს და დედული, ცხრა სული ხიზანი მყავს და მენახირობით ვინახამ, ერთი ოთხფეხი საქონელი არა მყავს. რუისისათვის, რომ მადნის შეგირდი გებძანათ, ათი წლის შვილი მყუანდა, სოფელმა მითხრა, შენი შვილი მიეც მადანის შეგირდათაო, მამულსაც მოგცემთ და კიდევ გათარხნებთო. შვილი შეგირდათ მოვართვით, მაგიამ არც მამული მამცეს და არც მათარხნეს. გასაღებს ყველას მართმევენ. რვა სულს ხიზანს მენახირობით ვინახამ“ და სხვ³⁸. მოყვანილ ტექსტში სიტყვა „ხიზანი“ ნახმარია ცოლ-შვილის, ოჯახის სარჩენი წევრების აღმნიშვნელ ტერმინად (ერთი შვილის მადნის შეგირდად მიცემამდე ამბობს ცხრა სულს ხიზანს ვინახავო, ხოლო შვილის შეგირდათ მიცემის შემდეგ კი რვა სულს ხიზანს ვინახავო).

როგორც ზემოდასახელებული რ. მ. ანდრონიკაშვილის სიტყვებიდან ჩანს სიტყვა „ხიზანი“-ს ეს მეორე მნიშვნელობა მისი პირველი მნიშვნელობიდან (აყ-რა, გაქცევა და სხვაგან თავის შეფარება) წარმოსდგა.

სიტყვა „ხიზანი“ პირველი მნიშვნელობით იხმარებოდა ყველა წოდების ადამიანის, თვით მეფის მიმართაც კი. ასე მაგ., 1625 წლის თეიმურაზ I ერთ წყალობის წიგნში მეფე თავის თავზე ამბობს: „მას ჟამსა ოღესაცა ყაენი გვებრძოდა და ჩვენი საბატონო დაგვაგდებინა და ლისთიმერეთს ხიზნად ჩავედით“-ო³⁹. შეხიზვნის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ ადამიანი, არამედ შინაური პირუტყვიც კი. მაგ. 1735 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „...კათალიკოზო სოფლის მამასახლისებს მუჩალგა გამოართვი, რომ სხვა სოფლების ცხვარი არ შეიხიზნონ“⁴⁰. აქ ეს სიტყვა ნებადაურთველი, არალეგალური მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვად ჩანს.

როგორც აღნიშნული იყო სიტყვა „ხიზანი“ ბატონყმურსა და რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში გლეხთა განსაკუთრებული კატეგორიის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა. ცხადია, რომ გლეხთა ამ კატეგორიას ეს სა-

³⁴ „საისტორიო მოამბე“ წიგნი 4, 1950 წ. გვ. 375.

³⁵ Д. Кициани, Хизанский вопрос, журн. „Юридическое обозрение“, 1884, № 165(1),

³⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, გვ. 175.

³⁷ ბ. გუ გ უ ლ ი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, 1941 წ. გვ. 444.

³⁸ ე. თაყაიშვილი, საქ-ლოს სიძველენი, ტ. II, 491, შდრ. გვ. 503.

³⁹ საქართველოს ცსსა. ფ. 1449, საქმე № 1239.

⁴⁰ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, გვ. 371.

ხელწოდება „ხიზნის“ იმ მნიშვნელობამ მისცა, რომელიც ზემოთ იყო განმარტებული: ე. ი. ხიზანი საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან გარკვეული მიზეზებისა გამო აყრილი, გაქცეული ან წასული და სხვაგან თავშეფარებული გლეხია. მაგრამ მთელი საქმე სწორად იმ მიზეზების გარკვევაშია, რომელიც აიძულებდა გლეხს დაეტოვებინა მისი და მისი წინაპრების მიერ უხსოვარი დროიდან გაშენებული ადგილი, რომელზედაც ის არა მარტო მატერიალურად იყო დაკავშირებული, არამედ ზნეობრივადაც, გადახვეწილიყო სხვაგან და თავშესაფარი ეძია.

ვფიქრობთ უფრო მიზანშეწონილი იქნება ჯერ გავარკვიოთ ხიზნობის არსი, მისი ბუნება, რადგან ხიზანთა წარმოშობის შესახებ დოკუმენტალური საბუთები სრულებით არ მოგვეპოვება, ხოლო ხიზნის არსობის გარკვევისათვის ასეთი საბუთები, მართალია, ძალიან მცირე და არა პირდაპირი, მაგრამ მაინც არსებობს. მოვლენის არსობის გაგებისა და ახსნის შემდეგ უფრო ადვილი და კასაგები იქნება საკითხი ამ მოვლენის წარმოშობი მიზეზების შესახებაც.

• • •

ისტორიულ საბუთებში ხიზანი გლეხი ყოველთვის დაპირისპირებულია ჩვეულებრივ მემკვიდრე გლეხთან. XVIII საუკუნის ერთ საბუთში ნათქვამია: „...მემკვიდრეს გლეხს გარდა, რომელნიც ხიზანი ჩუენი ყმანი იმ სოფელში დგანან“⁴¹. „მორიგე ჯარის განჩანებაში“ ერთ ადგილას სწერია: „რომელიც გლეხი კაცი სახასოში, თუ ეკლესიის ყმაში, თუ სათავადოსა და სააზნაურშვილოში მემკვიდრე თუ ხიზანი იყო“⁴². აქედან ჩანს, რომ სხვადასხვა უწყებების ხიზანი გლეხი ამ უწყების მემკვიდრე გლეხი არ არის. 1788 წ. დავით ბზითელი წერდა ბახუტა თულაშვილს, რომ მე ვიყავი თქვენნი მემკვიდრეობითი გლეხი და დროის მრავალი სხვადასხვა გარემოებებისა გამო გადავიხვეწე ხოდაშენში და ვცხოვრობდი იქ ხიზნადო⁴³.

1774 წ. შედგენილ მორიგე ჯარის სიებიდან, იმავე წელს მეფის ბრძანებით არაგვის ხეობის აღწერის სიებიდან აშკარად ჩანს, რომ ხიზანი სხვა სოფლიდან მოსული გლეხია. სოფ. არბოს სიაში ნაჩვენები არიან ხიზნები, რომლებიც წარმოშობით არიან სურამიდან, ქარელიდან, წოლდედან და სხვ. ზენდუშეთის სიაში ნაჩვენებია ხიზნები თრიალელი, ყარაბულახელი, ხორჟელი და სხვ.⁴⁴ ასეთსავე სურათს იძლევა არაგვის ხეობის აღწერის მასალებიც⁴⁵. კახეთის აღწერის ერთ საბუთში სხვადასხვა სოფლებში დასახლებულნი არიან ხიზნები შილდელნი, იმერელნი, ოსყოფილნი, საცხენელნი, მამკოდელნი, განჯელი, ჭართალელნი, მთიულნი, მოხევენი, ქართლელნი და სხვ.⁴⁶

ამრიგად ხიზანი საკუთარი სამკვიდრო ადგილიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული და დასახლებული გლეხია, ის „გარეთ მოსულია“ (მაგრამ ყველა

⁴¹ საქ. ცსსა, ფ. 1449, საქმე № 38, 1^ბ.

⁴² „ეროკლე II, მორიგე ჯარის განჩინება, ი. ლორთქიფანიძის პუბლიკაცია, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე“, XIV—1947 წ. გვ. 286.

⁴³ Д. П. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты... Тифлис, 1882, стр. 49.

⁴⁴ „ეროკლე II, მორიგე ჯარის სიები“, გვ. 283—352.

⁴⁵ ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში, თბილისი, 1907.

⁴⁶ საქ. ცსსა, ფ. 1449, საქმე № 864. საქ. ფ. 3—10.

„გარეთ მოსული“ ხიზანი არაა). ესაა ხიზანი გლეხის ერთ-ერთი ძირითადი ხიზანი.

სამკვიდროდან აყრილი და სხვა მემამულეს შეხიზნული გლეხი ამ მემამულესაგან მიწას იღებდა განსაზღვრული პირობით. მიხეილ თუმანიშვილის ცნობით მემამულის აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენდა გლეხისათვის, რომელიც მას შეეხიზნებოდა, მიწის მიცემა. მემამულე აძლევდა ხიზანს საკარმიდამო ნაკვეთს, სახნავ-სათესს, სათიბს და ბაღის გასაშენებელ მიწას. ხიზანს ეძლეოდა აგრეთვე სრული უფლება გასარგებლა მემამულის ტყით, წყლით, და საძოვრით, რისთვისაც ის განსაზღვრულ გადასახადს იხდიდა. მიწის რაოდენობა განსაზღვრული არ იყო და დამოკიდებული იყო, როგორც მემამულის შეძლებაზე, ისე თვით ხიზნის საშუალებებზე (ძულშახელის რაოდენობა ოჯახში და სხვა)⁴⁷.

ხიზნის ბუნების გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, თუ როგორი იყო მიწათსარგებლობის ხიზნური ფორმები, როგორი იყო ის პირობა, რომელიც იღებოდა მემამულესა და ხიზანს შორის ამისათვის საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებზე:

1. ხიზნისა და მემამულის შეთანხმების პირობა წერილობითი იყო, თუ სიტყვიერი;

2. ხიზნის მიერ მემამულის მიწით სარგებლობა ვადიანი იყო, თუ უვადო;

3. ჩვეულებით და შეთანხმებით დაწესებული ხიზნური ვალდებულებანი სამუდამოდ დაწესებული იყო, თუ მისი შეცვლა შეიძლებოდა;

4. ქონდა თუ არა ხიზანს მემამულისაგან წასვლის უფლება და რა პირობებში;

5. უფლებამოსილი იყო თუ არა მემამულე აეყარა და გაეძევებინა ხიზანი და რა პირობებში.

მასალების მეტისმეტი სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს დოკუმენტალური საბუთებით ამომწურავი პასუხი გავცეთ ამ კითხვებზე. მიხ. თუმანიშვილის აზრით პირობა და გადასახადი ძველთაგანვე ჩვეულებით იყო განსაზღვრული, მაგრამ ზოგჯერ წერილობითი პირობაც იღებოდა. მას მოყავს შემდეგი მაგალითი: 1850 წ. მემამულე მამაცაშვილების მიწებზე გლეხებმა ხიზნებად დასახლება დაიწყეს. მემამულეებმა მათთან შეკრეს ხელშეკრულება რომელიც დამოწმებული იყო სამაზრო ხელისუფლების მიერ. ხელშეკრულება დადებული იყო 10 წლის ვადით და მასში ჩამოთვლილი იყო ხიზანთა ვალდებულებანი და გადასახადები. ასეთი წესიო—შენიშნავს ავტორი—ზღუდავს რა მემამულის თვითნებურ მოთხოვნებს და იცავს რა ხიზნებს ასეთი მოთხოვნებისაგან, უეჭველია, რომ დროთა განმავლობაში შეთვისებული იქნება სხვების მიერაც⁴⁸. ამ უკანასკნელი შენიშვნიდან ჩანს, რომ წერილობითი ხელშეკრულების დადება შედარებით ახალი მოვლენა იყო და ძველად კი პირობა ჩვეულებრივად სატყვიერი უნდა ყოფილიყო. დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავდა, რომ ხიზნისა და მემამულის ურთიერთვალდებულება ნებაყოფლობითი შეთანხმებით წესდებოდა სიტყვიერად ან წერილობით⁴⁹.

⁴⁷ მიხ. თუმანიშვილის მოხსენებიანი ბარათი 1863 წ. 5 იენისს, „საისტორიო მოამბე“
წიგ. 4, 1950 წ. გვ. 376

⁴⁸ „საისტორიო მოამბე“, წ. 4, 1950 წ., გვ. 378.

⁴⁹ ჟურნ. „Юридическое обозрение“, 1884, № 165 (1).

ელია ქვეყანადის აზრით ხიზნობა მემკვიდრეობითი ქირავნობაა მიწისა და მამულის ჭერას ვადა არა აქვს დადებული, ღალა კი ერთხელ დადგენილი და უცვლელია. მისი აზრით ხიზნის ეკონომიური ბუნება ორ თვისებაზეა დამყარებული: „ერთი ისაა, რომ ხიზნობა მიმართულია, რათა ხმარება სხვისა მიწისა საშვილიშვილოდ იყოს და მეორე—ღალა თუ გადასახადი უცვლელად და წარუმატებლად დარჩეს⁵⁰, ხიზნის უფლება აქვს დასტოვოს ხიზნურ მფლობელობაში მყოფი მამული და წავიდეს მემამულისაგან, მემამულეს კი უფლება აქვს აყაროს ხიზანი⁵¹. ასეთივე აზრისანი იყვნენ ამ საკითხზე მიხ. თუმანიშვილი⁵², დიმ. ყიფიანი⁵³ და 1884 წ. თბილისის გუბერნატორის გენ. მაიორ გროსმანის მიერ ხიზანთა საკითხის გარშემო მოწვეული თათბირის მონაწილე ბევრი მემამულე⁵⁴.

დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის აზრით მთავარი დამახასიათებელი ხიზნობისა ის იყო, რომ ხიზანი მიწაზე სამუდამოდ ბინავდებოდა და შეუძლებელი იყო მისი აყრა ბატონის მამულიდან. ხიზნობის მეორე დამახასიათებელ თვისებას, მისი აზრით, ის წარმოადგენდა, რომ მამულის პატრონს არ შეეძლო შეეცვალა ხიზნური გადასახადები. ამ საფუძველზე დ. ქ. ყიფიანი დაასკვნდა, რომ ხიზნობა ზღუდავდა მამულის პატრონის საკუთრების უფლებას მამულზე⁵⁵.

ა. ყიფშიძე და მაჩაბელი ხიზნობას იჯარის ერთ ფორმად თვლიდნენ, რომელიც ჩვეულებრივი იჯარისაგან მხოლოდ უფადობით განსხვავდებოდა. ამასთან, მათი გაგებით, უფადობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც მუდმივობა⁵⁶. ხიზნური უფლების მუდმივობის იდეა, წერდნენ ისინი, არასოდეს არ არსებობდა არც მოსახლეობისა და არც ხიზნების შეგნებაში, არც აღმინისტრაციისა და არც სამართალში, მემამულე უფლებამოსილი იყო, როცა უნდოდა მოესპო ხიზნური ურთიერთობა და გაეჭევებინა ხიზანი⁵⁷.

როგორ წარმოგვიდგება საქმე ამ მხრივ ისტორიული საბუთების მიხედვით?

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ ხიზნების ორი ძირითადი კატეგორია არსებობდა: გლეხები, რომლებიც წარმოშობით ბირადად თავისუფალნი იყვნენ და გლეხები, რომლებიც ერთი მეზატონის ყმები იყვნენ და ამავე დროს მეორე ხიზნები. ეს მტკიცდება ხალხის აღწერის საბუთებიდან. მორივე ჯარის სიებში, აგრეთვე 1774 წ. არაგვის ხეობის აღწერის სიებში შეტანილი არიან ხიზნები, რომლებიც არაგვის ყმებად არ ჩანან და ხიზნები, რომლებიც ერთი ბატონის ყმები არიან და ამავე დროს მორის ხიზნებად ირიცხებიან⁵⁸. მეორე კატეგორიის ხიზნები „მიბარებულებად“ იწოდებოდნენ ე. ი. ისინი თავის ბატონის მიერ მიბარებულნი იყვნენ სხვა მემამულეზე. ასეთი ყმა-ხიზნის

⁵⁰ ი. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. VIII, გვ. 183.

⁵¹ იქვე, გვ. 179.

⁵² „საისტორიო მოიძებ“, წიგ. 4, 1951 წ., გვ. 378—379.

⁵³ „Юридическое обозрение“, 1884, № 65 (1)

⁵⁴ „Материалы для изучения хизанского положения в Грузии“, Записка М. Н. Кучаева, стр. 394—403, მღზ. საქ. ცსა, ფ. 12, საქ.ე № 2263 ს. ფ. 17.

⁵⁵ იქვე გვ. 401.

⁵⁶ „Прекращение хизанских отношений в Грузии“ Тифлис, 1914 г. стр. 10.

⁵⁷ „Прекращение хизанских отношений в Грузии“, Тифлис, 1914 г., стр. 12.

⁵⁸ საქ. საბ. ნუსხეების ნოანბე. XIV—1947. გვ. 289—359 და ე. თაყაიშვილი, „ნასაღებო საქ. სტატ. აღწერილობისა მე-18 ს.“ გვ. 455 და სხვ.

მიმართ, მის უშუალო მებატონეს უფლება ჰქონდა სურვილისამებრ აეყარა ის და ისევ თავისთან დაებრუნებინა. ამასე გარკვევით ლაპარაკობს 1816 წლის მოწმობის წიგნი არქიმანდრიტ გამალიელისა, რომელშიაც ნათქვამია: „აბაშიძის ყმა ლაცაბიძე ზოსია და მისი შვილები მე მებარა ევგენ აბაშიძისაგან. როდესაც უნდოდა აპყრიდა და წაიყვანდა, რომლისთვისაც მე შეგვხვეწე და ჩემი მწყალობლობით არ აპყარა და ეკლესიის მამულში იდგა ხიზნად“⁵⁹. მეორე საბუთში, რომელიც 1768 წლითაა დათარიღებული ნათქვამია: „ჩვენი ყმა საკარელი თამაზა მანდ ხელთუბანს ხიზნად დგას. სანამ ჩვენ ავყრიდეთ და წაიყვანდეთ შენთვის მოგვიბარებია, უბრალოთ ნურავის ამსახურებ და ნურავის გააგლეჯინებ, ამასთან ან თქვენ რა საქმე გაქვსთ, ან სხუასა, რომ გასარჯოს ვინმე. შენი მობარებულთა, როგორც აქამდინ შენს ბიძაშვილს გიორგის ებარა, ეხლა შენ თვალყური დაიჭირე ამაზე“⁶⁰. „მიბარებულის“ მნიშვნელობით, დასავლეთ საქართველოში იხმარებოდა აგრეთვე „მინდობილი“. XIX საუკუნის პირველი ოცეულის ნასყიდობის ერთ ხელწერილში ნათქვამია: „ჩემი კაცი ცეცხლაძე ნიკოლოზი მოგენდო და შენ გყავდა. მერე მოდექი გიორგი მდივნის პირით და მოგყიდ“⁶¹. 1810 წლის საბუთში ნათქვამია „ჩემი კაცი დავითელა მამარდაშვილი აიყარა და შენ მოგენდო და მევედრე და ვისმინე ვედრება შენი და მოგეცი დავითი ცა ცოლშვილით“⁶². როგორც მოყვანილი საბუთებიდან ჩანს მებატონეს თავისი ყმის, რომელიც სხვა მემამულესთან ხიზნად იყო, აყრის და ისევ უკან დაბრუნებისა და გაყიდვის უფლება ჰქონდა. ამ უფლებას მემამულეს ბატონყმური სამართალი აძლევდა.

იბადება კითხვა, თუ როგორი იყო ამ კატეგორიის ხიზნის ყმური სამსახური თავის მებატონესთან? 1778 წ. მეღიქი შაქრო გიორგი ბატონიშვილს საჩივრით მიმართავდა, რომ სოღანლულში ცხოვრობს ერთი კომლი ჩემი გლეხი ორი ძმისაგან შემდგარი—გასპარა და დათუნია. ნ წელია, რაც იქ ცხოვრობენ და იმდენი ხარკი და ბეგარაა მათზე დადებული, რომ მათგან მე ერთი კაპეიკის მოგებას არ ვღებულობ. გთხოვთ უბრძანოთ იედიგარს, რომ ჩემი გლეხები ზედმეტი გადასახადებით არ დაბეგრონ. ბატონიშვილმა გიორგიმ იედიგარს უბრძანა, რომ არავინ არ დაბეგროს გასპარა და დათუნია ზედმეტი მუშაობით, არ მოითხოვონ მათგან არავითარი გადასახადები: „Если возможно что-нибудь требовать от хизана, то пусть и от них требуют. Пусть все знают это“⁶³. როგორც ჩანს, ბატონყმური დამოკიდებულება უშუალო მებატონესთან ძალაში რჩებოდა. ფულზე მოთხოვნის ზრდის პირობებში ასეთი გლეხის ყმური სამსახური პირველ მებატონესთან ძირითადად ფულადი გადასახადით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.

გლეხი, როგორც ხიზანი, პირადად თავისუფალი იყო და ის იმ მემამულეს, რომელთანაც ხიზნად იდგა, მხოლოდ მიწის სარგებლობიდან გამომდინარე გადასახადს უხდიდა. 1777 წ. მემამულე ყაფლანიშვილის ხიზნები საჩივარს აძლევენ

⁵⁹ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოც. ისტორიიდან, წ. II, თბილისი, 1953, გვ. 247.

⁶⁰ იქვე, გვ. 71—72.

⁶¹ თ. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქ-ში, თბილისი, 1960, გვ. 53—54.

⁶² იქვე, გვ. 54—55.

⁶³ Д. Пурцеладзе, დასახ. შრომა, გვ. 31—32.

ბატონიშვილს, იმის შესახებ, რომ აქაური ხარკი და გადასახადები ძალიან სამძიმოა, ახლა ჩვენი მემამულე გვიბრძანებს, რომ ჩვენ ვემსახუროთ მას. ამ საჩივრის თაობაზე ბატონიშვილმა ბრძანება გასცა: „ვბრძანებ განსკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამ გლეხებს და არავის არ მისცეთ უფლება მათი შევიწროებისა და აუკრძალოთ რომ ვარდა სამამულო გადასახადისა, არავითარ სხვა გადასახადებს და ბეგარას მათვან არ თხოულობდნენ“⁶⁴.

ბიზანი რომ პირადად თავისუფალი იყო და არ იხდიდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გამომდინარე გადასახადებს, ამას ერთხმად ადასტურებდნენ ქართველი მემამულეები საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში: „ბიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდ ამით, რომა ვერ გამოვართმევთ პურსა, ღალას ვარადა, ფულს ვერ შევავწერთ, საჩქემეს, საქვრივოს და გასამყრელოს და მოსამსახურეს ვერ მოვსთხოვთ“⁶⁵.

როგორი იყო ის გადასახადები, რომელსაც ბიზანი იხდიდა მიწითსარგებლობისათვის? დიმიტრი ყიფიანის ცნობით, ეს გადასახადები შემდეგი იყო: 1. ღალა—მოსავლის 1/3-დან 1/10-მდე. ზოგან კი ღალა წინასწარ იყო გადაკვეთილი მოსავლის რაოდენობის მიუხედავად და ერთ დღიურ (ნახევარ ღესიატინა) მიწაზე შეადგენდა 1 კოდს (2 ფუთი და 10 გირვანქა); 2 კულუხი—ვენახის მოსავლის ნაწილი—1/5-დან 1/7-მდე. 3. ბეგარა—ბიზნის მუშაობა მემამულის სასარგებლოდ წელიწადში 10 დღიდან 50 დღემდე ერთ კომლზე. უნდა აღინიშნოს, რომ არსად საქართველოში ეს გადასახადები ერთნაირი არ ყოფილა. მიხ. თუმანიშვილის ცნობით, ღალა ზოგან 2 კოდს ან მოსავლის 1/4—1/6 ნაწილს შეადგენდა. ტყით, წყლით და საქოვრით სარგებლობისთვის ბიზანი ვალდებული იყო მემამულის სასარგებლოდ შეესრულებინა შემდეგი სამუშაოები: ხენა, თესვა, მკა, მოსავლის ადგილზე მიტანა, პურის გალევვა, შეშის მოტანა, ბალის დამუშავება, მორწყვა. თუ მემამულე მშენებლობას აწარმოებდა, ბიზანი ვალდებული იყო მიეცა საშობაო და სააღდგომი ძვენი ღირებული 0,50 მანეთიდან 1 მანეთამდე. ბიზანი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა მემამულეს, როცა ეს უკანასკნელი იმ სოფელს ეწვეოდა, სადაც მისი ბიზანი ცხოვრობდა, ამასთან მემამულის ეს გამასპინძლება—კვება 2 თვეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ჩამოთვლის რა ბიზნის ვალდებულებებს მიხ. თუმანიშვილი დაასკვნის:

„Вообще хизанские повинности отбываются натурою и они совершенно сходствуют с повинностями отбываемыми крепостными людьми и вся разница между крепостным человеком и хизаном состоит в том, что хизаны не могут быть ни продаваемыми, либо закладываемыми, ни облагаемыми в пользу помещика денежным оброком, ни обрашаемы в дворовых людей или прислуг; равно не платят саквриво и сачекмо и по воле помещика не могут быть наказываемы, ссылаемы и отдаваемы в солдаты за неповиновение и другие проступки“⁶⁶.

ბიზანი, როგორც პირადად თავისუფალი, უფლებამოსილი იყო წასულიყო იმ მემამულისაგან, რომლის მიწაზედაც ის დასახლდა; მემამულესაც უფლება

⁶⁴ Д. Пурцеладзе, დასახ. შრომა, გვ. 29.

⁶⁵ „შეკრება—ოცდერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მემატიანეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“. „საისტორიო მოამბე“, წიგნი 4, 1950, გვ. 233 და სხვაგან.

⁶⁶ „საისტორიო მოამბე“, წ. 4, 1950 წ. გვ. 377—378.

ჰქონდა მოესპო ხიზნური ურთიერთობა იმ შემთხვევაში, როცა ხიზანი ხიზნურ-ვალდებულებებს ვერ ასრულებდა.

მიზ. თუმანიშვილის ცნობით, თუ ხიზანი თავისი სურვილით მიდიოდა მემამულისაგან, მემამულეს უტოვებდა მთელ იმ მოძრავი ქონების ნახევარს, რასაც ის მემამულესთან ყოფნის პერიოდში მოიპოვებდა, ხოლო ხიზნის მიერ შექმნილი უძრავი ქონება მთლიანად ხიზანს რჩებოდა. მემამულე კი თავის მხრივ უფლებამოსილია აიძულოს გლეხი გასახლდეს მისი მამულიდან მხოლოდ მაშინ, როცა ის (გლეხი) ვერ შეასრულებს იმ ვალდებულებას, რაც ჩვეულებით არის დაწესებული⁶⁷. ამასვე ადასტურებდა დიმ. ყიფიანიც⁶⁸.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის ერთი სიგელის მიხედვით მამულები „ხიზნობის კუალად“ გაუტყიათ 2 წლის ვადით⁶⁹. აქედან ჩანს, რომ ხიზნობის წესით მიწის სარგებლობა ვალდებულებული ყოფილა, მაგრამ საბუთში არ არის განმარტებული თუ რას ნიშნავდა „ხიზნობის კუალად“ მამულის გაცემა, რა პირობებში ხდებოდა ის. საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ამ წესით მამულების გაცემა საყოველთაოდ ცნობილი და გასაგები იყო და ვადის აღნიშვნა ძმაზე მიუთითებს, რომ ეს საერთოდ ცნობილი წესისაგან გამონაკლისი იყო. ხალხის აღწერის მასალიდან და სხვა სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ ხიზნები უხსოვარი დროიდან იჯდნენ მათ მიერ ხიზნური წესით აღებულ მიწებზე, და ხიზნული უფლებები მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე⁷⁰.

ხიზან გლეხთა ძირითად მასას მიწათმოქმედი გლეხები შეადგენდნენ, მაგრამ საბუთებში გვხვდებიან მჭედელი, ხაბაზი, დალაქი, ფეიქარი მეწისქვილე⁷¹, მექვაბე⁷², მღვდელი, გზირი, ხიზანი მსახური⁷³, ხიზანი ბოვანი⁷⁴; გვხვდება აგრეთვე ხიზანი ვაჭარი.

ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით ხიზნები არასოდეს არ წარმოადგენდნენ ერთგვაროვან მასას. ფეოდალური ხანის საბუთებში გვხვდება „უმამულლო ხიზანი“⁷⁵, „შეუძლებელი ხიზანი“⁷⁶, „ლარიბი ხიზანი“⁷⁸. მასალების უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი.

ამგვარად: ხიზანი არის საკუთარი საცხოვრებლიდან აყრილი და სხვა მემამულის მიწაზე დასახლებული გლეხი, რომელიც ამ მემამულისაგან ღებულობს მიწას უვადო სარგებლობაში, ძალიან იშვიათად კი—ვადით, იურიდიულად პირადად თავისუფალია და მიწის პატრონს მხოლოდ სამამულო ვადასახადს უხდის. ეს ვადასახადი ერთხელ დაწესებული და უცვლელია; ხიზანს უფლება აქვს წავიდეს მემამულისაგან, ხოლო მემამულე უფლებამოსილია გააძევოს ხი-

⁶⁷ „საისტორიო მოანბე“, წ. 4. გვ. 378—379.

⁶⁸ იქვე, გვ. 255.

⁶⁹ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, „ქრონიკები“... წიგნი II. თბილისი, 1897 წ. გვ. 392.

⁷⁰ საქ. ცსსა ფ. 12, საქმე № 253, ს. ფ. 33 და შესდ.

⁷¹ საქ. ცსსა, ფ. 1449, საქმე № 864, ს. ფ. 3—10.

⁷² იქვე, ფონდი 1461, საქმე № 32, რვეული 10.

⁷³ იქვე, ფ. 1449, საქმე № 864, ს. ფ. 18.

⁷⁴ იქვე, ს. ფ. 26.

⁷⁵ საქ. ცსსა, ფ. 1449, საქ. № 2393, ს. ფ. 8.

⁷⁶ იქვე, საქმე № 804, ს. ფ. 18.

⁷⁷ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, წიგნი IV, 1923, გვ. 32.

ზანი. ეს უფლება ორივე მხარისათვის შეზღუდულია; მემამულისა და ხიზნის ურთიერობის პირობა სიტყვიერია, იშვიათად წერილობითიც.

ასეთი იყო ხიზნის ბუნება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ხიზნობის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებული იყო და მას განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი, ვიდრე საგლეხო რეფორმამდე. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იყო ხიზნის თავდაპირველი ბუნება და მისი განვითარების ტენდენცია, გაირკვევა ხიზნების წარმოშობის მიზეზებისა და ხიზნობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების საკითხის გარკვევასთან ერთად.

* * *

ხიზანთა წარმოშობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. პროფ. ს. ავალიანის აზრით, „ხიზნები თავადაზნაურთა მცირემიწიანობის შედეგია“. ძველი მებატონეები ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ მცირემიწიანობის გამო, ბატონის მიწები არ ყოფნიდათ გლეხებს და ეს უკანასკნელნი ერთი მებატონის მიწიდან მეორის მიწაზე გადადიოდნენ; როგორც ბატონისათვის, ისე გლეხისათვისაც ასეთი მოვლენა ხელსაყრელი იყო. შემდეგ ავალიანი ასახელებს პოლიტიკური ხასიათის მიზეზებსაც: სპარსელებისა და ოსმალების ხშირი შემოსევებისა, ლეკთა მუდმივი თარეშისა, ფეოდალთა განუწყვეტელი შინაომებისა და ქვეყნის აოხრების გამო გლეხი იძულებული იყო უფრო ძლიერი ფეოდალის მფარველობაში შესულიყო. ასეთი მფარველობაში შესული გლეხი „მინდობილი, „მიბარებული“ მემამულეზე არის ხიზანი, რომელიც სახლდებოდა მემამულის მიწაზე განსაზღვრული პირობებით, პირადი შეთანხმების საფუძველზე“⁷⁸.

პროფ. ავალიანის ეს მოსაზრება არ არის სწორი. ჯერ ერთი, არ არის სწორი თითქოს ძველი მებატონეები ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ მცირემიწიანობისა გამო და ჭარბი ყმები ჰყავდათ. მეორეს მხრივ—თუ საერთოდ მემამულეთა მცირემიწიანობა და ყმების სიმრავლე იყო მიზეზი ხიზანთა წარმოშობისა, საკითხავია ვის უნდა მიეღო ეს ჭარბი ყმები. ამასთან ავალიანი უგულებელყოფს თავისუფალი წარმოშობის ხიზანთა გაჩენის მიზეზების საკითხს.

ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამდა გ. მ. თუმანოვი 1901 წელს. მისი აზრით, ხიზანი—ეს თავისუფალი კაცია ან ყმა, რომელიც იძულებულია მცირემიწიანობისა ან შიმშილის, ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო თავშესაფარი ეძიოს სხვა მემამულესთან და რომელიც რჩება ან არ რჩება ბატონყმურ დამოკიდებულებაში წინა მემამულესთან, თვით ახალ მემამულესთან ეს პირადად თავისუფალია და უხდის მას გადასახადებს მიწათსარგებლობისათვის⁷⁹.

ე. გ. ვეიდენბაუმის აზრით, ხიზნების წარმოშობა უმთავრესად პოლიტიკური მიზეზებით აიხსნება: გარეშე შემოსევების შედეგად ქვეყანა ოხრდება, ადგილ-მამული უკაცრიელდება; ტყვეობა მასიურ ხასიათს იღებს; მემამულეები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან. მეფის ხელისუფლება ზრუნავს გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად, პირად თავისუფლებას ანიჭებს ტყვეობიდან თავისი ძალ-ღონით დაბრუნებულ გლეხებს. ამ ნიადაგზე XVIII საუკუნ-

⁷⁸ С. А. Авалиани, „Крестьянский вопрос в Закавказье“, т. I, стр. 62. т. IV. стр. 141—142. მისივე „ხიზანი“, ქუთაისი, 1920 წ., გვ. 1—2.

⁷⁹ Г. М. Туманов, Земельный вопрос и преступность на Кавказе, С. Петербург 1901, стр. 36—37.



ნეში იქმნება თავისუფალ მიწათმოქმედ გლეხთა კლასი. ეს უკანასკნელი, ლეკიანობისა და სხვა გარეშე საფრთხისაგან თავისი უშიშროების დაცვის მიზნით, სახლდება მემამულის მიწაზე და კისრულობს განსაზღვრულ გადასახადებს მის სასარგებლოდ. „Из таких лично свободных людей, водворившихся на чужих землях, образовался тот разряд крестьян—земледельцев, который ныне известен под названием хизан“⁸⁰

როგორც ვხედავთ, ვეიდენბაუმი ხიზანთა წარმოშობის საკითხში უგულუბელყოფს ქვეყნის შინაგანი სოციალ-ეკონომიურ ხასიათის მიზეზებს. მას ხიზნობა XVIII საუკუნეში წარმოშობილ მოვლენდ მიაჩნია. ჩვენ არ უარყოფთ პოლიტიკური და სავარეო ხასიათის მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხიზნების გამრავლებას, მაგრამ ეს არ იყო მთავარი მიზეზი ხიზანთა წარმოშობისა. ამასთან ვეიდენბაუმი არაფერს ლაპარაკობს ე. წ. ყმა-ხიზნებზე.

მ. ვ. მაჩაბელი და ა. ფ. ყიფშიძე უარყოფდნენ ხიზნების წარმოშობას მემამულეთა მცირემიწიანობის საფუძველზე. 1913 წელს ისინი წერდნენ: „Мы положительно утверждаем, что в древней Грузии причиной зарождения и существования хизанского обычая было не малоземелье (в 17 м и 18-ом веках в Грузии был недостаток в населении, а не в земле), а следующие социальные явления: самовольный уход крепостного от своего помещика, бегство вследствие совершенного преступления и даже проступка, удаление крестьян на определенный срок, а иногда и навсегда, по приговорам сельских и родовых общин чаще всего за прелюбодеяние и другие преступления против нравственности и т. п.“⁸¹. ამ მოსაზრებაში არის ჭეშმარიტების მარცვალი ყმა-გლეხთა მეზატონეებისაგან გაქცევის, როგორც ხიზანთა წარმოშობის მიზეზის შესახებ, მაგრამ ავტორები არაფერს ლაპარაკობენ იმ ნამდვილ მიზეზებზე, რომელიც აიძულებდა გლეხს გაქცეოდა თავის მეზატონეს. მეორეს მხრივ, ისინი მთლიანად უგულუბელყოფენ პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის მიზეზებს.

ქრ. ვერმიშევი, გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ ხიზნობა მეზარველობაში შესვლის აუცილებლობას გულისხმობდა და ასეთი მეზარველობა ესაჭიროებოდა არა მარტო უმიწო გლეხს, არამედ მიწის წვრილმესაკუთრესაც, თვლიდა, რომ შესაძლებელი იყო ხიზნური ურთიერთობის წარმოშობა იმ შემთხვევაშიც, როცა მიწა ეკუთვნოდა თვით გლეხს, მაგრამ აუცილებელი იყო რომელიმე ძლიერი პატრონის მეზარველობაში შესვლა⁸². მეზარველობაში შესვლის აუცილებლობა დამახასიათებელი მოვლენა იყო ფეოდალიზმისათვის და მის საფუძველზე წარმოიშობოდა გლეხის სხვადასხვა სახის ფეოდალური დამოკიდებულება, მაგრამ ვერმიშევის მიერ აღნიშნული მოვლენის შინაარსი ხიზნის ბუნებას არ უდგება და ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხიზანთა წარმოშობის მიზეზი.

ილია ჭავჭავაძის აზრით „ხიზნობა ერთგვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მეპატრონესთან“⁸³. ილიას მიხედვით ხიზნობა წარმოიშვა სათემო და სავგარეულო მიწათ-

⁸⁰ Е. Г. Вейденбаум, Хизаны в Грузии, Тифлис, 1913, стр. 32.

⁸¹ „Прекращение хизанских отношений в Грузии“, 1913.

⁸² Хр. Вермишев, „Хизаны и хизанство“, Тифлис, 1884 г., стр. 7—8.

⁸³ ი. ჭავჭავაძე, დასახ. თხზ., გვ. 129.

მფლობელობის დარღვევისა და მისი კერძო საკუთრებად გადაქცევის შედეგად, იმის გამო, რომ ერთი მხრით იმ პირებს, რომლებმაც მიითვისეს სათემო მიწები დასჭირდათ მუშახელი, ხოლო მეორე მხრით, უმიწოდ დარჩენილებს დასჭირდათ სამუშაო და მიწა. „ერთი მხრით ამ გაჭირვებამ მამულის პატრონისამ და მეორეს მხრივ გლეხის უმამულობამ მემამულე გლეხთან მიიყვანა და გლეხი მემამულესთან“⁸⁴. რა თქმა უნდა კერძო საკუთრებისა და მსხვილი მიწათმფლობელობის არსებობა აუცილებელი პირობა იყო ხიზანთა წარმოშობისათვის, მაგრამ ეს ვარაუდობა საერთოდ სოციალური დამონების ყოველგვარი სახის მიზეზი იყო და ხიზანთა წარმოშობის კონკრეტულ საკითხს ის ვერ ახსნის.

ივ. კარბელაშვილი ხიზანთა წარმოშობის რამდენიმე მიზეზს ასახელებს:

1. თუ თავადაზნაურის ოჯახი გაიყრებოდა ერთ მემკვიდრეს მიწა ერგებოდა და მეორეს უმამულო ყმა. ეს ყმა პირველი მემკვიდრის ხიზანი ხდებოდა.

2. მზითვეში მოყოლილი გლეხი შებატონე—ქმრის ხიზანი იყო და ცოლის ყმა;

3. თავადის ან აზნაურის მოვალე, თუ ვალში რამდენიმე ყმას მიიღებდა უმიწოდ, ეს გლეხი ხიზანი იყო მისი;

4. ლეკიანობის შიშით წვრილი შესაკუთრე გლეხი ძლიერ თავადს შეეხიზნებოდა;

5. მთა: სამხრეთ ოსეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მთიულეთი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი სახნავი ადგილით მუდამ ღარიბი იყო. დაშუქული მთიელი ბარად ჩამოდიოდა და ბარის განაპირა მამულში სახლდებოდა, ტყეს ჩეხდა, ხრიოკ მიწას ტანჯვით ამუშავებდა. ეს გლეხი ხიზანი იყო იმ მემამულისა, რომლის მიწაზედაც ჩამოსახლდა;

6. მოკლული გლეხის ოჯახი ყმობისაგან თავისუფალი იყო და სხვა მემამულეს შეეხიზნებოდა. დაჭრილი ან გახეიბრებული გლეხი ისევ იმ თავადთან თუ შოისურვებდა დარჩენას, მამული მიეცემოდა და ისე იცხოვრებდა, როგორც ხიზანი; მას შეეძლო აგრეთვე წასულიყო და სხვას შეხიზნებოდა;

7. გაყიდული გლეხის უმცირესობა თავის დახსნას ახერხებდა და მემამულეს ეხიზნებოდა;

8. გაქცეული ყმა 30 წლის შემდეგ თავისუფალი ხდებოდა და ხიზანდ დგებოდა მემამულესთან.

ჩამოთვლის რა ამ მიზეზებს, ივ. კარბელაშვილი დაასკვნის, რომ ერთ-ერთი მაინც ამ მრავალ მიზეზთაგან საფუძველი იქნებოდა ხიზნების წარმოშობისა⁸⁵.

მ. ნ. კუტაევი 1885 წ. ამბობდა: „Хизанство в Грузии возникло вследствие лишения и нужды, которые претерпевал народ в прежнее время, и вследствие существующего в стране малоземелья. Народ гонимый голодом, мором, нашествием неприятеля, был вынужден оставлять места постоянного жительства и искать себе убежища и приюта у помещиков, которые за не-

⁸⁴ ი. კ ა ვ ე ჯ ა ვ ა ძ ე, დასახ. თხზ., გვ. 141—142; 162—163.

⁸⁵ ი. ვ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „ხიზანთა ბუნა“, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ.,



достатком земель в Грузии, были единственными распорядителями свободных от заселения земельных участков⁸⁶.

ზემომოყვანილი ვერც ერთი მოსაზრება ვერ ხსნის ხიზანთა წარმოშობის ნამდვილ მიზეზებს, სიმაართლის ელემენტები კი ყველა მათგანში არის. აღსანიშნავია, რომ ყველა ავტორი უგულვებელყოფს ხიზანთა ორი გარკვეული კატეგორიის (თავისუფალი წარმოშობის ხიზნები და ყმა-ხიზნები) არსებობას და დიფერენცირებულად არ უდგება მათი წარმოშობის მიზეზების ახსნას. შევეცადოთ გავცეთ პასუხი დასმულ კითხვას.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სტატიაში სიტყვა „ხიზნობა“ ნახშირია ორგვარი მნიშვნელობით; „ხიზნობა“, როგორც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმა და „ხიზნობა“, როგორც სოციალური ინსტიტუტი. პირველ შემთხვევაში ტერმინს „ხიზნობა“—ჩვენ ვხმარობთ გლეხთა აყრა-გაქცევის აღსანიშნავად. ხიზნობამ, როგორც ყმა-გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმამ წარმოშვა ხიზნობის ინსტიტუტი შედარებით უფრო გვიან ვიდრე ბრძოლის ეს ფორმა იჩენდა თავს⁸⁷.

ხიზანთა წარმოშობის მიზეზები ქვეყნის შინაგანი სოციალ-ეკონომიური განვითარებისა და უაღრესად მძიმე, მუდმივ მოქმედ ფაქტორად ქცეულ საგარეო გართულებათა შინაარსში უნდა ვეძიოთ.

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში უშუალო მწარმოებელთა დაყვების პროცესი, დაწყებული ადრეფეოდალური ხანის დასაწყისიდან, X საუკუნისათვის ძირითადად უკვე დამთავრდა. XI—XIII საუკუნეები ბატონყმობის ბატონობის ხანა იყო. აღბუღას სამართლის ძეგლის მიხედვით 30 წლიანი ხანდაზმულობა წინათ დაწესებული ფაქტია. ბატონყმური ექსპლოატაციის ნიადაგზე ჩაღდება კლასობრივი ბრძოლა „ფეოდალებსა და ყმა-გლეხებს შორის, რომელიც თანდათანობით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა პოლიტიკური უბედობა საგარეო შემოსევათა სახით, რომელსაც თითქმის განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივი და მძიმე პერიოდი დადგა. დამპყრობელთა ხარკის სიმძიმე და ხანგრძლივი შორეული ომები უმთავრესად მიწათმოქმედთა კლასს ანადგურებდა: „В зле монгольской власти на класс непосредственных производителей грузинского общества насел еще один новый эксплуататор. В то же время прежние повинности (царские, общественные, чиновничьи, церковные, феодальные и т. п.) не только сохранились, но некоторые из них сильно возросли“⁸⁸.

უშუალო მწარმოებელთა ეს გაძლიერებული ექსპლოატაცია ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას ფეოდალებსა და გლეხობას შორის. ბრძოლის ფორმები და მეთოდები მრავალნაირი იყო. ამ მრავალ ფორმათა შორის ერთ-ერთი იყო ყმის გაქცევა მებატონისაგან. გლეხობის აყრა-გაქცევა, როგორც გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა გავრცელებული იყო ყველა ქვეყანაში, სადაც კი ბა-

⁸⁶ საქ. ცსსა, ფ. 12, საქმე I 268, ს. ფ. 46.

⁸⁷ შევნიშნავთ, რომ თუ სპეციალური მითითება არ არის ტექსტში, ტერმინ „ხიზნობა“ ჩვენ ვხმარობთ, როგორც სოციალური ინსტიტუტის აღმნიშვნელ ტერმინს. „ხიზანი“-ს მრავლობით ფორმად ყველგან ნახშირია „ხიზნები და არა „ხიზნობა“.

⁸⁸ Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI) Тбилиси, 1938, стр. 8.

ტონცემობა არსებობდა. გლეხთა მოძრაობის ამ ფორმაში ვხედავთ ჩვენ ხიზნების წარმოშობის წყაროს. პირველად აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას. მისი აზრით ხიზნობა (აყრა-გაქცევა) ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ერთი ფორმაა: „Положение крестьянства становилось невыносимым; для них веление хозяйства теряет смысл, доходы с последнего не покрывают дани и феодальных платежей, притесненные со всех сторон непосредственные производители массами прибегают к последнему средству классовой борьбы в феодальном обществе: делаются „бегано“ и хизанами („беглые“)⁸⁹.

როგორც შევნიშნეთ ფეოდალურ საზოგადოებაში გლეხთა მოძრაობის ეს ფორმა ყველა ქვეყანაში იყო გავრცელებული. რუსეთში მან კახაკობა წარმოშვა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გლეხთა მოძრაობის ეს ფორმა შინაგანი კოლონიზაციის წყაროს წარმოადგენდა: XI—XII საუკუნეებში გლეხები, გარბოდნენ რა თავიანთი სენიორისაგან იკავებდნენ დაუმუშავებელ მიწებს, წმენდნენ ნიადაგს, ჭრიდნენ ტყის და ამრიგად ქმნიდნენ ახალ სოფლებს. ამ ადგილის ფეოდალები სიამოვნებით იღებდნენ ასეთ გამოქცეულებს, რადგან ისინი მათთვის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენდნენ.

ხიზნობა, როგორც გლეხთა მოძრაობის ფორმა, წარმოიშვა ბატონყმობის წარმოშობასთან ერთად. ის ბატონყმობის შედეგი იყო. გლეხთა ბრძოლის ამ ფორმამ განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი მიიღო საგარეო ძალთა მძლავრობის შედეგად. გაბატონებული კლასი შემოსავლის დანაკლის ყმების ზედმეტი დაბეგვრით ინაზღაურებდა. დამპყრობელთა ბატონობის სიმძიმე წვრილ აზნაურებსაც დააწვა (უმთავრესად ამათგან გარბოდნენ გლეხები). დაცარიელებული მამულები, რომლებზედაც მონღოლური ხარკი იყო შეწერილი, ზედმეტი ბარგი გახდა მათთვის: „ამოძრავდა მამულები. ჩალის ფასად ჰყიდიან აზნაურები მათი სოციალურისა და ეკონომიური ძლიერების საყრდენს... მცირდებიან და ქრებიან ძველი საგვარეულოები... მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ამ „ულუსობისა“ და „ძნელბედობის“ ქამს დამცრობილთა გვერდით და მათ ხარჯზე აღზევდებიან... ესენი ყიდულობენ გაუფასურებულ მამულს, ამათკენ მიიღტვიან ხიზნები“⁹⁰. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს გადაარჩინოს წვრილი აზნაურობა საბოლოო განადგურებას: „В этих целях законодательство силилось притянуть весь феодальный класс к единому фронту в борьбе с хизанством“⁹¹.

ბექა-აღბუდას სამართალი უკრძალავს მებატონეს შეიხიზნოს სხვისი გლეხი, მაგრამ იგივე სამართალი იძულებულია ანგარიში გაუწიოს გლეხთა აყრა-გაქცევის მასიურ მოვლენას. ამ სამართლის 77-ე და 78-ე მუხლების მიხედვით სხვისი გლეხი, რომელიც სხვას დაესახლა უფლებამოსილია წავიდეს მისგან ცოლით, შვილით და ყველაფრით იმით, რითაც მოვიდა, როცა მოისურვებს. თუ გლეხი თვითონ არ მოისურვებს წასვლას, ხოლო მისი ყოფილი პატრონი მოითხოვს მის დაბრუნებას, მაშინ ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მისი დაბრუნებისა, როცა ის ეძებდა მას, ხოლო თუ 7 წლის განმავლობაში არ ეძებნი—უფლება არა აქვს დაიბრუნოს. იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი გლეხი

⁸⁹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

⁹⁰ ნ. ბერძენიშვილის სტატია თსუ შრომებში, VI, 1935 წ., გვ. 231.

⁹¹ ნ. ბერძენიშვილი, „Очерк“... გვ. 9.

შორს გადაიკარგებოდა, სადაც ბატონი ვერ მიაგნებს და ვერ მოძებნის, რჩება წინათ დაწესებული 30 წლის ვადა—ამბობს კანონი⁹². აქედან ჩანს, რომ თუ ყოფილი ბატონი მისგან გაქცეულ გლეხს 7 წლის განმავლობაში არ ეძებდა, შემდეგ დაბრუნების უფლება არა აქვს, ხოლო თუ გაქცევისთანავე დაუწყებდა ძებნას, 30 წლის განმავლობაში უფლებამოსილი იყო დაებრუნებინა უკან, მაგრამ ან ვადის გასვლის შემდეგ კი ვერ დაიბრუნებდა და გაქცეული და სხვაგან თავშეფარებული გლეხი (ხიზანი) ყმობას თავს აღწევდა. სამართლის ძეგლიდან არ ჩანს თუ რა დამოკიდებულებაში რჩებოდა ასეთი გლეხი ახალ მებატონესთან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ყველა არა, ნაწილი მაინც ასეთი გლეხებისა, პირად თავისუფლებას ინარჩუნებდა და ახალ ბატონთან მხოლოდ ეკონომიურად დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებოდა.

ამრიგად, XIII—XIV საუკუნეებში, გლეხთა მოძრაობის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, მასიური მოვლენა იყო. გლეხთა მოძრაობის ამ ფორმამ შექმნა ხიზანი, როგორც გლეხთა განსაკუთრებული კატეგორია. მებატონე ფეოდალის სისასტიკისა, უზომო ექსპლოატაციისა და დამონების გამო გლეხი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი, აყრილიყო და გაქცეოდა მებატონეს, სხვაგან ეძია თავშესაფარი და ცხოვრების სახსარი. გაქცეული ყმა თავისი ძველი მებატონის ახლოს ვერ გაჩერდებოდა, ის უნდა გადახვეწილიყო შორს, რომ ბატონს არ შეეპყრო. ზოგჯერ 7, უფრო მეტად კი 30 წლის შემდეგ გაქცეულ გლეხთა ერთ ნაწილს პირადი თავისუფლება მოპოვებული ქონდა და ხიზნად ხდებოდა, გაქცეულ გლეხთა მეორე ნაწილი კი ან ისევ ძველი მებატონის ყმა ხდებოდა ან ახალ მებატონესთან ყმის სხვადასხვა იურიდიულ კატეგორიას ქმნიდა („თავდაწერილი“, „თავდაუწერელი“, „ნებიერი“, „მომართებული“ და სხვ.). ცენტრალური ხელისუფლება ებრძოდა ხიზნობას (აყრა-გაქცევას); თავდაზნაურები გამალებული დაეძებნენ გაქცეულ გლეხებს. ეს უკანასკნელნიც თავს იცავდნენ, ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ, ერთ ადგილას ვერ მკვიდრდებოდნენ, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და ამგვარად ხიზნობა, როგორც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმა, ჯერ ვერ ქმნიდა ხიზანს, როგორც გლეხთა განსაკუთრებულ, ჩვეულებით, თუ კანონით აღიარებულ კატეგორიას. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდის ისტორიულ საბუთებში არსად არ გვხვდება მითითება გლეხთა ასეთი კატეგორიის არსებობის შესახებ.

პირველი, ყველაზე უძველესი ცნობა, რომელშიაც მიწითსარგებლობის ხიზნური წესის შესახებაა ნათქვამი, შემონახულია XVI საუკუნის II ნახევრის ერთ საბუთში. ეს არის 1552 წლის ალექსანდრე კახთა მეფის შეწირულობის წიგნი:... „ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კულად ყარა ასლანს მივეცი თორს ოდენ წელიწადსა“⁹³. ამ საბუთის თარიღი საეჭვოა, მაგრამ არსებობს ამავე შინაარსის უფრო გვიანდელი საბუთებიც იმავე საუკუნისა და უეჭველია, რომ საბუთი XVI საუკუნის მეორე ნახევრისაა. პირველი, რაც დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ ამ საბუთის მიხედვით, ის არის, რომ არსებობდა „ხიზნობის წესით“ მამულის გაცემა. თვითონ ყარა ასლანი გლეხი არ არის და ამრიგად, არც ხიზანი.

⁹² Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI. Баქრაძის გამოცემა 1887 წ. მდრ. „ქართული ქრესტომატია“ ჩუბინოვისა 1863 წ., გვ. 222; ი. დ. ლ. ი. ბ. გ. მ. ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 323—324.

⁹³ თ. ქ. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა., ქრონიკები... ტ. II, გვ. 392.

ამას ადასტურებს, ჩვენის აზრით, იმავე ალექსანდრე მეფის მინაწერი მისი მამის—ლეონის 1537 წლის შეწირულობის სიგელში, რომლითაც ლეონ კახთა მეფე ვეძისხევს და ფაშაანს უბოძებს ქადაქს გედეონ მაღალაძეს. მინაწერში ნათქვამია: „ჩუენ მეფემან პატრონმა ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა ბარაუნთ წმიდის გიორგის უბანს საყდარსა და ცხრას კომლს კაცს დაგეცილათ ყარაშვილი და ტყუილად ირჩოდა და თქუენ მაღალაძეს ქადაგს გედევანს და შვილთა თქუენთა თქუენი თქუენვე გიბოძეთ. ასლან ტყუილად მისობდა, რადგან მისი არ იყო და პატრონისა მამის ჩვენის ბრძანება ასრე გავათავეთ“⁹⁴. აქ მოხსენებული ყარაშვილი ასლან იგივე ყარაასლანია. ყარაასლანი ნახსენებია ლეონ მეფის ერთ სიგელში, რომელიც თ. ჟორდანიას აზრით 1532—1548 წლის უნდა იყოს: „სასოო ჩ ნო მარკოზ და ყარასლან ჩ ნ მაგიერად ბატონს ქართლის ქ კხსა მაღაქიას ასრე მოახსენეთ“⁹⁵. ირკვევა, რომ ყარა ასლანი მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელია, მემამულე ან მეფის მოხელე, რომელიც მეფისაგან ხიზნობის წესით იღებს მთელ სოფლებს მათში მოსახლე გლეხითურთ 2 წლის ვადით. ვფიქრობთ ყარა ასლანს აღნიშნული მამულები მიეცა, როგორც მოხელეს, კაწეული სამსახურისათვის „ხიზნობის კუალად“, ე. ი. მას მიეცა უფლება მიეღო ამ მამულებიდან შემოსავლის იმდენი ნაწილი, რამდენსაც საერთოდ ხიზანი გლეხები უზღიდნენ მამულის პატრონს („შეადარე „თიულს“).

ხემომოყვანილ საბუთში არაფერი არაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი იყო „ხიზნობის კუალად“ მიწის გაცემის წესი. საბუთის შემქმნელი ამ წესს ცნობილ მოვლენად სთვლიდნენ და საჭიროდ არ მიაჩნდათ მოეცათ რაიმე ახსნავანმარტება მის შესახებ. ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ხიზნური წესით მიწათსარგებლობა XVI საუკუნეზე უფრო ადრინდელი მოვლენა იყო.

მემატონეთა და ხელისუფლების ბრძოლა აყრილი და გაქცეული გლეხების უკან დასაბრუნებლად, ბევრ შემთავებაში უშედეგო იყო, ყმა ყმობას თავს აღწევდა და დროთა განმავლობაში ხიზნურ უფლებებს იმკვიდრებდა. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ თვით მემამულე-ფეოდალთა შორის ადგილი ჰქონდა გლეხობისათვის, მწარმოებელთა გამრავლებისათვის ბრძოლას და მემამულე, რომელსაც მოუვიდა ხიზანი, ცდილობდა მის შენარჩუნებას, იფარავდა მას ყოფილი მემატონისაგან. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბექა-აღბუღას სამართალი უკმალოვდა მემამულეს სხვისი გლეხის შეხიზნებას. კანონში ამ დონისძიების ფიქსაციას მხოლოდ ის გამართლება ჰქონდა, რომ პრაქტიკაში ასეთი მოვლენა ხშირი იყო. მემამულისათვის მასთან შეხიზნული გლეხი შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენდა და ამიტომ ასეთ გლეხს ის პირველ ხანებში მაინც, ერთგვარ შეღავათებს აძლევდა და ეს გარემოება ხელს უწყობდა ხიზნის დამაგრებას ახალ ადგილზე. XIII—XIV საუკუნეებში და შემდეგაც ხიზანთა რიცხვი ძალიან მცირე და მათი კონტიგენტი არამყარია და ცვალებადი იყო. აქ არ შეიძლება არ გავისენოთ ერთი მოსაზრება, რომელიც წამოაყენა 1884 წელს ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანმა (მაშინ ის მომრიგებელი შუამავალი იყო). ის

⁹⁴ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგ. II, 1913 წ. მცხეთის სიგელი № 2, გვ. 33—36.

⁹⁵ თ. ჟორდანიას, იქვე, გვ. 375—376.



ამბობდა, რომ ხიზნები იმ დროის გაჩენილია, როცა ქვეყანას ათასი უბედურება და ვაივაგლახი დაატყდა თავს, მაშინ გლენკაცი იძულებული იყო აყრილიყო ბინიდან და სხვას შეეკედლებოდა. ასეთი მოსიარულენი იწოდებოდნენ ხიზნებად და არა ისინი, რომლებიც მიწას ქირავნობით ან იჯარით იღებდნენ⁹⁶. ამ ხეტიალს ყველა ვერ უძლებდა, ისევ ყმობის უღელში ებმებოდა, ზოგი ინარჩუნებდა პირად თავისუფლებას და ხიზნის უფლებას იმკვიდრებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია 1794 წ. ერთი საბუთი, რომლითაც ივანე, იესე, იაკობი, მათი ბიძაშვილი ბერუა, შიო და გიორგი ქურდოვანიძეები კათალიკოს ანტონის აძლევენ წიგნს: „ჩვენ ჩხეიძის გორგასლის ყმანი ვიყავით, სამჯერ გაგვყიდა და სამჯერვე თავი დავიხსენით და დღეს აქამდინ აქა იქ ხიზნად ცხოვრობდით, ახლა მოვედით და ჩვენის ნებით სვეტიცხოველს ჩვენი თავი ყმად მოვართვით და შევეწირენით“⁹⁷.

ამრიგად, ხიზნათა ის კატეგორია, რომელსაც ჩვენ თავისუფალი წარმოშობის ხიზნებს ვეძახით, წარმოიშვა ბატონყმობის გამარჯვების დროიდან იმ ყმებისაგან, რომლებიც ბატონყმურ ექსპლოატაციას გაექცნენ და პირადი თავისუფლება მოიპოვეს. ამ კატეგორიის ხიზანთა კონტიგენტს ავსებდა აგრეთვე თავდახსნილი გლეხთა ერთი ნაწილი (თავდახსნაც—ლგებთა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო).

როგორი იყო პირობები ხიზნობის, როგორც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამოსათვისის საქართველოს ისტორიის მომდევნო ხანებში? ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პროცესი ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ უნდა წასულიყო „ამ (ფეოდალურ) ურთიერთობათა დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ“⁹⁸. მაგრამ უაღრესად გართულებულმა საგარეო პირობებმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მუდმივ მოქმედ ფაქტორად გამოვიდნენ და ქვეყნის შინაგანი კანონზომიერი განვითარების პროცესს გადაეზარდნენ, საქართველო ააცდინეს ნორმალური განვითარების გზას და ქვეყნის შემდგომი სოციალ-ეკონომიური განვითარება ბატონყმობის კონსერვაციის გზით წავიდა.

ხიზნობამ, როგორც გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმამ თავი იჩინა ბატონყმობის გამარჯვებისთანავე. განსაკუთრებით მასიური ხასიათი მან მიიღო XIII საუკუნეში, როცა ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ თავისი ზრდა დაასრულა და განვითარების აღმავლობის საზღვარს მიაღწია⁹⁹, როცა განვითარების ნორმალურ პირობებში ბატონყმობის რღვევა და ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა უნდა დაწყებულიყო. ამ პროცესის ერთ-ერთ წინამორბედად შეიძლება მიგვეჩინა ხიზნობა, რომელსაც ზემოაღნიშნული ნორმალური განვითარების პირობებში შეეძლო ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ინსტიტუტად ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან „ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიის ჩარხი „უკუღმა დაატრიალეს“¹⁰⁰... საქართველო ბუნებრივი განვითარების გზით წავიდა.

⁹⁶ „Материалы для изучения хизанского положения“, Записка М. Н. Кучаева, стр. 334.

⁹⁷ საქ. ცსსა, ფონდი 1449, საქმე № 2358.

⁹⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „ინათობი“, 1954 წ., № 6.

⁹⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 125.

¹⁰⁰ ნ. ბერძენიშვილი, შინაკლასობრივი ბრძოლის განვითარება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 178.

რების გზას აცდა, ხელოვნურად გახანგრძლივდა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი.

აღნიშნულ გარემოებათა გამო ხიზნობის ბუნებრივი განვითარების ტენდენცია თავისუფალ მიწისმომქმედთა კლასის წარმოშობისაქენ მიმართული, ვერ განვითარდა და XIII—XIV საუკუნეებში ვერ შექმნა ხიზან გლეხთა სტაბილური კატეგორია. XV საუკუნეში უკვე არსებობს მამულების „ხიზნობის კულად“ გაცემის წესი, მაგრამ ხიზნობის ინსტიტუტი, აღიარებული კანონის მიერ, ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. ასე გაგრძელდა XVIII საუკუნის II ნახევრამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხიზან ერთ ადგილზე დამკვიდრებული არაა, მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა, მისი ხიზნური მდგომარეობა დროებითია და ინტენსიურ მეურნეობას ვერ ჰკიდებს ხელს. შემთხვევითი არ არის, რომ არც ერთი საკანონმდებლო ხასიათის ძეგლში, თვით ვახტანგ VI კანონებშიც და ხალხთა აღწერის მასალებში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, ხიზნები დასახლებულნი არ არიან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ფეოდალური საზოგადოების ახალი, გვიანდელი პერიოდის დასაწყისია. ამ დროისათვის იჩენენ თავს ის ნიშნები, რომლებიც, საერთოდ დამახასიათებელია გვიანდელი ფეოდალიზმისათვის. ამ ნიშანთა შორის ერთ-ერთი ნიშანი ხიზნის, როგორც გლეხთა განსაკუთრებული, პირადად თავისუფალი კატეგორიის შექმნაა, რომელსაც სცნობს ცენტრალური ხელისუფლება.

რაც შეეხება ხიზანთა მეორე კატეგორიას, რომელსაც ჩვენ ყმა-ხიზნებს ვეძახით (ერთი მებატონის ყმა და მეორის ხიზანი,) ის ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმური მეურნეობის სისტემაში დაწყებული კრიზისული მოვლენების შედეგად. ასეთმა კრიზისულმა მოვლენამ უპირველეს ყოვლისა წვრილი მემამულის მეურნეობაში იჩინა თავი. მცირემამულიანი ბატონის მეურნეობაში ყმის შრომა ვერ პოულობს ინტენსიურ გამოყენებას და მემამულე იძულებული ხდება თავისი ყმა ხიზნად დააყენოს სხვა უფრო შეძლებული და მსხვილი მემამულის მეურნეობაში. ტერიტორიული დაშორება და დროში ხანდაზმულობა ასუსტებდა და არღვევდა ბატონყმურ დამოკიდებულებას ასეთ ხიზანსა და მის უშუალო ბატონს შორის.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელსაყრელი პირობები იქმნება ხიზნების გამრავლებისათვის. ამას ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებანი გაუქმაცივლებული ადგილების დასასახლებლად. 1765 წლის დადგენილებით ტყვეობიდან დაბრუნებული ყმა თავისუფლდებოდა და სადაც უნდოდა იქ წავიდოდა¹⁰¹. ეპოქის თანამედროვის, საქართველოში რუსეთის მთავრობის რწმუნებულის, ანტონ მოურავოვის ცნობების შედარებითი შესწავლით ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის კახეთში 3000 კომლი ხიზანი იყო¹⁰².

1801—1802 წლების კახეთის ერთი ნაწილის აღწერის მასალების მიხედვით აღწერილი 2247 კომლიდან ხიზანი ყოფილა 327 კომლი. აღსანიშნავია, რომ ხი-

¹⁰¹ Д. П. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты стр. 17.

¹⁰² А. Чагарели, Новые архивные материалы для истории Грузии, XVIII столетий, стр. 14—15.

ზანთა ამ რიცხვიდან 284 კომლი თავისუფალი წარმოშობის ხიზნები იყვნენ და მხოლოდ 43 კომლი ყმა-ხიზნები¹⁰³.

ბატონყმური მეურნეობის კრიზისის დასაწყისი ხიზნობას გაზრდისაკენ მოუწოდებდა. ხიზანი თანდათანობით იძენდა ყველა იმ თვისებებს, რაც დამახასიათებელია მუდმივ-მემკვიდრეობითი მფლობელობისათვის. ამით იზღუდებოდა მიწის ფეოდალური საკუთრების უფლება და ხიზანი მიწის საკუთრების მონაწილე ხდებოდა. 1882—1884 წლებისათვის 50—100 წლის წინათ დასახლებულ ხიზანთა რიცხვი 763 კომლს შეადგენდა, ხოლო 10—50 წლის წინად დასახლებულთა—4.439 კომლს¹⁰⁴. ამ დროისათვის სულ საქართველოში 6.774 ხიზანთა კომლი ირიცხებოდა. ამასთან თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ რიცხვში შედიან ე. წ. ფიქტიური ხიზნები, რომლებიც მიწას ვადიანი იჯარით იღებდნენ, ცხადი ხდება, რომ ხიზანთა უმრავლესობას საგლეხო რეფორმამდე დასახლებული ხიზნები შეადგენდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთი ღონისძიებანი ხელს უწყობდა თავისუფალი წარმოშობის ხიზნების ზრდას. 1808 წლის 14 თებერვლის უმაღლესი ბრძანებულებით საზღვარგარეთიდან მოსული (ტყვეობიდან დაბრუნებული) გლეხები პირადად თავისუფლებად იქნენ ცნობილი¹⁰⁵. განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო თავისუფალი წარმოშობა ხიზანთა გამრავლებისათვის 1819 წლის 22 ოქტომბრის დებულება¹⁰⁶.

ბატონყმური მეურნეობის პირველი კრიზისული მოვლენების გამოხატულება იყო აგრეთვე ყმათა თავდახსნის პროცესის გაძლიერება, რასაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. თავდახსნილ გლეხთა ის ნაწილი, რომელიც პირად თავისუფლებას ინარჩუნებდა, მაგრამ საკუთარი. პარცელარული მეურნეობის მოწყობას ვერ ახერხებდა, ხიზანთა შირითად კატეგორიას ავსებდა.

В. Г. ГУЧУА

К ВОПРОСУ О СУЩНОСТИ И ПРОИСХОЖДЕНИИ ХИЗАНОВ

Резюме

Хизаны представляли собой особую крестьянскую категорию в составе непосредственных производителей грузинского феодального общества.

В данной статье, на основе первоисточников и критического анализа позднейших материалов, дана попытка выяснить вопрос о сущности и происхождении крестьян-хизанов.

¹⁰³ გ. ბოკორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, „საქართველოს არქივი“ წიგნი III, თბილისი, 1927.

¹⁰⁴ „Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края“, под ред. Е. Кондратенко, Тифлис, 1884 г., стр. 15.

¹⁰⁵ АКАК, т. III, док. № 32.

¹⁰⁶ Е. Г. Вейденбаум, Хизаны в Грузии, Тифлис, 1913, стр. 34—36.

Устанавливается, что в грузинском феодальном обществе хизан — это ушедший от одного помещика и пришедший к другому крестьянин, который селился на земле последнего, пользовался его землей на основе бессрочно-наследственной аренды и отбывал ему за это определенные, не подлежащие изменению повинности.

Существовали две категории хизанов: крестьяне лично свободные и кресгьяне, которые числились крепостными у одного помещика, а хизанами у другого.

Кроме хизанов земледельцев встречаются хизаны мельники, хлебопеки, ткачи, цирюльники, плотники и др.

Обычно помещики хизанам давали свободные, еще не культивируемые участки земель и таким образом получали дополнительную статью дохода.

Право помещика — удалять хизана с места поселения было ограничено, хизан имел право уйти от помещика по собственному желанию.

Хизанство представляет собой одну из форм классовой борьбы крестьянства в эпоху феодализма. Оно появилось с возникновением крепостничества. В результате победы крепостничества и внешних осложнений, в условиях чрезмерной эксплуатации крестьян, эта форма класовой борьбы расширяется (XIII в.). Землевладелец-феодал и центральная власть единым фронтом боролись против хизанства (ухода, побега крестьян), но с течением времени освободившийся от крепостной зависимости крестьяне стали такой реальной силой, что центральная власть вынуждена была признать существование лично свободных крестьян-хизанов. Этому способствовало резкое количественное сокращение непосредственных производителей и наличие опустошенных и невозделанных земель. Так возникли крестьяне-хизаны первой категории. Крестьяне малоземельных помещиков, вследствие кризиса помещичьего хозяйства, составляли контингент хизанов второй категории. Существовали и другие источники пополнения контингента хизанов.

Существование землепользования по хизанскому праву документально доказано с XVI века. Оформление института хизанства было завершено во второй половине XVIII века. С этого времени хизанство принимало признаки вечнонаследственного владения.

8. აკოფაზილი

ბლმხტა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში*

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გლეხთა ფენა ძირითადად შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი: 1. მსახური, 2. ნასყიდი (ნაგულისხმევია უმამულოდ გაყიდული ყმა-გლეხი), 3. ნაწყალობევი, 4. მკვიდრი, 5. შეწირული, 6. ნებით მოსული, ანუ ნებიერი, 7. თარხანი, ანუ აზატი, 8. ბოგანო, 9. ხიზანი, 10. მოჯალაბე.

გლეხთა ფენის ამგვარად დაყოფის დროს გაუგებარი რჩება, თუ რატომ არის ცალკე კატეგორიად გამოყოფილი მკვიდრი გლეხი მსახურის, ბოგანოს ანდა თარხანი გლეხების გვერდით. ამ კატეგორიების (მსახური, ბოგანო, თარხანი) გლეხებიც ხომ ჩვეულებრივ იგივე მკვიდრი ყმები არიან. საკითხავია, აგრეთვე, თუ რატომ არის ცალკე კატეგორიად დასახელებული ნაწყალობევი გლეხები,—რა განსაკუთრებული ნიშნით ხასიათდება მათი მდგომარეობა ამ პერიოდში?—სახელწოდება ნაწყალობევი გლეხი გამოხატავს მხოლოდ იმას, თუ რა გზით ყავს ეს გლეხი შექმნილი მებატონეს, ხოლო ამგვარი გლეხის მდგომარეობა და სოციალური ბუნება კი აღნიშნულ ხანაში უკვე არაფრით არ განსხვავდება მკვიდრი გლეხისაგან.

ის გარემოება, თუ რა გზით, წყალობის, ყიდვის, მემოვიდრეობითი წესისა ან კიდევ სხვა რაიმე გზით აქვს ნაშოვნი ბატონს ყმა, განსაზღვრავს ბატონის ამ ყმაზე საკუთრების უფლებას, ამ უფლების პირობითსა თუ უპირობო სასიათს. და არა ბატონისა და ყმის ურთიერთ დამოკიდებულებას, ყმის სოციალურს და უფლებრივ მდგომარეობას. ბატონს ისეთივე უფლება აქვს გააყიდოს თუ გასხვისოს თავისი ნასყიდი ან ნაწყალობევი ყმები, როგორც სამკვიდრო; ნაწყალობევსა თუ ნასყიდ ყმას ისევე არა აქვს ბატონისაგან თავისუფალი წასვლის უფლება, როგორც მკვიდრ გლეხს. საკუთრების ამ სამივე სახეობის ყმები, ჩვეულებრივ ერთგვარი ხასიათის ბეგარა-გადასახადებით არიან ვალდებულნი ბატონის წინაშე.

ამდენად, გლეხთა ფენის კატეგორიებად დაყოფის ზემოთ მოხსენებული სქემა ზუსტი არ არის და გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია სათანადო სიცხადით ვერ არის ასახული ის გარემოება, რომ გლეხთა ფენის შიგნით არსებობენ გლეხთა ცალკეული ჯგუფები, განსხვავებული ერთმეორისაგან თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით. მართალია, მოცემულ სქე-

* იბეჭდება განხილვის წესით. რედ.



მაში გამორჩენილი არაა ნებით მოსულთა და ნასყიდ გლეხთა კატეგორიები. მაგრამ ისინი საჭირო სიტყვადით ვერ უპირისპირდებიან გლეხთა მთელ დანარჩენ მასას და კატეგორიათა თვალსაზრისით ისეთსავე მიმართებაში არიან ერთიმეორესთან და მკვიდრ ყმებთან, როგორც თარხან, მსახურ, ბოგანო და ხიზან გლეხებთან, იმ დროს, როდესაც მსახურსა და ბოგანოს შორის უფლებრივი თვალსაზრისით არსებითი განსხვავება არ არის (რა თქმა უნდა, არსებობს მეტად თვალსაჩინო განსხვავება მათი ეკონომიური მდგომარეობისა თუ საგადასახადო-ვალდებულებით მდგომარეობაში); მკვიდრსა, ნებით მოსულსა და ნასყიდ ყმებს შორის კი უფლებრივი თვალსაზრისით არსებით სხვაობას ვპოულობთ. ჩვენს წერილში მოცემულია ცდა გლეხების დაჯგუფებისა მათი სოციალური ნიშნის, მათი უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით და ამავე დროს გამოყოფილია ამ ჯგუფებს შიგნით არსებული გლეხთა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები.

ჩვენს მიერ განხილულ აღმოსავლეთ საქართველოს XVII—XVIII საუკუნეთა მასალების საფუძველზე გლეხთა ფენაში განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობის მქონე გლეხთა სამი ჯგუფი განირჩევა: 1. მკვიდრი, 2. ნებით მოსული (ანუ „წყალობის ყმა“), 3. ნასყიდი ანუ პირადად გაყიდული (ე. ი. უმამულოდ ნასყიდი ყმა). საფუძველს ამგვარი დაყოფისათვის იძლევა როგორც XVII—XVIII სს. დოკუმენტური მასალები, ისე XVIII საუკუნის დამდევს შედგენილი სამართლის წიგნი.

მკვიდრი გლეხები გლეხთა ძირითად მასას შეადგენენ. ეს ისეთი გლეხებია, რომელნიც ამა თუ იმ მებატონის ყმები არიან თაობათა მანძილზე და ერთხელ დადგენილსა და ტრადიციით განმტკიცებულ გადასახადებს უხდიან მებატონეს. ეკონომიური შეძლებისა თუ ბეგარა-გადასახადების რაოდენობის მხრივ ამ გლეხებს შორის დიდი განსხვავება შეინიშნება. არიან გლეხები, რომელთაც სრული საკომლო უჭირავთ და გლეხები, რომელნიც ამაზე ნაკლებს ფლობენ. როგორც დოკუმენტური წყაროები მოწმობენ, მათი საგადასახადო მდგომარეობაც ამის და მიხედვით განსხვავებულია. ამას გარდა, მკვიდრ გლეხებს შორის განირჩევიან, ერთი მხრივ, დაბეგრილი და, მეორე მხრივ, ძირითადი გადასახადებისაგან განთავისუფლებული გლეხები, თარხანი გლეხები, სავსებით თავისუფალნი გადასახადებისაგან, ანდა მსუბუქად დაბეგრილნი. მკვიდრ გლეხთა კატეგორიაში გამოირჩევიან და თარხან გლეხებს რამოდენადმე ენათესავენთან მდგომარეობით მსახურები. ეს ისეთი გლეხებია, რომელთა ძირითად მოვალეობას ბატონის კარზე საპატიო სამსახური შეადგენს. იმავე მკვიდრ გლეხებს შორის გამოირჩევიან ეკონომიურად სუსტნი, ხშირად გადასახადს უნარმოკლებული გლეხები, რომელნიც წყაროებში, ყმათა ნუსხებში ზოგჯერ „შეთქლებელ“ გლეხთა სახელს ატარებენ, ხოლო ზოგან ბოგანოების სახელით არიან მოხსენებულნი.

მკვიდრ გლეხს მეკვიდრეობით უჭირავს თავისი ბატონისაგან ნაწყალობევი მამული, რისთვისაც უხდის მას გარკვეულ გადასახადს. გარდა ამ მიწისა მას შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი, ნასყიდი მიწაც, რომელიც, ჩვეულებრივ, თავისუფალია ხოლმე გადასახადისაგან, თუმცა ბატონი ცდილობს ამასაც დაადოს ხელი. მკვიდრ გლეხს უფლება არა აქვს თავისი ნებით წავიდეს ბატონისაგან. ის ბატონთან მკვიდრო, ყმურ დამოკიდებულებაშია. ამ დამოკიდებულების ნივთიერ გამოხატულებას წარმოადგენს გადასახადების ერთი

წყება. ბატონს უფლება აქვს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეძებოს მისგან უნებართვოდ წასული ყმა და თუ სადმე დაახვლა, უკან დააბრუნოს. ბატონს უფლება აქვს გაყიდოს, გაასახუქროს, გაამზიფოს, დააგირაოს თავისი გლეხი, ოღონდ ეს უნდა მოხდეს ამ გლეხის მამულისაგან მოუშორებლად, მის მამულთან ერთად. მკვიდრი ყმა-გლეხის უმამულოდ გაყიდვა მოცემულ ხანაში, მართალია, ხდება, მაგრამ არსებული იურიდიული ნორმის დარღვევას წარმოადგენს. გლეხს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს იჩივლოს, სამართალი ეძიოს.

ამრიგად, მკვიდრი გლეხების შიგნით შესაძლებელია შემდეგი კატეგორიების გამოყოფა: 1. თარხანი, 2. მსახური, 3. მებეგერ და 4. ბოგანო.

წინამდებარე წერილში ჩვენ მიზნად ვერ დავისახეთ თითოეული ამ კატეგორიის ამომწურავი და დეტალური დანახათება. ამის საშუალებას არც წერილის მოცულობა იძლევა და, რაც მთავარია, კვლევის გაღრმავებაც არის საჭირო-შევეხებით მხოლოდ მათ ძირითად თვისებებს.

თარხანი. თარხანი ანუ ახატი გლეხი ეწოდებოდა ძირითადად საბატონო გადასახადებისაგან განთავისუფლებულ გლეხს⁵. გლეხის გათარხნების შემთხვევაში, როგორც ეს ვახტანგის კანონებშიც არის საგანგებოდ აღნიშნული, ბატონი უწერდა ხოლმე გლეხს სითარხნის წიგნს, სადაც აცხადებდა, თუ რა გადასახადებისაგან ათავისუფლებდა მას, უტოვებდა თუ არა რაიმე ვალდებულებას და თუ უტოვებდა—სახელდობრ, რა სახისას. ბატონი თავის ყმა-გლეხს ჩვეულებრივ ათარხნებდა ხოლმე მის წინაშე რაიმე დამსახურების გამო, ან კიდევ მაშინ, როდესაც მას სააღაბედ გამოჰყოფდა, ე. ი. თავისი სულის სამსახურს დააქისრებდა.

იესე ამილახვარმა თავის „ერთგულსა და წესისაებრ ნამსახურ ყმას გეთაშვილს გაბრიელს“ სითარხნის ასეთი წიგნი მისცა: „მოხველ და დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა თქვენი და რომელიც მამა-პაპის სამკვიდრო მამული ანუ ვენახი გაქვსთ, იმისი ღალა და არა კულუხი არ გეთხოვებოდეს და იუუ ვინმემ თქვენს მიწაში მოქნას. ღალა თქვენ აიღევით და ხელახლა თბილელაშვილის ვენახიც გვიბოძებია თავის ნიგვზნართ, რადგან ცხვილოს ციხეში ბიძა შენი დემეტრე ჩვენს სამსახურში მოკვდა, იმის სამუქვოდ და სხვარიგადაც სამსახურისათვის ჩვენც ეს წყალობა გიყავით და ღალა და კულუხიც გაპატივეთ ნაბოძების ვენახისაცა და არცა რაც არ გაგიღია სხვა გამოსაღები მოგემატოს, სამოურაოს გარდა“⁶.

როგორც ამას ეს სითარხნის წიგნი გვიჩვენებს, ამილახვარი ათავისუფლებს ყმას მისი ძირითადი გადასახადებისაგან—ღალა კულუხისა და ბეგრისაგან, რომელიც მიწის ჰერასთან იყო დაკავშირებული.

კონსტანტინე მუხრან-ბატონი სითარხნის ასეთ წიგნს აძლევს თავის ყმას ხიზანა ხიზანაშვილს: „ასე რომ მჰჰადისჯვარს ლეკისჯარი შემოადგა და შენ იმ ციხისა შესვლა-გამოსვლაში მრავალგვარად ვისარჯე და გვემსახურე. რაც გიბძანეთ, ჩვენი სამსახური ათავე. ჩვენც შენი სამსახური მივიჩინეთ და მაგი-

⁵ დ. გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. თბ., 1955, გვ. 196; გ. ჯამბუგია, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1955, გვ. 123.

⁶ ს. ს. ფ. Hd № 2114.

⁷ ს. ს. ფ. Hd № 2601.

⁸ სსმ, ფ. Hd № 1365.

ერი ესე წყალობა გიყავით, რომ გაგათარხნეთ. სათარხნის წიგნი გიბოძეთ, შენგან ჩვენ სათხოვარი არ გეთხოვებოდეს არა ყულუხი, არა ღალა, ერთი ლაშქარნადირობის მეტი. როგორც სხვა თარხანი კაცნი გვემსახუროს, შენც იმ რიგად გვემსახუროთ⁷. როგორც ამ უკანასკნელი სიტყვებიდან ჩანს აშკარად, თარხნებსაც თავიანთი სამსახური ადევთ-საფიქრებელია, რომ ეს სწორედ იმ ხასიათის სამსახურია, რომელიც პირადი დამოკიდებულებისაგან გამომდინარეობდა. საყაფლანიშვილოს ყმების ნუსხაში თარხან გლეხებს ადევთ მხოლოდ სამასპინძლო გადასახადი, რომელიც პირადი დამოკიდებულების გადასახადი იყო⁸.

ხდებოდა ისეც, რომ გლეხს მოუშლიდნენ სითარხნეს და ის ისევე მეტეგრე გლეხთა რიცხვში გადადიოდა⁹. თარხნებს შორის, ცხადია, ეკონომიური სიჭრელე არსებობდა. ეს სხვაობა ზემოთხსენებულ ყაფლანიანთ ნუსხაში ჩანს. აქ თარხანი გლეხები დანაწილებული არიან ისეთებად, რომელნიც მთელ საკომლოს ფლობენ და ისეთებად, რომელთაც ამაზე ნაკლები უჭირავთ. ამის და მიხედვით არიან ისინი დაბეგრინიცი¹⁰.

მს ახ უ რ ი. გლეხთა ფენის შედარებით პრივილეგირებულ ნაწილს თარხან გლეხებთან ერთად მსახურები შეადგენდნენ. მსახურიც, ისევე როგორც თარხანი, ძირითად საგლეხო გადასახადისაგან განთავისუფლებული ყმა იყო, ოღონდ თარხანი გლეხისაგან განსხვავებით მას ბატონის მიმართ სრულიად გარკვეული ვალდებულება ედო—საპატიო სამსახური ბატონის კარზე, ბატონის ხლება.

მამუკა ერისთავის-შვილი წყალობის ასეთ წიგნს აძლევს თავის ყმას ბერს ცქიმიანურს: „სითარხნის წყალობას გვიაჩენით. ვისმინეთ აჯა თქვენი, ვიკითხეთ, ძველთგანვე არა გამოსაღები არა გდებოდათრა, არაფერი სათხოვარი ერთის მსახურობის მეტი. ახლა ჩვენც ეს წყალობა გვიქნია და გაგვითარხნებია: არა გეთხოვებოდესრა არა გამოსაღები, არაფერი, ერთის მსახურობის მეტი“¹¹. ამრიგად, როგორც ეს საბუთი მოწმობს, მსახური ზოგჯერ ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლებულია. მას მხოლოდ „მსახურობა“ ევალდება. თუ რა შინაარსია ჩაღებული ამ „მსახურობაში“, კარგად ჩანს შემდეგი საბუთიდან: ანასტასია ბატონიშვილი ათარხნებს თავის ყმებს ვალიშვილებს და ეს უკანასკნელნი მას ასეთ პირობას უდებენ: „როგორც მსახურობის რიგი არის, როდესაც დაგვიბარონ, უნდა დაუყონებლად გიახლოთ სულ ერთობლივ და საცა გნებავდეს, დასაჭერად, თუ ასაკლებად და სადაც თქვენი ნება იყოს, მაშინვე დაუყოვნებლად თქვენი სამსახური და ხეჭიფისა აღვასრულოთ. თუ ეს პირობა არ შევასრულოთ, თქვენ სითარხნე მოგვიშალოთ და გარდაგვანდევინოთ“¹². მამასა-დამე, „მსახურობის რიგი“ არის ბატონის ხლება მისი დაძახებისთანავე. ბატონი მსახურებს გამოიყენებს, როგორც თავის რაზმს, სამხედრო ძალას, იქნება ეს ურჩი ყმების წინააღმდეგ, მათი დარბევა-აკლება თუ შეპყრობა, ანდა სხვა მისთანა. მსახური ვალდებულია აასრულოს ბატონის ერთდროული დავალებები, რაც მის გაგზავნა-გამოგზავნაში მდგომარეობს და სხვა ასეთი. ს. ავალიანი თავის გამოკვლევაში „Крестьянский вопрос в Закавказье“ მსახურთა შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „Они состояли при царях, князьях, церкви, дво-

⁷ გ. ჯამბურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124.

¹⁰ სსმ ფ. Hd № 1365; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 124; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

¹¹ სსმ. ფ. Qd № 1466.

¹² სსმ, ფ. Qd № 4461.

рянах, исполняли домашние услуги, назначались в придворной администрации, выступали в качестве воинов, служили телохранителями¹³.

ამასვე აღნიშნავს თითქო თავის წიგნში დავით გვრიტიშვილიც: „არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ მსახურთა სახით თავადებს ჰყავდათ შეიარაღებული ამაღა, რომელსაც იყენებდნენ როგორც ურჩი ყმების დასასჯელად, ისე მეზობელი ფეოდალებიდან საკონფლიქტო საკითხების ძალით გადაჭრისათვის¹⁴.

ზოგიერთი საბუთი ცხადყოფს, რომ გლებს, რომლის ვალდებულებასაც „მსახურობა“ შეადგენს, ამასთანავე ძღვენის მიტანაც აკისრია ხოლმე. რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩიაშვილისადმი მიცემულ სითარხნის წიგნში სწერია: „გაგათარხნეთ და წყალობა გიყავით... არაფერი ღუთის განაჩენი ხორცა-ელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი“¹⁵.

ქვემოთ მოგვყავს საბუთი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ მსახური თითქოს სახელმწიფო გადასახადისგანაც თავისუფლდებოდა: „ბატონის დისწული“ მარიამი ჩივის გიორგი XII-სთან: „თქვენის მამისაგან განწესებული ენისლიდან ორი მსახური მყავდა. ახლა ის ხარჯში ჩაუგდიათ ის ორი კაცი. იმათ რომ ხარჯი გამოერთოს, ჩემთან როდიღა დასდგებიან. აქამდისინ იმათ ხარჯი არ გამოერთმევიათ. ამ წყალობას ვითხოვ, რომ აღარ გამოართვან ხარჯი. ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ აღარ შემიწუხონ ის კაცი და ჩემიდან არ გავიდნენ“. მეფეც ასეთ ბრძანებას იძლევა: „ჩვენი ბრძანება არის, ვინც ჩვენი მოსაქმენი ენისელში მიხვიდოდეთ, ამ ჩვენს მამიდაშვილს რომ ორი მსახური ახლავს, იმისის მსახურებს ხარჯსა, გამოსაღებში ნუ გარევთ და ნურცარას გამოართმევთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება, იცოდეთ“¹⁶.

ზემოაღნიშნულ აზრს მხარს უჭერს სხვა საბუთებიც. რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩიაშვილისადმი მოცემულ სითარხნის წიგნში წერია: „გაგათარხნეთ და წყალობა გიყავით: არა ჩვენი, არა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი, არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხენა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზეარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი“¹⁷.

აღსანიშნავია, რომ ბატონის ხლება და ზოგჯერ ძღვენიც აზნაურთა ვალდებულებასაც შეადგენს ხოლმე. ამიტომაც, რომ მსახური თავისი ვალდებულებებით აზნაურს ემსგავსება. ოღონდ მსახურსა და აზნაურს შორის ის არსებითი განსხვავებაა რომ მსახური უშუალო მწარმოებელია, აზნაური კი არა. აზნაურს ყმები ჰყავს.

ბ ო გ ა ნ ო. ბოგანო ისეთი ყმა-გლებია, რომელიც თავისი ეკონომიური შესაძლებლობის მხრივ ყველაზე დაბლა დგას მკვიდრ გლებებს შორის და მოკლებულია ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალებას.

საინტერესოა, რომ სამართლის წიგნში ბოგანოს შესახებ საუბარია არა იქ, სადაც გლების რაიმე სოციალური ხასიათის ნიშნებზე, მის უფლებრივ მდგომარეობაზე მიუთითებენ, არამედ საფეოდალო სახლის გაყრასა და

¹³ С. Авалиани „Крестьянский вопрос в Закавказье“, т. 1, стр. 61.
¹⁴ დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 188.
¹⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები . . . , წ. I, გვ. 20.
¹⁶ სსმ, ფ. Qd № 566.
¹⁷ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები . . . , წ. I, გვ. 20.

სასახლო ყმა-მამულის განაწილებასთან დაკავშირებით. ყმა-მამულის სახლის წევრებს შორის განაწილებისას დგებოდა სწორედ გლეხის ეკონომიური შესაძლებლობის საკითხი, რათა მეტ-ნაკლებობა არ მომხდარიყო განაწილების დროს. სამართალი ადგენს, რომ ბოგანოები, ანუ ის გლეხები, რომელნიც თავიანთი დაბალი ეკონომიური შეძლებით გამოირჩევიან გლეხთა საერთო მასიდან, ცალკე განაწილდნენ. აქვე, ამ კანონს დართული აქვს ბოგანოს მნიშვნელობის განმარტებაც: „ბოგანო იმას ქვიან, რომე ვენაკი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა“. მუხლისათვის საგანგებოდ დართული შენიშვნა ბოგანოს მნიშვნელობის განსამარტავად, იმის მაჩვენებელია, ჩვენის აზრით, რომ ამ დროს ზუსტად დადგენილი თითქოს არა ჩანს, თუ რომელი გლეხი უნდა ჩაითვალოს ბოგანოდ და რომელი არა და რომ ზშირად ასეთი დახარისხება ნებისმიერი, მიახლოვებითი იყო ხოლმე. ამას მოწმობს მეორე, დამატებითი შენიშვნაც აქვე დართული: „ვენაკის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“. ჩანს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბოგანოდ ჩაუთვლიათ ისეთი გლეხიც, რომელიც ნაკლებად ფლობდა მიწას, თუმცა ვენახი კი ჰქონდა. ვახტანგის სამართალში, ამრიგად, არის ცდა მოიძებნოს ის ძირითადი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ბოგანოს შინაარსსა და ეს ნიშანი აშკარად ეკონომიური ხასიათისაა.

ის გარემოება, რომ თანახმად ვახტანგისეული განმარტებისა, ბოგანოს თავისი საკუთარი სახლ-კარი და რჩომის ალაგი აქვს, იმის მომასწავებელია, რომ იგი მკვიდრი გლეხია¹⁸, მაგრამ, ამასთანავე, მოკლებულია ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალებას, არა აქვს ვენახი, ხოლო სახნავი მიწა თუ აქვს, უნდა ვიგულისხმოთ, არასაკმარისი. ისმის კითხვა, მაშ რით საზრდოობს ამგვარი გლეხი, რომელსაც არც ვენახი აქვს და ზშირად არც საკმარის რაოდენობის სახნავი მიწა. ვფიქრობთ, რომ იგი სწორედ ისეთ გლეხთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მიმართავენ მიწების საღლეად აღებას (მიწების დამუშავების ეს უკანასკნელი სახეობა მეტად გავრცელებულია მოცემული დროის საქართველოში), ანდა ქირაზე მუშაობენ სხვის მამულში (ესეც დადასტურებულია ამ დროის საბუთებში) და ეს არის ამ გლეხთა ძირითადი საარსებო წყარო. ეს გარემოება XIX საუკუნის დამდეგის რუსულ კამერალურ აღწერილობებში ასე არის ხოლმე გამოთქმული ამა თუ იმ გლეხის შესახებ — „подневной работой снискивает себе пропитание“.

რამდენადაც ბოგანოს არა აქვს ვენახი და სახნავი მიწის ნაკლებობასაც გაწიციდის, ძირითად საბატონო გადასახადებსაც, დალა-კულუხს, საფიქრებელია, არ იხდის. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა მხრივ შეძლებისდაგვარად ემსახურება ბატონს. ზოგჯერ ბოგანო სახელმწიფო გადასახადისა და ლაშქრობაში

¹⁸ ასეთსავეჯაზრს გამოთქვამს ა. ფანცხავა: „Он (богано-г. а.) имел там (в деревне дом и небольшой участок (алаги), который, однако, не обеспечивал пропитание его семьи на целый год. Богано вынужден был наниматься к соседям на домашние и полевые работы; получая за свой труд большею частью натурой, он залезал в долги и попадал в полную кабалу“. (А. П а н ц х а в а, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, 1957, 29).

¹⁹ გ. ჯ ა მ ბ თ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 123; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

²⁰ ბ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები . . . , წ. I, № 256; სმ, ფ № 6700,

მონაწილეობის ვალდებულიც იყო¹⁹. აღსანიშნავია, მხოლოდ, რომ ბოგანოები შეიარაღებით გამოირჩეოდნენ ხოლმე სხვებისაგან და ჩვეულებრივ ქვეით ლაშქარში შედიოდნენ. სახელმწიფო გადასახადსაც იმ რაოდენობით არ იხდიან, როგორც ეს მეკომურ გლეხებს ეთხოვებათ. ეს კარგად ჩანს დავით ყორჩიბაშიშვილის ყმის ნინია ვაშაქაშვილის არზაზე მიწერილ ერთკვლე მეფის ოქმიდან: ნინია ჩივის, რომ იგი, უმამულო კაცი „მეკომურებთან ჩააგდეს“ და მათთან თანასწორად „აწვევინებენ გამოსაღებს“. ამ არზას ასეთი ოქმი ადევს: „ჩვენი ბრძანება არის, მერმე ამ აზრით რომ მოუხსენებიათ, რადგან ესენი უმამულონი არიან, რასაც კახეთში სხვათ მეშვეილრე ბოგანოს ეთხოვებოდეს, ამათაც ასე უნდა ეთხო(ო)ს. მამულიანს კაცთან ამათ ხარჯი არ გამოერთმევათ. ვინც ჩვენი მოხელენი იყვნენ, ასე იცოდეთ“²¹.

ბოგანოთა წარმოშობის შესახებ გამოთქმულია სრულიად სამართლიანი მოსაზრება (რომელიც ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილს), რომ თავდაპირველად ბოგანო ისეთი გლეხი იყო, რომელაც ღარიბობაში იმყოფებოდა, ერთი ბატონისაგან მეორესთან გადადიოდა, ხიზნობდა და ცხადია, ინტენსიურ მეურნეობას მოკლებული იყო. ხოლო უფრო გვიან ეს სახელი—ბოგანო შეერქვა მკვიდრ გლეხსაც, რომელსაც ასევე არ გააჩნდა ინტენსიური მეურნეობა. ბატონთან დროებით მდგომ, მოხეტიალე გლეხს კი ბოგანოსაგან განსხვავებით ხიზანი შერჩა²².

მ ე ბ გ რ ე გ ლ ე ხ ე ბ ი. მკვიდრი ყმა-გლეხების ძირითად მასას მებეგრე გლეხები შეადგენენ. ესენი არიან ის გლეხები, რომელთა ძალებითაც ამუშავებს, ძირითადად. მემამულე თავის მიწებს, ისინი, რომელნიც ბატონის მამულში ინტენსიურ მეურნეობას ეწევიან და თავიანთი მოსავლის გარკვეულ ნაწილს ბატონს აძლევენ—ღალას სახნავი მიწიდან და კულუხს ვენახიდან. ეს ის გლეხები არიან, რომელნიც გარდა მიწაზე დადებული გადასახადისა და მრავალი სამუშაოებისა, რომელსაც ბატონის მიწაზე ასრულებენ, ბატონს, წელიწადში რამდენჯერმე, ღლესასწაულებთან და სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, ძღვენს მოართმევენ და, საერთოდ, ყოველნაირად ემსახურებიან მას. და ბოლოს, ეს გლეხთა ის ძირითადი მასაა, რომელთა სამუშაოებითაც ფეოდალი ასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე, მონაწილეობს ლაშქრობაში და უხდის სახელმწიფო გადასახადს. ასე მრავალმხრივია მებეგრე ყმა-გლეხების სამსახური. ცხადია, ამათ შორისაც სხვაობა და დიდი სიჭრელე არსებობს ბეგარა-გადასახადების მოცულობასა თუ ეკონომიური უზრუნველყოფის მხრივ, მაგრამ ძირითადად ისინი ყველა იმ ვალდებულებათა აღმსრულებელნი არიან, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ.

ნ ე ბ ი თ მ ო ს უ ლ ი (ანუ „წყალობის ყმა“). გლეხთა განსაზღვრულ ჯგუფს ქმნიან ნებით მოსული გლეხები, რამდენადაც ისინი განსხვავებულ უფლებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ბატონთან.

როგორც ამას თვითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, ნებით მოსული ყმა ისეთი ყმაა, რომელიც თავის ნებით ეყმო ბატონს, თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე. ასეთი რიგის ყმობა სხვადასხვა პირობით შეიძლებოდა მომხდ-

¹⁹ სცია. ფ. 1450, დავთ. 52, საბ. № 54.

²² გ. ჯ ა მ ბ შ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 122—123; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

რიყო. შეთანხმება შეიძლებოდა ყოფილიყო ზნეობითი სიტყვიერი ან კიდევ საბუთით გაფორმებული. ამისდამხედვეთ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ნებიერი ყმები და გლეხთა ამ ჯგუფის შიგნით შესაძლებელია ცალკე კატეგორიების გამოყოფა. ვახტანგის სამართალში (§ 260) ნათქვამია: „თუ ...წავა ,,თავდასხნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა და მამულს გამოართომს და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე ,,როგორც სხვა შენი მკვიდრი ყმა გვეყვანდესო, მეც ისრე მკვიდრად გყმობივარო“, წიგნი გაუსინჯეთ და როგორც პირობა და წიგნი აქვს, იმ რიგად აყმევით. და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუცია, ადვილად ვეღარ წაუთა. თუ ისრე უწიგნოთ და უპირობოდ წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მოუცია და თავი სამკვიდროთ ყმათ, ამრიგად მოსული, როლისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, კელი არა აქვს“²³.

ამ მუხლში გარჩეულია ნებით ყმად მოსვლის სამი სხვადასხვა შემთხვევა: 1. ნებით მისვლა მკვიდრად, ბატონყმობის წიგნის გაფორმებით. 2. ნებით მისვლა სხვა პირობით, ასევე წიგნით გაფორმებული, 3. ნებით მისვლა ყოველგვარი პირობის გარეშე, უწიგნოდ. ამრიგად, როგორც აქედან ჩანს, ნებით მოსულ ყმასა და ბატონს შორის დადებული საბატონყმო შეთანხმება შეიძლება სხვადასხვა პირობებს ემყარებოდეს, რაც განსაზღვრავს ყმის უფლებრივ მდგომარეობას. საბუთები სრული სიზუსტით ადასტურებენ ამ წესს.

ბატონყმობის პირობის წიგნში შეიძლება იყოს ნათქვამი, რომ ყმა მკვიდრად მიუვიდა ბატონს, ე. ი. იმავე უფლებებით, როგორც აქვს მკვიდრ ყმას და მაშინ ასეთი ყმა, მართლაც, თითქოს არაფრით აღარ განსხვავდება უფლებრივად მკვიდრი ყმისაგან. მაგრამ ნებით მოსულ ყმას და მებატონეს შორის დადებული ბატონყმობის წიგნი შეიძლება სხვაგვარ ურთიერთობასაც ითვალისწინებდეს, ისეთ შეთანხმებას, სადაც ნებით მოსული გლეხის, როგორც დროებით ყმის მდგომარეობა და ნებიერობა არის გახაზული. აი, ერთ-ერთი ასეთი წიგნი. ქუთურა მაისურაძე აზნაურ ბეყან ნამორაძისადმი მოცემულ ბატონყმობის წიგნში წერს: „მოვედი და გვეყმანათ.. ვინცოხაა არის, ჩვენს ქვეყანაში წასვლა მოგვიხდეს, რაც დანახარჯი ძველობაში სულადი მოგვეცეს, ისევ მოგართვათ და ჩვენს ქვეყანაში წასვლა არ დაგვიშალო და ან რაც ჩვენს თაობაზედ დაგხარჯოდეს, ისევ სრულებით მოგართვათ“²⁴. აქვე ჩამოთვლილია ის ვალდებულებანი, რომელსაც ეს ყმა კისრულობს. ამგვარი წესით ნებით მოსული ყმა სრულიად განსაკუთრებულ პირობებშია მოქცეული: მას აქვს საბუთით დადასტურებული უფლება ბატონისაგან თავისუფალი წასვლისა; მისი ბეგარა--გადასახადები ბატონთან ურთიერთშეთანხმებას ემყარება; აქედან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს ის, რომ ამგვარი ყმის ვასხვისების უფლება ბატონს არ აქვს. ეს გარემოება კარგად მტკიცდება სათანადო საბუთებითაც. ქალაქში მოსახლე ფეიქრის ოპანეზა ბაღდასაროვის მიერ 1808 წელს საქართველოს მმართველის ფ. ანვერდოვისადმი მიცემული არზა მოგვითხრობს შემდეგს: თუმანიშვილმა, სულხან მდიენის მამამ, ოპანეზა ჯავახეთიდან გადმოიყვანა და როგორც ოპანეზა წერს, „მიკედლების წერილი“ მისცა, ე. ი. მათი ბატონყმური ურთიერთობა წერილობით გააფორმა. ოპანეზამ თავს იღო ვალდებულება წელიწადში 6

²³ ვახტან VI, სამართლის წიგნი, თ. ვნუქიძის რედ. თბ., 1955, გვ. 117.

²⁴ სცია, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. № 351.

აბაზი მიერთებია ბატონისათვის. სულხან მდივნის მამა გარდაიცვალა. სულხან-მა კი ეს ყმა თავის სახლისკაცს, ზურაბისშვილს მისცა სათანადო წიგნით. ასეთი თავისუფალი მოპყრობა ამ ყმამ იუკადრისა, რისი უფლებაც, ჩანს, გააჩნდა. ამათ „რომ დამიწყეს გლეჯა, წერს ეს ყმა თავის არზაში, მე თავი არ დაუდე ყმობითა“-ო. თავისი პროტესტი ოპანენამ იმით დაასაბუთა, რომ სულხანის მამის მიერ მოცემული ბატონყმობის წიგნი წარმოადგინა- სულხან მდივანი იძულებული იყო უკან დაეხია, განუცხადა თავის სახლისკაცს, რომ „არ ვიცოდე თუ ანა ხელწერილი აქვს მამის ჩემისაგან მიცემული და ამისათვის შენ ბარათი მოგეცი, რომ შენ იმსახურო. ამ წერილის მიხედვით თქვენ საქმე აღარა გაქვთო“. ოპანენას წიგნი სულხან მდივანმა პოლიციაში წარადგინა და ოპანენა ისევ სულხან მდივანთან დარჩა. თავის არზაში ოპანენა ჩივის იმის გამო, რომ ზურაბისშვილმა ამის შემდეგ ის დაარბია, ზუთი მინალთუნის ქვაბი გაატანა და აიძულეს მას ემსახუროს“²⁵.

ის გარემოება, რომ აღნიშნული ბატონყმობის წიგნი მხედველობაში იქნა მიღებული, როგორც თვითონ ბატონის, ისე ოფიციალური ხელისუფლების მიერ, როდესაც ყმის გასხვისების საკითხი დადგა, მოწმობს იმას, რომ ამგვარი პირობის ანუ ხელშეკრულების ხასიათის მქონე ბატონყმობის წიგნის საფუძველზე საბატონყმო ურთიერთობაში მოქცეული ყმა განსაკუთრებული უფლებებით და უპირატესობით სარგებლობს გლახთა ძირითად კატეგორიასთან შედარებით. მისი გასხვისება ასე ადვილად არ შეიძლება.

ნებით მოსული ყმის მდგომარეობის სხვა გლახთა მდგომარეობისაგან განსხვავებულობის მოწმობაა შემდეგი საინტერესო საბუთიც—ნასყიდობის წიგნი ლუარსაბ ცალქალამანიძისა ოთარ თუმანიშვილისადმი მიცემული. აზნაურმა ლუარსაბ ცალქალამანიძემ მიყიდა თუმანიშვილს თავისი ყმის ღვინიას მამული—„ღვინიას სახლი, კარი, ვენახი, ნაფუზარი, სამი ქვეით ნაფუზარი, ერთი ჩენი ნაწყალობევი მინდვრის მიწა ბასილური თავის წილით სასაფლაოთ, ტყითა, გზითა, ეკლესი(ო)თა“. ეს მამული ცალქალამანიძისა იყო, მისგან ქონდა მიცემული ღვინიას და უფლება ქონდა გაეყიდა. ღვინიას კი ის ვერ გაყიდიდა, ვინაიდან იგი, როგორც ქვემოთ ნათქვამია საბუთში, მისი სამკვიდრო ყმა კი არა, არამედ მოსული ყმა იყო. მაგრამ ჩანს, ღვინია თანახმა იყო თავის მამულს გაჰყოლოდა და ბატონი გამოეცვალა, ოღონდ, ცხადია, იმ პირობით, თუ მისი მდგომარეობა, როგორც მოსული ყმისა, არ შეიცვლებოდა. ამიტომაც საბუთში ნათქვამია: „აქ რომე ღვინია სახლობს როგორათაც ჩემთან მოსული ყმა იყო, იმ რიგით თქვენი ყმა იყოს და თქვენ გემსახუროს, ჩვენ ხელი აღარა გექონდეს ამ კაცთანა“²⁶. არსებითად ეს იყო ამ ყმის გაყიდვა, მაგრამ, რამდენადაც მოსული ყმის გაყიდვა არ შეიძლებოდა, ამ აქტის გაფორმებასაც თავისებური ხასიათი მიეცა.

ბუნებრივია ისიც, რომ ბატონის გაყრისა და მისი ყმა-მამულის გაყოფის დროს ნებიერი ყმის წილში ჩადგება არა ხდებოდა²⁷. ვასაყოფ წილში ყმის ჩაგ-

²⁵ სსმ. ფ. Hd № 13809.

²⁶ სსმ. ფ. Ad № 1493.

²⁷ 1956 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის მაკეტში ამის შესახებ ნათქვამია: „მებატონეთა ოჯახის გაყოფისას მისი წევრები ნებიერ ყმებს არ იყოფდნენ“ (გვ. 259).



დება და გაყოფა, ამ ყმის გამკვიდრებას უდრიდა. ამ ფაქტს შესანიშნავად მოწმობს წყალობის წიგნი მარიამ დედოფლის მიერ თაყა ბარათაშვილისადმი მიცემული. მარიამ დედოფალი წერს: „ერთი კუმელა გლეხი მემკვიდრე ზეელი როვანე და მისი ძმები ჭუნენია და აღდგომელი დიდის მეფის სიმონის ქაშში ზი(ი)დაღმა აყრილიყუნენ და თქუნეს ალაგში ხრამს ანდრიას მოსულიყვენ და იქ დაგასახლებოდენ და თქუნენი ყმანი შექნილიყუნენ. მას დღეს აქათ არა ხორციელი კაცი არ შემოგცილებოდა. თქუნენ რომ თქუნეს ბიძაშვილს ზა(ა)ლს გაპყროდით, ის კაცი ასრე დამკუთიდრებული იყო, რომ წილში ჩავარდნილიყო და ბარათით კიდევ თქუნენვე გრგებოდა. შებეზლებითა ამ კაცსა ყვარიშვილი შემოსცილებოდა. მოკითხული ვქენით და არას ემართლებოდა. წყალობა უყავით და ისრევე ეს კაცები მათის მამებითა თაყასა და ღურმიშხანისათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად“²⁸. მაშასადამე, ვინაიდან ეს მოსული კაცი „ასე დამკუთიდრებული იყო, რომ წილში ჩავარდნილიყო“, იგი უკვე სამართლით თაყა ბარათაშვილს ეკუთვნის, მისი უცილობელი ყმაა.

ნებით მოსულ ყმას საბუთებშიც და სამართლის წიგნშიც ზოგჯერ წყალობის ყმაც ეწოდებოდა. ვინაიდან ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენის აზრით, არასწორად არის გაგებული ამ ტერმინის მნიშვნელობა, საჭიროდ მივიჩინეთ შევჩერდეთ მის განმარტებაზე. ა. ხახანაშვილს „წყალობის ყმა“ ვაგებული ჰქონდა როგორც ნაწყალობევი ყმა, ე. ი. სენიორის მიერ თავის ვასალისათვის წყალობის სახით ბოძებული ყმა. ნაბოძებსა და წყალობის ყმას იგი სინონიმებად ხმარობს²⁹. ასევე ესმის ამ ტერმინის მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილსაც. ქართული სამართლის ისტორიაში ის სწერს: „ყმათა განსაკუთრებულ ჯგუფს ნაწყალობევი ყმები შეადგენდნენ. მათ შემდგომში, მაგალითად, ვახტანგ VI დროს „წყალობის ყმათა“ სახელი ეწოდებოდა“³⁰. ასეთსავე განმარტებას იძლევა ა. ფანცხავაც³¹.

როგორც ვახტანგის სამართალში, ისე ამ ხანის დოკუმენტებში „წყალობის ყმა“ ბატონთან თავის ნებით ყმად მისულ კაცს აღნიშნავს. ვახტანგის სამართალში წყალობის ყმა ორჯერ არის ნახსენები. 248-ე პარაგრაფში წერია: „ქ. ვისაც ყმა ამოუარდეს, ნასყიდი თუ იყოს, მისი საქონელი ბატონს უფრო ეპყლყვის. თუ ცოლი და ქალი დარჩება, სამკდროთი და შესანახავით შეიჯეროს. თუ ან წყალობის ყმა ან პატრონის მინაცემი, იმის ცოლსა და ქალს უფრო ცოტა რამ გამოერთმის“. მოტანილი ციტატიდანაც უკვე შეიმჩნევა, რომ „წყალობის ყმა“ სხვაა და „პატრონის მინაცემი“ ანუ ნაწყალობევი სხვა, რამდენადაც ისინი ერთიმეორისაგან გარჩევით არიან დასახელებული. მაგრამ კიდევ

²⁸ სსმ. ფ. Hd 9884.

²⁹ ა. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში, 1910. ქუთაისი, გვ. 26; ასევე არასწორად გადმოსცემს ამ ტერმინის მნიშვნელობას ქართული საბუთების რუსულ თარგმანში დ. ფურცელაძე. ის ასე თარგმნის—„пожалованные крестьяне“ და ფრჩხილებში მიუწერს დედნის სიტყვებს—„წყალობის ყმა“. Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты . . . Тфл., 1882.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, 1928, თბ., გვ. 75.

³¹ ა. ფანცხავა, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

უფრო ნათლად „წყალობის ყმის“ შინაარსი ჩანს 260-ე პარაგრაფში, სადაც საუბარია ნებით მოსული ყმის შესახებ. აქ ნათქვამია: თუ წავა „თავდაქსნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა და მამულს გამოართომს და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე „როგორც სხვა შენი მკვიდრი ყმა გეყანდესო, მეც ისრე მკვიდრად გეყმობივარო“, წიგნი გაუსინჯეთ და როგორც პირობა და წიგნი აქვს, იმ რიგად აყმევით. და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუტცია, ადვილად ვედარ წაუა. თუ ისრე უწიგნოდ და უპირობოდ წყალობის ყმად მისცელია, რადგან წიგნი არ მიუტცია და თავი სამკვიდროთ ყმათ, ამრიგად მოსული, როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, ქელი არა აქვს“³². ვფიქრობთ, ამ მუხლის შინაარსი არ ტოვებს ეჭვს, რომ აქ ე. წ. ნაწყალობევე ანუ ნაბოძებ ყმაზე კი არ არის საუბარი, არამედ ბატონთან ნებით მოსულზე. ერთი პატარა შენიშვნა უნდა დავუერთოთ ამ მუხლს. ამ მუხლის ბოლო სიტყვები ისე არ უნდა იქნეს გაგებულო, თითქოს წყალობის ყმა სწორედ ისეთი ყმაა, რომელიც უწიგნოდ და უპირობოდ ეყმობა ბატონს. წყალობის ყმა ნებით მოსული ყმის საერთო, ზოგადი ანუ კრებითი სახელია. არაერთი წიგნი გვაქვს, რომლითაც წყალობის ყმასა და ბატონს შორის ბატონყმობის პირობა წერილობითაც ფორმდება. ასე მაგალითად, ხელთუბნელი მიღრიჯანაანთ ბეროას-შვილი გიორგი თუმანიშვილებს მდივან სულხანს და ლაშქარნივის მანუჩარს ბატონყმობის ასეთ წიგნს აძლევს: „...მოველ ჩემის ნებაყოფლობით და საქართველოს რიგის და განწესების ძალით ნასყიდობის და თავისუფლების წიგნის ჩვენებით და ჩემი თავი სახლის ჩემის მომავლით თქვენ და სახლისა თქვენისა მომავლის წყალობის ყმათ მოგეც, რომ დღეის უკან მეცა და ჩემის შვილებიც თქვენი ყმა ვიყვენეთ, რომ არას კაცს ჩვენთან ხელი არა ჰქონდეს საბატონყმობთ თქვენს გარდა“³³. ამგვარი საბუთები, სადაც ნებით მოსული ყმა, რომელსაც თავისი ბატონის ურთიერთობა საბუთით აქვს გაფორმებული და თავს წყალობის ყმას უწოდებს, სხვაც ბევრი არსებობს. დაკმაყოფილებით მოტანილით.

ჩვენ ზემოთ საუბარი გვექონდა ისეთ ნებით მოსულ ყმაზე, რომლის ბატონთან ურთიერთდამოკიდებულება წერილობითი საბუთით იყო ხოლმე გაფორმებული. ამათ გარდა არსებობდნენ ისეთი სახის ნებით მოსული გლეხები, რომელთა ურთიერთობა მემამულესთან მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას ემყარებოდა. ასეთი გლეხის შესახებ ვახტანგის სამართალში ნათქვამია: „თუ ამავე საბატონოში ერთისა მეორეს ყმა მიუიღეს და ხანი დაყოს და არ მოიკითხოს, კელმწიფის დავთარში, ვისაც მოსვლია, იმის სახელზე ჭირის მქნელად დაიწეროს, ძალად ვედარ აუყრის; სანამდინ მეორედ არ აიწერების და სამართალს არ იშოვნის, ვერ წაართმევს. და თუ თავის ნებით სამკვიდროზე წავა, ეს ვერას შეუა, მაგრამე, რაც ამის ყმობაში მოუგია, ნახევარი საქონელი უნდა მისცეს. თუ კი-

³² ვახტანგ VI სამართლის წიგნი. 1955, გვ. 117—118.

³³ სსმ, ფ. Sd № 161.

დევ აწერაზე აქვე დარჩა და ოცდაათი წელიწადი აქვე დაყო, თავის ნებით სამ-აკვიდროზე ველარ წავა; თუ წავა, ამან ისრევე უნდა მოსცეს³⁴.

მაშასადამე, ბატონთან ნებით მოსულ ყმას უფლება აქვეს, თუ კი მოინდომებს, დასტოვოს ბატონი და ისევ თავის სამკვიდრო მამულზე წავიდეს. ოლონდ, კანონი აღგენს, რომ რაც ამ ბატონის ყმობაში მოუგია, იმ საქონლის ნახევარი უნდა მასვე დაუტოვოს. ამასთანავე აქვე განსაზღვრული ამგვარი ნებეირი მდგომარეობის ვადაც. თუ ასეთმა ყმამ ბატონთან 30 წელი დაჰყო, იგი უკვე კარგავს მისგან თავისუფალი წასვლის უფლებას. თუ წავა, ბატონს უფლება აქვეს დააბრუნოს იგი უკან.

ასეთ გლესს, რომელიც დროებით, უსაბუთოდ არის მოსული ყმად ბატონთან, ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაში ხიზანი ეწოდებოდა და ასეთი სახელწოდებით არის იგი ცნობილი აღებული ხანის საბუთებში. აქვეს მას აგრეთვე სხვა სახელწოდებაც—„მინდობილი“, „სტუმარი“, ანდა ზოგჯერ იგივეს ნიშნავს გამოთქმა „კედლად ღვამა“. ვახტანგის სამართლის წიგნში, მართალია, ტერმინი ხიზანი არა გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი იქ ასახულია. ამას ჩვენს მიერ ზემოთციტირებული 199-ე მუხლი მოწმობს. ასეთი კატეგორიის გლესზე, გარდა ამისა, 206-ე პარაგრაფშიაც არის საუბარი.

ქართული სამართლის მიხედვით, როდესაც გლესი რომელიმე მებატონეს მიუყვებოდა და მის მიწაზე დასახლებოდა, თუ კი არ ეყმობოდა და ბატონყმობის წიგნს არ დაუწერდა, თავისუფალი იყო და 30 წლის მანძილზე შეეძლო, როცა კი მოისურვებდა, აყრილიყო მიწიდან და სხვაგან წასულიყო (ვახტანგის სამართალი, § 206, 199). ეს გლესი ამ მებატონის ხიზნად ითვლებოდა. თუ ხიზანი წავიდოდა მემამულისაგან, მასთან მოგებული საქონლის ნახევარს მიწის მეპატრონეს უტოვებდა (§ 199). მაგრამ მიწის პატრონი მუდამ ცდილობდა ეკონომიური დამოკიდებულება ყმურ დამოკიდებულებაში გადაეზარდა და ზოგჯერ წარმატებასაც აღწევდა ამ მხრივ. რამდენადაც ხიზანი პირადად დამოკიდებული არ იყო მემამულისაგან, რომლის მიწაზეც იჯდა, ყოველთვის შეეძლო აყრილიყო და სხვაგან წასულიყო. ასე იყო ეს კანონით. სინამდვილეში კი ხშირად ხიზნის წასვლას მიწის პატრონი წინააღმდეგობას უწევდა, ხიზანი კი პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა ყმად არ გახდომოდა ბატონს, რომელთანაც ხიზნად იყო მისული.

ზაალ მახვილადის ქვრივი ჯავარა თავის არზაში წერს, რომ მას გაფანტვია ყმები და მათ შორის ორი ხიზანიც წასვლია: ორი კომლი ხიზანი კაცი მყავდა,—წერს ის,—ხარზისშვილი დათუა და ბარბაქაძე ბერი. რაც ჩემგან შეიძლებოდა დიდი ამაგი უყავით და დიდი ხნის არის, ჩემთანა არიან. ვებეწეები და აღარ მოდიან. ერთის ოქმის მოწყალებას ეითხოვ, ჩამოიყვანოს და დააყენოს, ღმერთი გადღვერძელებს³⁵. ასე სთხოვს იგი მეფე ერეკლეს, რომელიც თავის მხრივ სა-

³⁴ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 93, § 199. საინტერესოა, რომ XIV საუკუნის სამართლის წიგნში ასეთსავე ნებით მოსულ გლესს კიდევ უფრო მეტი თავისუფლება აქვს. ზეჟა და აღბულას სამართლის 75-ე და 7-ე მუხლების ძალით ასეთ გლესს ყოველთვის შეუძლია წავიდეს, სადაც კი მოსურვებს და თან წაიღოს თავისი საქონელი; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1933, გვ. 322-323, § 75, 77.

³⁵ სცია. ფ. 1550, დავთ. № 38, საბ. № 106.

თანადო განკარგულებას იძლევა, ე. ი. ამ ხიზნების იძულებით ჩამოყვანა ხდება სამეფო ხელისუფლების დახმარებით.

XVII—XVIII საუკუნის საბუთები³⁶, XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაწერილი ქართველ მემამულეთა მოწმობანი ხიზანათა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ³⁷ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევიან: მემამულესთან ხიზნად მისული ყმა მისგან ღებულობს მიწას, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია მემამულის შეძლებაზე და ხიზნის მიერ მიწის დამუშავების შესაძლებლობაზე. მიწაზე ახლად დასახლებული ხიზანი სახლს ანდა სხვა საქირო სამეურნეო ნაგებობას (თუ კი ასეთი რამ მას აღვიღზე არ დახვედრია) თავის ხარჯზე აშენებს. ხიზნის ვალდებულებას შეადგენს გადასახადის გაღება ღალის სახით, ასევე კულუხის გადახდა, თუ კი მას ვენახიც მიეცა და გარდა ამისა, სხვადასხვა სამუშაოების შესრულება მემამულის სასარგებლოდ. ღალის მოცულობა სხვადასხვაგვარია, ისე როგორც სხვადასხვაგვარია თავისი რაოდენობითა და ხარისხით ის მიწა, რომელიც ხიზანს ეძლევა და ჩვეულებანი ამა თუ იმ კუთხისა. ხიზანი არ იხდის სახელმწიფო გადასახადს. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მონაწილეობს საერთო სამუშაოებში სახელმწიფოს სასარგებლოდ. არ იხდის პირად დამოკიდებულებაზე დამყარებულ ისეთ გადასახადებს, როგორცაა—საქერიო, საჩექმე, შესამყრლო, საქორწილო, თავისგასამტეხლო.

ამრიგად, ნებით მოსულთა ანუ წყალობის ყმათა შორის განირჩევიან გლახთა შემდეგი კატეგორიები: 1. საკუთრივ „ნებით მოსული“ (რომლის ურთიერთობა ბატონთან საბუთით არის გაფორმებული) და 2. ხიზანი (რომლის ურთიერთობა ბატონთან სიტყვიერ შეთანხმებაზეა დამყარებული). პირველი ამათგანის გადასახადები და ვალდებულებანი ურთიერთშეთანხმების შედეგია და, ჩვეულებრივ, საგანგებოდ დადებულ ბატონყმობის წიგნშია ხოლმე ჩამოთვლილი, ხოლო მეორე ამათგანის, ხიზნის გადასახადები და ვალდებულებანი კი, ჩვეულებრივ, ხიზნისათვის არსებულ წეს-ჩვეულებას ემყარებიან. ს. ავალიანი თავის გამოკვლევაში „Крестьянский вопрос в Закавказье“ წერს: „... институт хизанства происхождения народного. Обычное право регулировало все взаимоотношения, которые возникали между крестьянами и владельцами земель. Условия между сторонами были словесные. Сила обычая, популярность придавали устным договорам прочность и обязательность для обеих заинтересованных сторон“³⁸

გარდა ამისა, ნებით მოსული ყმა ხიზნისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ იკი ყმად შესვლის მომენტში ყოველთვის თავისუფალი ადამიანი იყო (გააზატებული, ანდა, თუნდაც, თვითნებურად გამოქცეული ბატონისაგან), ხიზანი კი, მართალია, ზოგჯერ შეიძლება თავისუფალიც ყოფილიყო, მაგრამ ზოგჯერ თავისი მემკვიდრე ბატონის ყმობაშიც განაკრძობდა ყოფნას და მასაც უხდიდა გადასახადს. ასე ხშირად ხდებოდა: ხიზანი ერთ მებატონს ეკუთვნოდა როგორც ყმა, ხოლო ეკონომიურად დამოკიდებული იყო მეორე მებატონისაგან, რომლის მიწასაც ამუშავებდა, რომლის მიწაზეც იჯდა.

³⁶ სცია. ფ. 1448, № 4362; სსპ, ფ. Hd № 8350, 10468, 14119 და სხვ.

³⁷ შ. ჩხეტიანი, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950, გვ. 126—127 და სხვ.

³⁸ С. Авалиани, დასახ ნაშრ., გვ. 143.

ხიზანი, ისე როგორც ნებით მოსული მოცემულ ხანაში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და ამ ხანის ისტორიული პირობების თავისებური შედეგია. თუკი ყმა-გლეხი მოახერხებდა და ყმობის უღელს ამა თუ იმ საშუალებით თავს დააღწევდა, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობები მას დამოუკიდებელი არსებობის საშუალებას არ აძლევდა, აიძულებდა მას ადრე თუ გვიან მოექებნა ახალი ბატონი და მის დამოკიდებულებაში შესულიყო. ოღონდ გლეხი ასეთ შემთხვევაში ცდილობდა, რომ ეს ახლად დადებული უღელი რაც შეიძლება მსუბუქი ყოფილიყო, ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, პიროვნული თავისუფლება შეენარჩუნებინა, დაეტოვებინა ბატონისაგან თავისუფალი წასვლის უფლება. ახალ ბატონთან ეკონომიურ დამოკიდებულებაში შესვლა დროთა მანძილზე, ჩვეულებრივ, გლეხის სრულ დაყმევებას იწვევდა. მიუხედავად ამისა ძლიერი მეზობლების შემოტევები, ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი ძალადობა და განუკითხაობა და, რაც მთავარია, ეკონომიური საფუძვლის სისუსტე აიძულებდა თავისუფალ გლეხს თავის გადარჩენის ამ ერთადერთი შესაძლებელი გზისათვის მიემართა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე—ნატურალური მეურნეობის ბატონობა, ქალაქური ცხოვრების განუვითარებლობა, საშუალებას არ აძლევდა განთავისუფლებულ ყმას საშოვარზე წასულიყო ქალაქად, სამუშაო ემოვნა იქ და ამ გზით დამოუკიდებელი არსებობა შეენარჩუნებინა. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ ხანაში ნებით მოსულთა და განსაკუთრებით ხიზანთა მრავლად არსებობა, რომელთა ძირითად მასას ყმობის მძიმე უღელს გამოქცეული ყმა-გლეხები შეადგენდნენ. კლასობრივი ექსპლოატაციის დამძიმების უშუალო შედეგი და თვალსაჩინო მოწმობაა.

ნ ა ს ყ ი დ ი. უფლებრივად ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას ნასყიდი გლეხი. ეს ისეთი გლეხია, რომელიც პირადად არის გაყიდული, თავისი მამულის გარეშე. ყმა-გლეხი ხშირად რაიმე მძიმე გასაჭირის გამო იძულებული იყო თავი მიეყიდა ბატონისათვის, „თავგაყიდული“ გამბდარიყო. გამოუვალი მძიმე ვალები, შიმშილობა, ტყვედ ჩავარდნის გამო სახსრის შოვნის საჭიროება, ჩადენილი ბოროტმოქმედების შედეგად დადებული მძიმე სასჯელი და სხვა ამგვარი მწვევე გაჭირვება აიძულებდა ხოლმე ყმას თავისი პირადი თავისუფლების დაკარგვისა თუ ყმური დამოკიდებულების მძაფრი გაუარესების, დამძიმების საფასურად ფული აეღო ბატონისგან და ამ გზით თავი ეხსნა გასაჭირისაგან. უკვე ის პირობები, რომლის შედეგადაც ხდება ნასყიდ ყმად მისვლა, მოწმობს იმას, რომ ეს არის ყმობის ყველაზე მძიმე სახეობა—ის ყმის მძიმე გაჭირვების და ბატონის მხრიდან მასზე მატერიალური ხარჯის გაღების შედეგია. ბატონს უფლება აქვს ასეთი ყმა მოიხმაროს როგორც მას სურს, თუ უნდა კარზე მოსამსახურედ გაიხდის, ე. ი. მეურნეობის წარმოებას მოწყვეტილ შინამოსამსახურე ყმად ეყოლება, თუ უნდა მიწაზე დაასახლებს. მაგრამ ბატონს შეუძლია მიწაზე დასახლებული ნასყიდის გაყიდვა მიწისაგან მოშორებით, უმამულოდ, ოჯახისაგან მოწყვეტით, ცალ-ცალკე ოჯახის წევრებისა. ნასყიდი გლეხის დაბალი უფლებრივი მდგომარეობა აშკარად ჩანს ვახტანგის სამართლის მიხედვითაც. ვახტანგის კანონებში ნასყიდი ყმა 5-ჯერ არის მოხსენებული სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით. უფლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 254-ე და 248-ე მუხლი. 254 მუხლში საუბარია სამხედრო ტყვეზე და ნათქვამია, რომ

თუ კაცმა ხელთ იგდო ტყვე და თუ კი ის ხელმწიფემ არ გამოართვა და ან თავი არ დაახსნევინა, ეს ტყვე „ნასყიდისგანაც უფრო ყმა არის“, ამით აქ ხაზგასმულია ტყვის დაბალი უფლებრივი მდგომარეობა და ამისათვის, ბუნებრივია, შედარებულია უფლებრივი თვალსაზრისით ყველაზე დაბლა მდგომ ყმასთან, ნასყიდთან და აღნიშნულია, რომ ტყვე მასზეც კი უფრო ყმაა, ე. ი. ყმური დამოკიდებულების სიმძიმის თვალსაზრისით.

§ 248-ში საუბარია ბატონის უფლებების შესახებ გლეხის ბეთთალმან ქონებაზე. აქ ნათქვამია, რომ ნასყიდი ყმის ბეთთალმანი საქონელი ბატონს ეკუთვნის. ამოწყვეტილი ყმის ცოლსა და ქალს ბატონმა მხოლოდ „სამკვდრო“ და „შესანახავი“ უნდა მისცეს. ხოლო „წყალობის ყმისა ან პატრონის მონაცემი ყმის“ ცოლსა და ქალს კი, ნათქვამია კანონში, უფრო მეტი ეკუთვნის გლეხის ბეთთალმან საქონლიდან—მათ „უფრო ცოტა რამ გამოერთმის“—ო. ესეც ნასყიდი ყმის დაბალ უფლებრივ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ამასთან დაკავშირებით გ. ჯამბურია შენიშნავს: „ყველაზე მძიმე უღელი ბატონყმობისა სწორედ ნასყიდ გლეხს ადევს. ...ბატონს შეეძლო ნასყიდი გლეხის უმამულოდ გაყიდვა, მზითვეში მიცემა, საწინდარში მიცემა და სხვა“³⁹. აქ სწორად არის გამოხატული ნასყიდი (იქნებ აჯობებდა ტერმინი—„თავგაყიდული“) ყმის უფლებრივი მდგომარეობა. ვახტანგის კანონების ერთი მუხლი თითქოს ზემოთგამოთქმული დებულების დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა. § 142-ში ნათქვამია: „ესეც იქნების, მოვალეს რომ კაცი ვეღარ აუიღეს, საქონელი არა ქონდეს, კაცი მიეცეს ამ საქმით, რომ ურჯულოზე არ გაყიდოს“. ვალში მიცემული კაცი ეს იგივე ნასყიდი ანუ თავგაყიდული ყმაა. იმის აღნიშვნა, რომ ასეთი ყმის გაყიდვა მხოლოდ ურჯულოზეა აკრძალული, ვფიქრობთ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სხვაგვარად კი ყოველნაირად, გაყიდვა მისი თუ გამზითვება, დაგირავება და მისთანა უმამულოდ და ოჯახისაგან მოწყვეტით სავსებით დასაშვებია.

ნასყიდი ყმის კატეგორია, როგორც ამის ვარაუდის შესაძლებლობას XVII—XVIII სს. საბუთები იძლევიან, მეტად გავრცელებული ჩანს. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული სოციალური ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტების მარტო პირველ წიგნში 70-ზე მეტი ისეთი შემთხვევა გვაქვს დამოწმებული ქართლის საბუთებში, როდესაც ყმის ბატონთან ნასყიდად მისვლა ხდება, ყმის მძიმე მატერიალური მდგომარეობისა ანდა სხვა რაიმე განსაცდელის შედეგად.

პირადად ნასყიდ ყმად მისვლის დიდი გავრცელება მოცემულ ხანაში, უეჭველად, გლეხთა ექსპლოატაციის დამძიმებასა და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებაზე მიუთითებს.

* * *

ამგვარად, გლეხთა ფენაში XVII—XVIII სს. მასალების მიხედვით, გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით 3 სხვადასხვა ჯგუფი შეინიშნება: 1. მკვიდრი, 2. ნებიერი, 3. ნასყიდი. დოკუმენტების ჩვენებებს მხარს უჭერს XVIII ს-ის დამდეგის სამართლის წიგნიც, სადაც გამიჯნულია ნასყიდი გლეხი მკვიდრისაგან, ან კიდევ წყალობის ყმა მკვიდრისაგან (იხ. მაგ. §§ 260, 248).

³⁹ გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 123.



მკვიდრ გლეხთა შორის საგადასახადო-ვალდებულებითა და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით გლეხთა შემდეგი კატეგორიების გამოყოფა შეიძლება: თარხანი, მსახური, მებეგრე, ბოგანო. ნებიერ გლეხთა შორის შემდეგი კატეგორიებია აღსანიშნავი: ნებით მოსული, ხიზანი. ნასყიდ ყმებს შორის არიან უმამულო ანუ ბოგანო ნასყიდი გლეხები, და მიწაზე მჯდომი ნასყიდი გლეხები.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში გლეხები კუთვნილების მიხედვითაც განირჩევიან: არიან სამეფო, საბატონო (იგულისხმება თავადებისა და აზნაურების ყმები) და საეკლესიო გლეხები. საეკლესიო გლეხთა ძირითადი მასა შეწირული გლეხებია. შეწირული გლეხები თავიანთი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით სრულიადაც არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებულ კატეგორიას. ისინი ეკლესიის ისეთსავე მკვიდრ გლეხებს შეადგენენ, როგორც, მაგალითად, სათავადოში ნაწყალობევი, ანდა თავიანთი მამულით წასკადი, გლეხები. საეკლესიო გლეხთა შორის გამოირჩევიან აგრეთვე თავშეწირული გლეხები. ისინი თავშეწირვის პირობებისდა მიხედვით ან ნასყიდ, ან მკვიდრსა და ან ნებიერ ყმებს შეიძლება უთანასწორდებოდნენ. ეკლესიას მრავლად ჰყავდა მეაღაპე გლეხები, ე. ი. ისეთი გლეხები, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ ძირითად საგლეხო გადასახადებისაგან და მათ მხოლოდ აღაპი, ე. ი. შემწირველის სულის მოსახსენებლად დადებული ვალდებულება ეკისრათ. ასეთი გლეხები იგივე თარხანი გლეხების მსგავს გლეხთა კატეგორიას წარმოადგენენ. ამრიგად, საეკლესიო გლეხებში, ისე როგორც სათავადო, საზნაურო თუ სამეფო გლეხებში ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ გლეხთა ჯგუფებს და კატეგორიებს ვპოულობთ.

აღსანიშნავია, რომ გლეხთა ამ ჯგუფებსა და კატეგორიებს შორის, როგორც ეს სამართლიანად აქვს აღნიშნული დ. გვრიტიშვილსაც ჩვენს მიერ ზემოთ არაერთხელ ხსენებულ წიგნში, საესებით გარდაუვალი ზღვარი არ არსებობდა, „...გუშინდელი „ნასყიდი“ გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლებოდა „მკვიდრად“ გადაქცეულიყო და პირიქით, „მკვიდრი“ „ნასყიდად“⁴⁰. ასევე, გუშინდელი ბოგანო დროთა განმავლობაში შეიძლება მებეგრე გლეხად, ან სულაც მსახურად ქცეულიყო როდისმე, ხოლო მსახური კი—„ეამთა სიავის“ წყალობით დაბეგრის, ან კიდევ უარესი, ბოგანო გლეხის მდგომარეობაშიც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.

გლეხთა ძირითად მასას ამ დროს მკვიდრი გლეხები შეადგენენ, მაგრამ შეინიშნება ნებით მოსული და ნასყიდი ყმების გამრავლება. ეს გარემოება ცხოვრების თავისებური პირობებით არის გამოწვეული და ამ პირობების მეტად დამახასიათებელი შედეგია.

გლეხთა მდგომარეობის გაუარესება, მათი ექსპლოატაციის გაძლიერება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მძიმე პირობები: ხშირი თავდასხმები, ტყვევნა-რბევა, ლეკიანობა და სხვა, შედეგად იძლევა ნასყიდ ყმა-გლეხთა რიცხვის გამრავლებას. ამავე დროს ცხოვრების იგივე პირობები ბადებდა და ამრავლებდა ნებით მოსულ და განსაკუთრებით ხიზან ყმა-გლეხთა რაოდენობას.

⁴⁰ დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

Г. Д. АКОПАШВИЛИ

О СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ КАТЕГОРИЯХ КРЕСТЬЯН
ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ XVII—XVIII ВВ.

Резюме

Деление крестьянской массы на отдельные категории, содержащееся в нашей специальной литературе, не отображает с должной ясностью имеющееся различие в социально-правовом положении отдельных групп крестьян. В настоящем труде нами дана попытка выделения из всей массы крестьян Восточной Грузии XVII—XVIII вв. различных по своему правовому положению отдельных групп крестьян. Данные памятника права XVIII в., законов царя Вахтанга, а также грузинские документальные материалы XVII—XVIII вв. дают основание выделить три различные группы крестьян: 1) «мквидри» (т. е. крестьянин, наследственно сидящий на земле и находящийся в крепостной зависимости на протяжении поколений), 2) «небиери» (крестьянин находящийся в сравнительно легкой личной зависимости феодала) и 3) «наскиди» (лично проданный крепостной крестьянин, находящийся на самой низкой ступени правового положения). На основании тяглово-оброчного и экономического положения крестьян внутри этих групп выделяются отдельные категории крестьян (тархани, мсахури, мебегре, богано, небит мосули, хизани, наскиди).

Основную массу крестьянского населения Восточной Грузии указанной эпохи составляют «мквидри». Однако, как «небиери» так и «наскиди» довольно распространены, что является своеобразным последствием существующих в стране социально-экономических и политических условий.

Тяжелая эксплуатация крепостных крестьян, обострение классово-вой борьбы, частые набеги внешних врагов и междуусобицы приводили к повышению числа беглых крестьян, которые не имея возможности независимого существования вынуждены были искать приют опять таки у феодалов, стараясь, однако, обеспечить себе сравнительно легкую крепостную зависимость (следствием чего являются категории крестьян небит-мосули и хизани); те же самые условия вызывали ухудшение экономического положения крестьян, что в свою очередь приводило их к долговой кабале, ухудшая их правовое положение, и увеличивало тем самым число крестьян наскиди (тавгакидули). Следует отметить также, что непреодолимой грани между этими группами и категориями крестьян не существовало. Вчерашний наскиди, также как и «небиери», на протяжении известного времени мог стать «мквидри» и наоборот.

აბთ. იოსელიანი

ახალი მასალები ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ

(ბესიკის წერილები კრემენჟუგიდან და კიშინიოვიდან)

მოსკოვისა და ლენინგრადის არქივთსაცავებში საქართველოს ისტორიის მრავალი ისეთი ძეგლია დაცული, რომელიც ნათლად გამოხატავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. სამწუხაროდ, ეს ძეგლები და მასალები ჯერ კიდევ არაა გამოკვლეული და მარქსისტულ—ლენინური თვალსაზრისით შესწავლილი.

1951 წლის ზაფხულში ჩვენ, სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივში, კერძოდ, პ. პოტიომკინის პირად არქივში, სხვა მრავალ საყურადღებო მასალასთან ერთად, ვიპოვეთ ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილის წერილები, რომლებიც შუქს ჰფენენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეტად საყურადღებო პერიოდს.

ეს წერილები წარმოადგენენ ავტოგრაფებს: მათი ქრონოლოგიური ჩარჩო 1788—1789 წლებით იფარგლება.

ბესიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საერთოდ მეტად ცოტა მასალა გადარჩენილა; ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ ყოველი ახალი ცნობა მისი ცხოვრების შესახებ გარკვეული ინტერესის აღმძვრელია.

ჩვენი მიზანია ახლად მიკვლეული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე შევეხოთ ბესიკის ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივ-დიპლომატიური მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, რომელიც დაემთხვა რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომს (1787—1791)¹.

ეს ომი თურქებმა ატეხეს. თურქეთმა მოითხოვა რუსეთის კონსულების გაწვევა ქ. იასიდან, ბუქარესტიდან და ალექსანდრიიდან; თურქეთმა ასევე კატეგორიულად მოითხოვა რუსეთის მხედრობის გაწვევა საქართველოდან, საქართველოს აღიარება თურქეთის ვასალად და ა. შ.

ასეთ დაძაბულ ისტორიულ ვითარებაში წარგზავნეს ბესიკი დასავლეთ საქართველოდან რუსეთში. ბესიკის იმდროინდელი დიპლომატიური მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები აართო ბიოგრაფიული მნიშვნელობის მასალა როდია, ეს დოკუმენტები ამასთანავე გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან პოეტის საერთო პოლიტიკურ-მრწამსზე; ირკვევა, რომ ბესიკის, როგორც ელჩის, პო-

¹ ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787—1791), გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 11 ნოემბერი, № 45.



ლიტიკური მოღვაწეობა ემყარებოდა სწორ ისტორიულ პერსპექტივებს; მისი, როგორც საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის მთელი საქმიანობა მიმართული იყო რუსეთ-საქართველოს მეგობრული და სახელმწიფოებრივ-სამხედრო კავშირის განმტკიცებისაკენ. ნათლად დასტურდება, რომ ბესიკი ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს, მისი კულტურული და ეკონომიური დაწინაურების საფუძვლებს რუსეთ-საქართველოს მეგობრობაში ხედავდა; ბესიკის პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ამ იდეებითაა გამსჭვალული.

მოვიყვანოთ ამის დამადასტურებელი ფაქტები.

რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომის დროს, ისევე, როგორც წინა, პირველი (1768—1774 წწ.) ომის პერიოდში, საქართველო კვლავ რუსეთის ერთგულ მოკავშირედ გამოვიდა. მეორე ომის დროს აღმოსავლეთ საქართველო უკვე რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო, ეს მფარველობა და პრაქტიკორატი დასავლეთ საქართველოზე ჯერ, მართალია, ოფიციალურად არ ვრცელდებოდა, მაგრამ იქაც ამ დროს რუსული ორიენტაცია საკმაოდ ძლიერი იყო. ეს კარგად იცოდნენ თურქმა დამპყრობლებმა, ამიტომ მათ ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე დაიწყეს პროვოკაციული საომარი მოქმედებანი დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები გაერთიანებული ძალებით უპირისპირდებოდნენ ოსმალთა ვაფთრებულ შემოტევებს და თავგანწირვით იცავდნენ დამოუკიდებლობას. ამ უაღრესად გართულებულ ვითარებაში დასავლეთ საქართველო დახმარებას საჭიროებდა და სწორედ ამ დიდი განსაცდელის უამს იმერეთის სამეფოდან რუსეთში წარგზავნილ იქნა საგანგებო მისია ბესიკის მეთაურობით. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე დავით კვინიხიძე 1787 წლის 27 მაისს სწერდა პოტიომკინს: „ამჟამად კიდევ მოადგნენ ახალციხიდან ლეკის და თათრის ჯარები ჩვენის ქვეყნის საზღვარს, აქედან მეფე წაბრძანდა ჯარით და (მტრის ჯარები, ა. ი.) ისევ გაბრუნდნენ და ახალციხეს ჩავიდნენ... მეფემ დავით თავისი მდივანი გაახლათ გაბაშვილი ბესარიონი, წიკანი მოგართვათ ყოველივე თქვენთან მოსახსენებელი, სიტყვაც თავისი, მისის პირით მოვახსენათ. წყალობას ვითხოვთ, კარგად მოისმინოთ, თქვენი ბედნიერად ბრძანების ამბავიც გვიწყალობოთ. კნიაზ მდივანბეგი დავით თავს გიკრავთ“².

მეორე საბუთი, რომელსაც ხელს აწერს იმერეთის მეფე დავით, 1787 წლის 28 მაისითაა დათარიღებული. მეფე დავითი პოტიომკინს სწერდა: „ეგ ჩვენის ჯარების უეჭველად მისანდომელი ყმა, ჩვენი უპირველესი მდივანი და მწიკნობართ უხუცესი კნიაზი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაონელისძე გვიახლებია თქვენის უმაღლესობის წინაშე, ყოველის ჩვენის სიტყვით და საქმის სისრულით და რომელიც ჩვენი საქმე სიტყვა და აზრი გამოგეცხადოს, ეგ დაირწმუნეთ ვითარცა პირით ჩემით და გულით თქვენს აღმატებულებას მე მოვახსენებდე“³.

მავსასადამე, ნათლად ირკვევა ის დამატებული ისტორიული ვითარება, რომლის შედეგადაც მოხდა ბესიკის გაგზავნა ელჩად რუსეთში. დასტურდება, რომ ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებამდე, 1787 წლის გაზაფხულიდან,

² იხ. სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი 23, ნაწილი XX, ფურცელი 162.

³ სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი 52, საქმე 616, ფურც. 395.

იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ოსმალ დამპყრობელთა სამხედრო მოქმედების გაძლიერების გამო ბესიკი, როგორც ელჩი და მეფის უახლოესი, სანდო მოღვაწე, საგანგებო დავალებებით წარიგზავნა რუსეთში, რათა სამხედრო დახმარება ეთხოვნა.

ქართულ მწერლობასა და ისტორიოგრაფიაში დიდხანს არ იყო დადგენილი ბესიკის რუსეთში გამგზავრების თარიღიც კი. იყო გამოთქმული აშკარა მცდარი მოსაზრებანიც: მაგალითად, ბუტკოვის ცნობით. ბესიკი რუსეთში ელჩად თითქო 1790 წელს გაიგზავნა⁴. პროფ. ცაგარელი წერდა: „Царь Давид в 1791 г. отправил своим посланником в Россию известного поэта и дипломата Виссариона Габашвили“⁵

განსვენებული ი. ლორთქიფანიძე პირველი იყო, რომელიც 1941 წ. შეეცადა შეეცნო ეს ხარვეზი⁶.

ბესიკის ახლად მიკვლეული ავტოგრაფებით და სხვა საბუთებით ბევრი რამ საყურადღებო ირკვევა. დაწუსტდა ბევრი რამ ბესიკის ბიოგრაფიაშიც. მაგ., დღემდე გამტკიცებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოდან რუსეთში წარგზავნილი ბესიკი ჯერ თითქოს პეტერბურგს მივიდა და იქიდან ქ. კრემენჩუგს გაემგზავრაო. ახლად მიკვლეული საბუთებით კი ზუსტდება, რომ აღიარებულ მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს⁷. თუ რუსეთის რომელ ქალაქში ჩავიდა ბესიკი პირველად, ამაზე ზუსტ ცნობას გვაწვდის თვით ბესიკის მიერ ბურნაშოვისადმი გაგზავნილი წერილი. ბესიკი წერს—ცხრა თვეა რაც მე აქ, კრემენჩუგს, ვიმყოფებო. ეს წერილი თარიღდება 1788 წლის 2 ივნისით. მაშასადამე, 1787 წლის მაისში საქართველოდან რუსეთში წასული ბესიკი კრემენჩუგს უნდა ყოფილიყო განწესებული და დაბინავებული; აქ ბესიკი იწყებს დაუცბრომელ საქმიანობას თავისი მისიის შესასრულებლად. იგი იმავე წერილში ამბობს: „...ცხედავთ, რომ თათრების სამტრო დროებს ჩვენ ველარ ვნახავთ ამისთანას და რომ არ მოგახსენოთ, არ შეგვიძლია და თუ ახლა ამისთანა დროს ჩვენი მეჭე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც უპასუხოდ. დარჩენენ, ვიცო, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედო ფიქრით სიმაგრეს ველარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერმე სიძნელეში შევა“⁸.

ბესიკი განაგრძობს: „თუ აქედამ არაფერი პასუხი მიუვათ, როგორ შეიტყოფ და რა ქნან და ან ხონთქარის მამულებს, ხმალი რომლის იმედითა და რიგით უჩვენონ“⁹.

⁴ პროფ. ალ. ბარამიძე, წერილი „ბესიკის გარშემო“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1939, ტომი I, გვ. 153, და ქ. სანიკიძის „ახალი მასალები ბესიკის შესახებ“, ქუთაისის პედაგოგიკური შრომები, ტ. VIII, გვ. 120.

⁵ ბუტკოვი, Материалы, ტ. II, გვ. 184, ასევე ტ. III, გვ. 444.

⁶ ა. ცაგარელი, „Грамоты“, ტ. II, вып. II, XVI, წინასიტყვაობა.

⁷ ი. ლორთქიფანიძე, მასალები №-18 ს. საქართველოს ისტორიისათვის (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის), 1940, ნაკვ. I, გვ. 891.

⁸ ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ, ქუთაისის პედაგოგიკური შრომები, ტ. XVIII, გვ. 119; პროფ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 419.

⁹ სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების სახ. ცენტრარქივი, ფონდი II, საქმე 948, ფურცელი 232—233.

ამრიგად, ბესიკი მოითხოვდა ოსმალთა წინააღმდეგ ძლიერი ფრონტის გაზღვრას დასავლეთ საქართველოდან, რუსეთ-საქართველოს მხედრობის დაუყოვნებლივ და ვეფქტურ მოქმედებას თურქთა წინააღმდეგ.

ბესიკის წერილებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ მეფე დავითს გენ. პ. ს. პოტიომკინისა და სავროთოდ რუსეთის სარდლობისათვის საიმედო ცნობები გაუგზავნია ოსმალთა სამხედრო მოქმედების გეგმის შესახებ („მეფემ საიდუმლო ჭეშმარიტი წერილით, როგორც თათრებს-საქრისტიანოების სამტრო თადარიგი, და მომზადება ჰქონიათ, ყველა თითოულად მისწერა“)¹⁰. საქმეში იპოვება ამ საკუთის დედანი.

ქ. კრემენჩუგში, პოტიომკინის ბანაკში მივიდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს სამეფოს ელჩობა, ბესიკის მეთაურობით, არამედ მირიან ბატონიშვილის მეთაურობით ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობაც, რომელშიც შედიოდნენ: სულხან თუმანიშვილი, მიტროპოლიტი იონა, არქიმანდრიტი გაიოზი და სხვ.¹¹

1788 წლის 17 სექტემბერს ბესიკი მირიან ბატონიშვილთან იმყოფება¹².

ცნობილია, რომ დიდმა ქართველმა მგოსანმა დავით გურამიშვილმა, რომელმაც თავისი ცხოვრების 46 წელი უკრაინაში გაატარა, სწორედ ამ დროს, გაიგო რა კრემენჩუგში ქართველთა მისიის ჩამოსვლა, თავის მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, მირგოროდიდან, კრემენჩუგს ჩავიდა, თან ჩაიტანა თავისი უკვდავი „დავითიანი“ და გადასცა იგი მირიან ბატონიშვილს.

ვინაიდან ბესიკი დიდხანს იმყოფებოდა კრემენჩუგში მირიან ბატონიშვილთან ერთად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა ბესიკი პირადად გაეცნო უკრაინაში დასახლებულ მხცოვან მგოსანს, დავით გურამიშვილს, და მის ლიტერატურულ საქმიანობას.

ბესიკის წერილიდან ვიგებთ, რომ იგი კრემენჩუგიდან კიშინიოვში გადასულა. კიშინიოვში შედგენილი წერილი დათარიღებულია 1789 წლის 14 ოქტომბრით. 1789 წელს აფხაზ იმერთა კათალიკოზი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მაქსიმე, ბესიკს ბარათს უგზავნის, რომელშიაც ლაპარაკია მოსლოდნელ ზავზე. მაქსიმე, ალბათ მეფის დავალებით, აფრთხილებს ბესიკს, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს „შერიგებაში რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნება“¹³.

1790 წლის დეკემბერში რუსეთის არმიამ სუვოროვის სარდლობით იზმაილი აიღო. ამის შემდეგ, სულ მალე დაიწყო წინასწარი საზავო მოლაპარაკება. მოწინააღმდეგე მხარეებს საბოლოო შეთანხმებისათვის ჯერ არ მიეღწიათ, როცა აღმირალმა უშაკოვმა გაანადგურა თურქეთის ფლოტი შავ ზღვაზე და ბოსფორამდე მიადწია. ამ ამბებმა დიდად დააჩქარეს ომის დასასრული და 1791 წლის 29 დეკემბერს, რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელ ვითარებაში, ქალაქ იანში, ბეზბოროდკომ ხელი მოაწერა თურქეთთან საზავო ხელშეკრულებას.

¹⁰ სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების სახ. ცენტრარქივი, ფონდი II, საქმე 948, ფურცელი 232-233.

¹¹ ალ. ცაგარელი „Грамoty“, ტ. II, вып. II, გვ. XVI.

¹² ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 419.

¹³ იხ. სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების სახ. ცენტრ-არქივი, ფონდი II, საქ. 948, ფურ. 60-61.

ბესიკი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი გარდაიცვალა 1791 წლის დასაწყისში, 24 იანვარს, როგორც გვაუწყებს ბესიკის საფლავის ქვის წარწერა¹⁴.

გარკვევით ჩანს, რომ ბესიკი კიშინიოვიდან იასაში ჩავიდა იმერეთის მეფის დავალებით რუსეთ-ოსმალეთის წინასწარ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების მიზნით. და შესაძლოა დადასტურდეს ისიც, რომ იზმაილის აღების შემდეგ, ქ. იასაში გამართულ წინასწარ საზავო მოლაპარაკებაში ბესიკიც მონაწილეობდა.

ბესიკის მონაწილეობას ამ წინასწარ მოლაპარაკებაში ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ცნობილია, რომ ქ. იასის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთს კატეგორიულად აეკრძალა საქართველოს საქმეებში ჩარევა და მასზე ყაჩაღური თავდასხმები.—ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის ბესიკს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა.

ვფიქრობ ინტერესს მოკლებული არ იქნება კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც უფრო აზუსტებს ბესიკის პოლიტიკურ ზრახვებს.

ბესიკის გარდაცვალებისა და იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთში გადასახლებული იმერთა დედოფალი ანა წერილობით კავშირს არ სწყვეტდა ბესიკის ძმასთან—ოსე გაბაშვილთან. ჩვენამდე მოღწეულია ოსეს საპასუხო წერილები დედოფალ ანასადმი, საიდანაც ჩანს ანა დედოფლის დიდი ინტერესი, როგორც ბესიკის ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისადმი რუსეთის სამეფოს კარზე. ამ უკანასკნელის შესახებ ოსე გაბაშვილი იმერეთის დედოფალს ანას სწერდა:

„ჩემი ძმა, კნიაზ ბესარიონ ოდეს გაისტუმრა ნეტარ ხსენებულმან მეფემან დავით და თქვენ, მისის უდიდებულესობის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ეკატერინას წინაშე, მაშინ ებოძებინა შესაწევნელად წინააღმდეგობათა მტერთა ზედა, მხედრობა თორმეტი ათასი, და ერთი ლენერალ მაიორი, ამას გარდა წყალობა და ნიშნები სამეფონი (აქ ჩამოთვლილია ნაწყალობევი ძვირფასი დიდძალი სამეფო ნივთები. ა. ი.). ესენი ყოველივე დიდმან კნიაზმან (გრ. პოტიომკინმა—ა. ი.)—ჩემს ძმას ბესარიონს აჩვენა და ჩააბარა. უნდა წამოსძლოლოდა ზემოთქმულს მაიორს ჩემი ძმა ბესარიონ და შავი ზღვით აფხაზეთს უნდა გამოსულიყვნენ. ჩემს ძმას ბესარიონს შეემთხვა უბედურება და გარდაიცვალა კრემენჩუგის ქალაქსა და მუნ დაამარბვინა დიდმან კნიაზმან სამიტროპოლიტოსა შინა. მერმეთ ჩემი ბიძაშვილი სვამონ მოემზადებინა წარმოსასცელად ბესარიონის მაგივრად და ამის მზადებაში დიდი კნიაზიც გარდაიცვალა და ესრეთ დაშთა ამდენი მოწყალება მისის დიდებულების ხელმწიფის ეკატერინასი“¹⁵. ეს ბარათი დაწერილია ბესიკის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ; იგი თარიღდება 1821 წლის მარტის 29-ით. გარკვევით ჩანს, რომ ზოგი რამ ბესიკის განსწავლულ ძმას ოსეს ეწლებოდა; ან კიდევ აზვიადებს, მაგრამ თავისთავად ამ დოკუმენტს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

¹⁴ ბესიკის საფლავის ქვის ეპიტაფია ხელმეორედ გამოცა აკად. ნ. ბერძენიშვილმა თავის „ძლევაში“ 1949, 66—67.

¹⁵ იხ. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერების ფონდი K 9, ფურც. 21, ავტოგრაფია.

ვეიქრობ, ასევე საინტერესოა ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ბესიკის მიერ თითქოს 1791 წლის დეკემბრის 3-ს შედგენილი სათხოვარი მუხლები პოტიომკინისადმი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ბესიკი პოტიომკინს სთხოვდა:

1. ტრაქტატის დადებას იმერეთის სამეფოსთან და
 2. იმავე უფლებების მინიჭებას იმერეთის მეფისადმი, რაც მეფე ერეკლეს ჰქონდა.

3. ახალციხეში რუსეთის კონსულის დაწესებას.

4. ბათუმის, ფოთის, გურიისა და ოდიშის ნავსადგურებში რუსეთის ვაჭრობის გავლენის გაძლიერებას, ხოლო ბათუმისა და გურიის პორტებში საკონსულოს დაარსებას და ტყვეთა ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.

5. აფხაზეთზე თურქეთის გავლენის მოსპობას.

6. იმერეთის სამეფოს ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის ბრძოლაში თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის დახმარებას და სხვ¹⁶.

ამრიგად, წარმოდგენილი წერილებიდან, სხვა მასალებთან ერთად, ირკვევა, რომ ბესიკი საქართველოს მომავალს, მისი სახელმწიფოებრივი აღორძინების საწინდარს რუსეთთან მჭიდრო კავშირში ხედავდა; აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი შეხედულებისა და აზრის იყოს მაშინდელი საქართველოს სხვა მრავალი მოღვაწეც¹⁷.

¹⁶ იხ. ალ. ცაგარელის „Грамоты“, ტ. II, вып. II, 1902, გვ. 70—71.

¹⁷ მეფე ერეკლეს ელჩობის წარმომადგენელი, თავადი სულხან თუმანიშვილი რუსეთის მხედრობის მიერ ოჩაკოვის ციხის თურქთაგან გამოსხნას საქართველოს ბედნიერებად მიიჩნევდა. იგი 1788 წლის 10 დეკემბრის თარიღით გენ. პ. ს. პოტიომკინს მისალმებას უგზავნის (ამ საბუთის სრული ტექსტი და ფოტოკოპირი იხ. ა. იოსელიანი, „რუსი და ქართველი ხალხები“ საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 215, ტაბ. IV).

დოკუმენტები

№ 1. 1788 წლის ივნისის 2.—იმერეთის სამეფოს ელჩის ბესარიონ გაბაშვილის მოხსენება ვასილ სტეფანის ძე ბურნაშოვისადმი იმერეთის სამეფოს მდგომარეობისა და მიმდინარე ომში იმერეთის სამეფოს მონაწილეობის შესახებ.

მაღალშობილო უფალო ბრილადირო და კავალერო

ვასილ სტეფანიჩ, მოწყალეო ჩემო ხელმწიფევე!

იმის სიმაღლე ჩემი მოწყალე ხელმწიფე დავით თავის ქვეყნით სამღვდელ-ლოთი და სამხედროთი და ყოვლის იმათის შეძლებით, როგორ სრულისა და მართალი გულით, მაგათს უგანათლებულესობას მოენდვნენ და ამდენი ხანი არის შეურყვევლის თავეთის ფიქრით შეშველად შემწეობის პასუხს ითხოვენ და ვერ ელარსნენ აქედამ ერთს რასმე პასუხის მიღებას და ნიდაგ მოვლიან რას გვიბრძანებნო, მაგრამ რომლის მიზეზისთ არ ვიციოთ, რომ ყოველმა იმათმა სათხოვნელმა სისრულე და მაგიერი პასუხებიც ვერ მიიღო.

ამისთვის მაგათს უგანათლებულესობას იმის სიმაღლე მეფემ საიდუმლო ქეშმარიტის წერილით, როგორც თათრების საქრისტიანოების სამტრო თადარიკი და მომზადება ჰქონდათ, ყველა თითოეულად მოსწერა და სხვა საქმე, რომელიც უფრო თქვენსა და ჩვენს ძალებს შემოიღებს ჩემის პირით და წერილით ყოველივე სიმართლით გამომოცხადებია; ამისთვის რომ უტყველად ვიცოდით, რომ ეს დროებით და საქმე შემოვიდოდა და გაცხადდებოდა.

რომლისთვისცა 9 თვე არის რომ მე აქ კრემენჩუკს მარტოს ყოფნით და უსაქმობის სიმწარით ვიტანჯები: მე თუმცა მმართვეს რომ იმისის სიმაღლის ერთგულობისათვის უფროსი სისჯელიც მოვითმინო, მაგრამ არ ვიცი რომლის სამსახურის მოქმედი ვარ და რით ვინუგეშო, რომ ჩემს თავს ასე დავიწყებულს ვხედავ და ჩვენს საქმეს პასუხის ღირსება არსიდ არ უჩიან და კიდევ ვხედავთ, რომ თათრების სამტრო დროებს ჩვენ ველარას ვნახავთ ამისთანას და რომ არ მოგახსენოთ არ შემეძლია, და თუ ახლა ამისთანას დროს ჩვენი მეფე და მისი მგვდრობა აქედან ახლად უპასუხოდ დარჩნენ. ვიცი რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს ველარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერმე სიმინელეში შევა. თუ აქედან არაფერი პასუხი მოუვათ, როგორ შეიტყონ და რა ქნან და ან ხონთქარის მამულებს ვმალე რომლის იმედითა და რიგით უჩვენონ; აქ ჩემი ასე დაგვიანება და უსაქმოთ ყოფნა ან თქვენთვის რა შესამატი არის და ან იმათ რას არგებს.

მე არ ვიცი რა უნდა ვქნა, რამდენჯერმეც მოგახსენეთ უპასუხობის მეტი სხვა არა შემიტყვია რა და თუმცა თქვენ შეგაწუხოთ, მაშ ვის უნდა მოვახსენო, ვინ მიცნობს და ან აქ მე ვის ვიცნობ?

ღვთის სიყვარულისათვის ვაისარჯენით, სახელოვანი საქმის დროები ეს არის, ქეშმარიტებით მოგახსენებთ ყველას და ვიცი, რომ თუ თქვენ იმათ



საქმეს აღარ დააგვიანებთ, იმისი სიმაღლე ჩვენი მეფე ლეთის მოიმედე არის, რომ სახელოვანი საქმეები მალე გიჩვენოსთ და თუ კიდევ არ ინებეთ და ამისთანაც დროებშიაც უიმედო და უბასუხო გაუშვით საკეთილო რიგები ბეჯითობას ვედარ მიიღებს და ამით ქრისტიანული გარჯილობა და ფიქრის ნაკლებობაში შევა; ამისთვის ჩემს მიძიმეს ვალდებულებას თქვენს მაღალშობილებასთან საიდუმლოს ჩემის ხელის წერილით ვაცხადებ, თუმცა რიგი იყო, რომ თვით ჩემის პირით უფრო ვრცლად მოგხსენებოდად, მაგრამ უბრძანებლად აქედან წამოსვლა ვერ გამიბედავს, და ამისთვის რომელიც მაგათის უგანათლებულებისა ნება გვებრძანება ჩვენ, ჩვენის მორჩილებით და ერთგულობით უმდაბლესად იმას ვეცდებით.

თუმცა უძრავლესი და უფროსი საქმეები გაქვსთ, მაგრამ თუ მოხედავთ, ცოტა საქმე არც ეს იქნება, ადრევე ინებებთ და გვიბრძანებთ რასმე და თუ არა, უმჯობესი თქვენ იცით. მე რომელიც ქეშმარიტებით ვიცი იმას მოგახსენებთ თქვენ მაღალშობილებას.

ჩემის ხელმწიფის ერთგული მოსამსახურე მისი სიმაღლის მოწყალის იმერეთის მეფის დავითის უმდაბლესი მონა, კნიაზი სეკრეტარი და მწიგნობართ-უხუცესი **ბესარიონ ზახარიას ძე გაბაონელიძე**¹.

№ 2 1789 წლის ოქტომბრის 14; იმერეთის სამეფოს ელჩის ბესარიონ ზახარიას ძე გაბაონელის მოხსენება გრ. პოტიომკინისადმი იმერეთის სამეფოს რუსეთისადმი ერთგულებისა და თურქეთის წინააღმდეგ მიმდინარე ომში მონაწილეობის პირობების შესახებ.

უგანათლებულესო კნიაზო,
მოწყალეო ხელმწიფევ!

საკირო არის უგანათლებულესო კნიაზო, რათა მიხედოთ მოწყალეებით მდგომარეობასა, ყოვლად მოწყალისა მეფისა ჩემისასა და მისცეთ სიმტკიცე მას, რომელსაც უძღვის კეთილ საქმენი მამულისა თავისისათვის და რუსეთისა მიმართ, ვინაცა ამის მიზნისათვის ღირს არს რათა იზრუნოს მისთვის ყოვლად მოწყალემან მონარხინამ.

ვინათვანცა სცნა მან მტერნი რუსეთისანი მტრად თვისდა, და დაჰკარგნა ვნებითთა მცნობთა მათთა საძულველი მოქმედებანი რომელიცა შვენიის არაკეთილმდგომსა მეზობელსა ჩვენსა ჩვეულებით.

წარმოიდგინე ჭი მამაო ჩვენო უგანათლებულესო კნიაზო, მხეცებრი გაწყილებულნი საქმენი მეზობლისა ჩვენისა, თუ ვითარ თვისითთა მაცდურობითა აძნელებს მფარველობასა თქვენსა ჩვენდამო, რომელიცა ღირს ყოფს მოგონებადცა ხელშემოსილის რუსეთის საქურველით გამოხსნილსა მამულსა ჩვენსა და წარმოიდგენს თავსა ყოვლის თვისა დედობრივსა მარჯვენისა მონარხინა დიდისა, რომელიცა არა განგვემორების ჩვენ.

უგანათლებულესო კნიაზო დააყენოს ჟამდამდე სიყვარული თქვენი სიყვარული თქვენმან უგანათლებულესობამ, რომელიცა კაცთ მოყვარება თქვენდამი აღნთებულ არს და მიუტევეთ ადგილი სიმრთელეს, რომელიცა სრუ-

¹ სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველო ისტორიული არქივის ძველი საბუთების ფონდი 11, საქ. 948, ფურც. 232—233. დედანი, დაწერილი კრემენჩუგში. ბურნაშოვს წარუდგინა მოხსენება ბესიკმა იმ მიზნით, რომ ეს მოხსენება მირთმეოდა გრ. პოტიომკინს.

ლიად აღმოაჩენს დამნაშავესა, აწ შევადართ მოქმედებანი ყოვლად მოწყალისა მეფისა ჩვენისა და ზემოხსენებულისა მეზობლისა, რომელმაცა უსამართლო მოქმედებითა თვისითა მისცა სიმძიმე რუსეთს ამღვრევთა და უმიზეზო თხოვნითა ხან ჯარისა და ხან ზარბაზნისათა და გარდა ამისა დაივიწყნა პირობანი, რომელთა შეკრულ არს ზეგარდმო უფლისა მიმართ რათა შეიწყნაროს ცხებულისა მისისა დიდისა ეკატერინას პირობანი. გარნა გული მისი არა დასცხრა საიდუმლო შეკრულობით მტერთა თანა რუსეთისათა, რომლისაც მავნებელნი მოქმედებანი ზეგარდმომან უფალმან გამოაცხადა წინაშე თქვენისა. ხოლო სიმართლის მცველმა და ერთგულმან რუსეთისამან მეფემან ჩვენმან, დავით, განიშორა ყოველი სიმძიმე რუსთადმი და კეთილის აზრითა დაანახვა მოვალეობა მამულისაგან თვისისა რუსეთს, რომელიცა ხელშემოსილმან ძლევისა საქურველმან რუსეთისამან იხსნა იგინი და ამ მიზეზით ითხოვდა, რამდენითმე მეცადინობითა რათა თავის შეძლებით და თავის ჯარით ამისთანას დროებში ემსახურა რუსეთისათვის და ამით აღესრულებინა მოვალეობა ქვეყნისა და ქრისტიანეთა შორის შეკრულობისა.

უგანათლებულესო კნიაზო, მეოხო ჩვენო, ინებეთ წარსვლა ჩვენი ჩემისა ყოვლად მოწყალისა მეფისა მიმართ, და თუ არ ინებებთ ამას, ამას ვითხოვ, რათა ნება მომცეთ გასტუმრებად ძმისა ჩემისა, რომელიცა მყოფარს ჩემთანა, რომლისაცა იმედი მაქვს, რათა ესე მსწრაფლ წარვაველინო და უგვიანოდ მგზავრობა გამოგიცხადოსთ სიმართლით, მდგომარეობა მეფისა ჩვენისა თქვენდა მსწრაფლ მიღებითა. თვით მეფის დავითი წერილისათა თითოეულად, არამედ ვგონებცა შეტყობის იმედით, რომელ საქმენი ესენი არა რაიმესა ნაკლულევანებასა მიაყენებენ მეფესა ჩემსა.

თქვენის უგანათლებულების მოწყალისა ხელმწიფისა ჩემისა უმდაბლესი მონა, იმერეთის მეფის ელჩი და ტაინი სეკრეტარი კნიაზ ბესარიონ ლაბაონოვი².

² სსრ კავშირის შსს საარქივო სამმართველოს ისტორიული არქივი, ძველი საბუთების ფონდი 11, საქ. 948, ფურც. 87, დედანი. დაწერილია კიშინიოვში.

ბარბილ ბარამიძე

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან

ძველი ქართული საისტორიო ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ კარგა ხანია, რაც მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის ქცეული. იგი მთელი XIX საუკუნის მანძილზე რჩებოდა უმნიშვნელოვანეს წყაროდ, რომლის საშუალებითაც იკვლევდნენ საქართველოში, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრებას. ამჟამად ამ პირველხარისხოვანი ძეგლის შესახებ ჩვენ სავესებით კონკრეტული წარმოდგენა გვაქვს, ვიცით მიხი თანდათანობითი შედგენისა და მიზანდასახულების ისტორია.¹ მაგრამ XIX საუკუნეში ამ შესანიშნავი ძეგლის მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად იყო შეფასებული. სახელდობრ, XIX საუკუნის რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი „ქართლის ცხოვრებას“ გვიანდელი ხანის რედაქციად, კერძოდ, ვახტანგ VI-ის (1675—1737 წ.) დროის „სწავლულ კაცთა“ კომპილაციის მოღვაწეობის ნაყოფად თვლიდა.

ამავე დროს ზოგი ფრანგი მკვლევარი „ქართლის ცხოვრებას“ ერთობ სანდო ისტორიულ წყაროდ ღიიჩნევდა. მართალია, ისინი აღიარებდნენ იმ შექველ დებულებას, რომ „ქართლის ცხოვრება“ ში შეინიშნება საეკლესიო მწერლობის გავლენა, მაგრამ ამ მწერლობას მატინანის არსებით ნაწილზე დადი არ დაუსვამს. მატინანეში თვალნათლივ გამოსქვივის უძველესი ადგილობრივი საისტორიო ტრადიცია.

დადებით შეფასებას აძლევდა „ქართლის ცხოვრებას“ აგრეთვე XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიაც. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხანის ქართული ისტორიოგრაფიე მის თანადროულ რუსულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით „ქართლის ცხოვრებას“ მნიშვნელობის შეფასების საკითხში გაცილებით უფრო მაღლა იდგა. მაგრამ ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი ეხება არა ერთობლივად აღებულს XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიას, არამედ მის ზოგიერთ, შივინისტურად განწყობილ წარმომადგენელს, რომელსაც არ სწამდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და ქართველთა არსებობასაც კი უარყოფდა ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის XII საუკუნემდე.

ამრიგად, XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში საკითხი „ქართლის ცხოვრების“ შეასების შესახებ სხვადასხვაგვარად შეუქდებოდა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). მეორე-მესამე შეესებული გამოცემა. თბილისი, 1945.



რუსულ ისტორიოგრაფიაში პირველად „ქართლის ცხოვრების“ ძეგლის ცნობებს ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის შესწავლის მიზნით შეეხო ცნობილი ორიენტალისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ოსიპ სენკოვსკი (1800—1858 წ.). მან ქართველი ხალხისა და მისი საისტორიო ძეგლის შესახებ ფრიად ტენდენციური გამოკვლევა გამოაქვეყნა².

ამ ნაშრომის მთელი შინაარსი დაიყვანება იქამდე, რომ ე. წ. „ქართლის ცხოვრება“, რომელიც შეუდგენია XVIII საუკუნეში³, მეფე ვახტანგ VI-ეს, შეიცავს ზღაპრების თანდათანობით თხრობას ბიბლიურ ნოედან, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის XIV საუკუნემდე, ხოლო მას აქეთ ვახტანგის შვილს ვახუშტის (1696—1772 წ.) გაუგრძელებია ეს ისტორია და მიუყვანია იგი თავის დრომდე. ამასთან, სენკოვსკის სიტყვით, მეფე ვახტანგს არ აქვს მითითებული ის წყაროები, რომლითაც მას უსარგებლია ძეგლის შედგენის დროს. რაც შეეხება ვახუშტის, მას ვახტანგთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მითითებს რაღაც მატრიანებსა და დოკუმენტებზე, რომელთა ბედი ვახუშტის გარდაცვალებასთან ერთად გადაწყვეტილია კიდევ, ისინი სამულამოდ დაკარგულან მეცნიერებისათვის.

„Вобыкновенном порядке сула критического, — აღნიშნავდა სენკოვსკი, — одного этого уважения уже было бы достаточно, чтобы без оооличностей вдруг отвергнуть обе эти летописи, как не заслуживающия ни малейшего доверия, тем более что оне наполнены странными баснями, которые могли бы сделать честь изобретательности любого мифолога“⁴.

ამრიგად, სენკოვსკის არ სწამდა და არ ესმოდა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული ღირსება, მისი ისტორიული მნიშვნელობა.

პროფ. ო. სენკოვსკი მის თანამედროვეთა აზრითაც ნიპილისტი ყოფილა⁵. ქართველი ხალხის წარსულის მიმართ კი იგი არა მარტო ნიპილისტია, არამედ დიდმპყრობელურ-შოენისტურ განწყობილებასაც ავლენს. იგი ღვარძლიანი და დამცინავი კილოთი აღნიშნავდა, რომ „Ог Александра Македонс-

² О. Сенковский, Некоторые сомнения касательно истории Грузинов, „Библиотека для чтения“, ტ. XXX, № 10, 1838, გვ. 151—172.

³ „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ ჯონიკად თვლიდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846 წ.). იხ. მისი, ისტორია ივერიისა., საეკტეტერბურლი 1848 წ., გვ. 34, 44, 51, 63, 71, 74, 75, 77, 79, 83 და მრავალი სხვა გვერდები. თუმცა იგი თავის ნაშრომის ერთ ადგილას (გვ. 177, შენ.) იხსენიებს ე. წ. „ძველ ქართლის ცხოვრებას“, რომელსაც იქვე ვახტანგის „ქართლის ცხოვრებას“ უპირისპირებს. ამ ცნობიდან ჩანს, რომ თეიმურაზს ჰქონია რაღაცა ცნობა ვახტანგის წინაურ „ქართლის ცხოვრების“ შესახებ.

თ. ბაგრატიონის აზრი გაიზიარა ჰენრიხ კლაპროთმა (1783—1835 წ.), ე. სენ-მარტენმა (J. Saint-Martin. Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie ტ. II, Paris, 1819 წ., გვ. 44) და ფ. დიუბუა დე-მონპერემ (F. Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase. ტ. II, Paris, 1839 წ., გვ. 7—8).

⁴ Сенковский, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

⁵ საინტერესოა ო. სენკოვსკის დაზუსათება, რომელსაც აძლევს მას მისი აზნანავი აკადემიკოსი ალექსანდრე ნიკიტენკო (1805—1877 წ.) „... Подобно иным животным, неукротимым по самой природе своей, он (ე. ო. სენკოვსკი, ა. ბ.) точно рожден для того, чтобы на все и на всех нападать—и это не с целью причинить зло, а просто, чтобы, так сказать, выполнить предназначение своего ума, чтобы удовлетворить непреодолимому какому-то влечению“ (იხ. ჟურნალი „Русская старина“, 1889 წ., № 4, გვ. 130)



каго до Петра Великаго, они (ე. ი. ქართველები, ა. ბ.) преспокойно без летописей“⁶.

ამ ცნობიდან ცხადად ჩანს ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ. ო. სენკოვსკი მხოლოდ ამ ტენდენციური მოსაზრებით რომ დაკმაყოფილებულიყო, უნდა გვეფიქრა, მისი მოსაზრება არ ვახდებოდა ობიექტი იმ მკაცრი და სამართლიანი კრიტიკისა, რომელიც მან განიცადა XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. უნდა აღინიშნოს, რომ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც მეტ-ნაკლები სიმკაცრით არ შეხებოდა ქართველი ხალხის საისტორიო ძეგლის ო. სენკოვსკისეულ კრიტიკას.

სენკოვსკის განცხადებით, ქართველები ამიერკავკასიაში XII საუკუნემდე არ არსებობდნენ. უკეთეს საერთოდ შესაძლებელია, მისი სიტყვით, საუბარი ქართველთა ოდინდელ არსებობაზე, მაშინ მათი პირველსახეობის საძებნია ჩრდილოეთ კავკასიაში. ხოლო რაც შეეხება იბერულ ეთნოსს, ეს უკანასკნელი კრებითი შინაარსის სახელია, რომლის შემდგენლობაში უპირველესი ადგილი სომხებს ეკავათ და რომელთა გავლენის სფეროში მოქცეული ყოფილა ამიერკავკასიის სხვადასხვა ხალხები. ცხადია, ქართველი ეთნოსი აქ სავეგებით გამოირიცხულია.

მოტანილი მასალა ნათლად მეტყველებს სენკოვსკის არამეცნიერულ, ტენდენციურ მიდრეკილებაზე. სავსებით მართალია, მაგალითად, ო. სენკოვსკის პიროვნების ერთ-ერთი შემდგახებელი, კერძოდ, ი. კორსუნსკი, რომელიც წერდა, რომ „Критика Сенковского страдала нередко односторонностью и недостатком основательности... Не обдумав хорошенько то, что писал, и не прочитав, по обычаю, написанного, не сделав к нему, также по обычаю, надлежащих документальных справок, он подлинно высказывал мнения, сильные только „громким провозглашением“, а не истинною“⁷.

ო. სენკოვსკის წერილი აკად. მ. ბროსეს ავტორიტეტისა და სახელის დასამცირებლად იყო გამიზნული. ამას იგი არ მალავდა, როცა ერთ-ერთ რეცენზიაში მიუთითებდა, რომ, თუ აკად. მ. ბროსე „Обозрение“-ს გაკიცხავდა მის შეცდომათა გამო, რაც მასში საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით არის დამზღუბელი, მაშინ—„...мы—союзники „Обозрению“ и готовы защитить его“⁸.

მ. ბროსემ საკადროსი პასუხი გასცა სენკოვსკის, მაგრამ ამჟამად ჩვენს საკითხის ეს მხარე არ გვაინტერესებს⁹. მ. ბროსეს წერილში, ისე როგორც

⁶ Сенковский, იქვე, გვ. 130.

⁷ И Корсунский, К характеристике О. И. Сенковского. „Русский архив“ 1891, წიგნი 11, ნაკვეთი 7, გვ. 373, 394. შტრ. Вл. Бойяновский, ტ. XXX^d, СПб. 1900, გვ. 531. გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ო. სენკოვსკის ნაშრომი გარკვეული, შოვინისტურად განწყობილი წრეების ზეგავლენით დაწერილ „გამოკვლევას“ წარმოადგენდა.

ცნობილი ბუშკინოლოგის ა. იაცვეინის ცნობით, ო. სენკოვსკი თავის ბიზნეს, პეტერბურგში, ხშირად აწყობდა თურმე დიდ მიღებებს, სადაც თავს იყრიდნენ „მათი ბრწყინვალეობა“ და „მთი აღმატებულება“ (იხ. А. Яцевич, Пушкинский Петербург, Ленинград, 1935, ტ. I, გვ. 326. შტრ. А. И. Копанев. Население Петербурга в первой половине XIX века, Москва—Ленинград, 1957, გვ. 107).

⁸ Библиотека для чтения, 1838 წ., ტ. XXVI, განყოფილება V, გვ. 13.

⁹ საგულისხმოა, რომ აკად. მ. ბროსეს ო. სენკოვსკისათვის პასუხის გაკვლევაზე თავის დახმარებას დაპირდა თ. ბაგრატიონი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-



მის შემდეგ დროინდელ სამეცნიერო მოღვაწეობაში, დიდი ადგილი აქვს მისი მოხილი „ქართლის ცხოვრების“ ძეგლის შესწავლის და შეფასების საქმეს. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა ჩვენ სასიქადულო ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს, რომ „Нет сомнения, что он (г. о. м. ბროსე, ა. ბ.) сделал больше для Грузии, нежели известный в ученом мире Сен-Мартен для Армении“¹⁰.

მ. ბროსე ყურადღებას აქცევდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტუალურ კრიტიკას და მისი ისტორიული ანალიზის საფუძველზე სათანადო მეცნიერულ განზოგადოებებს იძლეოდა. ავტორის სიტყვით: „უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია 1675 წელს დაბადებულ ვახტანგს, უწინდელ მასალათა გაუთვალისწინებლად, დაეწერა ისეთი მატიანე, რომელიც შეიცავს, არა თუ წარღვნის დროთა გადმოცემას, არამედ ქრისტეს დაბადებამდე მეოთხე საუკუნის ისტორიულ ფაქტებს. სათანადო მასალები საქართველოში ნამდვილად არსებობდა ვახტანგამდე, და არა როგორც განცალკევებული ცნობები, არამედ როგორც მატიანის მთელი წიგნები. ამას მოწმობენ სომეხი ისტორიკოსები მხითარ ერეცი, რომელსაც იხსენიებს ვარდან დიდი, მხითარ აირივანქელი, საკუთრივ ვარდან დიდი და სტეფანოზ ორბელიანი. ეს ისტორიკოსები წერდნენ XII და XIII საუკუნეებში, და მოგვითხრობენ, რომ მათ უკითხავთ ქართული მატიანე. სტეფანოზ ორბელიანი იმასაც დასძენს, რომ ამ მატიანეს უწოდებენ „ქართლის ცხოვრებას“ (ხაზი ავტორს ეკუთვნის. ა. ბ.), სწორედ იმ სახელს, რომლითაც ცნობილია აღნიშნული მატიანე“¹¹.

მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია ვახტანგისეული რედაქციით ცნობილ „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილს, სადაც ეწერა: „პატიოსანო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილ

მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების აღმოსავლურ ხელნაწერთა სექტორის არქივში დაცულია თ. ბაგრატიონის მთელი რიგი წერილები მ. ბროსესადმი, რომლებშიც თუიჩუნაზ ბატონიშვილი ფრიალ საჭირო ცნობებს აწვდიდა ფრანგ მეცნიერს ო. სენკოვსკის მასაზრებათა წინააღმდეგ. მაკალათისათვის მოკრძანოთ ბაგრატიონის შემდეგ სიტყვები: „უფალა მეგობარო ჩემო ბროსეტ! გუშინ ღამ ომ თქვენთან ვიყავ, რაც ლაპარაკი მეაა ამასთვის: რადგანაც ჟურნალში აწერინებთ სენკოვსკის (sic) სიტყვის საგებელს... მე ამასა გთხოვ, რომ ნანამ (ტფილისისათვის), სანცენ-სათაიავოსი, კახეთისთვის მცირე შენეცნება ჩემ მიერ აღწერილი არ წარვიტხოთ, უნდათ ნუ უპასუხებთ და ეგრეთვე ივერიისათვის მოვაროთვე მცირედაც აღწერას...“

რადგანაც ამდენი შრომა მიიღე, ქართველები მოიმაღლე, ასე ქენ, ვინც საქართველოზედ ცუდებსა სწერა და ტყუილის ზღაპრებით უნდათ, რომ საქართველო შეურაცხველი, რომ იმაზე თქვენ მძლეველად გამოსჩნდე, მეც შემიწივე და უჩნოთ პასუხს ნუ ნიაცემ. ეს ჩემი წერილი კარგა გაიხიჯე და პასუხი ისე მიეცე, არავინ შეგაცდინოსთ“... ტფილისისათვის გვ. 1—2. 4 ნოემბერი, 1838 წ. სანკტპეტერბურგი. ჩვენ მცირე ნოტაცილი ეს აღწერილი განმაცემული აქვს პროფ. შ. მესხიას (იხ. მისი, XIX საუკუნის ზოგი ცნობა ძველი თბილისის შესახებ. „ციცარო“, № 10. 1958 წ., გვ. 158).

¹⁰ Дм. Бакрадзе. Об источниках грузинской истории. „Кавказский календарь“, 1857 წ., გვ. 416. დიმი. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის წევრს, მარი ივანეს ძეს ბროსეს, „ციცარო“, 1857 წ., № 2. გვ. 60.

¹¹ M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siècle. Introduction et tables des matières. St.-Pét., 1858 წ., გვ. XIV—XV.

შდრ. ალექსანდრე ქვიციანი, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტიანობის საქართველოს ისტორიისათვის. ტფილისი, 1890, გვ. 7ც.

იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან, არღარა წერებულ იყო: ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცი და მოიხვნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კჳალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყენილ იყო განმართეს, და სხტაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერივნეს“¹².

ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, — აღნიშნავდა აკად. მ. ბროსე, რომ ვახტანგმა მხოლოდ შეაკრებინა სხვადასხვა მატიანენი და ცნობანი, რომელნიც მოიპოვებოდა მის დროს საქართველოში, მაგრამ გაბნეული იყო და მხოლოდ დაუროთ რამდენიმე წერილმანი ცნობა, რომლებიც აკლდა ძველ მატიანეებს. ჩვენი აზრით, ამგვარი შრომაც დიდ ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს ვახტანგს-¹³.

ო. სენსკოვის მიერ „ქართლის ცხოვრების“ არაობიექტურმა კრიტიკამ ერთგვარი ბიძგი მიიწვ მისცა საქართველოს ისტორიის წყაროთა შესწავლის შემდგომ გაღრმავებას.

ყურადღების ღირსია აკად. მ. ბროსეს „Additions“, სადაც შედარებით-ისტორიული ნეთოდის ნომარჯვებით, სინქრონულად არის დაპირისპირებული „ქართლის ცხოვრების“ და ზერინულ-რონული ისტორიოგრაფიის ცნობები საქართველოს ძველ ისტორიაზე. ამ ხაზრომში მან გარკვეია მრავალი საეჭვო და სადავო საკითხი ჩვენი ისტორიის უძველესი ხანისა.

მ. ბროსეს მიერ რუსეთში წყაროთმცოდნეობითი მუშაობის ასე წარმატებით დაწყებული საქმე იმ ინტენსიური მოღვაწეობის გარტძელებას წარმოადგენდა, რომელსაც იგი აწარმოებდა ჯერ კიდევ საღრანგეთში ყოფნის დროს ცნობილ ორიენტალისტ ჟან სენ მარტენთან (1791—1832 წ.) ერთად. მართალია, ეს უკანასკნელი თავისი პროფესიით არნეოლოგი იყო, მაგრამ ჟან სენ-მარტენმა, როგორც სომხეთის ისტორიკოსმა, იმთავითვე სწორად შეაფასა ქართული საისტორიო წყაროების მნიშვნელობა სომხეთის ისტორიისათვის და მისი ყურადღება „ქართლის ცხოვრებაზე“ ინიშურა.

ჟან სენ-მარტენმა ჯერ კიდევ 1819 წელს აღნიშნა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ქართველ ტომთა უძველესი ისტორიისათვის საეჭებით სანდოაო. მართალია, ამ ძეგლს ატყვია გავლენა, განსაკუთრებით ბერძნული კულტურისა, მაგრამ ეს გარემოება ავტორის აარით, სრულიად არ ხანის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის უტყუარობას. ჟ. სენ-მარტენის სიტყვით რომ ვთქვათ, „ბერძენმა ისტორიკოსებმა არ დავეტოვეს არავითარი ცნობები ევქსინის-პონტოს აღმოსავლეთის სანაპიროს სერძების ომიანობის შესახებ კალხებთან. მარტოოდენ „ქართლის ცხოვრებაში“ ვპოულობთ ჩვენ ამ ცნობებს, რომელნიც მნიშვნელოვანიც არიან და დასაჯერნიც“¹⁴.

¹² ქართლის ცხოვრება... თარგნული და გამოცეპული ღვაწლითა უ. ბროსესი, ნაწ. პირველი. სანკუბეტერბურგი, 1849 წ., გვ. 15.

¹³ M. Brosset. დაახ. ნაშრ., გვ. XV. შდრ. აღექსანდრე ქყოჩია, ისტორიული ნარკვევი... ტფლისი, 1890 წ., გვ. 77.

¹⁴ J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographique sur L'Arménie. Tome second. Paris, 1819, გვ. 190 შენ. e.

უფრო შორს მიდის და მეტ ნდობას უცხადებს „ქართლის ცხოვრებას“ ვივიენ დე სენ-მარტენი (1802—1897 წ.). „როდესაც გამოვიკვლიეთ—აღნიშნავდა იგი—ძველი სომხური წყაროები, ჩვენ დავამწუხრა იმ ფიქრმა, რომ სომხეთის ისტორიის დასაწყისზე არც ერთ დოკუმენტს არ მოუღწევია ჩვენამდე თავისი საკუთარი სახით, იმ სახით ვიდრე ადგილობრივ თქმულებას შეეკვლიდა ქრისტიანობის დროიდან შემოტანილი ბიბლიური თქმულება. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნაკლს ავსებს ქართველი ხალხის ისტორიული დოკუმენტი. ეს ხალხი ცხოვრობდა კავკასიის მთა-ხეობებში და მასზე უცხო ხალხს უფრო ნაკლები გავლენა ჰქონია... თუმცა ქართულ გადმოცემაშიც შეინიშნება ქრისტიანობის გავლენა, მაგრამ ეს ცვლილება იმგვარი არაა, რომ მას შეძლებოდა ძველი ადგილობრივი თქმულების შესუსტება. ის დიდ სინათლეს მოჰფენს არა მარტო საქართველოს ისტორიის დასაწყისს, არამედ კავკასიელთა შთელ შთამომავლობას. ეს (გადმოცემა, ა. ბ.) ეთანხმება დაბადების X თავს. ამ მსგავსებას ვხედავთ როგორც სახელწოდებებში, ისე აგრეთვე ფაქტობრივ ცნობებშიაც. მართალია, არ შეიძლება დავემყაროთ საგნებით ამ ფაქტებს, საკუთრივ მათ გენეალოგიას, მაგრამ, როდესაც თქვენ დაუპირისპირებთ და შეადარებთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ერთი მხრივ დაბადების გადმოცემას, (ხოლო, ა. ბ.) მეორე მხრივ სხვა უცხო ხალხთა თქმულებას, მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რომ საქართველოს ძველი თქმულება თუ უდიდესი ავტორიტეტის ღირსი არაა. ნაკლები მაინც არაა იმ ფაქტზე, რომელნიც კრიტიკას აღმოუჩენია ჰეროდოტესა და ტიტე-ლივიუსის მიერ მოთხრობილ ძველ თქმულებათა შორის“¹⁵.

დაახლოებით ასეთივე აზრისაა ვ. ლანგლუა. მისი თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი ზღაპრულია, როგორც ყველა ხალხის ისტორია, მათ შორის სომეხი ხალხის ისტორიაც. ვ. ლანგლუა ქართველთა საისტორიო წყაროს ორ ნაწილად ყოფს: პირველი ნაწილი აღმოცენებულია ზებირსიტყვიერების საფუძველზე, თუმცა მას ეტყობა ქრისტიანობის გავლენა, რომელიც თავის მხრივ აღადგენს ძველი გადმოცემის კვალს. ეს ნაწილი სრულდება ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე და ამ დროიდან იღვიძებს ეროვნული ტრადიცია. ქართველთა ისტორია კარგავს ძველ ზღაპრულ ხასიათს და ნამდვილ ნიადაგზე დგება. მემატრიანეები ქართველ მეფეთა ხელმძღვანელობით თავიანთ ქრონიკებში აღნიშნავენ ქართველი ხალხის ისტორიულ მსვლელობას და მონეტებიც ქართული წარწერებით იჭრება¹⁶.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ XIX საუკუნის ფრანგულ ორიენტალისტიკაში საგნებით ჩამოყალიბებული წარმოდგენა არსებობდა ჩვენი ისტორიული ძეგლის შესახებ. ცხადია, აქ გარკვეულ გადაჭარბებასთან გვაქვს უთუოდ საქმე „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობის განსახილვერაში, მაგრამ ამ ავტორებს აშკარად ემჩნევთ, რომ ისინი ყოველგვარი ტენდენციურობისაგან შორსა დგანან. ამ მკვლევართა მოღვაწეობის ხანაში, ე. ი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მსგავსი აზრის გამოთქმა ქართულ ქრონიკათა შესახებ,

¹⁵ Vivien De Saint-Martin Recherches sur les populations primitives du Caucase, Paris, 1847, გვ. 53—54, 78—79.

¹⁶ V Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 3—10. შტრ. დ. ბაკრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, „ივერია“, 1884 წ., № 7—8, გვ. 67—68.

ჯერ კიდევ შეუძლებელ საქმედ ჩანდა. მტკიცე და უმეჭველი აზრი ამ საკითხზე მხოლოდ იმ ქართულ ხელნაწერთა აღმოჩენისა და გამოქვეყნების შემდეგ შეიძლება შემუშავებულიყო, რომლებიც მოპოვებულ იქნა შედარებით მოგვიანებით აკად. მ. ბროსესა და ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მიერ. მაგრამ საყურადღებოა აქ ისაა, რომ ფრანგი ორიენტალისტების იდეა, იმეამად საჭირო დასაბუთებას მოკლებული, ქსადდებისოდაც ბევრ საკითხში მართებულად გამოიყურება. ისინი საეცებით მართალნი იყვნენ, როდესაც, „ქართლის ცხოვრება“ გამოაცხადეს საყურადღებო წყაროდ არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ მის მუშაობელ ხალხთა წარსულის შესწავლისთვისაც¹⁷.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია მის თანადროულ ფრანგულ ორიენტალისტკასთან შედარებით დაბლა დგას ფაქტობრივი მასალის განზოგადების თვალსაზრისით. ამ ხანის ისტორიკოსებისათვის (დავით. ბაგრატი, თეიმურაზ ბაგრატიონები, პლატონ იოსელიანი) დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მარტივი ისტორიული კრიტიკა და ზოგიერთ შემთხვევაში მატრიანისებური თხრობის ხასიათი. რაც შეეხება, კერძოდ: „ქართლის ცხოვრების“ ეგლის მნიშვნელობას, როგორც წყაროს უცვლელს ხანის საქართველოს ისტორიისათვის, აქ XIX ს. I ნახევრის ჩვენი ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილის დამოკიდებულებაც მის მიმართ ძალზე სუსტია, თითქმის უკრიტიკოა. ერთგვარ გამოწაკლის შეადგენს მხოლოდ ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი (1821—1866 წ.). ეს უკანასკნელი, როგორც მისი „საქართველოს ისტორიიდან“ ჩანს, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული და გონებამახვილი ისტორიკოსი უნდა ყოფილიყო და „ქართლის ცხოვრების“ ეგლის შესანიშნავი მცოდნე. მეტად ორიგინალურია ამ მკვლევრის შეხედულება ჩვენი წყაროს შეფასების საკითხში. მისი აზრით, რაკი „ქართლის ცხოვრება“ ცნობილია მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციით, ამიტომ შეუძლებელია იმ ჭეშმარიტების დადგენა, თუ რამდენად სწორ ანდა დამახინჯებულ ცნობებს შეიცავს ეს უკანასკნელი უცვლელს ხანის საქართველოს ისტორიისათვის. ვიდრე არ აღმოჩნდება ვახტანგამდელი „ქართლის ცხოვრების“ წყარო, მანამდე ბეჯითი აზრის შექმნა შეუძლებელ საქმედ ჩანს¹⁸.

ახლანდელ მატრიანის სხვადასხვა ნაწილებს—აღნიშნავდა იგი—სხვადასხვა ხასიათი აქვს: ზოგიერთი ადგილები თავისი კილოთი დაბადებას მოგვაგონებენ და ზოგიერთი კი—ან სომხურ ისტორიასა და ან სპარსულ პოეზიას. შესახებ იმისა, თუ რამდენად მართალია ფაქტები და ქრონოლოგიურად დაწყობილი—ჩვენ გვექნება შემთხვევა ჩვენს წერილებში მკითხველებს მივსცეთ ანგარიში; მაგრამ მას შემდეგ, რაც ვახტანგის კომისიამ გადააქეთა ეს მატრიანე, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რაიმე სწორი და მეცნიერებისათვის სასარგებლო დასკვნა გამოვიყვანოთ იმ ფაქტების შეხედულებითა და დაფასებით, რომელიც ამ მატრიანეში მოუქცევიათ. ჩვენის აზრით, ამ მატრიანის დამწყებთა და განმაგრძობელ წელთაღმწერთა შეხედულება და ფაქტების დაფასება რომ დაცულიყო, არათუ ნაკლულვიანებად ჩაითვლებოდა, არამედ ეს პირიქით

¹⁷ F. Dubois de Montpèreux, Voyage autour du Caucase, ტ. I, Paris, 1839 წ., გვ. 62—63.

¹⁸ ს. ბარათაშვილი, საქართველოს ისტორია, რვეული I. საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1995 წ., გვ. 7—8; შტრ. С. Баратов, История Грузии, Тетрадь 1, Древняя история Грузии, С.—Петербург, 1865 წ., გვ. 3.



ისეთივე საყურადღებო იქნებოდა, როგორც თვით ფაქტების დაცვა, და მის უფრო ადვილად შესაცლებელი იქნებოდა აგვეხსნა ქართულ საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მის ცხოვრების სხვადასხვა ხანებში.

აი ეს მატთანე ავირჩიეთ ჩვენ ამ წერილების ძირითად წყაროდ და იქიდან ჩვენ მხოლოდ იმგვარ ფაქტებს ავიღებთ, რომელიც, ერთის მხრით, მხოლოდ იმდენად განვითარებულია, რომ მათში მაინც დაცულია მატთანის ხასიათი, და მეორეს მხრით, იმდენად მშრალი, რომ ამოკლებული ვახტანგის კომისიის მრავალგვარ მჭერმეტყველობასა¹⁹.

ამრიგად, ს. ბარათაშვილი საყვედურს გამოთქვამდა ვახტანგ VI მიმართ იმ მხრივ, რომ მას არ ჰქონდა უფლება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ნაწილობრივი შესწორებისა. ავტორის ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარია, თუმცა მასში ყურადღებაა გამახვილებული ტექსტის პირვანდელი სახით დაცვის სასარგებლოდ.

ს. ბარათაშვილის მსჯელობას, როგორც ვხედავთ, ახასიათებს წყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულება. სამწუხაროდ, იგი ისე გარდაიცვალა (1866 წ.), რომ ვერ მოესწრო დ. ბაქრაძის მიერ ე. წ. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ აღმოჩენას (1884 წ.), რომელიც საქართველოს უცვლელს ხანის ისტორიას ძირითადად ისევე გადმოგვცემს როგორც ვახტანგისეული რედაქცია.

მიუხედავად ამისა, ს. ბარათაშვილი თავის „საქართველოს ისტორიაში“ არსებითად მაინც ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ რედაქციის ტექსტს მისდევდა და სადაც სათანადო ფაქტების ნაკლებობას განიცდიდა, იქ ბერძნულ-რომაულ წყაროებს იშველიებდა ხოლმე დედანში.

ამგვარი გზით, ე. ი. ქართულ და უცხოურ წყაროთა ურთიერთდამირისპირებით, მათში საერთო პარალელების აღმოჩენით, ჩვენმა ისტორიკოსმა თავის დროისათვის ფრიად სასარგებლო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა საქართველოს ისტორია რუსულ ენაზე და ყველას თვალნათლივ დაანახა, თუ რაოდენ საინტერესოა ამ დარგში ვაშლილი მეცნიერული კვლევა-ძიების წარმართვა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის (1826 - 1890 წ.) სამეცნიერო მოღვაწეობა. XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დარჩენილა არც ერთი მეტ-ნაკლებად საჭირობოროტო საკითხი, რომ დ. ბაქრაძეს მასზე პასუხი არ გაეცეს. მის საისტორიო ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრების“ წყაროს შესწავლის საკითხს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის შესწავლა დ. ბაქრაძემ მხოლოდ გარეგანი კრიტიკით შემოუტარგლა²⁰. მაგრამ ჩვენი ავტორის ერთ-ერთი დიდი დამსახუ-

¹⁹ ს. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8-9. შდრ. С. Баратов, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

²⁰ მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950; გვ. 143, 145; დ. ბაქრაძე იზიარებდა მის წინაზე ისტორიკოსთა (Платон Иоселиани, Краткая история грузинской церкви. Издание второе. СПб., 1843, გვ. II, წგნ. 16, გვ. 16) შეხედულებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაწილები თანამედროვეთა და თვითმხილველთა მიერ არის დაწერილი. იხ. Дм. Бакрадзе. Об источниках и характере первоначальных преданий „Картлис—Цховреба“ или грузинских летописей, Известия Кавказского

რება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი საქართველოს ისტორიის შესაძგენად მართო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცნობებს კი არ აღიარებდა, არამედ მატერიალური კულტურის ძეგლთა მონაცემებიც ცვირდას ისტორიულ წყაროდ მიაჩნდა მას. მაშასადამე, XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძის უტილობელ დამსახურებად უნდა ვალიართ ამ სახის ძეგლთა, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროთა, გამოყენება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ავტორი წერს: „ჩვენამდე მოღწეულს ძველს საქართველოს წერილობითს სახსოვართ შორის განსაკუთრებული ჩვენი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს ქართველთ საისტორიო შრომაზე. ამ შრომას შეადგენს: ადგილობრივი ქრონიკები და არქეოლოგიური ცნობარი, როგორც მგაღლითად ზედ-წარწერანი საეკლესიო შენობაზე და ხატის შეჭედილობაზედ, მიწერილობანი ძველ ხელნაწერებზე, მონასტერთა და თავად-აზნაურთათვის ბოცებული ესრედ-წოდებუ-ლი გუჯრები, საერო და საეკლესიო“²¹.

გარდა ამისა, საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის დ. ბაქრაძე იხსენიებდა ნუმიზმატიკურ მასალებსა და სიგელ-გუჯრებს²². მისი სიტყვით, „ისტორიულ წყაროებს საკმაოდ შეეწევა ნუმიზმატიკა“²³.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ავტორზე ნაყოფიერი გავლენა მოუხდენია XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის გეორგ ნიბურის (1776—1831 წ.) „რომის ისტორიას“, რომელმაც მთელი ეპოქა და მიმდინარეობა შექმნა დასავლეთეფროპულ ისტორიოგრაფიაში და რომლის საფუძვლიანი დამუშავების შედეგად დ. ბაქრაძემ კრიტიკული თვალთახედვით გააჩნია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი. მკვლევრის სიტყვით (გ. ნიბურის მოსაზრებათა გაზიარებით, გავლენით) „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი ზღაპრულია და ჩვენ დრომდე მოაღწია ზეპირსიტყვიერების გზით. „ეს დასაწყისი ჩვენს მატრიანებში იმგვარივეა—აღნიშნავდა დ. ბაქრაძე.—როგორც უცხო ტომთ თქმულებანი წარმოგვიდგენენ. ევროპის განვითარებულ მეცნიერთ შეუნიშნავთ, რომ არც ერთმა ტომმა არ იცის თავისი შთამომავლობა და ყველა მოთხრობა პირველ—საუკუნეებზე ზღაპარია. ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე ამგვარი თქმულება დაფუძნებულია ზეპირ-სიტყვიერებაზე“²⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი დ. ბაქრაძეს არაერთგზის აქვს გამოთქმული თავის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომებში²⁵. დ. ბაქრაძის ეს

общества истории и археологии, т. I, ნაკვ. 1, Тифлис, 1882, გვ. 31, მისივე „ქართლის ცხოვრების“ პირველგადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი. „ივერია“, № 1, 1885 წ., გვ. 49—50. მისივე: პრაფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. „ივერია“, № 7—8, 1884 წ., გვ. 83.

²¹ დ. ბაქრაძე, ახალ გამოკვლევაზედ დაფუძნებული საქართველოს ისტორია, „ივერია“, 1883, № 12, გვ. 17.

²² დ. ბ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის წევრს, მარი ივანეს ძეს ბროსეს. „ცისკარი“, 1857 წ., № 2, გვ. 57—60, 66—67. შდრ. Дм. Бакрадзе, Об источниках грузинской истории, „Кавказский календарь“, 1857 წ., გვ. 411, 414—415.

²³ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56. Дм. Бакрадзе, დასახ. ნაშრ. გვ. 409.

²⁴ დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის პირველ-დაწყება. „მნათობი“, 1872 წ., № 2, გვ. 52.

²⁵ დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები. აკადემიის წევრს, მარი ივანეს ძეს ბროსეს, „ცისკარი“, 1857 წ., № 2, გვ. 51. შდრ. Дм. Бакрадзе. Об источниках грузинской истории. „Кавказский календарь“, 1857 წ., გვ. 405—407; მისივე. ახალ გამო-



შენიშვნა არაკეთილსინდისიერად გამოიყენა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ქეროზე პატკანოვმა (1833—1889 წ.). თავის წერილში „ქართული ქრონიკის შესახებ“²⁶ ავტორმა უარყო „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის ღირსება და დ. ბაქრაძის ზემოთ მოტანილი მოსაზრება დაიმოწმა. ქ. პატკანოვმა შეგნებულად გვერდი აუარა ჩვენი მკვლევარის მთელ აზრს და მის წერილიდან ამოგლეჯილი ერთი წინადადების საფუძველზე დაიწყო მსჯელობა.

XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ უარყოფითად შეაფასა პროფ. ქ. პატკანოვის კონცეფცია ქართული საისტორიო წყაროს გამო გამართულ პოლემიკაში²⁷. დ. ბაქრაძემ, ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძემ (1837—1907 წ.) სიტყვა-სიტყვით გაარჩიეს ავტორის შეხედულებები და მათთვის დამახასიათებელი საბუთიანობით ცხადყვეს ქ. პატკანოვის მოსაზრებათა ტენდენციურობა²⁸.

პატკანოვს არ სწამდა მის დროს დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის მიღებული აზრი ქართველ ტომთა ნათესაობის შესახებ ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ურარტულ ტომებთან. ამ დებულებიდან გამომდინარეობდა ლოგიკური დასკვნა, რომ ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისი სომხეთი ყოფილა. ეს მოსაზრება ქ. პატკანოვის განსაკუთრებული ეჭვის საგნად იქცა.

„თავის ახალ შრომაში—აღნიშნავდა დ. ბაქრაძე—პატკანოვს უმთავრეს საგნად ისა აქვს, რომ, როგორც თვითონ ამბობს, გამოიძიოს, შეეხება თუ არა ქართული წყარო იმ დროს, როდესაც ახლანდელთ ევროპიელთ მეცნიერთ გამოკვლევა უჩვენებს ქართველ ტომს ვანის ლურსმებრივ მწერლობაში, ესე იგი, ვითომც ძველის-ძველად ქართველობა ოდესმე გავრცელებული ყოფილიყო, ვიდრე სომხები გაჩნდებოდნენ, მთელს სომხეთში. ამ საგანზე, როგორც გვაგონდება, პატკანოვი წინად წინააღმდეგს ამბობდა; მაგრამ, რადგანაც ხსენებულს აზრს უფრო და უფრო ითვისებს ევროპიული მეცნიერება, მისთვის ახლა ცოტაოდნად ისიც ყოყმანით სთმობს, ამ საგანს ჩვენ აქ არ შევებებით. ჩვენ მხოლოდ გვსურს მკითხველს გავაცნოთ საფუძველი იმის მსჯელობისა ქართულ წყაროებზე“²⁹.

კვლევებზე დაფუძნებული საქართველოს ისტორია. „ივერია“, 1883 წ., № 12, გვ. 22; მისივე, ქართული ისტორია, II, „დროება“, 1882 წ., № 12, გვ. 3.

²⁶ К. Патканов, О древней грузинской хронике, ЖМНП, 1883 წ., № 12, გვ. 199—274.

²⁷ დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, „ივერია“—1884 წ., № 7—8, გვ. 54—88; შდრ. ი. ჭავჭავაძე, სმეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღღი, ტფილისი, 1889, გვ. 42—65.

²⁸ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგად არის გაშუქებული ი. ჭავჭავაძის კრიტიკული დამოკიდებულების საკითხები ქართული კულტურის გამყარებულთა ცდების წინააღმდეგ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბილისი, 1938; მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), ბათუმი, 1950; ავთ. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან), თბილისი, 1951; აბელ კიკვიძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება (დამ. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951 წ., ნაკვ. 29 გვ. 1—19.

²⁹ დ. ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი, „ივერია“, 1884 წ., № 7—8, გვ. 65.

როგორც ამ წინადადებიდან ჩანს, დ. ბაქრაძემ სწორად გაიგო ქ. პატკანოვის „ქართლის ცხოვრება“-ზე გამოლაშქრების არსებითი ხასიათი. მაშასადამე, თუ ქ. პატკანოვი შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი ქართველ ტომთა თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ ყალბი, სიცრუის შემცველი და უნაყოფოა (და შეთხზულია XII საუკუნეში უვიცი სომეხი ბერის მიერ), მაშინ არაპირდაპირი გზით შეიძლებოდა უარყოფილიყო XIX საუკუნის დასავლეთ ევროპელ ორიენტალისტთა აზრი ქართველ და ურარტულ ტომთა გენეტიკური ურთიერთობის შესახებ. ქ. პატკანოვის გამოკვლევის მთელი შინაარსი შეიძლება მოკლედ ასე გამოიხატოს:

„ქართლის ცხოვრების“ ცნობათა მკაცრი კრიტიკის შემწეობით უნდა დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ ქრონიკაში დასანახია არა უმეტეს „შედარებით ახალი, უხეირო კომპილაცია; შედგენილი გამოუცდელი ხელის მიერ ცნობილი შაბლონით“ და რომ საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი შედგენილია არა გადმოცემის მიხედვით, არამედ „შეთხზულია ერთი პიროვნების მიერ წინასწარადებული თვალსაზრისით“³⁰. მეფე ვახტანგის „ქართლის ცხოვრების“ ვრცელ ძეგლს, როგორც ირკვევა, საფუძვლად ედო მოკლე ქართული მატრიანე, რომელიც ცნობილი იყო სომხურ თარგმანში და რომელიც შეუთხზია უვიცი სომეხ ბერს XII საუკუნეში ქართველთა დაკვეთით, როდესაც მათ საერთოდ იგრძნეს ისტორიის დაწერის აუცილებლობა“³¹.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქ. პატკანოვის მიერ გამოტანილი განაჩენი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილისადმი ძალზე მკაცრია და როგორც ქვემოთ დავინახავთ, აშკარად ცალმხრივი და ტენდენციურიც. მაგრამ ამ ნაშრომის გამოკვეყნებიდან არ გასულა ერთი წელიც, რომ დ. ბაქრაძემ 1884 წელს აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ XVII საუკუნის ხელნაწერი, ე. წ. „მარიამისეული“ ნუსხა, რამაც არსებითად შეცვალა ქ. პატკანოვის შეხედულება³².

ახალი ნუსხა ანუ მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით ყოფილა დამზადებული, დ. ბაქრაძის გამოანგარიშებით გადაუწერიათ 1636—1646 წლებში³³, ე. ი. ნახევარი საუკუნით მინც უფრო ადრე ვიდრე ვახტანგ VI-ის სახელით ცნობილი „ქართლის ცხოვრება“. აქედან ნათლად ჩანსო. შენიშნავდა ჩვენი მკვლევარი, რომ ქ. პატკანოვის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება თავიდან ბოლომდე მცდარია.

მარიამისეული ნუსხა აკად. მ. ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრება“-სთან შედარებით უფრო ვრცელია, მასში შეტანილია სუმბატის ქრონიკა ბაგრატიონთა შესახებ, ისტორიანი და აზმანი მარაგანდელთანი“ და

³⁰ К. Патаканов, *დასახ. ნაშრ.*, გვ., 205.

³¹ სხვათა შორის „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური ნუსხის გამოცემას ამზადებდა ქ. პატკანოვი (იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და დოქსიკონით, გამოსცა ი. ლი ა ბ ა ზ უ ლ ა ძ ე მ. თბილისი, 1953 წ., გვ. 02).

³² დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, *პროფესორი პატკანოვი.*, „ივერია“, 1884 წ., № 7—8: გვ. 72.

³³ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 64, 72; შდრ. Д. З. Бакрадзе. *Статии по истории и древностям Грузии. Приложение к Iy-му тому Записок Императорской Академии наук*, № 1, СПб. 1887 წ., გვ. 16; ამჟამად ეს თარიღი პროფ. კ. გრიგოლიამ სხვაგვარად განსაზღვრა და მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხის გადაწერა 1633—1646 წლებით დაათარიღა. იხ. კ. გ რ ი გ ლ ი ა. *ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან*. 1. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1954, გვ. 94, 115.



სხვა. სწორედ ამ ძირითადი ნიშნებით განსხვავდება მარიამიხეული ნუსხა 1884 წლამდე ცნობილ „ქართლის ცხოვრებისა“-გან.

მაგრამ ქ. პატკანოვის მთავარი და არსებითი ხასიათის შეცდომა მაინც აღნიშნულით არ განისაზღვრება. მისი ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ანგარიში არ გაუწია აკად. მ. ბროსეს მიერ შენგნულ განსხვავებას ერთი მხრივ XVIII საუკუნის „ქართლის ცხოვრებისა“ (სამი ნუსხა)³⁴ და მეორე მხრივ „სომხურ ქრონიკას“ შორის, რამაც მ. ბროსეს არსებითად შეაცვლევინა მისი ძველი შეხედულება და ათქმევინა, რომ ამიერიდან იგი ხელს იღებდა მეფე ვახტანგისათვის „ქართლის ცხოვრების“ მიწერაზე³⁵.

აკად. მ. ბროსეს ამ ფრიად საყურადღებო დაკვირვებას პირუთენელი მკვლევარი, რა თქმა უნდა, ანგარიშს გაუწევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, პროფ. ქ. პატკანოვმა მას ყურადღება შეგნებულად არ მიაქცია და, როგორც დავინახეთ, არსებითი ხასიათის შეცდომა დაუშვა. პატკანოვი ვერ ურიგდებოდა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქართველი ტომები გენეტიკურ, წარმომავლობით კავშირში იმყოფებიან ისტორიული არმენიის ტერიტორიაზე მოსახლე ურარტულ ტომებთან.³⁶

რაკი ქ. პატკანოვს იმდენი ცოდნა და მომზადება არ გააჩნდა ასირიოლოგიაში, რომ მის თანადროულ დასავლეთ ევროპის ორიენტალისტებს შეკამათებოდა ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებზე, იგი არაპირდაპირი გზით შეეცადა ამ თეზისის უარყოფას და „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის კრიტიკას მიჰყო ხელი. ამასთან მან ისიც კარგად გაითვალისწინა, რომ 1883 წელს აკად. მ. ბროსე უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო. ამდენად, მისი აზრით, ვერაფერს ვერ იკისებდა მისთვის სათანადო პასუხის გაცემას. მაგრამ, როგორც დავინახეთ, პატკანოვი ისევე მძიმედ შეცდა, როგორც თავის დროზე სენკოვსკი³⁷.

ქ. პატკანოვის აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა სულ რაღაც 15 წელი და „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული მნიშვნელობა ხელახლა კითხვის ქვეშ დაიხდა. მხედველობაში გვაქვს პროფ. ვ. ბოლოტოვის

³⁴ აკად. მ. ბროსეს განკარგულებაში იყო XVIII საუკუნის „ქართლის ცხოვრების“ სამი ხელნაწერი: ბროსესული, რუმინანცივესული და თეიმურაზისეული. როგორც ჩანს, გაუგებრობაზე აგებული პროფ. ი. ოქრომჭედლისეულისა (იხ. ოქრომჭედლი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი. „ივერია“, 1887 წ., № 194, 197, 200) და პროფ. ა. ხახანაშვილის (A. C. Xaxanov, Грузинские рукописи Румянцевского Музея, Москва, 1897, გვ. 9) მოსაზრებანი, თითქოს მ. ბროსეს ხელთ ჰქონდა თეიმურაზისეულის ნაცვლად ფარნაოზისეული ხელნაწერი.

³⁵ M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siècles. Introduction... St.—Petersbourg, 1858 წ., გვ. XVIII.

³⁶ სხვათა შორის კომხეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნ. ევინი ფრიად უარყოფით შეფასებას აძლევდა პროფ. ქ. პატკანოვს, როგორც ორიენტალისტს. იხ. Н. Эвин, Профессор Патканов как ориенталист, Вена, 1874, გვ. 3—25.

³⁷ ნაციონალიზმის ელფერი ატყვია დაზარების აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტის პროფესორის, ილია ოქრომჭედლისეულის (1838—1898 წ.) ერთ-ერთ წერილს, რომელიც მიეძღვნა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის დაცვის საქმეს. ამ მკვლევარმა, როგორც ცნობილია, პირველმა შეისწავლა ე. წ. რუმინანცივესული და „ფარნაოზისეული“ (sic) „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, რ ომელთაგან პირველი ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მუშაობის ნა-

(1854—1900 წ.) რეცენზია მღვდელ გიორგი გამყრელიძის ნაშრომზე; „Древнейшая история церкви в Грузии (от IV в. до прибытия сирийских

ყოფს შეადგენს (ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბილისი, 1952, გვ. 332—336), და რომელიც ყველა ძირითად ნაწილში ქართველოფილურ ტენდენციებს ამჟღავნებს, შეეხება ეს შაოს-ქართლისის ურთიერთობას, ქართული ენის წარმოშობის თეორიას თუ „ქართლის ცხოვრების“ სხვა არსებითი ხასიათის პრობლემას. მაგალითისათვის შეიძლება დაგვესახულებია რუმინცივიცილი „ქართლის ცხოვრების“ მატანიის ცნობა ქართული ენ-ს წარმოშობის შესახებ. აქ შენდები სწერია: „ქანონდჳ ქართლისიანთა ენა იყო ნხოლოდ ქართული, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვენი ნათესავნი ქართლთა შინა, მაშინ ქართველთაჲ გარყენეს ენა, თვისი და ამით ყოველთა ნათესავთაჲნი შეიქმნა ენა მორთული „(იხ. ი. ოქრომჭედლიშვილი, ისტორიისა და საბიბლიოგრაფიის წერილი, „ივერია“, № 197, 1887, გვ. 2). თითქმის ამგვარადვე ნოთხრობილი ეს ამბავი ფარნავახისეულ (უნდა იყოს თეიმურაზისეულ, ა. ბ.) „ქართლის ცხოვრების“ ტექსტშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „მორთულის“ ნაცვლად იქ „რთული“ წერია.

მაშასადამე, ი. ოქრომჭედლიშვილის სიტყვით, მ. ბროსეს ხელთ არსებული სამი ხელნაწერიდან (მესამე საკუთრივ მ. ბროსეს ეკუთვნოდა და, როგორც თვითონ აღნიშნავდა, არც აქაა საუბარი ქართული ენის სომხურიდან წარმოშობის შესახებ) არც ერთი არ გვაუწყებდა ქართველთა მიერ თავდაპირველად სომხურ ენაზე ლაპარაკის შესახებ. მაგრამ ამავ ევტორის ცნობით, ე. წ. „სომხური ქრონიკა“ (XII—XIII საუკუნეი ქართულიდან სომხურად თარგმნილი) შეიცავს ცნობას ზემოთ აღნიშნულის თაობაზე. სწორედ ამ ხელნაწერიდან შეუტანია მ. ბროსეს თავის „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული ცნობა და ამით ფრიად უზემი შეცდომა დაუშვია. „ამ საგანს მე აქ არ შევეხებოდი—აღნიშნავდა ი. ოქრომჭედლიშვილი—თუ ამ წერილის დედა-ახრად არა მქონდეს ბროსეს უმეტრება და ყალბობის დამტკიცება „(იხ. „ივერია“, № 200, 1887 წ., გვ. 3). საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ოქრომჭედლიშვილის მთელი წერილი მიმართულია აკად. მ. ბროსეს წინააღმდეგ. ზემოთ აღნიშნული გვეჩინდა, რომ ი. ოქრომჭედლიშვილის წერილის გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე, კერძოდ 1884 წელს დ. ბაქრაძემ აღმოაჩინა ე. წ. მარიამისეული ხელნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“, რომელშიც სწორედ ის აზრია გატარებული, რომ ქართველთა სასაუბრო ენა თავდაპირველად სომხური იყო.

ი. ოქრომჭედლიშვილის მოსახრებათა გავლენას განიცდიან ვინმე ააა...ნ... (ქართლის ცხოვრება რუმინცივის მუხეუმისა. „ივერია“, № 205, 1887 წ., გვ. 4) და პროფ. ა. ხახანაშვილი (იხ. ა. ხ. კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში „ივერია“, 1881 წ., № 135, 156, 214, 218, 242. მისივე. Грузинския рукописи Румянцевского Музея, Москва, 1897 წ., გვ. 1—13).

რაც შეეხება პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილის მიერ ზემოთ მოტანილ ცნობას რუმინცივისეული ხელნაწერიდან ქართველ ტომთა სასაუბრო ენის საკითხის შესახებ, აქ უნდა შემდგირ განვაცხადოთ: რა თქმა უნდა, პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილი სასეხით მართალი იყო, როდესაც აცხადებდა, რომ რუმინცივისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ქართველთა სასაუბრო ენა ქართულიაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ რუმინცივისეული ხელნაწერი, რომელიც მეცნიერებისათვის თეიმურაზ ბაგრატიონის წყალობით გახდა ცნობილი და რომელიც ამ უკანასკნელმა გრაფ ნიკოლოზ რუმინცივს (1754—1826 წ.) მიართვა საჩუქრად 1821 წელს, თავნაკლული ყოფილა, მას 16 ფურცელი ანუ ორი რვეული კლებია. თეიმურაზმა თავის მოძღვარ ტარასის გადააწერინა დაკარგული ფურცლები და ამით ხელნაწერი შეუკვია (იხ. კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954 წ., გვ. 123), ოღონდ მან ნებიზმიერად შეცვალა „ქართლის ცხოვრების“ ის ადგილები, სადაც სომეხთა პრიორიტეტის ამბე ბზეა საუბარი. ეს გარემოება ი. ოქრომჭედლიშვილს არ სცოდნია და სწორედ ამით აიხსნება მისი გულისწყრომა აკად. მ. ბროსესადმი. ამჟამად ზემოთ აღნიშნულ 16 ფურცელი დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, იგი აღმოაჩინა პროფ. კ. გრიგოლიამ (იხ. კ. გრიგოლია. ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწყვეტი და მისი ადგილის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 9, 1944 წ., გვ. 945—949. მისივე. ნარკვევები, გვ. 125).



СВЯТЫХ)³⁸, სადაც ქართველი სასულიერო პირი ძირითადად ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე იკვლევდა ქართული ქრისტიანობისა და ეკლესიის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ რეცენზენტის აზრით, გ. გამყრელიძემ დასახულ მიზანს მიაღწია და მნიშვნელოვანი გამოკვლევაც შექმნა ამ მიმართულებით, მაინც მისი ძირითადი პირველწყარო, ე. ი. „ქართლის ცხოვრება“ სანდო საისტორიო წყარო არ უნდა იყოს. ეს ნათლად ჩანს, ავტორის აზრით, იმაში, რომ მასში სრულიად იგნორირებულია რომაელთა გამარჯვება ივერიელებზე და არც იმაზეა საუბარი, რომ ამიერიდან ივერიელები რომაელებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ხოლო ივერიელთა ამგვარ დამოკიდებულებაში ყოფნა კი უეჭვო ფაქტიაო, დასძენს ვ. ბოლოტოვი³⁹.

მეორე მხრივ პროფ. ვ. ბოლოტოვის ყურადღებას იქცევდა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის აღწერა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. ვ. ბოლოტოვის აზრით, ვახტანგის გარშემო არსებული ცნობები ყველა ლეგენდარული წარმოსახვისაა: ზღაპრულია მისი ნახევრად თათრული სახელი; ლეგენდარულია მისი სახელოვანი გამარჯვებები; სინამდვილეს არ შეესაბამება, აგრეთვე, ვახტანგის იერუსალიმში სალოცავად სვლის ტრიუმფი და მრავალი სხვა⁴⁰.

ეს გარემოება იმის საფუძველს აძლევდა ვ. ბოლოტოვის, რომ მას „ქართლის ცხოვრება“ ნდობას მოკლებულ წყაროდ მიიჩნია. „Ввиду этих промахов,— აღნიშნავდა იგი, — можно ли такие произведения письменности, как Картлис-Цховреба, признавать за исторический источник?.. По моему мнению, научную историю Грузии в древнейший период можно писать только при строжайшем, принципиальном недоверии к показаниям Картлис-Цховреба и других источников того же типа“⁴¹.

პროფ. ვ. ბოლოტოვის დასკვნა, როგორც ირკვევა, ი. სენკოვსკისა და ქ. პატკანოვის „თეორიების“ უბრალო გამეორებას წარმოადგენდა. „ქართლის ცხოვრების“ წყაროს კრიტიკაში აქ ახალი მხოლოდ ისაა, რომ ყურადღება მიექცა მატანიეში რომაელთა იბერიასთან ურთიერთობის ამსახველ ფაქტთა მოუხსენებლობის საკითხს.

სამწუხაროდ, პროფ. ვ. ბოლოტოვი ცუდად იცნობდა თავის დროის ქართულ ისტორიოგრაფიას, იგი არ იყო ამ საქმეში რიგიანად ჩახედული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა დ. ბაქრაძის აზრი იმის შესახებ, თუ რა მიზეზით არ შეუტანია ლეონტი მროველს⁴² ცნობები რომისა და იბერიის სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათის შესახებ.

³⁸ Отзывы ординарного профессора В. В. Болотова о сочинении студента Георгия Гамкрелова „Древнейшая история церкви в Грузии (от IV в. до прибытия сирийских святых)“, Христианское чтение, ტ. „V, ნაწ. მეორე, СПб., 1898 წ., გვ. 253—271“

³⁹ Отзывы... გვ. 258.

⁴⁰ Отзывы... გვ. 259.

⁴¹ Отзывы... გვ. 260.

⁴² დ. ბაქრაძე ლეონტი მროველს VII საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა. იხ. Дм. Бахрадзе, Об источниках и характере первоначальных преданий „Картлис-Цховреба“ или Грузинских летописей. Известия Кавказского общества истории и археологии, ტ. 1, ნაკვ. 1, Тифлис, 1882, გვ. 31. მისივე. „ქართლის ცხოვრების“ პირველ—გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი, „ივერია“, № 1, 1885 წ., გვ. 50.

დ. ბაქრაძე თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში⁴³, იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მონაპოვართა გათვალისწინების საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მართალია ქართლის ცხოვრებაში ბევრგან ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობანი მოიპოვება, ალაგ-ალაგ სულ გამოტოვებულია ზოგიერთი მოთხრობა და ისტორიული ფაქტი, მაგრამ ეს გარემოება მარტო ქართლის ცხოვრების ხვედრს არ შეადგენს; ესეები ყოველის ხალხის მატია-ნემი მოიპოვება“.

ამ ფრიად საგულისხმო ცნობის გარდა დ. ბაქრაძე გამოთქვამს თავის დაკვირვებას იმის შესახებ, რომ არათუ უძველესი ქართული წყაროები არ შეიცავენ სანდო ცნობებს საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ, არამედ ყველა ხალხის დასაწყისი ისტორია, მათ შორის ბერძნებისა და რომაელების წარსული, თავის საწყის სტადიაში საშინელი ბურუსით არის გარემოსილი. „ჩვენ დარწმუნებით ვიცით—წერდა დ. ბაქრაძე,—რომ საქართველოს საკმაოდ აქუის ისტორიული ცნობები... მართალია, რაც პირველის დროებისა ვიცით, იმას უშეკოდ ვერ მივიღებთ, რადგან მეტად ცოტაა და არც დასაჯერებელია მაძინდელი წყაროები. ან სხუას კი რომელ სახელმწიფოს შეუძლიან წარმოგვიდგინოს დასარწმუნებელი ისტორია თავისის დასაწყისისა? მოვივანოთ მდიდრად განათლებულნი ქუეყნები—საბერძნეთი და რომი. რა არის დაწყება იმათის ისტორიისა? იქნება ბევრმა არც კი იცის რა ჰქნა დიდმა გერმანიის ისტორიკოსმა ნიბურ? იმან შეარყივა და დასცა რომის ისტორიის საფუძველი, მედენი და სხუა მოქმედნი გვაძნი ზღაპრულ პირებად გამოიყვანა. თუმცა იმის პასუხად ყოველის მხრით მოისმა ხმა დიდის წინააღმდეგობისა, მაგრამ ახლანდელმა ისტორიულმა კრიტიკამ ნიბური სრულებით გაამართლა. ბერძნული ისტორიაც ამავე მდგომარეობაშია“⁴⁴...

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ვ. ბოლოტოვის შეხედულება „ქართლის ცხოვრების“ მატიანის დასაწყისი ნაწილის შესახებ, იმ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, რაც მას მიუღია გ. გამყრელიძის დისერტაციის კითხვის პროცესში, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენთვის მისაღებად. მართალია, ჩვენ ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ ვ. ბოლოტოვის თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ მიმართ იმგვარივე იყო, როგორც ო. სენკოვსკისა და ქ. პატკანოვის, მაგრამ მისი აზრი ამ იშვიათად საინტერესო ძეგლის შესახებ სწორად ვერ ჩაითვლება⁴⁵.

⁴³ Д. Бақрадзе, История Грузии на основании новых изысканий. Историческое значение: а) надписей на храмах и иконах Грузии, б) приписок на ея манускриптах, и в) церковных и светских ея хартий. — Программа их исследования. Записки Императорской Академии наук. т. XXII, 2, 1873 წ., გვ. 1—18. ეს წერილი გადაბეჭდილი იქნა ჟურნალ „Кавказская старина“—შიც 1873 წ. № 7—8, გვ. 201—208. გამოქვეყნდა ამ მწერლის ქართული თარგმანიც იხ. „ივერია“, 1883 წ., № 12, გვ. 10—34.

⁴⁴ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ ნ ა შ რ., გვ. 22. შდრ. Записки имп. Академии наук... გვ. 8 „Кавказская старина“ .. გვ. 204—205.

⁴⁵ დიმი. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის წევრს, მარი ივანესძეს ბროსეს, „ცისკარი“. № 2, 1857 წ., გვ. 51—52. არსებობს ამ სტატიის აღმკვეთური რუსული თარგმანი, იხ. Дм. Бақрадзе, Об источниках грузинской истории. „Кавказский календарь“, 1857 წ., გვ. 405—416. ჩვენთვის საინტერესო ციტატი დაბეჭდილია 405-ე გვერდზე.

⁴⁶ ის გარემოება, რომ XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება არ დაეთმო ვ. ბოლოტოვის რეცენზიას გ გამყრელიძის ნაშრომზე, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ ქართული ისტორიული სკოლა ვ. ბოლოტოვის გამოსვლას ტენდენციურობით არ ხსნიდა.

რაკი პროფ. ვ. ბოლოტოვიძე ქართული ენა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, სრულიად არ იცოდა⁴⁷, და სათანადო ლიტერატურასაც ძალზე სუსტად იყო გაცნობილი, ამიტომ მას შეეწლო დაეშვა ცალკეული ხასიათის შეცდომები, რაც ცხადია, მის ტენდენციურობაზე არ მიუთითებენ. მაგრამ სამწუხაროა, რომ XIX საუკუნის რუსული ფეოდალურ-კლერიკალური ისტორიოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლისთვის უცნობი თუ შეუმჩნეველი დარჩა მისი თანადროული ევროპული ისტორიული სკოლის წაწყვენილი მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაპრობები კავკასიის ხალხთა ისტორიის დარგში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროფ. ვ. ბოლოტოვიძე თავს ვერ გამოართვებდა იმით, რომ მან ქართული ენა არ იცოდა. მის დროს ძალიან კარგად იყო ცნობილი ვსევოლოდ მილერის (1848—1913 წ.) „Осетинские этюды“, რომელშიც ავტორის მიერ, საკმაოდ მკაცრად, და ობიექტურად არის გარჩეული ქართული ეროვნული საისტორიო ტრადიციის ცნობები ოსი ხალხის უძველესი ისტორიის შესახებ⁴⁸. მართალია, პროფ. ვ. მილერი ნაწილობრივ ეთანხნებოდა ქ. პატკანოვს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის დახასიათებაში, გაზვიადებულად ეჩვენებოდა მატიანის ცნობები ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის შესახებ⁴⁹, მაგრამ მას, ამ ნაკლის მიუხედავად, ეს წყარო მაინც ღირსეულად მიაჩნდა საიმისოდ, რომ იგი გამოყენებული ყოფილიყო როგორც ოსთა, ისე ხაზართა, ე. ი. სკვითთა ისტორიისათვის⁵⁰.

ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა, ვ. მილერი აღნიშნავდა აგრეთვე იმასაც, რომ, როგორც წესი, შუა საუკუნეების ისტორიკოსებისათვის უაღრესად დამახასიათებელი იყო მატიანეებში შეტანა იმ ხალხური გადმოცემებისა, რომლებიც ცნობილი ყოფილა მათ დროს. ასეთ კონკრეტულ შემთხვევასთან გვაქვს ჩვენ საქმეო, დასცენდა ვ. მილერი, „ქართლის ცხოვრების“ მატიანეში⁵¹. მაქასადამე, ეს არის საერთო ნიშანი და იგი არაა დარღვეული არც ქართველთა მატიანეში.

ამრიგად, ჩვენი მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი „ქართლის ცხოვრებისა“. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძეგლის გარჩევის დროს მომარჯვებული იქნებოდა კვლევა-ძიების უფრო ღრმა-მეცნიერული პრინციპები, რომელიც გამოიხეშებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ-კრიტიკულმა სკოლამ (გ. ნიბური) და რომელიც სილტვოდა წარსულის ზუსტი, შეცდომებისდაგვარი ობიექტური აღდგენისაკენ. მაგრამ, როგორც გაირკვა, XIX საუკუნის ისტორიოგრაფია ყოველთვის როდეს აღწევდა „ქართლის ცხოვრების“ სამართლიან შეფასებას. ამ ძეგლის შეფასებაში ადგილი ჰქონდა ცალმხრივსა და ტენდენციურ მიმართულებას. XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრებამ, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის მიერ იყო შედგენილი XVIII საუკუნე ი.

⁴⁷ Отзыв... გვ. 253.

⁴⁸ В. Миллер, Осетинские этюды, Часть третья. Исследования. Москва. 1881, гв. 15—39.

⁴⁹ В. Миллер, დასახ. სტრ., გვ. 17.

⁵⁰ В. Миллер. დასახ. ნ შრ., გვ. 18.

⁵¹ В. Миллер. დასახ. ნ შრ., გვ. 12.

საკითხის ამგვარი დასმით უარყოფდნენ ამიერკავკასიაში ქართველი ხალხის ოდინდელ არსებობას და ამიტომ ეს მწვავე პოლემიკური დავა ეროვნულ საკითხში გადაიზარდა. გასული საუკუნის 70—80-იან წლებში ეს პრობლემა ქართველოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანი გახდა. იგი ამდენად განუყრელად დაკავშირებულია XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომ ამ მოძრაობის მედროზე ი. ჭავჭავაძეც აქტიურად გამოეხმაურა მას⁵².

А. А. БАРАМИДЗЕ

К ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ «КАРТЛИС-ЦХОВРЕБА»

Резюме

В статье оцениваются взгляды историков XIX века относительно значения выдающегося памятника грузинской историографии «Картлис-Цховреба» (История Грузии), как исторического памятника по истории Грузии и соседних народов. Рассмотрены взгляды, представителей французской (Ж. Сен-Мартен, Ф. Дюбуа де-Монпере, В. Сен-Мартен, В. Ланглюа), русской (О. Сенковский, М. Броссе, К. Патканов, В. Болотов, В. Миллер) и грузинской историографий (Т. Багратиони, С. Бараташвили, Д. Бакрадзе, И. Окрочедлишвили, И. Чавчавадзе, А. Хаханашвили).

Значительная часть исследователей «Картлис-Цховреба», считала ее памятником, составленным при царе Вахтанге VI (1675—1737 г.). В связи с этим определенная группа историков (О. Сенковский, К. Патканов, В. Болотов) доходила до полного отрицания значение данного памятника для изучения древнейшего периода истории грузинских племен.

«Это ошибочное отношение к «Картлис-Цховреба» подвергалось суровой критике в работах акад. М. Броссе, Д. Бакрадзе, И. Чавчавадзе и других.

⁵² მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 57—59 თერგდალეულთა ეროვნული იდეებია გაშლილი მეცნიერული აზრის იხ. აკად. ნ. ბერძენიშვილის რეცენზიაში: „ა. კიკვიძე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბოძოლა)“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის შრომები. ტ. I, თბილისი, 1953 წ., გვ. 464—486.



თ. ხაშორია

„ათონის კრებულის“ ალაბთა ზოგიერთი აღგილის
დაზუსტებისათვის

ათონის მონასტრის ალაბები შემონახულია ცნობილ „ათონის კრებულის“ XI საუკუნის ხელნაწერში¹.

ალაბები, ექვთიმე ათონელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებასთან ერთად, გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1901 წელს².

ხელნაწერის რედაქციები დაადგინა და მეცნიერულად აღწერა ნ. ბერძენიშვილმა³. ამ ნაშრომში დადგენილია ხელნაწერის პირვანდელი სახე და შემდგომი რედაქციული ხასიათის ცვლილებანი; შენიშვნები ეხება აგრეთვე ალაბების ტექსტებსაც, ამიტომ ჩვენ ამ საკითხებს არ შევეხებით. მხოლოდ გავიმეორებთ, რომ ალაბთა ტექსტები დაწერილია სხვადასხვა ხელით, სხვადასხვა დროს და მათი ქრონოლოგიური ჩარჩო, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, XI—XIII საუკუნეებს არ სცილდება.

ათონის კოდექსში ალაბები მოთავსებულია 183r—213r-ზე. ტექსტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია მცირე ინტერვალით ან აბზაცით. ყოველი ალაბის დასაწყისში აღნიშნულია თარიღი და ვინაობა იმ პირის, ვისთვისაც არის იგი განკუთვნილი. საწყისი ასოები დაწერილია მთავრულით, ხშირად სინგურით.

ალაბთა ტექსტების დანაწერობაში ძირითადად გამოირჩევა ორი ხელი. ერთი ეკუთვნის მიქელ დაღალისონელს, რომლის ხელით დაწერილია 22 ალაბი⁴. ეს ხელი წარმოადგენს XI საუკუნის დახრილ კუთხოვან ნუსხურს. ალაბები განეკუთვნება 1074 წელს⁵. მეორე ხელი ეკუთვნის იოანე თაფლაძეს და მკვეთრად განსხვავდება დაღალისონელის დანაწერობიდან. იგი მცირე ზომის, სტრიქონში მკიდროდ ჩამჯდარი, ასწვრივი ნუსხურია, ხოლო ასოთა შტრიხები სწორხაზოვანია, რის მიხედვითაც ხელი XI საუკუნის მიწურულს, ან

¹ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, შიფრი: A 558.

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაბებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა ქ. თბილისი, 1901 წ.

³ ნ. ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის“ რედაქცია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941 წ., გვ. 25—40.

⁴ №№ 1, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 24 (ნაწილი), 26, 27, 29, 34, 35, 37, 38, 40 (ნაწილი), 48, 49, 50.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, „ათონის კრებულის რედაქცია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941 წ., გვ. 31.



XII-ის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს. თაფლაძის ხელით დაწერილია 75 ალაპზე მეტი⁶.

არის აგრეთვე სხვადასხვა ხელით ჩამატებული, კიდევბზე მიწერილი ალაპებიც, რაც იმ რედაქტირების შედეგი უნდა იყოს, რომელიც ამ ტექსტებს ოდესღაც განუცდიათ.

ხსენებულ ალაპებში მოცემულია მდიდარი ისტორიული ხასიათის მასალა, რომელიც აშუქებს XI—XIII სს. ქართველთა სოციალურ-პოლიტიკური ყოფისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. ამ ტექსტების შესწავლითა და მეცნიერული გამოცემით მ. ჯანაშვილმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას⁷.

გამოცემულ ალაპთა ტექსტებში ყურადღებას იპყრობს ზოგი ადგილის წაკითხვა; დედანთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთი წაკითხვა დაზუსტებას მოითხოვს. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ალაპი გამოცემაში თავის ადგილას არაა მოთავსებული.

1. იოანე ბანცუასათვის 9 დეკემბერს დაწესებული პანაშვიდის (გამოცემის მიხედვით № 14) ტექსტი ასეთია:

„თუესა დეკემბერსა: თ დაუწესეთ პანაშვიდი იოანე ბანცუასა: რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი ოთხმეოცდა ათი ცირი ზეთისხილი შემოსწორა საჭიროსა ჟამსა, იე პერპერაჲ, და უფროასლა მსახურეულობისთვის მი.ნასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ ალაპი და ამას დღესასწაულსა... დიდითა... ამასვე დღესა გიორგი აბაზ ყოფილისა და დედა მამ...“⁸

დედანში ეს ალაპი ამ სახით არის წარმოდგენილი:

„თუესა⁹ დეკემბერსა: თ: დაუწესეთ პანაშვიდი იოანე ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან

⁶ № № 8, 40, 41, 42, 43, 50 (ნაწილი), 51, 52, 53, 55, 56, 58, 59, 60, 61, 62, 63, 66, 67, 68, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 81, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 94, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 106, 107, 108, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 125, ნაწ. 126, 127, 129, 130, 133, 134, 136, 137 და 166.

„ათონის კრებულის რედაქციის“ მიხედვით თაფლაძის ხელით დაწერილია 74 ალაპი. ვფიქრობთ ალაპი № 89 მექანიკურად უნდა იყოს გამოტოვებული (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 30), რადგან ამ ალაპის ხელი საესებით იდენტურია ზემოაღნიშნულ ალაპთა ხელისა. რაც შეეხება №№ 2, 3, 4, 10, 31, 44, 45, 46 და 140 ალაპთა ხელს როგორც პალეოგრაფიულმა და ენობრივმა ანალიზმა დაგვარწმუნა, ისიც ი. თაფლაძის ხელდა ეკუთვნოდეს; ამ საკითხს სპეციალურად ვიხილავთ ნაშრომში „ათონის მონასტრის ალაპები“, რომელიც მზადდება გამოსაცემად.

⁷ ათონის კრებულის ალაპები მთლიანად ამის მეტად გამოცემული არ ყოფილა. თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს რანდენიმე ალაპის ტექსტი შემოკლებულად. ქრონიკები 1, გვ. 270—275. ალაპთა ტექსტების ხელს ეხება კ. კეკელიძე ნაშრომში „ათონის ლიტერატურული შკოლის ისტორიიდან“. თბ. ს.ხ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937 წ., გვ. 139—160. ხოლო ა. ნატროევი იძლევა აგრეთვე ალაპებში მოხსენებულ პირთა და მათ შემოწირულებათა მოკლე ნუსხას რუსულ ენაზე იხ. მისი ნაშრომი: „Иверский монастырь на Афоне...“ 1909 წ., გვ. 313—330.

⁸ იხ. გამოც., გვ. 219, № 14.

⁹ ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით იხ. ხელნაწ. 185r.

ნამუშაები მისი ოთხმეოცდაათი ძირი ზეთის
ხილი შემოსწირა საჭიროსა ჟამსა
:იე: პერპერაჲ და უფროჲსლა მსახურეულ-
[ბისათჳს]

მონასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ აღაპი და ამას დღეს [ა..]
[სჲმნ — მჲმ დიდითა ჲ ზ]“

მეხუთე სტრიქონი, პატივის ჩამოჭრის გამო განადგურებულია¹⁰. შემორჩენილია მხოლოდ ასოთა ზემო შტრიხები და ერთი სიტყვა „დიდითა“, რომელიც (საეარაუდებელია, ჩამატების მიზნით) ოდნავ სტრიქონს ზემოთ ყოფილა დაწერილი და ამიტომაც გადარჩენილია მთლიანად.

ამდენად მ. ჯანაშვილისეული წაკითხვა ამ სტრიქონისა: „დღესასწაულსა... დიდითა...ამასვე დღესა გიორგი აბაზ ყოფილისა და დედა მამ...“ ნებისმიერი ჩანს.

2. შავ არსენის სახელზე დადებული მოსახსენებელის ტექსტი (გამოცემის მიხედვით № 25) ასე იკითხება:

„(ამასვე თუესა):¹¹ ით: შავ არსენისი: ღამე (?) მოუკლებელად (?) ნთია სანთელი¹²“.

დედანში ეს ტექსტი მოთავსებულია დაღალისონელის ხელით დაწერილი აღაპის მარცხენა კიდებზე, ვიწრო ზოლად, თერთმეტ სტრიქონად. პირველ სტრიქონზე მხოლოდ ორი ასოს ადგილია; ამათგან ჩანს მეორე ასო ქარაგმით, პირველისგან კი მხოლოდ ორი წერტილია შემორჩენილი. მეორე, მეოთხე, მეექვსე და მერვე სტრიქონებზე ორ-ორი ასოა, მეხუთე, მეცხრევე კი ოთხ-ოთხი. მეშვიდე სტრიქონზე ერთი ასო, ხოლო მეთვრამეტე სტრიქონების წაბლალულ არეზე თითო-თითო საექვო ასო-ღა ჩანს.

ტექსტი აქვამად შემორჩენილია შემდეგი სახით:

- | | |
|----|-------------------|
| 1. | თ |
| 2 | შა |
| 3 | ვ |
| 4 | არ |
| 5 | სენი |
| 6 | სი |
| 7 | [...]ე |
| 8 | [.]და |
| 9 | ნთია |
| 10 | თ |
| 11 | ლი“ ¹³ |

¹⁰ ეს სტრიქონი ჩამოჭრილი ყოფილა მ. ჯანაშვილის დროსაც. იხ. გამოც. გვ. 219 შენიშვნა № 1.

¹¹ ეს ორი სიტყვა ჩამატებულია გამომცემლის მიერ.

¹² იხ. გამოც. გვ. 221 № 25.

¹³ იხ. ხელნაწ. №86v.

მოყვანილ დედნისეულ ტექსტში, პირველ სტრიქონზე უნდა იყოს „კთ“ (29) და არა რთ (19), როგორც ეს გამოცემაშია. რადგან პირველი ასოდან მკრთალად შემორჩენილი ორი წერტილი, რომელიც შეცდომით **ე**-დ არის წაკითხული, არის ნუსხური კ-ს მარჯვენა და მარცხენა შტრიხების ნაწილები. რომ პირველ სტრიქონზე „კთ“ უნდა ყოფილიყო და არა „რთ“ ამას მოწმობს ისიც, რომ ტექსტი მიწერილია კზ (27) დეკემბრის ალაპის გასწვრივ და არა რზ (17) დეკემბრის ტექსტზე¹⁴. მეორეც, შავ „არსენის“-თვის ალაპი დადებულია ხელნაწერის სხვა გვერდზე, სწორედ „კთ“ (29) დეკემბერს¹⁵. რაც შეეხება მინაწერის მერვე და მეცხრე სტრიქონებს, მათი იმგვარად ამოკითხვა, როგორც ეს გამოცემაშია, მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ამ სტრიქონებზე გარკვევით იკითხება „აა“ (მერვეზე) და „ნთია“ (მეცხრეზე), ხოლო მეშვიდე სტრიქონზე, სადაც აშეამად მხოლოდ ასო ე ჩანს, კიდევ ორი ასოს ადგილია; ამიტომ სიტყვა „მოუკლებლად“ მერვე, მეცხრე სტრიქონებზე და ვერც მეშვიდეზე ვერ იქნებოდა დაწერილი.

ზემოთქმულის საფუძველზე დაზიანებულ ტექსტს ასე აღვადგენთ:

„ამსვე თუესა კთ. შავ არსენისი [ლაპე] [წმიდა] ანთია
[სან] თ [ელი]“.

3. მ. ჯანაშვილის გამოცემის მიხედვით № 28 ალაპში ვკითხულობთ:

„ამის თუსსა ზ. იანვარსა ალაპი არს ქუნსიარის (?)

(განგება ბოლოსა ჰპოო)“.

დედანში ეს ალაპი მიწერილია ძირითადი ტექსტის მარცხენა კიდზე შეიღ სტრიქონად [XI ს.] ნუსხურით. ტექსტი შემორჩენილია შემდეგი სახით:

„ამის თუსსა
ზ: იანვრსა
ალაპი არ
ს[.]ნისი არის
გნგება ბო
[ლო]სა.
ჰპოო“¹⁶

მესამე და მეოთხე სტრიქონები, რომლებიც ნაკლებ დაზიანებულია, შედარებით ცნელი წასაკითხია. ამ სტრიქონებზე მოცემულია საკუთარი სახელი, რომელიც გამოცემაში წაკითხულია „ქუნსიარის“-ად, მაგრამ მ. ჯანაშვილს ასეთი სახელის არსებობა საეჭვოდ მიუჩნევია და გამოცემაზე დართულ შეცდომათა გასწორებაში „ქუნსიარი“ „ჯუანშერად“ შეუცვლია¹⁷.

ვფიქრობთ არცერთი წაკითხვა სწორი არ უნდა იყოს. შეცდომა წარმოადგება მეოთხე სტრიქონზე დაზიანებული მეორე ასოს არასწორი წაკითხვით; დაზიანებული ასოს მარცხნიდან მარჯვნივ ოდნავ დაქანებული მუქი შტრიხი და მასზე დართული მეზობელი ასოს კიდური ისეთ შთაბეჭდილებას

¹⁴ იხ. გამოც. გვ. 220, № 17 და № 24, გვ. 221.

¹⁵ იხ. გამოც. გვ. 217 № 3.

¹⁶ იხ. ხელნაწ. 186 v.

¹⁷ იხ. გამოც. გვ. XXV 222.



ქმნის, რომ იგი ერთ შემთხვევაში წაკითხულია ქ-დ, ხოლო მეორე შემთხვევაში ჯ-დ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასო არის ე. (დაზიანებულ ასოს შემორჩენილ შტრიხზე, მარცხნივ, მეტად მკრთალად დართული მოკლე კუთხოვანი კიდური, უეჭველს ხდის ასო ე-ს მოხაზულობას¹⁸. მაშასადამე მესამე სტრიქონის ბოლოში და მეოთხეს დასაწყისში გვაქვს საკუთარი სახელის არსენის ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა „არსენისი“¹⁹.

ქარაგმების გახსნისა და დაზიანებული ადგილების აღდგენის შემდეგ, მინაწერის ტექსტი ასე იკითხება: „ამის თქსასა შვიდსა იანე[ა]რსა ალაპი არსენისი არს. განგებაა ბოლოსა ჰპოო“²⁰.

რომ ზემოთ მოყვანილ მინაწერში ნამდვილად „არსენი“ იხსენიება, ამას ადასტურებს შვიდი იანვრის თარიღით არსენის სახელზე დადებული ალაპი, რომელიც მინაწერში მოცემული მითითების მიხედვით—„განგებაა ბოლოსა ჰპოო“, მართლაც ხელნაწერის თითქმის ბოლო ფურცლებზე გვხვდება²¹. ეს ალაპი შეიცავს შემდეგს:

„თუესა იანვარსა: ზ:|ალაპი განუწყესთ არსენი მარდე|ზისძესა თბილელსა ხანბაჰურსა. ამისთჳს ალე|სრულეზოდენ ყოვლითა გულსმოღდინებითა, ლოცვითა, პანაშვიდითა, ანაფორაფთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათათა. ეწდოდის ნწუხრი სამი და|სამხრად ოთხი. და ვინ არა გარდაიგადოს|მგერთსა მან გასცეს პასუხი. მოგუცა პერპერაა კ და 85; მემსგეფეს მისთჳს მას დღესა ჟამსა უწირვიდეს“²².

ამრიგად ირკვევა, რომ № 28 ალაპის დაზიანებულ ტექსტში ნამდვილად მოხსენებულია არსენი და არა „ქუნსიარი—ჯუანშერ“ და, რომ ეს არსენი ყოფილა—**არსენი მარდეზისძე თბილელი ხანბაშური**.

4. ირისე ფურფუქალასთვის დადებულ ალაპში, გამოცემის მიხედვით (№ 65) იკითხება „ლიტრა“ კ; უნდა იყოს „ლიტრა: კა:“²³

5. № 150 ალაპში მოხსენებულთ ვარდანს, მეუღლეს მისსა მარიამს და მათ შვილს გიორგის, შეუწირავთ ეკლესიისათვის პერპერაა „ოა“ და არა „უა“, როგორც ეს გამოცემაშია²⁴.

6. ხელნაწერის 187v-ზე, მოთავსებულია ორი ალაპი (გამოცემით № 32,33). ალაბთა ტექსტების თავისებური განლაგების გამო ისინი ერთმანეთში ჩართვით არის გამოცემული.

№ 32 ალაპი დადებულია პე ხუცისათვის. მას ათონის მონასტრისათვის შეუწირავს საკუთარი ხელით გადაწერილი „სათყეონი ათორმეტთა თუესანი“ შვიდ წიგნად და კურთხევანი; ამდენად ბუნებრივია, რომ ალაპში ქვემოთაც საუბარი უნდა ყოფილიყო მხოლოდ პე ხუცესზე, მაგრამ ალაპის დასასრულს, სადაც ტექსტის შინაარსი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, სრულიად მოულოდნელად გამოცემაში ვკითხულობთ: „...ქუალად ამან მიქელ მოგუცა პერპერა: ი: სასნულოა საშენებლად და ალაშენა კალავრო სახლი

¹⁸ იხ. ხელნაწ. 186v.

¹⁹ იქვე სტრიქონები 3 და 4.

²⁰ შეადრ. გამოც. გვ. 222 № 28.

²¹ იხ. ხელნაწ. გვ. 202v—203r გამოც. გვ. 257 № 148.

²² ტექსტი წაკითხულია ქარაგმების გახსნით.

²³ გამოც. გვ. 233 ალაპი № 65, შდრ. ხელნაწ. 192v.

²⁴ იხ. გამოც. გვ. 258, № 150, შდრ. ხელნაწ. 203r.

საძირკველითა, და ვენაჯი და რაჲდა არის ყოველი უანდერბა ეკლესიასა, რომელი ყოვლად აღარაჲ იყო. აწ ლუთისათჳს ნუვინ დააკლებთ, რათა...²⁵

აქ წყდება № 32 ალაპის ტექსტი. იგი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს და თანაც გაუგებარია, საიდან გაჩნდა აქ „მიქელ“, რომლის შესახებ ზემოთ არაფერი იყო თქმული. ცხადია, ტექსტის ეს ნაწილი № 32 ალაპის ტექსტს არ უნდა ეკუთვნოდეს.

ასევე ბუნდოვანი და ბოლომოკვეცილი ჩანს № 33 ალაპიც. ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეულია ტექსტების ერთმანეთში აღრევიით.

№ 32 ალაპის ტექსტს ხელნაწერის მთლიან გვერდზე (187v-ზე) უჭირავს 24 სტრიქონი; დაწერილია საშუალო ზომის მეთერთმეტე საუკუნის ნუსხურით; ალაპის ტექსტის ირგვლივ დატოვებულია საკმაოდ ვრცელი არეები, რომლებზედაც მოთავსებულია № 33 ალაპის ტექსტის სტრიქონები შემდეგი განლაგებით: მარცხენა კიდეზე, ძირითადი ტექსტის (ალაპი № 32-ის) დასწვრივ, მოთავსებულია ოთხი სტრიქონი; ამთგან პირველი სამი იკითხება თანმიმდევრობით, გადადის ქვემო პატივზე ორ სტრიქონად და აღწევს მის შუა ნაწილამდე. შემდეგ ისევ იკითხება მარცხენა კიდის მეოთხე სტრიქონი ვიდრე ქვემო პატივის შუამდე, სადაც მთავრდება ამ ალაპის ტექსტის ერთი ნაწილი; ალაპის ეს ნაწილი დაწერილია წვრილი, კალიგრაფიული (XII ს) ნუსხურით და გამოყოფილია მეორე ნაწილისაგან სინგურით და ტექსტისავე მიხაკისფერი მელნით დაწერილი ტიხრებით²⁶; ტექსტის მეორე ნაწილი მოთავსებულია ამავე გვერდის ქვემო პატივის მარჯვენა ნაწილში სამ სტრიქონად და 188r-ს ქვემო პატივზე ოთხ სტრიქონად²⁷; ალაპის ეს ნაწილი დაწერილია პირველი ნაწილის ხელით, ოღონდ უფრო დიდი ზომის ასოებით²⁸, რომელიც პირველი შთაბეჭდილებით მსგავსია № 32 ალაპის ხელისა (ნიშანდობლივი თავისებურებებით კი არსებითად განსხვავებული) და უშუალოდ მისდევს მის ბოლო სტრიქონებს. ვუიქრობთ, ამ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო შინაარსით განსხვავებული ტექსტების ერთის მეორეში ჩართვა. დადგენილი ტექსტი № 32 ალაპისა ასე წაკითხება²⁹:

„თუესა იანვარსა: რე: ალაპი განვწყესებია პე ხუცისათვის მე, მამამან, რე და ყოველთა ძმათა, შემოწირნა ეკლესიასა ამან კურთხეულმან ძმამან ჩუენმან პე ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა გელითა დაწერილნი შჳდად წიგნად, ყოვლითურთ სრულნი სიტყჳარონითა (!) და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის გიორგის ნუსხათა შინა სწერია უნაკლულად. და ამისა

²⁵ იხ. ათონის კრებული, გვ. 223, № 32.

²⁶ იხ. ხელნაწ. 187v.

²⁷ იხ. ხელნაწ. 188r.

²⁸ რომ ეს იგივე ხელია, ამას ადასტურებს ცალკეულ (დ, მ, ქ) ასოთა სრულიად იდენტური მოხაზულობა.

²⁹ ტექსტი, გარდა რიცხვისა და საკუთარი სახელებისა, წაკითხულია ქარაგმების განსნით.

უწინა შემოეწირნეს კურთხევენი სრულნი, მისვე
სანატრელისა მიმისა გიორგის თარგმნილნი და ამის
ყოვლისათჳს განვაწესეთ. დღესასწაულსა წმიდისა
და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრე-
პავლეს თაყუანისცემისასა, რათა საუკუნოდ აღე-
სრულებოდის ალაბი მისი ყოვლითა მოსწრა-
ფებითა, პანაშუდითა და ყოვლისა ლოცვისა წე-
სითა, წესისებრ და ანაფორითა და ჟამისწ-
ირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა. და ეწ-
დიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი. და ვი-
ნცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულუბ-
ელს ყოს და არა გარდაიჭადოს წლითი-წლ-
ად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ, ანუ ლოცვასა,
ანუ ჟამისწირვასა, ანუ ძალისამებრ ნუ-
გეშინისცემასა ძმათასა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი²⁰.

აქ მთავრდება ალაბის ტექსტი, რის შემდეგაც მოდის ამავე გვერდის აში-
ებზე მოთავსებული ალაბი № 33, რომლის ტექსტი ასე იკითხება:

„ამასვე თუესა იანვარსა: ნმ: წმიდისა ათანასის და კვირილეს დღესას-
წაულსა: განუწესეთ მიქელ ხუცეს კანანახსა,

რათა გარდაეგდებოდის, ვითარცა სხუათა ყოველთა განწესებულთა
სამწუხროდ²¹ გალობითა და კჷსტრექსითა და კრა
სეულითა. და დილასა წირვითა და ეგრეთვე კრასეულითა და
ლოცვითა. და ვინცა შეცვალოს და

და (!) დაჰსნას ესე ჩუენი განწესებული,
ღმერთმან იგი შეცვალოს ქრისტეანობისაგან.

ამან ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა მოსცა: ლ: პერპერაჲ,
რამეთუ კელინთა დამწუხართა ვაშენებდით და
მას ჟამსა დიდად გუწმარებოდა.

კუალად ამან მქლ მოგუ-
სცა (!) პერპერაჲ : ნ:
სასნეულოჲ საშენებლად.

188r. და ალაშენა კალავროჲ. სახლი
საძირკჷს

ლითა და ვენავი და რაჲლა არის ყ[ვე]ლა (!) უ[ა]ნ[დ]ე [რძა]²²
ეკლესიასა რომელ ყოვლად ალარაჲ იყო. აწ ღმერთისათჳს
ნუეინ დააკლებთ, რათა..... რ.... მ

აქ მთავრდება № 33 ალაბის ტექსტი, რომლის ბოლო სტრიქონები წა-
ჭრილია მკაზმავის მიერ.

ამრიგად, № 32 ალაბის ტექსტს ჩამოსცილდა ორგანიული ნაწილი № 33
ალაბისა, რასაც გაუგებრობა შეჰქონდა ორივე ტექსტების წაკითხვაში²³

²⁰ შეადრ. გამოცემა, გვ. 223 № 32.

²¹ გამოცემაშია „სამწუხაროდ“.

²² გადასულია ნაწერი.

²³ შეადრ. გამოც. გვ. 223—224.

7. გამოცემის მიხედვით № 40 ალაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა კო ალაპად განგვწესებია გრიგოლ ერისთავთა ერისთავისა* აბუსერისძისათჳს და გრიგოლ შაბუაჲს ძისა...“³⁴

ამ ტექსტში საეჭვოდ მიგვაჩნია წაკითხვა „შაბუაჲსძისა“. მოყვანილ სიტყვაში („შაბუაჲსძე“) იდენტური მოხაზულობისაა პირველი და მესამე ასო (შ და ზ) ამიტომ თუ პირველ ასოს წავიკითხავთ შ-დ, მაშინ ანალოგიური მოხაზულობის მეორე ასოც უნდა წაკითხულ იქნეს შ-დ და პირუკუ; მაშასადამე უნდა იკითხებოდეს ან „შაშუაჲსძე“ ან „ზაბუაჲსძე“.

ალაპის ტექსტში გვაქვს რამდენიმე სიტყვა ასო ზ-თი წარმოდგენილი („აბუსერის“, „განგვწესებია“ და სხვა), რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ზ-ს და შ-ს შორის სხვაობა; ზ-ს შ-სგან განსხვავებით მარცხნიდან მარჯვნივ ქვემოთ მკვეთრად დაქანებული ბუნი აქვს, მარცხნივ მობრუნებული მისი კაუჭიც უფრო მაღალი და კუთხოვანია; შ კი უფრო განიერი და მრგვლოვანი მოხაზულობისაა. წერტილით დამთავრებული მისი მარცხენა შტრიხი, ზადის მეოთხე ხაზს თითქმის არ სცილდება.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში მესამე ასოს მოხაზულობა საეცებით ემთხვევა პირველი ასოს მოხაზულობას და განსხვავდება ზ-ს მოხაზულობისაგან ზემოაღნიშნული ნიშნებით; ამდენად ალაპის ტექსტში უნდა წავიკითხოთ— „შაშუაჲსძისა“ და არა „შაბუაჲსძისა“. როგორც ეს გამოცემაშია. რომ ასეთი გვარი უცხო არ არის სხვა წყაროებითაც დასტურდება, მაგალითად, სინას მთის ხელნაწერში მოთავსებულ სულთა მატეანის ვრცელ ნუსხაში ვკითხულობთ: „სულსა შაშვაჲშვილისა გერმანოს შეუნდოს ღმერთმან...“³⁵

„სულსა შაშვაჲშვილსა სჳმონს შეუნდოს ღმერთმან“³⁶.

8. ხელნაწერის 203r-ზე, მეოთხე ალაპის ქვემოთ, ამავე ალაპთა ხელით (XII ს. ნუსხური) მოთავსებულია რვა სტრიქონი აწ გადაფხეკილი ტექსტისა (გამოცემით ალაპი № 152). ეს ალაპი გამოცემის მიხედვით ასეა წაკითხული:

„თუესა იანვარსა: იშ, წმიდისა ათანასეს დღესასწაულსა;

დავაწესეთ ალაპი იოსებ (?) კანანახისაჲ, რათა გარდაიჭდე-

ბოდის ვითა სხუათა შემომწირველთაჲ... ამან

ძმამან იოსებ... და დაგუიწერნა

მისსა სიცოცხლესა...კურთხევად“³⁷.

დაზიანებული ტექსტის ეს წაკითხვა, ვფიქრობთ არ არის ზუსტი. პირველ სტრიქონს აკლია რამდენიმე სიტყვა, მეორე სტრიქონში შეცთომითა ამოკითხული საკუთარი სახელი „იოსებ“; სიზუსტეს მოკლებული ჩანს აგრეთვე სხვა სტრიქონების წაკითხვაც.

ხელნაწერში აღნიშნული ტექსტი ამ სახითაა შემორჩენილი:

1 თჳ ინვრსა იშ წმისა ათანას... დ [კ] ჯრ...დლ] სსწ

2 ლსა [მქლ] ხ[.]ცს კანან.ხსა რჳ გრდაე[.....]

3 სხ[თ]ა ყთა [გ] ნ.....ა სმწხროდ [.....]

* დედანში—ერისთვისა.

³⁴ გამოც. გვ. 225. № 40 შდრ. ხელნაწ. 188v.

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწ., გვ. 246, ხელნაწერის როტოლ: ს²⁴/11 199v.; ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით.

³⁶ იქვე, გვ. 247, ხელნაწ., გვ. 201r.

³⁷ იხ. გამოც. გვ. 258.

- 4 და.....
- 5 ამნ ძმან [ჟ] .. დ.დ. სა მო.....
- 6 . . და
- 7 . . კდ.....
- 8

დაზიანებული ადგილების აღდგენის შემდეგ ტექსტი ასე იკითხება:

- 1 თუესა იანვარსა იშ წმიდისა ათანასეს დ[ა კვ]რილეს! დღესასწა
- 2 ულსა მიქელ ხ[უცეს]ს კანანახსა რათა გარდაეწდებოდეს! ვითარცა
- 3 სხუათა ყოველთა განწესებულთა სამწუხროდ..

- 4 და
- 5 ამან ძმამან ჟამსა! დიდად საჭიროსა მოსცა|.
- 6
- 7 .. კუალად..³⁸

გადაფხვილ არეზე მეტის ამოკითხვა არ ხერხდება, მაგრამ ამოშიფრული ტექსტითაც საკმარისია დავადგინოთ ფაქტი, რომ კრებულში მოგვეპოვება ანალოგიური შინაარსის ალაპი № 33, რომელსაც ქვემოთ ვუდარებთ ამომიფრულ ტექსტს.

№ 33, ხელნაწ. 187v

№ 152, ხელნაწ. 203r

ამასვე თუესა იანვარსა იშ,
წმიდისა ათანასის და კვრილეს
დღესასწაულსა, განუწესეთ მიქელ
ხუცეს კანანახსა, რათა გარდაე-
წდებოდის, ვითარცა სხუათა ყო-
ველთა განწესებულთა. სამწუხროდ
გალობითა და კულჩრქესითა, და კრასე-
ულითა, და დილასა წირვითა, და ეგ-
რეთვე კრასეულითა და ლოცვითა. და
ვინცა შეუცვალოს და დაჰქსნას ესე
ჩუენი განწესებული, ღმერთმან იგი
შეცვალოს ქრისტიანობისაგან. ამან
ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა,
მოსცა ლ პერპერაჲ, რამეთუ კელინ-
თა დამწუართა ვაშენებდით და მას
ჟამსა დიდად გუსწმარებოდ. კუალად
ამან მიქაელ....

თუესა იანვარსა იშ, წმიდისა
ათანასეს და კვრილეს დღესას-
წაულსა მიქელ ხუცეს კანანახსა
რათა გარდაეწდებოდის ვითარცა
სხუათა ყოველთა განწესებულთა
სამწუხროდ.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

ალაპთა ტექსტების შედარებიდან ირკვევა, რომ აღდგენილი ალაპის სტრიქონები სავსებით ემთხვევა № 33 ალაპის ტექსტს, გარდა პირველი სიტყვისა — „ამასვე“. იგი არ გააჩნია აღდგენილ ტექსტს გარკვეული მიზეზის გამო, ეს ალაპი 203r-ზე მოთავსებულია დეკემბრის თვის ალაპის ქვემოთ, სადაც აღნიშნული სიტყვა საჭირო არ არის, ხოლო ხელნაწერის 187v-ზე ალა-

³⁸ იხ. გამოც. გვ. 258 № 152.

პი მიწერილია იანვრის თვის ალაპის კიდებზე, სადაც აუცილებელი გახდა სიტყვის „ამასვე“-ს დართვა.

187v-ზე მოთავსებულ იმავე შინაარსის ალაპთან შედარებით მას მეორე სტრიქონში აკლია სიტყვა „განუწესეთ“. რაც გადამწერის მექანიკური შეცდომა უნდა იყოს 187v-დან ტექსტის გადმოტანის დროს დაშვებული.

ხოლო რაც შეეხება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტრიქონებზე ამოკითხულ ცალკეულ სიტყვებს და ასოებს, ისინი აგრეთვე ემთხვევა ნოყვანილი ალაპის სათანადო ადგილებს.

ტექსტების ასეთი დამთხვევა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ № 152 ალაპი იგივეა რაც ოცდამეცამეტე ალაპი, ხოლო ერთი მითვანის სხვა ადგილას გადატანა რედაქციული ხასიათის ოპერაცია უნდა იყოს. ამიტომ ალაპი № 152, როგორც ანალოგიური ტექსტის შემცველი, ამოღებულ უნდა იქნეს საერთო სათვალავიდან.

9. გამოცემით № 158 ალაპის ტექსტში (ხელნაწ. 206v) წინადადება „ტრიკეფალი: ჩ:“, გამოცემაზე დართულ შეცდომათა გასწორებაში უმართებულად არის გასწორებული „ტრიკეფალი“ შ:“-დ³⁹, დედნის მიხედვით აქ უნდა დარჩეს „ტრიკეფალი: ჩ:“, რადგან ასო ჩ იმავე სახითაა დაწერილი სხვა სიტყვებშიაც (შდრ. იქვე: „გამოარჩიეს“ და ლაფანჩითა“)⁴⁰.

10. გამოცემის მიხედვით № 159 ალაპში ვკითხულობთ: „ა იანვარსა, დღესასწაულსა წმიდისა სიღიბისტროესა: განუწესეთ ალაპი ანასუილის და შვილსა მისსა იალის...“. ალაპის ტექსტში სწორად არ უნდა იყოს ამოკითხული საკუთარი სახელი—„ანასუილი“. ამ სიტყვაში უ-ს შემდეგ ნუსხური და შეცდომით წაკითხულია ი-დ.

დედნის მიხედვით ტექსტის ეს ადგილი ასე უნდა წავიკითხოთ:

„განუწესეთ ალაპი ანასუილის და შვილსა მისსა იალის“ (ხელნაწ. 2072).

რომ აქ ნამდვილად ანასუილი იხსენიება და არა ანასუილი, ეს დასტურდება ჯვარის მონასტრის ერთ-ერთი (№ 280) ალაპის ტექსტითაც, რომელიც სვინაქსარში ექვსი აგვისტოს საკითხავის გასწვრივ არის მიწერილი. აქ ვკითხულობთ:

„ამასვე
 დღესა ალაპი
 არს ანასუილისი
 საუკუნოა. მოგუცა
 ას ოცდათი დუ-
 კატი: და ამისა
 შემდგომად შექმნა ჯუარი
 ოთხმოც დუკ-
 ატად და დაა-
 სუწნა საკუ-
 რთხველსა ზ[ედა]
 და ამისსა შემდგომად
 მეფე იმარუსალიმისაჲ
 გაგაწესკრა და

³⁹ იხ. გამოც. გვ. XXVI—264.

⁴⁰ იხ. ხელნაწერი 206v, სტრ. 20 და შდრ. სტრ. 5.

რაგცა მონას-
ტრისაჲ იყო დაგვიჭირა ოქროსა (!)
გუთხოვდა და
დიდსა ჭირსა შე-
ვცვედით ულო-
ნობისგან არწ-
მუნა ღმერთმან და ასი
დუკატი მისთჳს
შეგუაწია. ჩუენ
დაუწესეთ როზელ
ზედა მწირველი
ყოველთა ჟამის წირვა[თ]!
ა და ჰლოც
ვიდეს სახელ
დებით¹ მს და
შვილსა მის[სა] ია [..]ს⁴¹

ეს ალაბი, ისე როგორც ამავე სახელის შემცველი ათონის ალაბი, დაწერილია მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ნუსხურით.

აღნიშნულ ალაბთა შედარება სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ორივე ალაბში მოხსენებული უნდა იყოს ანასუღლის შვილი იალი. კერძოდ, ათონის მონასტრის № 159 ალაბში გარკვევით იკითხება ანასუღლის შვილად იალი.

რაც შეეხება ჯვარის მონასტრის № 280 ალაბს, იქ ნ. მარი იძლევა ბოლო სტრიქონების ასეთს წაკითხვას:

ჟ¹თა ჟნს წირვა [თ]¹
ა დაჰლოც¹
ვიდეს სახელ¹
დების მა[ს] და¹
შვილსა მის მ¹
იეროსა¹

ნ. მარი ამავე დროს, ალაბის ბოლო სტრიქონის შესახებ შენიშნავს: „Я бы ожидал имя этого сына, но мне не удалось вычитать какое лирио имя. За ѿ этот я не стою: вставлена эта буква по догадке“⁴².

ათონის მონასტრის № 159 ალაბის სათანადო ადგილის გაშიფვრის შემდეგ ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ აქაც, ჯვარის მონასტრის № 280 ალაბშიაც, იგივე პირებია მოხსენებული. ჯვარის მონასტრის ალაბთა ფოტოაპირისა და მიკროფილმის შემოწმებამ ეს ვარაუდი კიდევ უფრო სარწმუნო გახადა და ნ. მარის მიერ გამოთქმული ეჭვი მ-ს შესახებ გამართლდა.

ჩვენი წაკითხვით აქ გამოდის:

„ყოველთა ჟამის წირვა[თ]“

⁴¹ იერუსალიმის ხელნაწერის როტაპირი 27/28 257r;

⁴² ნ. მარი, ალაბნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს.-პეტერბურგი, 1914, გვ. 70, № 280. შენ. № 2.



ა დაპლ [ოც]
ვიდეს სახელ
დები[თ] მს და
შვილსა მის[სა]
იკლის

ბოლო სტრიქონში „ი ა ხ“ უშეგველად იკითხება, ლ და ი მართალია არ ჩანს, მაგრამ მათი ადგილი ივარაუდდება.

ჩვენი აზრით აქაც იგივე ანასუღლის შვილი იაღი უნდა იკითხებოდეს⁴⁵.

11. გამოცემის მიხედვით ალაპი № 165 შეიცავს განწყევების წესს. გამოცემულ ტექსტში ვკითხულობთ:

„ეკლესიისა შტოსა დაუესებელი კანდელი **ი** და მთავარანგელოზთა ეკლესიისა კანდელი ხუთი, პორტისა ყდ წმიდისა ეკლესიისა კანდელი **ზ**, დაუესებელი ა“⁴⁶.

დედანში ეს ტექსტი დაწერილია 212r-ს დასასრულს სამნახევარ სტრიქონზე, მაგრამ „დაუესებელი: ა:“ მიწერილია მეორე სტრიქონის ბოლოში, მარჯვნივ ტექსტის ასწვრივ, ტექსტისავე ხელით.

გამოცემაში ეს მინაწერი, როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მოთავსებულია აბზაცის ბოლოს და, ვფიქრობთ, სრულიად უმართებულოდ; რადგან ავტორს, რომ ასეთი განზრახვა ჰქონოდა, მას ხომ იმთავითვე შეეძლო ეს წინადადება მეოთხე სტრიქონზე მოეთავსებია, სადაც სამისოდ თავისუფალი ადგილი იყო⁴⁵. მაგრამ როგორც ავტორგრაფიდან ჩანს, იგი ამ მინაწერს ათავსებს დაუმთავრებელ სიტყვის ასწვრივ, კიდევ (რადგანაც სტრიქონზე მის ჩასამატებლად ადგილი არ არის).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ამ ტექსტს ასე ვკითხულობთ:

ეკლესიისა შტოსა დაუესებელი კანდელი: **დ**: და მთავარანგელოზთა ეკლესიისა კანდელი ხუთი. დაუესებელი: **ზ**: პორტიატისა ყოვლად წმიდასა

ეკლესიისა კანდელი: **ზ**:...

12. გამოცემის მიხედვით ამავე განგების ტექსტში ბოლო სტრიქონი წაკითხულია ასე:

...„მ... უწყესოა არაა დაგწყესებია“⁴⁶

დედანში კი ეს ადგილი ასე იკითხება:

...და სხუად უწყესოა არაა დაგწყესებია⁴⁷.

13. გამოცემაში განგების წესის ქვემოთ მოცემულია ასეთი შინაარსის ტექსტი:

⁴⁵ იხ. ხელნაწერის როტაბირი: ი²⁷/₂₄ 287r. შდრ. ნ. მარტი, ალაპი ჯუარის მონასტრისანი. გვ. 70 № 280 (ბოლო სტრიქონები).

⁴⁶ იხ. გამოც. გვ. 272, ქვემოდან მეორე აბზაცი.

⁴⁷ შდრ. ხელნაწ. A 558 212r.

⁴⁸ იხ. გამოც. გვ. 273 და გასწორება გვ. XXVI, 273.

⁴⁹ იხ. ხელნაწ. 212v.

ქ. ესე ყველაი ჩემითა ჯელითა დამიმტკიცებია ზე-
მოითა დაწერილი ვინ შეცვალოს ღმერთმან სჯული-
საგან შეცვალენ. მე პავლეს დამიწერია ქრისტეს აქეთ
ქნს ტ⁴⁸.

ღედანში ეს მინაწერი მოთავსებულია განგების ტექსტის მარცხენა კი-
დეზე დასწვრივ ორ სტრიქონად, ხოლო ამ მინაწერის გაგრძელება გადადის
ამვე გვერდის ქვემო პატივზე აგრეთვე ორ სტრიქონად. დაწერილია XII საუ-
კუნის მდივანწიგნობრულით აწ გადასული მიხაკისფერი მეღნით და იკი-
თხება ასე:

ქ. ესე ყლი ჩმითა ჯელითა დამიმტკიცებია
ზემოითა დაწერილი. ვინ შეცვალოს წყაე..⁴⁹

ი ყ ს დ. შექ...ნებქ...ლ'ე
პქ...ს დაქ...ქნს...ტ.⁵⁰

გადასულ ტექსტს ასე აღვადგენთ:

ქ. ესე ყოველი ჩემითა ჯელითა დამიმტკიცებია
ზემოითა დაწერილი. ვინ შეცვალოს წყაეულიმცქ
იქოს' დ ქაი შე წმუწინებ ქუ' ლ ქმე
პკავლე'ს დამიწერია ქრონიკონს ტ

ამგამად აქ უკეთ ამოკითხვა არ ხერხდება, რადგან ტექსტი საესებით
გადასულია.

14. გამოცემაში 274 გვერდზე მოცემულია განაწესი კანდელთა დადები-
სა № 167. განგების წესის ტექსტს სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა:

„ერთი სადიაკნოსა მთავარანგელოზისა წინაშე“⁵¹

ღედანში ეს შენიშვნა მოთავსებულია თექვსმეტ სტრიქონად დაწერი-
ლი განაწესის ტექსტის მარჯვენა კიდეზე (მეხუთე და მეცხრე სტრიქონების
გასწვრივ), ხუთ სტრიქონად. ვფიქრობთ ტექსტისავე ხელით⁵².

მინაწერის ტექსტის გარკვეულ სტრიქონების გასწვრივ მოთავსება იმას
უნდა ნიშნავდეს, რომ იგი სწორედ იმ ადგილს უნდა განეკუთვნებოდეს სა-
დაც მოთავსებულია. ამის საფუძველზე განგების ტექსტს ასე ვკითხულობთ:

„მე მამამან⁵³ პავლე ყოველთა ძმათა კითხვითა განვა-
წესენით ამათ წმიდათა კანდელნი დაუგებელად,
სამარადისოდ: ყოვლად წმიდისსა სადიაკნოსსა კართა ზედა,
წმიდათა მამათა ქართველთაჲ, წმიდისა იოანე მახარებელისაჲ,
წმიდისა გიორგისი და წმიდისა დიმიტრისი. [ერთი ხადნაკონოზსა

⁴⁸ იხ. გამოც. გვ. 237.

⁴⁹ ხელნაწ. გვ. 2/2v მარცხენა კიდეზე ორ სტრიქონად.

⁵⁰ იქვე სტრიქონები 21, 22; ქვემო პატივზე.

⁵¹ იხ. გამოცემა გვ. 274 შენიშვნა № 2.

⁵² ხელნაწ. 213r.

⁵³ ტექსტი მოგვეყავს ქარაგმების გახსნით.

მთავარანგელოზისა წინაშე ამისთვის დაგვწესებია რომელ ყოვლად მეოხნი არიან ჩუენისა ნათესავისანი. ვინცა, რაჟსაცა მიზეზისათჳს შეეცვალოს დაუესებლობაჲ, შემცაცვალებულ არს შჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა და ჰრისხავსმცა მამაჲ ძე და სული წმიდაჲ და ესე ყოველნი წმიდანი, რომელ ზემო დაგვწერიან. და ვინაცა ესე წერილი ამოვოცოს, ამცადვოცილ არს სავსენებელი მისი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა და შეჩუწნებულ იყოს ნისტორს და ორიგინეს თანა და ყოველთა მწვალებელთა თანა“.

როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ზოგი ალაბი გამოცემაში თავის აღვლას არ არის მოთავსებული და მოითხოვს გადაჯგუფებას.

15. გამოცემის მიხედვით ალაბი № 36 შეიცავს ასეთ ტექსტს: „ამასვე თუესა: ით დღესასწაულსა წმიდისა მაკარისა ბოლოსა ჰპოვო“⁶⁴. ხელნაწერში იგი მიწერილია 1881-ზე, 17 იანვრის ალაბის (გამოც. № 34) გასწვრივ, მარჯვენა კიდეზე, ცხრა სტრიქონად. მისი მოთავსება 17 იანვრის ალაბის გასწვრივ და აგრეთვე მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (17 და 19 იანვარი) გვაუბლებს, რომ ტექსტი № 36 ალაბისა მოვითავსოთ 17 იანვრის ალაბის (№ 34) შემდეგ. გამოცემაში კი ეს მოთავსებულია 35 იანვრის ალაბის (№ 35) შემდეგ.

ამრიგად აღნიშნული ალაბები დედნის მიხედვით უნდა დალაგდეს ასეთი თანამიმდევრობით: № № 34, 36, 35.

16. გამოცემით ალაბი № 104, დადებული 21 აგვისტოს, ვაჩეყოფილ ბასილისათვის, მოთავსებულია 31 აგვისტოს ალაბის ქვემოთ (გამოცემით № 103).

ხელნაწერში კი ეს ალაბი (№ 104) მოთავსებული 1954-ზე, მიწერილია სამი ალაბის (20, 29 და 31 აგვისტოს, № № 101, 102, 103) მარცხენა კიდეზე დასწვრივ, ერთ სტრიქონად, და ექვს სტრიქონად ქვემო პატივზე, თანაც იმავე ალაბის მეღნიით ორ ალაბს შუა (№ № 101 და 102) ჩამატების ნიშნად გავლებულია ჰორიზონტული ბოლოკაუჭიანი ხაზი. ეს კი განსაზღვრავს ადგილს № 104 ალაბისათვის⁶⁵.

ამდენად დედანში 1954-ზე მოთავსებული აგვისტოს თვის ოთხი ალაბი გამოცემაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით: 20/VIII-ს (№ 10.) 21/VIII-ს (№ 104), 29/VIII-ს (№ 102) 31/VIII-ს (№ 103).

17. ალაბები გამოცემის მიხედვით № 130 და 131, ხელნაწერში შეიცავს ასეთ ტექსტს:

„თუესა ნოენბერსა: იზ: ალაბი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი და

⁶⁴ ხელნაწ. 1881. მინაწერი მარჯვენა კიდეზე; გამოცემით გვ. 224 № 36.

⁶⁵ იხ. გამოც. გვ. 241 და 242.

ვითარცა სვანგლოზისათვის სწერია ყოველივე დაუკლებლად
აღესრულები. დენ

წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ნუგეშინისცემაჲ ძმათაჲ
ტრაპეზსა და ხუთ-ხუთი სასუმელი. და ამასვე დღესა
მოიქსენებოდინ ზაქარია და არსენი⁵⁶

გამოცემაში ზაქარიას და არსენის მოსახსენებელი გამოყოფილია ცალკე
ალაბად⁵⁷, რაც დედნისეულ მართლწერას არ ეთანხმება.

18. გიორგი ციხიჯვარელის სახელზე, 28 ნომბერს, დადებულია ორი
ალაბი (გამოცემის მიხედვით №№ 135 და 139). ეს ალაბები, შინაარსით ერთ-
თი მეორისაგან გამომდინარე, მოთავსებულია ხელნაწერის სხვადასხვა ფურ-
ცელზე.

ალაბი № 135 მიწერილია 199v-ს ქვემო ნახევარზე, № 139 ალაბი კი
დაწერილია ხელნაწერის 200r-ს აგრეთვე ქვემო ნახევარზე ისე, რომ ორივე
ალაბი გაშლილ ფურცელზე ერთი მეორის გასწვრივ არის მოთავსებული.

შინაარსით დაკავშირებული და ერთი ხელით დაწერილ ალაბთა გათიშ-
ვა სხვადასხვა რედაქციების შედეგი ჩანს. ამასვე ადასტურებს № 139 ალა-
ბის მოთავსება გადანაფხეკ არეზე⁵⁸. ამდენად საჭიროა ორივე ეს ალაბი
№№ 135 და 139 მოთავსდეს ერთად. ამას მოითხოვს, როგორც მათი გან-
ლაგება, ისე მათი შინაარსი.

ასეთია მოკლე შენიშვნები ათონის მონასტრის ალაბთა ტექსტებზე, რო-
მელთა გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია არსებული გამოცემით სარ-
გებლობის დროს.

⁵⁶ ხელნაწ. 199r.

⁵⁷ გამოც. გვ. 249—250 № 130 და 131.

⁵⁸ იხ. ხელნაწ. 199v და 260r.

ბ. ზონიძის მიხედვით

შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თვითმპყრობელობა ენერგიულად ცდილობდა დასავლეთ საქართველოც იმპერიის საზღვრებში მოექცია და იქ არსებულ მეფე-მთავართა ხელისუფლება მოესპო.

იმერეთის სამეფოსა და ოდესღაც მის მორჩილებაში მყოფი სამთავროების — სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის — რუსეთთან შეერთება, სხვა მიზეზებთან ერთად, იქ გაჩაღებულმა შინაფეოდალურმა ომმა დააჩქარა. იმერეთის მეფე ცდილობდა მთავრების დამორჩილებას, მთავრები კი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა თავი დაეცვათ მეფის შემოტყვევებისაგან და თავიანთი სამთავროების სრული ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ.

იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის მე-18 ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს უწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა. ცხადია, ეს შინაფეოდალური ბრძოლა ქვეყანას ასუსტებდა და ხელს უწყობდა გარეშე მტრებს საქართველოს სრული დამონების საქმეში.

იმერეთის მეფემ — სოლომონ მეორემ 1802 წელს გაილაშქრა სამეგრელოს მთავრის — დადიანის წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზეთის მთავარი ეხმარებოდა¹. მეფემ დასძლია მოწინააღმდეგენი და, ერთი საბუთის მოწმობით, თითქმის ყველა სამთავრო დაიპყრო. მიუხედავად ამისა, სოლომონ მეორის გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოს საქმეებში მეფის რუსეთის აქტიურმა ჩარევამ იმერთა მეფის ხელისუფლება თანდათანობით შეასუსტა².

„მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გააუქმა, — წერს პროფესორი მ. დუმბაძე, — დადიანს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, რომ იმერეთის მეფე თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკით, გაუქმებული სახელმწიფოს აღდგენისათვის შებრძოლი, რუსეთისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვითონ იგი იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლით უკვე რუსეთის ერთგულ კაცად გამოდიოდა და წარმოადგენდა მისი ხელისუფლების გავრცელების დამხმარე ძალას. ამიტომ დადიანი თავისი მომაკვდავი ხელისუფლების დაცვის ერთ იმედად რუსეთს აღიარებდა“².

იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის ისედაც მტრული დამოკიდებულება უფრო გაუარესდა, რაც იმით დამთავრდა, რომ დადიანმა, იმერეთის წინააღმდეგ დახმარების იმედით, დააჩქარა სამეგრელოს მიერ

¹ Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 1, № 761. ქვემოთ ამ წყაროს ყველაზე მკვეთრად მიუთითებთ შემოკლებით — „აქტები“.

² მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში. თბილისი, 1957 წ., გვ. 145.

რუსეთის მფარველობის მიღება. სამფარველო აქტი 1803 წლის დეკემბერში გაფორმდა.

სოლომონ მეორის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. ამიერიდან იგი უკვე რუსეთის მფარველობის მიღების გზით ფიქრობდა თავისი სამეფოს არსებობის შენარჩუნებას.

1802 წელს სოლომონის თხოვნაზე, იმერეთის სამეფო მიეღო რუსეთის იმპერიის მფარველობაში, საქართველოს მთავარმართებელმა კნორინგმა არაღამა-კმაყოფილებელი პასუხი მისცა იმ მიზეზით, რომ იმერეთს ოსმალეთის მბრძანებლობის ქვეშ მყოფ ქვეყნად თვლიდნენ. 1803 წლიდან კი რუსეთის მეფის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ იმერეთი თავის ქვეშევრდომად გაეხადა.

სოლომონმა იგრძნო, თუ რა კრიტიკული და სერიოზული წინააღმდეგობებით მოცული პერიოდი დადგა იმერეთისათვის, ამიტომ იგი იძულებული იყო, რომ ბევრ რამეში ანგარიში გაეწია ქართლ-კახეთში გაბატონებული რუსეთისათვის³ მოკლე ხნით მან თითქოს მოახერხა კიდევ იმპერატორ ალექსანდრე პირველის „ნდობის“ მოპოვება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მას ალექსანდრე ნეველის ორდენი გამოუგზავნეს⁴.

იმერეთში და მის გარშემო შექმნილ კრიტიკულ ვითარებასთან დაკავშირებით, 1804 წელს სოლომონმა საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთის მფარველობის მიღება, მან თვითონ შეადგინა 17 მუხლისაგან შემდგარი თხოვნა, რის საფუძველზე იმერეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა შესულიყო. აღნიშნული თხოვნა სოლომონმა თავის მდივანს ლეონიძეს გაატანა პეტერბურგს იმპერატორისათვის გადასაცემად.

1802 წელს სოლომონის მოლაპარაკება და კავშირი თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე ელემენტებთან (ხანებთან, აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებთან)⁵, ლეონიძის პეტერბურგში ყოფნის დროს, რუსეთის მთავრობას უკვე გაგებული ჰქონდა, ამიტომ ლეონიძე პეტერბურგიდან გამოისტუმრეს და იმერეთის საკითხის მოგვარება ციციანოვს მიანდეს.

პეტერბურგიდან ლეონიძის უშედეგოდ გამომგზავრებისთანავე იმპერატორმა ციციანოვს მოსთხოვა იმერეთის დაუყოვნებლივ დაპყრობა, მანამდე კი ლეონიძე უნდა დაეკავებინათ თბილისში, რათა სოლომონს არ გაეგო მეფის მთავრობის გადაწყვეტილება იმერეთის მიმართ. ციციანოვი არ ჩქარობდა, რადგან განჯის სახანოს დასაპყრობად ემზადებოდა.

სოლომონისა და ციციანოვის შეხვედრისას გამოიჩინა, რომ მის მოთხოვნას, კერძოდ, ლეჩხუმის იმერეთისათვის გადაცემას, მთავარმართებელი არ აკმაყოფილებდა, ვინაიდან ლეჩხუმი ამაზე ადრე სამეგრელოს მთავრის კუთვნილებად სცნეს. მიუხედავად ამისა, ციციანოვი მაინც იძულებული გამხდარა და პეფისთვის საიდუმლო პირობა მიუტია ლეჩხუმის შესახებ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ამის შემდეგ სოლომონ მეფეს, 1804 წ. 25 აპრილს, რუსეთის

³ სოლომონ II-მ იმპერატორის მითითებით 10 წლის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა კონსტანტინე, ხოლო გაქცეულ ბატონიშვილებს—ფარნაოხსა და იულონს ურჩევდა რუსეთს გამგზავრებას.

⁴ აქტები, ტ. II, გვ. 352, № 706.

⁵ აქტები, ტ. II, გვ. 362, № 726.

იმპერატორის ერთგულებაზე დაუფიცნია. მიუხედავად საიდუმლო დაპირებისა, სოლომონ მეფეს ლეჩხუმი არ მისცეს. იგი მეფის რუსეთის ერთგულ დადიანს დარჩა.

აღნიშნულმა უარმა და სამფარველო სხვა პირობების დარღვევამ, იმერეთის მეფე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, იგი გამოსავალი გზების ძებნას იწყებდა.

ხელშეკრულების თანახმად მეფეს, როგორც ახალ ქვეშევრდომს, თავისი წარმომადგენლები უნდა გაეგზავნა პეტერბურგში იმპერატორთან „მფარველობაში“ მიღებისათვის მაღლობის მოსახდელად, მაგრამ იგი ამაზე თავს იკავებდა.

1809 წელს სოლომონმა მიიღო ტორმასოვისაგან მითითება პეტერბურგში „დეპუტატებს“ გაგზავნის შესახებ. მეფემ აცნობა, რომ იგი შეასრულებდა მითითებას იმ პირობით, თუ ლეჩხუმი დაუბრუნდებოდა და შეუსრულებდნენ ყველაფერს, რაც მას ციციანოვმა აღუთქვა. მეფე ითხოვდა აგრეთვე, რომ ქუთაისიდან რუსთა ჯარები გაეყვანათ.

ეს წინადადებები ტორმასოვმა მხედველობაში არ მიიღო, რამაც გამოიწვია ის ამბავი, რომ მეფე ერთი მხრივ რუსეთის წარმომადგენლებს ერთგულებას უმტკიცებდა და მეორე მხრივ ცდილობდა გარეშე ძალთა დახმარებით აეცდინა მოსალოდნელი საფრთხე.

იმერთა მეფის აქტიური მოქმედება სამეფოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უპირისპირდებოდა რუსეთის მიზნებს. მაგრამ უძლური სოლომონის პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ვებერთელა იმპერიის ამოცანებს საქართველო-ამიერკავკასიის მიმართ, იმთავითვე განწირული იყო დასამარცხებლად⁶.

მეფის რუსეთი არ სებითად უკვე შეუდგა იმერეთის სამეფოს დაპყრობას. საქართველოს მთავარსარდალი სოლომონის შეპყრობისა და მისი რუსეთში გადასახლების გეგმას აწყობდა. იგი სოლომონ მეფეს თბილისში იწვევდა, სადაც მას თითქოს იმპერატორის საბოლოო „განაჩენისათვის“ უნდა დაეცადა.

1810 წლის 28 მარტს სოლომონი სოფელ ვარიანში შეხვდა ტორმასოვს, რომელმაც იგი დაატყვევა. მეფე დარწმუნდა, რომ მას რუსეთში გადასახლებას უპირებდნენ და ტყვეობიდან გაქცევაზე ფიქრობდა.

თბილისში სოლომონი სუმბათაშვილის სახლში მოათავსეს და მას ყარაული დაუყენეს. მიუხედავად მიღებული ზომებისა მან გულშემატკივრების დახმარებით მოახერხა გაქცევა.

სუმბათაშვილის სახლში, მეფესთან ერთად, იმყოფებოდა მისი მსახური--დალაქი ნ. სალარიძე, რომელიც ხშირად თუნგით წყალს უზიდავდა. მსახურს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა მეფის ერთგულებს, რომლებიც აწყობდნენ გეგმებს მის გასათავისუფლებლად.

1810 წლის 10 მაისს, მეფე, მსახურის ტანსაცმელში გადაცმული, თუნგით ხელში, გამოვიდა სახლიდან და გაიპარა. გზების შეკვრა და მდევრების დადევნება უშედეგოდ დამთავრდა. მეფემ ერთგულ პირებთან (ქ. წერეთელი, ს. წერეთელი, დ. ერისთავი, გაბუაშვილი და სხვები) ახალციხეს მიაშურა, სადაც ფაშას-

⁶ М. К. Думбадзе, Западная Грузия в первой половине XIX в. Автореферат. 1957, гл. 15.

თან შეაფარა თავი. გაქცევისას მეფემ სუმბათაშვილის ბინაში დასტოვა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

გაქცევიდან ერთი კვირის შემდეგ, 1810 წლის 17 მაისს, სოლომონმა იმერეთის მიტროპოლიტს მოსწერა წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი თავისი უფლებების აღდგენისათვის ემზადებოდა.

წერილში ნათქვამი იყო:

„მეფე სრულიად იმერთა სოლომონ უსამღთოესს მარჯვენეს სასოებით ამბორის-ყოფას მოგახსენებთ. მერმეთ, როდესაც გარდაწყვეტით გული დავაჭერე, რომ რუსეთს მისტუმრებდენ, თქვენის მოშორებისა და იმერეთის საუკუნოდ დატევების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას თქვენთან უოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვირჩიე, ჩემი თავი გარდავსდეგ და ათს ამ თვეს, ღამის ორს საათს გასულს, ღვთის მოწყალებით ქალაქილამ გამოველ. ოთხნი წერეთლები, ორნიც ძმები ერისთავები და დაბუაშვილი მათის კაცებით ოცდა-სამი ცხენიანი აქ ახალ-ციხეს გშვიდობით მოვედით. თქმად შეუძლებელია დიდთა და მცირეთავან ერთობით ჩემის ნოსვლისათვის ამათი სიხარული. აწ თქვენგან და მთლად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის,—მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივის-ცემისა და სიყვარულისაგან არა-ოდეს ჩემი გული არ გამაძლარა; აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გარდავსდეგ თქვენთან სიცოცხლისათვის. ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ, თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერობა და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათს ჭელში უნუგეშოდ კენესიან, და დღე და დღე ოჯახის პატივილამ მდაბლდებიან, სახლისა და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულ-დასმულნი შეიქნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ; დღეს რომ პატივ-სიცემენ, ხვალ ყოვლის ქვეყნისაგან იმერეთში უმეტესად დაკრძალულს ცოლ-შვილის პატიოსნებას უპატიოდ ვახდიან.

ყველამ იცით, რომ თავეთს ჩვეულებას თქვენთვის არ გამოსცვლიან, არც თქვენს მამა-პაპათ იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულის შეტკიება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ. ეს არის დღე ერთგულობისა და ჩვენთვის დათხეულთა მამა-პაპათა თქვენთა სისხლთა განახლებისა, რომ განთავისუფლებისა თქვენისათვის გამოაცხადოთ ერთგულობა თქვენი, რომელიც აქამომდე ყოველს ქვეყანაზედ იმერეთი ჩინებული ყოფილა მემკვიდრის მეფის ერთგულობაზე და უმეტესად თქვენი ოჯახი და თქვენ ჩვენთვის თავდადებულნი ბძანებულ-ხარო. ნუ დაიდებთ საუკუნოდ საძრახისს საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავით, რომელნიც სულიერად დიდ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. გაისარჯე თქვენებურად, —ოჯახი დიდი თუ მცირე თქვენი მოკიდებული და თქვენი სამწყსო არ იყოს, იმერეთში არ არის, ყველანი განამტკიცეთ და თქვენი ჩემზე მამა-შვილური სიყვარული და შემძლებელობა დღეს გამოაცხადე. თუ დამაჯერებთ მე თითო შე-

მოვალ თქვენთან და უცხოს ჯარებს აღარ დავეძებ, რომ ღვთის და თქვენი შესაწუხებელი საქმე არა მოხდეს-რა, და როგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამხედ გული დააჯერეთ, თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო, იცოდეთ. — ცოტა ღვინო და ოტკა მომაშველეთ მალე, ბატონო“⁷.

გაქცევა იმდენად სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკისათვის, რომ ტორმასოვის დროებითი შემცვლელი გენერალ-ლეიტენანტი როზენი კინაღამ სამსახურიდან გაათავისუფლეს.

რაც შეეხება იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებიც სოლომონთან ერთად გააქცნენ, ფოთის ციხე-სიმაგრეში მოათავსეს, მათი ქონება კი ხაზინას გადასცეს.

ფოთის ციხე-სიმაგრეში მიიყვანეს იმერეთის დედოფალიც—მარიამ კაცის ასული, რათა გაქცეულებთან წერილობითი კავშირი არ ჰქონოდა. თითქმის ყველაფერი გაკეთდა, რომ იმერეთში აჯანყება არ მომხდარიყო. მაგრამ ამოდ, აჯანყება მაინც დაიწყო. 22 ივნისს სოფელ საქარასთან მოხდა შეტაკება აჯანყებულებსა და მეფის ჯარებს შორის. აჯანყებულებს გაქცეული მეფის პროკლამაციების წყალობით, მხარი დაუჭირა ახლობელი სოფლების: ვაკის, ლომსიათხევის და სხვათა მოსახლეობამ, რის შემდეგაც აჯანყებამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო⁸.

სოფელ კორტოხთან აჯანყებულებმა შეაჩერეს 500 კაცისაგან შემდგარი ჯარის ნაწილი, რომელსაც მაიორი ტიხოცკი მეთაურობდა. 29 ივლისს აჯანყებულებმა ქუთაისში ალყა შემოარტყეს გენერალ სიმონოვიჩს თავისი ჯარით და ნახევარი თვის განმავლობაში კავშირი იყო გაწყვეტილი ქუთაისის სამხედრო ხელმძღვანელობასა და საქართველოს მთავარმართებელს შორის⁹. აგვისტოს შუა რიცხვებში მხოლოდ, როდესაც მასშვილი ძალები სამი ასეთლის რაოდენობით გამოცხადდა გენერალ სიმონოვიჩის დასახმარებლად, დაძლეულ იქნენ აჯანყებულები, რომლებიც იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ.

იმერეთის ტერიტორიაზე შესამჩნევად გაიზარდა სამხედრო ნაწილების რაოდენობა. სამხედრო ნაწილების სურსათსანოვავით დაკმაყოფილების საქარობამ ჩააფიქრა იმერეთში სამხედრო ძალების უფროსი სიმონოვიჩი. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად სამხედრო ხელმძღვანელები შეცვალეს.

აჯანყებას სათავეში ედგა გაქცეული მეფე, რომელსაც შერიფ-ფაშამ 1000 კაცი მიაშველა.

აჯანყება ოთხი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. დიდი იყო მსხვერპლი.

როდესაც აჯანყება შეწყდა და შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა, მეფის მთავრობამ იმერეთის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა მაინც ვერ გაბედა, რათა არ განმეორებულიყო მომხდარი ამბები. სოლომონი აჯანყების დამარცხების შემდეგაც სიკვდილამდე (იგი გარდაიცვალა 1815 წლის 7 იანვარს ტრაპიზონში)¹⁰

⁷ აქტები, ტ. 4, გვ. 268 № 344.

⁸ „Кавказский сборник“, т. XV, стр. 322—323, изд. 1894 г.

⁹ Акты, т. 4, стр. 326, № 439.

¹⁰ სოლომონ II დასაფლავებულია ტრაპიზონში, ნართლმადიდებელ ბერძენთა ეკლესიის გალავანში, რომლის ქვის ძეგლზე აწერია: —„განმეძარცვა მე პირველი ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემულ საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სოულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა.

თებერვლის ზ. კორთინიონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“.

მეორე ვერსიზე აწერია: „საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წყლი ჩყიე“.



არ დამწვიდებულა, მაგრამ მისი ყოველი ცდა სამეფოს აღსადგენად ამარა აღმოჩნდა. რაც შეეხება მეფის ერთგულ მსახურს, დალაქ სალარიძეს, იგი 1811 წელს გადასახლებულ იქნა ციმბირში.

ციმბირიდან მან, სხვა ქართველ გადასახლებულებთან ერთად (გაბუნია, მაისურაძე და სხვ.), მოახერხა ირანში გაქცევა და—თეირანში 1824 წ. 18 ივლისს, მიმართა რუსეთის რწმუნებულს კ. ს. მაზაროვიჩს, რათა უკანასკნელს აღმოეჩინა დახმარება მისთვის სასჯელის პატიებაში. მოგვყავს ნ. სალარიძის თხოვნის თარგმანი:

„იმერეთის ოლქის სოფ. კაცხის მცხოვრების

ნიკოლოზ დავითის ძე სალარიძის თხოვნა

კ. ს. მაზაროვიჩისადმი 1824 წლის 18 ივლისს.

იმერეთის მეფე სოლომონი თბილისში მოსვლის დღიდან ერთი თვის შემდეგ ფარულად გაიქცა. იმ დამეს მის საწოლ ოთახში იმყოფებოდა ფარეში კაცულა თაბუკაშვილი, რომელმაც მეფის გაქცევის გეგმა იცოდა. თუმცა მე სოლომონის დალაქი ვიყავი, მაგრამ მისი გაქცევის შესახებ არაფერი არ ვიცოდი. მე ბრალად დამდეს, ვითომცდა ჩემთვის ცნობილი იყო მეფის გაქცევის შესახებ, და ამის გამო ხსენებული ფარეში და მე ორივე ციმბირში გადაგვასახლეს. ფარეში კ. პერში გარდაიცვალა, მე კი ტომსკის გუბერნიიდან გავიქეცი. თუ კი მე მიმიღებენ და დანაშაულს მაპატიებენ, მაშინ უნდა შეეკითხოთ იმერეთის იმ თავადებს, რომელნიც იმ ხანობას მეფესთან ერთად გარდაიხვეწნენ: 1. ქაიხოსრო წერეთელს, 2. როსტომ წერეთელს, 3. სიმონ წერეთელს, 4. კიდეც სიმონ წერეთელს, 5. დავით ერისთავს, 6. გრიგოლ ერისთავს, რომელთაც შეუძლიათ დადასტურონ ჩემი სიმართლე“¹¹.

1824 წლის 17 აგვისტოს კ. ს. მაზაროვიჩი თეირანიდან ერმოლოვისადმი მიმართვაში სწერს აღნიშნული პატიმრის შესახებ, და ხაზს უსვამს სალარიძის განთავისუფლების შესაძლებლობას.

1824 წლის 21 ოქტომბერის საიდუმლო წერილში გენერალი ერმოლოვი რუსეთის რწმუნებულს ირანში კ. ს. მაზაროვიჩს თხოვს, რომ მან გამოუცხადოს სალარიძეს განთავისუფლება, როგორც უდანაშაულოს მეფის გაქცევის საქმეში, რომელიც მხოლოდ ეჭვით იქნა ბრალდებული. იქვე აღნიშნული იყო, რომ სალარიძე უნდა გამოცხადებულყო მასთან, ე. ი. ერმოლოვთან, და მიიღებდა ნებართვას, ეცხოვრა იქ, სადაც ადრე ცხოვრობდა¹².

რაც შეეხება იმერეთის დედოფალს—მარიამ კაციას ასულს, იგი სოლომონის დასთან—მარიამ არჩილის ასულსა (სოლომონის და—მარიამ არჩილის ასული გათხოვილი იყო მალხაზ ანდრონიკაშვილზე, რომელიც გაქცეულ მეფეს ახლდა) და მის ვაჟიშვილთან ერთად ფოთის ციხე-სიმაგრეში იყო გამოკეტილი.

ტორმასოვი 1810 წლის 2 დეკემბერს სამხედრო მინისტრს წერდა, რომ მან გადაწყვიტა ზემოთ აღნიშნული პირების ფოთის ციხე-სიმაგრეიდან რუსეთში გაგზავნა¹³. ამავე წლის დეკემბერში დედოფალი და მარიამ ანდრონიკაშვილი თავის შვილით გადასახლეს ვორონეჟში. ვორონეჟში ჩასვლისას დედოფალმა სურვილი გამოთქვა პეტერბურგში ცხოვრებისა, ხოლო მარიამ არჩილის ასულმა ან-

¹¹ აქტები, ტ. 6, ნაწ. 1, გვ. 612.

¹² აქტები, ტ. 6, გვ. 611, № 857.

¹³ აქტები, ტ. 4, გვ. 338, № 439, 454.

დრონიკაშვილმა ითხოვა საქართველოში დაბრუნება, ანდა დედოფალთან ერთად პეტერბურგში ცხოვრება, რათა მასთან მყოფი ვაჟიშვილი განეწესებია იქ სამსახურში¹⁴. იმპერატორმა ბრძანა, რომ მარიამ კაციას ასულის თხოვნა პეტერბურგში ცხოვრების შესახებ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პეტერბურგში ჩასვლა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, რისთვისაც რჩევას აძლევს იცხოვროს მოსკოვში. მარიამ არჩილის ასულს ანდრონიკაშვილს უფლება მიეცა დაბრუნებულიყო საქართველოში თავის ქმართან, რომელიც თავისი სურვილით უკვე სამშობლოში დაბრუნებულიყო¹⁵. იმერეთის დედოფალსა და მარიამ არჩილის ასულს 1817 წ. პენსიები დაუნიშნეს—დედოფალს 6000 მანეთი ასიგნაციის ნაცვლად, რომელსაც მანამდე იღებდა, 20000 მანეთი ასიგნაციით წლიურად, მეორეს კი—ნაცვლად 3000 მანეთისა ასიგნაციით 1000 მანეთი ვერცხლით¹⁶; მის მეუღლეს მალხაზ ანდრონიკაშვილს, ნიშნად იმისა, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისი სურვილით, დაბრუნდა გაქცევიდან, დაუბრუნდა თათართა სოფელი ლაჯბადინი, რომელიც ადრე მის მფლობელობაში იყო¹⁷.

იმერეთის დედოფალი 1818 წელს მოსკოვიდან პეტერბურგში გადაიყვანეს საცხოვრებლად. მეფის მსახურმა სალარიძემ კი განთავისუფლების შემდეგ მონახულა მრავალი წლის უნახავი დედოფალი.

როგორც ჩანს, ეს ამბავები შეხვედრა განაწამები მოხუცისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. სალარიძე იმ დამესვევ გარდაიცვალა.

რაც შეეხება თვით დედოფალს, იგი პეტერბურგიდან აღარსად გადაუყვანიათ საცხოვრებლად, გარდაიცვალა იქვე 1841 წელს.

¹⁴ აქტები, ტ. 6, ნაწ. 1, გვ. 529.

¹⁵ იქვე.

¹⁶ ასიგნაციის მანეთი ამ დროს უდრიდა 25 $\frac{1}{2}$ კაპიკს.

¹⁷ ლაჯბადინი—საქართველოს ფარგლებში შემავალი თათართა სოფელი ბორჩალოში.



თ. ყაუხჩიშვილი

მეხრონის

«ჰერაკლის ისტორიის» ცნობები საქართველოს შესახებ*

ქველ ბერძნულ მწერლობაში საისტორიო პროზას საპატიო ადგილი უჭირავს. მისი საში დიდი წარმომადგენელი: ჰეროდოტე, თუკიდიდე და ქსენოფონტი დამსახურებულად მსოფლიო მნიშვნელობის ავტორებად არიან აღიარებული, თუ მათი თხზულებების მეცნიერული საბუთიანობის გამო, თუ იმავე ნაწერების მაღალი მხატვრული ღირსებებისათვის.

ელინისტურსა და ბიზანტიურ ხანაში საისტორიო მწერლობა ქველბურად მნიშვნელოვანი დარგია ბერძნულ ლიტერატურის და, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებრივი ყოფის ცვლასთან ერთად ისტორიული თხზულებების არსი და მიზანდასახულებაც იცვლება, ცხოვრების მიერ წაყენებული პრაქტიკული მოთხოვნის შესაბამისად. ასე, მაგალითად: ძვ. წ. ა. II ს.-დან ფხვს იკიდებს „მსოფლიო ისტორიის“ ჟანრი, გამოწვეული ერთი მხრივ ელინისტური სამეფოების კრიზისით და მეორე მხრივ აღმავალი რომის გამოჩენით. ამ დროიდან დაწყებული ვიდრე ახ. წ. ა. VI ს.-მდე ისტორიკოსების მიზანია აგვიწერონ ერთი დიდი მსოფლიო (ცენტრი — რომი). ასეთი მწერლები არიან: პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისიოს პალიკარნასელი, სტრაბონი, დიონ კასიოსი, აპიანე¹...

დიადოხოსების ხანაში, როდესაც აღექსანდრე მაკედონელის დიდი სახელმწიფო ცალკეულ სამეფოებად დაიშალა, გაიზარდა ინტერესი საკუთარი სამშობლოსადმი და იწერება ისტორიები ცალკეული ქვეყნებისა და ქალაქებისა. სხვა მხარეების აღმწერელთა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, უნდა აღვნიშნოთ ის შრომები, რომლებიც შავიზღვისპირეთის შესახებ მოიპოვებოდა; ასეთებია: ოლვიელი პოსიდონიოსის დნესტრის მიდამოების აღწერილობა; *Περὶ τῆς Τυριακῆς ἀλλοιοῦμένης χώρας*, დიოფანტეს *Ποσειδῶν ἱστορία* (FHG, 4, 396), ნიმფისის *Περὶ Ἡρακλείας* (FHG, 3, 12 — 16) დამონის *Περὶ Βυζαντίας* (FHG, 4, 377) და სხვ.²

მომდევნო ხანაში ისტორიული მწერლობის ეს დარგი დიდად არ განვითარებულა. ე. წ. ლოკალური ისტორიების ერთადერთ მნიშვნელოვან მწერლად და ზემოთ დასახელებული დიადოხოსების დროის ტრადიციების გამგრძელებლად სპეციალისტებს მემონი მიაჩნიათ. ამ ავტორის შესახებ ლიტერატურა, იქნება ეს ქველ ავტორებთან დაცული ცნობები, თუ შემდეგი დროის გამოკვლევები, მცირეა.

* წინამდებარე მასალებში შესულ წერილთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა დაირღვა ბერძნული ტექსტის აწყობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სიძნელეთა გამო. რედ.

¹ შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 11, 1949, გვ. 186.

² W. Christs Geschichte der griechischen Literatur... VII, 2.1. 1920, გვ. 210 — 216.

მის შესახებ დაბეჯითებით ვიცით მხოლოდ შემდეგი:

იგი წარმოშობით ჰერაკლელი იყო და დაწერა ჰერაკლის ისტორია, რომელიც ჩვენამდე მოღწეული ტექსტის მიხედვით შეიცავს პერიოდს ძვ. წ. ა. IV-ს-დან იულიუს კეისრის დრომდე.

მემნონის ცხოვრების თარიღის შესახებ მეცნიერებაში 2 აზრი არსებობს: თ. რენაკის აზრის თანახმად (რაც გაზიარებულია ვ. კრისტის მიერ¹), იგი იყო თანამედროვე ფლავიუსების, ან პირველი ანტონინეზის², ე. ი. ცხოვრობდა ახ. წ. ა. I—II სს. ხოლო ლაკერის მოსაზრების მიხედვით მემნონი იულიუს კეისრის თანამედროვე იყო³. ლაკერის მოსაზრება დამატებით არგუმენტაციის გარეშე მიღებულია თანამედროვე სპეციალისტების მიერ (ვ. ძაგუროვა⁴, მ. მაქსიმოვა⁵). ვ. კრისტს მემნონის შესახებ სულ ნახევარგვერდიანი ანოტაცია აქვს, ისე რომ დიდი საბუთიანობა მის ესოდენ ავტორიტეტულ შრომაში ამ შემთხვევისათვის მოსალოდნელი არც არის, იგი ეყრდნობა საკითხის დიდი სპეციალისტის, თ. რენაკის ნაკვლევს. რაც შეეხება თ. რენაკს, მისთვისაც მემნონი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მას იმდენად აინტერესებს მემნონი, რამდენადაც ამ ავტორს მითრიდატეს შესახებ ცნობები მოეპოვება და მხოლოდ იმის საფუძველზე ათარიღებს მემნონს I—II სს-ის ავტორად, რომ იგი სტრაბონზე უმცროსად მიაჩნია. უმცროსად კი იმიტომ მიაჩნია, რომ მემნონი ასახელებს სანეგებსა და ლაზებს, რომლებიც არ ჰყავს ხსენებული სტრაბონს და მათი სახელები პირველად პლინიუსთან გვხვდება.

ის გარემოება, რომ მემნონი იცნობს სანეგებსა და ლაზებს და სტრაბონი არა, სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ სტრაბონი უფრო აღრინდელი ავტორია მემნონზე. მა არც ის არის სავალდებულო, რომ პლინიუსი იყოს წყარო (უშუალოა თუ შუალოებით) ამ საკითხში მემნონისათვის, რაკი იცნობს და ამასთანავე პოპულარულ ავტორთაგან პლინიუსია, რომელიც მათ ასახელებს.

მემნონის დასათარიღებლად სანეგებისა და ლაზების ხსენება საბუთად არ გამოგვადგება.

უკანასკნელ ხანებამდე მემნონის შესახებ ყველაზე საფუძვლიანი გამოკვლევა ლაკერისა იყო (Lokalchronik...); ლაკერი, როგორც უკვე ითქვა, იულიუს კეისრის თანამედროვედ მიიჩნევს მემნონს. ამის საბუთად ლაკერს მოჰყავს: ნაწარმოების სტილი, რომელიც თავისუფალია ატიციანური ხელოვნებისაგან (ეს კი კეისრის დროისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, თვით ლაკერი სვამს საკითხს, ასეთი სტილი წყაროს გავლენით ხომ არ არის) და თვით ჰერაკლის დაცემის მოთხრობა და ის განწყობილებაც, რომელსაც ავტორი იჩენს ზოგიერთი მონაწილის (მაგ., ბრითაგორას) მიმართ. მემნონი თუ ქალაქის აღებს მონაწილე არ იყო (ე. ი. 72—70 წლების მომსწრე), ამ ამბების მხილველთა მცნობი და მახლობელი მაინც ჩანს.

ლაკერის ეს მოსაზრება გაიზიარა ვ. ძაგუროვამ, რომელმაც თარგმნა მთლიანად მემნონის „ჰერაკლის ისტორია“, წაუშმდგარა მას შესავალი

¹ W. Christs, Geschichte der griechischen Litteratur... VII, 2,2 München, 1913, S. 599

² Th. Reinach, Mithridate Eupator... Paris, 1890. P. 452

³ RE, 25. Halbband. 1926. სტატია: Lokalchronik, გვ. 1099—1102

⁴ В. П. Дзагурова, Гераклея Понтийская в эпоху ее автономии (VI—I века до н. э.), диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1946, стр. 43 и сл. ВДИ, 1951, № 1. Введение, стр. 287—288.

⁵ М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М. Л. 1956, стр. 448. სამიბელო, სადაც სწერია „Мемнон—греческий историк, уроженец Гераклея Понтийской, (1 в. до н. э.)“.

(1951 წელს, ВДИ, № 1) და ამაზე უფრო ადრე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „Гераклея Понтийская в эпоху ее автономии“ (VI—I вв. до н. э.), რაც, მართალია, სხვა საკითხებსაც შეიცავს, მაგრამ მემონი, როგორც ძირითადი წერილობითი წყარო, მასში საფუძვლიანად არის განხილული. ლაკერთან შედარებით ვ. ძაგუროვას ახალი საბუთები არ მოჰყავს მემონის დასათარიღებლად, მაგრამ მთლიანად ეთანხმება ლაკერს და მის მიერ ლაკონიურად გამოთქმული მოსაზრებები უფრო გავრცობილად აქვს მოთხრობილი.

მემონის დათარიღება ძნელია, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას: ამ საკითხში რეანაკის არგუმენტაცია გასაზიარებელი არ არის, ლაკერის საბუთიანობა კი უფრო სარწმუნო მოჩანს. განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც ის ლაპარაკობს ავტორის (მემონის) სუბიექტური განწყობილების დამჩნევაზე: ისტორიკოსი, რომელიც 1—2 საუკუნის წინანდელ აზნავს გადმოგვცემს, გაურბის ჩვეულებრივ ისეთ დეტალიზაციას და ემოციებს, რაც არის მემონის „ისტორიის“ XVI წიგნის ბოლოს. ამრიგად, იოზეფიდავად იმისა, რომ ახალი და უცნებელი საბუთები არ მომეპოვება, ტექსტის შესწავლისა და მის შესახებ ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, დავადექი იმ აზრს, რომ მემონი იულიუს კესარის თანამედროვე ავტორი იყო, ე. ი. ცხოვრობდა და თავის „ისტორიას“ წერდა ძვ. წ. ა. I ს-ის ბოლოს (შესაძლოა, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე).

მემონი ერთი ისეთი ავტორია, რომელიც ჩვენამდე უშუალოდ არ არის მოღწეული. მისი ნაშრომის შესახებ ვიგვმთ ფოტიოსის „ბიბლიოთეკიდან“¹ სადაც დაცულია მემონის „ჰერაკლის ისტორიის“ მოზრდილი ნაწილი, სახელდობრ 9—16 წიგნები. პირველი 8 წიგნი სრულიად დაკარგულია. არც XVI-ის მომდევნო წიგნები ჩანს. ამის შესახებ თვით ფოტიოსთან ვკითხულობთ: „პირველი 8 წიგნის შესახებ და მათ მიმართ, რომლებიც XVI-ს შემდეგ იყო, ჩვენ არაფერი ვგაქვს სათქმელი, რადგან ჩვენ ისინი არ გვინახავს“ (მემონი, ჰერაკლის ისტორია, IX, 6). ფოტიოსის მიერ შემონახულ წიგნებში გადმოცემულია ჰერაკლის ისტორია ძვ. წ. ა. 363—46 წლების მანძილზე. ძირითადად ავტორი თავის უშუალო თემაზე წერს, წილისვლები მას არ ახასიათებს. მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში მაინც გვხვდება ადგილი, რომელიც ერთგვარ გადახვევას წარმოადგენს. ესაა XIII, 25, 2—4, ექსკურსი რომის ისტორიიდან, რაც ფოტიოსს თავისი სიტყვით აქვს გადმოცემული, მოკლედ და სადაც ყოფილა მოთხრობილი ამბავი რომის დაარსებიდან მაგნუსის ბრძოლამდე.

რამდენადაც მემონის შრომა უშუალოდ დედნის სახით არ არის მოღწეული, ამდენად კატეგორიული მსჯელობა ავტორის წერის მანერის, სტილის, ენის და სხვათა შესახებ გაძნელებულია, მაგრამ იმის მიხედვით, რაც ხელთ გვაქვს (თუკი ფოტიოსის რედაქციის შედეგი არ არის ყოველივე ეს) შეიძლება ითქვას, რომ მემონი შედარებით ძნელად ურთავს თავის ისტორიას მითოლოგიურ გადმოცემებს, სხვადასხვა პირთა შორის მიმოწერას, წარმოთქმულ სიტყვებს (თუმცა სულ უამთოდაც ვერ ახერხებს წერას). ენას ახასიათებს ე. წ. გულგარბნიუნი (ე. ი. განათლებული ისტორიკოსის ენაში შექრილია სალაპარაკო ენის „შეტდომები“) და სრულიად არ ახასიათებს ე. წ. ატიციისტური მიმართულებისათვის ჩვეული ხელოვნური გამოთქმები¹.

¹ W. Christs Geschichte der griechischen Litteratur... VII, 2;2 1913. გვ. 599

საკუთრივ მემნონის თხზულების ხელნაწერების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან იგი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ფოტიოსის „ბიბლიოთეკაში“ არის დაცული.

ფოტიოსის IX ს-ის ცნობილი მოღვაწე და მწერალი იყო. მას, როგორც უალრესად განათლებულ კაცს, გარსემოკრეფილი ჰყავდა ახალგაზრდობა და მას უმარტავდა ძველ ბერძნულ სალიტერატურო ძეგლებს. ფოტიოსის ძმა, ტარასი მოუცლელობის გამო ერთხანს ვერ დასწრებია ამ წრის მეცადინეობას და უთხოვნია ფოტიოსისათვის, გამაგებინე რა წიგნები წაიკითხეთ და განმარტეთო. ფოტიოსმა შეუდგინა ძმას კრებული, სადაც შეიტანა ცნობები იმ რიგით, როგორითაც ის ძეგლებს უკითხავდა წრეში. ასე შედგა კრებული „ბიბლიოთეკა“¹, რომელიც შედგება 280 თავისაგან. თითოეულ თავში შეტანილია თითო მწერალი და ცნობები, თუ ამ მწერლის რა თხზულებები იქნა წაკითხული. ამას მოჰყვება ნაწყვეტები მწერლების ნაწარმოებებიდან, ანდა თვით ფოტიოსის სიტყვით არის გადმოცემული ამ ნაწარმოების შინაარსი. ყოველი თავი იწყება სიტყვით: *ἀναγνώσθη* — „წაკითხულ იქნა“². „ბიბლიოთეკაში“ 224-ე თავად მემნონის „ჰერაკლის ისტორია“ (მისი IX—XVI თავები) არის გადმოცემული.

ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაში ფოტიოსის „ბიბლიოთეკის“ ხელნაწერები დაწვრილებით არ არის მიმოხილული. ემ. ბეკერს თავის გამოცემისათვის 4 ხელნაწერი აქვს გამოყენებული A—ვენეციის ხელნაწერი, Codex Marcianus 450, პერგამენტზე შესრულებული— B—პარიზისა, № 1266, ბომბიცინზე ნაწერი. გამომცემლის მიერ დათარიღებული არ არის, სწერია მხოლოდ: non antiquus. C—პარიზისა, № 1226, ქალაქდზე ნაწერი, D—ასევე ქალაქდი, პარიზული, № 1227³.

ფოტიოსის „ბიბლიოთეკის“ შემდეგი გამოცემებია ცნობილი: Immanuel Bekker-ის 2 ტომად (ტექსტი და ინდექსი), ბერლინი, 1824 წ.

Migne, Patrologia graeca, 101—104 ტომები (პარიზი, (1860 წ.) დათმობილია ფოტიოსის შრომებისათვის, აქედან 103-ე ტომში არის „ბიბლიოთეკა“.

მემნონის „ჰერაკლის ისტორია“ ცალკე პირველად გამოსცა Orellius-მა: Orellius, Memnonis historici excerpta, Lipsiae, 1816.

შემდეგი გამოცემა არის Carolus Müller-ისა, რომელმაც ის შეიტანა Fragmenta historicorum graecorum-ში, ტ. III, 1883 წ. პარიზი, გვ. 525—558, პატარა წინასიტყვიანობით, ლათინური თარგმანითა და კომენტარებით (კომენტარები არის უკვე ბეკერის გამოცემაში, მაგრამ მძულერს კიდევ უფ-

¹ ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევარს, კ. კრუმბხერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ გამოვლილია მთელი ის მიძღვნი, რაც წინ ერთვის „ბიბლიოთეკას“ (და სადაც ეს ისტორიაა მოთხრობილი), მაშინ წიგნი ერთგვარ ესეების კრებულად წარმოიდგინება. K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur, 1897. S 519.

² ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 11, 1949. გვ. 445.

³ Photii Bibliotheca ex recensione Immanuelis Bekkeri, Tomus prior. Berolini 1824. გამომცემელს არცერთი ხელნაწერი არა აქვს დათარიღებული, A—ხელნაწერის თარიღი იმის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, რომ ის ბესარიონის ნაქონად არის გამოცხადებული. ბესარიონი კი XV ს-ის მოღვაწე იყო (K. Krumbacher, Geschichte der byz. Lit., გვ. 117). —C—ხელნაწერის შესახებ სწერია, რომ იოანე როსის ხელსა ჰყავს, ხოლო D-ს ხელი ანგელუს ვერგეციუსის ხელთან არის მიმსგავსებული.

რო მეტი შენიშვნები აქვს). ამ უკანასკნელად ქრონიკის ტექსტი გამოსცა Felix Jacoby-მ: Die Fragmente der griechischen Historiker, Dritter Teil Geschichte von Städten und Völkern. B—Autoren über einzelne Städte (Länder). Leiden, Brill 1950. გვ. 336—368 ამ გამოცემაში კიდევ ერთხელ კრიტიკულად არის გადახედული ტექსტი, გათვალისწინებული ხელნაწერები და აღრიხდელი გამოცემა-გამოკლევები. ბერძნული ტექსტი, რომელიც ფოტიოსსა და მჟულერს ერთნაირად ჰქონდათ თავებად და პარაგრაფებად დაყოფილი, იაკობის მიერ სხვაგვარად, შინაარსის გათვალისწინებით არის დაყოფილი (გაცილებით ნაკლებ თავებად, ვიდრე მჟულერის გამოცემაშია).

მემნონის ქრონიკის შემდეგი თარგმნებია ჩემთვის ცნობილი: ლათინური, მოთავსებული ბერძნული ტექსტის პარალელურად იმავე კ. მჟულერის გამოცემაში და რუსული: В. П. Дзягурова-სი Мемнон „О Гераклеѣ“ (ВДИ, 1951 წ. № 1, გვ. 289—316), შესრულებული კ. მჟულერის გამოცემის მიხედვით.

ამ თარგმანის შესახებ უნდა შეინიშნოს, რომ იგი ძირითადად კარგია, თითო-ოროლა შენიშვნა თუ ჩნდება მის მიმართ, ისიც საგანგებო შესწავლის შემდეგ.

ფოტიოსის „ბიბლიოთეკა“ ბიზანტიური ხანის ბერძნული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წიგნად ითვლება. მასში თავმოყრილია დიდძალი მასალა, რომელსაც სპეციალისტები ნდობას უტახადებენ. მემნონის ტექსტის მიმართაც იგივე იქნება გასამეორებელი: თუ ფოტიოსი მემნონის „ისტორიის“ სიტყვა-სიტყვით არ გადმოსცემს, ის მაინც იქნება, რომ მის შინაარსს, მის დედააზრს სწორად გვაგვბინებს.

მემნონის მიზანია ჰერაკლის ისტორიის გადმოცემა, ყველაფერი სხვა ძირითადად ჰერაკლესთან მიმართებაში არის წარმოდგენილი.

როგორც სხვა ისტორიკოსების შემთხვევაში, ისე მემნონთან დაკავშირებითაც გვიხდება მის წყაროებზე ლაპარაკი.

მემნონის ქრონიკის „Περὶ Ἡρακλείδων“-ის წყაროებად ვ. კრისტს მიანიჭა ძვ. წ. ა. III-ს-ის ავტორები ნიმფისი და პრომათიდასი¹, რომელთაც თავის დროზე ანალოგიური ისტორიები ჰქონდათ დაწერილი, რაც დღეს მცირეოდენი ფრაგმენტების სახით არის მოღწეული (იხ. FHG. 111). ვ. კრისტის „ლიტერატურის ისტორიაში“ მემნონს საერთოდ პატარა ადგილი აქვს დათმობილი და მისი წყაროების კვლევაც არაა წარმოებული, მხოლოდ ორი სიტყვით არის მოხსენებული ეს ორი ავტორი, უწინარეს ყოვლისა ალბათ იმიტომ, რომ მათაც იმავე სახელწოდების თხზულებები ჰქონდათ.

Laquer-ის სტატიაში „Lokalchronik“—მემნონის „ჰერაკლის ისტორიის“ წყაროები შეძლებისდაგვარად ფართოდ არის გამოკვლეული. ამ მკვლევარის აზრით მემნონი თავისი ქრონიკის პირველი თავებისათვის წყაროდ იყენებდა თეოპომპეს (ძვ. წ. ა. IV-ს-ის ავტორია) შრომას²; XI—XIV წიგნებისათვის—ნიმფისის „ჰერაკლის ისტორია“; შემდეგი ხანისათვის მას რაღაცა მსოფლიო ისტორია ჰქონია ხელთ, რაც შეუვსია ადგილობრივი გადმოცემებით და თავისი საკუთარი მოგონებებით. უფრო ზუსტად მომდევ-

¹ W. Chists Geschichte der griechischen Literatur... VII, 2,2 1913. გვ. 599.

² ფ. იაკობი არაა იმ აზრის რომ მემნონმა წყაროდ გამოიყენა თეოპომპე (Fragmente der griechischen Historiker, 11.383)

ნო ხანის წყაროები ლაკერს დადგენილი არა აქვს¹. ჩვენთვის საინტერესო ამბები რომლებიც დაცულია მემნონის „ჰერაკლის ისტორიაში“, მოთხრობილია მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით. იმავე ლაკერის აზრით, მითრიდატეს რომაელებთან ომების შესახებ მემნონს რაღაცა „რომა ჰქონია“.

ვ. ძაგუროვა, როგორც სადისერტაციო ნაშრომში, ასევე მემნონის „ისტორიის“ თარგმანთან დართულ გამოკვლევაში სათანადო ადგილს უთმობს მემნონის ქრონიკის წყაროების მიმოხილვას. ძირითადად იგი ეთანხმება ლაკერის მოსაზრებებს, სახელდობრ: პირველი სამი თავი თეოპომპეს შრომის საფუძველზეა აგებული, 4—25 თავებისათვის ვ. ძაგუროვა უფრო ახუსტებს წყაროებს: 26-ე თავისათვის მასალა ტიტე ლივიუსთან და პოლიბიოსთან მოიპოვება². 27—29 თავებისათვის ადგილობრივი წყაროა გამოყენებული. 30-ე თავიდან მემნონის „ჰერაკლის ისტორიაში“ დიდი ადგილი ეთმობა მითრიდატეს ომების ისტორიას; ვ. ძაგუროვას აზრით მემნონი სარგებლობდა იმ სუყაჯაჟინით, რომელთაც იხსენიებს სტრაბონი, ხოლო ამავე ნაწილში მოთხრობილი ჰერაკლის ამბებისათვის გამოყენებულია პრიამათიდა ჰერაკლეელის და დომიციუს კალისტრატუსის თხზულებები.

ჰერაკლესთან რომაელების ორწლიანი ომის აღწერა და სინოპეს ამბების მოთხრობა სავანგებო მნიშვნელობისაა მემნონის „ქრონიკაში“ და ეს ადგილობრივი წყაროების საფუძველზე გაკეთებულად არის მიჩნეული (47—54 თავები).

საქართველოს ისტორიის შესწაველთათვის ყველაზე მეტად საინტერესოა „ქრონიკის“ ის ნაწილი, სადაც მითრიდატეს შესახებ არის თხრობა და ამ თავების წყაროდ ზოგადად სუყაჯაჟინი არის გამოცხადებული.

ასეთი არის დღესდღეობით მემნონის წყაროების შესწავლის ვითარება. როგორც ვხედავთ მემნონის შესახებ სპეციალური მონოგრაფიები ძალიან ცოტაა, მაგრამ მისი ცნობები ბევრ მკვლევარს აქვს გამოყენებული. ასე მაგ., რეზნაკი, რომელსაც ყველაზე უფრო საფუძვლიანი შრომა აქვს დაწერილი მითრიდატე ეპატორის შესახებ, მემნონს აყენებს პლუტარქეს, აიანიუსა და დიონ კასიოსის გვერდით და ზოგჯერ მათთან შედარებით მემნონს უპირატესობასაც კი ანიჭებს³.

განსაკუთრებით მძიმე იყო ყმა გლეხისათვის ოსმალეთში ან ლეკეთში გაყიდვა. თანდათანობით ირღვეოდა სოლომონ I-ის მიერ დაკანონებული ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა.

გლეხთა უზომო ექსპლოატაციას სრულ გადატაკებამდე მიჰყავდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი კლასი. ფეოდალები თავიანთ მამულებში არულუფლებიანი ბატონები იყვნენ და არავის უწევდნენ ანგარიშს. კ. მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ: «В лице одного помещика сосредоточена была

¹ დ. ჩუბინიშვილი, ქართული ქრესტომათია, პეტერბურგი, 1846 გვ. 448.

законодательная, судебная и исполнительная власть, и в своем поместье он был совершенно неограниченным властелином»².

ბუნებრივია, რომ გლეხთა უუფლებობა და მონური მდგომარეობა იწვევდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას; გლეხობა გარბოდა თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან, თავს აფარებდა სხვაგან. იყო შემთხვევა, როცა ცეცხლს აძლევდა ფეოდალის სასლ-კარს, ან კლავდა მისთვის საძულველ მემამულეს. კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უმაღლეს ფორმას გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა.

კლასობრივი ბრძოლის, კერძოდ კი ანტიფეოდალური მოძრაობის დამახასიათებელი მასალები, კერძოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შესახებ, ნაკლებად მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მივაქციოთ სპეციალისტთა ყურადღება აქამდის შეუნიშნავ რამდენიმე საბუთს.

1785 წ. 28 მარტს პოლკოვნიკი ს. ბურნაშევი გენ. პ. პოტიომკინს იმერეთის სამეფოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ატყობინებდა შემდეგს:

«Первенствующие князя в Имерети вместе с молодым князем Давидом Арчиловым, по причине наложенных от царя новых на народ налогов и раздачи деревень по своему самовластию, учинили народное собрание, употребили к тому трубу, по коей во святую пасху збирались в Кутаисе, зделав ее трубою набатною, а собравшись утвердили клятвою, что царю своему в положении новых налогов не повинovatца: равно раздаче деревень и продажу и раздование людей частно не допускать. Ибо царь Давид якобы отдал князю Дадриану несколько деревень по левую сторону реки Цхенис-цкали, а Гуриелу вместо придачного за тещею своею, дочьерю известного князя Георгия Еристова Карталинскою провинцию Саджавахо; но как то воспрещение от князей и народа учинено, то Дадриан вошел в те земли с войском Мингрелским и Абазинским, а царь собирает свои, делая вид, якобы Дадриан насильно отнимает. Подать царю постановили оне, давать с каждого двора, кой в Имерети от 25 до 30 тысяч считаетца, в год по одному червонному, вместо барана по 60 копеек, по 6 пуд гоми (род проса), по 15 ведер вина, а более никаких подателей не давать.

Теперь молодой князь Давид равно Цулукидзе, Церетели и знатные духовные живут в своих владениях и составляют свою партию, умышляя сделать молодого Давида царем, а царь с-к (с князьями, Н. К.) Дадрианом и Гуриелом другую»³.

მოტანილი დოკუმენტი ძუნწად, მაგრამ მაინც გვანიშნებს იმერეთის სამეფოს როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ მდგომარეობას და იძლევა საშუალებას, გავერკვეთ იმაში, თუ როგორ სურდა ესარგებლა გარკვეული პოლიტიკური სიტუაციით გაბატონებული კლასის ამა თუ იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას⁴.

როგორც ირკვევა, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის გართულებამ ოსმალთა და ლეკთა ჯარების ზშირმა შემოსევებმა და შინაფეოდალურმა ომმა გამოიწვია ქვეყნის შიგნით ყმა-გლეხთა მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება. მეფე დავითმა უზომოდ გააღიდა გადასახადები, რამაც გლეხთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მეფეს სამეგრელოსა და გურიის მთავრებისათვის იმერეთის სამეფოს ტერიტორიის ზოგიერთი პროვინცია გადაუცია, ალბათ იმ

² К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XVI, ч. I, стр. 243, М. 1937.

³ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 350, ч. 5, л. 68 и об.

⁴ ამ მოვლენის ამსახველი უნდა იყოს ის დოკუმენტი, რომლის შინაარსსაც გადმოგვცემს იას. ლორთქიფანიძე, (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. 2, გვ. 52).

მოტივით, რომ იქ მდგარიყო მათი ლაშქარი და საჭირო შემთხვევაში დახმარებოდნენ მას დავით არჩილის ძის მომხრე პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

გურიისა და სამეგრელოს მთავრების რაზმების იმერეთში ჩადგომა, ცხადია, ტახტის დაკავების საშუალებას არ აძლევდა დავით არჩილის ძეს თავის მომხრე ფეოდალებთან ერთად. ისინი ამას არ ურიგდებოდნენ და ცდილობდნენ გლეხთა უკმაყოფილება თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინათ. მაგრამ, ბუნებრივია, რომ გლეხობასა და ფეოდალებს შორის კლასობრივ ინტერესთა დაპირისპირება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დავით არჩილის ძის პარტიას გლეხობაზე დაყრდნობით ხელთ ეგდო სამეფო ტახტი.

ისინი გლეხობას აძლევდნენ დაპირებას, რომ დავით არჩილის ძე გამეფების შემთხვევაში მათ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ისტორიაში ცნობილია, რომ გლეხები იბრძოდნენ „კარგი მეფისათვის“, რომლისადმი რწმენა. ბუნებრივია, მაშინდელ საქართველოს გლეხობაშიაც საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. დავით არჩილის ძის პარტია „კარგ მეფედ“ გლეხობას ალბათ დავით არჩილის ძეს უხატავდა; დავით არჩილის ძე, ბერი წულუკიძე, პაპუნა წერეთელი და სხვები მსხვილი ფეოდალები იყვნენ და, ცხადია, მათი და გლეხთა ინტერესები ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო იქნებოდა.

უკმაყოფილო გლეხობის თავმოყრის ორგანიზატორებად, მოტანილი საბუთის მიხედვით, თვითონ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები დავით არჩილის ძის მომხრეები იყვნენ.

გლეხობის კრებას წმინდა კლასობრივ ინტერესებზე გაუმახვილებია თავისი გულისყური. გლეხები ახდენენ გადასახადთა რაოდენობის ზუსტ რეგლამენტაციას. ჩვენთვის უცნობია, თუ რა რაოდენობის უნდა ყოფილიყო მეფეთათვის მიერ დაწესებული გადასახადები, მაგრამ ის ფაქტი, რომ თვით გლეხობის მიერ დადგენილი ნორმებიც კი დიდია აშკარად ადასტურებს აქამდე არსებულ გამოსაღებთა მეტად მაღალ ნორმებსა და სიმძიმეს.

მოტანილი საბუთიდან არ ჩანს, რომ დავით არჩილის ძის პარტიას ესარგებლოს გლეხთა უკმაყოფილებით, ეს ალბათ შეუძლებელიც იქნებოდა, რადგანაც კლასობრივ ინტერესთა დაპირისპირებული ხასიათი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

გადასახადების რეგლამენტაციით არ დამთავრებულა იმერეთის გლეხთა პროტესტი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. მეფე დავითმა, ირკვევა, გლეხთა მოთხოვნებზე უარი განაცხადბ, ხოლო გლეხთა მდგომარეობა პროგრესულად უარესდებოდა, რამაც გამოიწვია დიდი აჯანყება იმერეთში 1786 წლის ივლისის დასაწყისში.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ იმერეთის გლეხთა აღნიშნული აჯანყება, ჩვენ სრულად მოგვაქვს ამ აჯანყების შესახები საბუთი. 1786 წლის ივლისის პირველ რიცხვებში მომხდარი აჯანყების შესახებ პოლკოვნიკი ბურნაშევი იმავე წლის აგვისტოში გენ. პ. პოტიომკინს შემდეგს მოახსენებდა:

«23-го сего месяца, возвратясь из Имеретин, поручик Красинский доносит следующее: в начале июля м-ца мужики округа Ломсиатхевской и Аргветской взбунтовались против дворян и грабив несколько их домов, собрались при Цхрацкара в числе 4.000, коюю толпою начальствовал дворянин Джапаридзе. Его светлость царь Давид, узнав о сем возмущении, выступил из Кутаиси с малым числом дворян и расположился при реке Квириле в 15 верстах от места, где находилось скопище бун-

товщиков, откуда изволил послать к ним своего человека, дабы оне сказали причину своего собрания.

Мужики прислали 20 старшин, кои прямо объявили его светлости, что если он не согласится увольнить их совершенно от подданства дворян, то оне изберут другого себе царя.

В ответ на сие его светлость приказал стрелять по старшинам, из коих и убито 2-ое, а 18 взято в плен. После сего царь с 100 при нем бывших дворян поскакал прямо к толпе взбунтованных мужиков, но оне узнав о поимании своих старшин, все разбежались, один только Джапаридзе с 200 человек скрылся в местах неприступных, но по прошествии несколько дней был оставлен от своих, а куда сам девался не известно. Его светлость (царь Давид, Н. К.) в наказание приказал грабить дома бунтовщиков, кои напоследок просили пощады у царя»⁵.

მოტანილი დოკუმენტი უთუოდ მეტყველებს გლეხური აჯანყების ხასიათსა და მის მასშტაბზე. იმდროინდელი იმერეთის სამეფოს პირობებში ოთხი ათასი გლეხის გამოსვლა მოთხოვნით განთავისუფლებულიყვნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, უდავოდ დიდი მნიშვნელობის მატარებელი მოვლენაა. გლეხებს რომ „კარგი მეფისა“ სჯეროდათ, მოტანილიდანაც ჩანს. ირკვევა, რომ იმერეთის გლეხობა „კარგი მეფის“ საშუალებით ვარაუდობდა ბატონყმური ურთიერთობისაგან საბოლოოდ განთავისუფლებას. მოტანილ დოკუმენტში განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის ადგილი, სადაც გლეხები მოითხოვენ მეფისაგან მათზე მეტატონეთა უფლების არა შეზღუდვას, არამედ მთლიანად მოსპობას, ე. ი. ბატონ-ყმობის გაუქმებას.

ამ აჯანყების პოპულარულ ხასიათზე მეტყველებს ისიც, რომ სამეგრელოდან დაბრუნებულ რუსეთის სამსახურში მყოფი ჩინოვნიკი საგინოვი (საგინაშვილი), რომელსაც დადიანისათვის ამ პერიოდში ოსმალთა წინააღმდეგ მეგრელთა და აფხაზთა გამართული მოქმედებისათვის რუსების მთავრობის ორდენი გადაუცია, 1786 წ. 22 ივლისს პოლკოვნიკ ბურნაშევს მოახსენებდა, რომ: «...В Имеретии крестьяне взбунтовались против царя и благородных»⁶.

ამ აჯანყების ფართე ხასიათზე ლაპარაკობს ისიც, რომ იმერეთის მეფე დავითმა გენ. პოტიომკინს აუწყა როგორც დავით არჩილის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში მოპოვებული თავის წარმატებათა შესახებ; საპასუხო წერილში კი იგი ულოცავს მეფეს იმერეთში სიმშვიდის დამყარებას, პოტიომკინი წერდა: «Поздравляю Вашей светлости с одержанием всех побед, описанных в письме вашем»⁷.

ამ გლეხური აჯანყების ბედი ისეთივე იყო, როგორც საერთოდ გლეხთა აჯანყებებისა, რომლებსაც არ გააჩნდათ პოლიტიკური ხელმძღვანელი და დამრავლები ძალა.

ე. ი. ლენინი მიუთითებდა რა გლეხური აჯანყების თავისებურებაზე, წერდა: „გლეხებს არ შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ, მაშინ გლეხები სრულიად დაბეჩავებული იყვნენ სიბნელით, გლეხებს არ ჰყავდათ თანაშემწენი და ძმები ქალაქის მუშებში, მაგრამ გლეხები მაინც იბრძოდნენ როგორც ახერხებდნენ და როგორც შეეძლოთ“⁸.

⁵ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, л. 366, ч. IV, лл. 77 — 78 (ხაზასმა ჩვენია, ნ. ქ.).

⁶ იქვე.

⁷ იქვე, ფ. 7, (ხაზასმა ჩვენია, ნ. ქ.).

⁸ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 526.

იმერეთის გლეხთა აჯანყების დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის იყო სამართლიანი ბრძოლა ექსპლოატორული კლასის წინააღმდეგ და არყვედა ბატონყმური ინსტიტუტის არსებობას იმერეთის სამეფოში.

ზემოაღნიშნული აჯანყება მკაფიო მოწმობაა იმერეთის სამეფოში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლისა.

მართალია, უცხოელ დამპყრობთა მოძალებული შემოტევა ხშირად წინა პლანზე წამოსწევდა ხოლმე ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის ამოცანას, მაგრამ მაშინაც კი მშრომელთა მახვილი მიმართული იყო როგორც გარეშე მტრის, ისე ეროვნულ ინტერესების მოღალატე ფეოდალთა წინააღმდეგ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

3. ცისკარიშვილი — ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

წაუშლელი კვალი დატოვეს ქართველი ხალხის ისტორიაში მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც მრავალი ძვირფასი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი შეკრიბეს, ამოიკითხეს და გამოაქვეყნეს.

საბჭოთა ხანის ისტორიკოსებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა ამ მხრივ. ამჟამად ბევრი მკვლევარი ნაყოფიერად მუშაობს ამ საკითხზე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საქართველოს ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მოვალეობაა შეკრიბონ და შემოუნახონ მომავალ თაობას წარსულის მომთხრობი უტყუარი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ უხვად მოიპოვებიან მიმოფანტული სახით. ამ ამოცანის შესასრულებლად კი, სურვილთან ერთად, სათანადო დახელოვნებაა საჭირო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ამას წინათ გამოაქვეყნა ვასილ ცისკარიშვილის ნაშრომი „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო“. ამ წიგნში მოთავსებული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ზოგიერთი პირველად ქვეყნდება ავტორის მიერ, ხოლო ზოგიც, სხვადასხვა მკვლევართა მიერ ადრე გამოქვეყნებული, მას ახლად გამოუცია.

ისტორიული ძეგლებით მეტად მდიდარი ჯავახეთის ეპიგრაფიკული ცნობების ერთ წიგნში თავმოყრა და გამოქვეყნება, რომელიც ავტორს განუზრახავს, საჭირო და სასარგებლო საქმეა. ამასთანავე, თუ წიგნის სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ავტორის მიზან-დასახულება ძალზე ფართოა. იგი კისრულობს ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების არა მარტო სწორად წაკითხვა-გამოქვეყნებას; არამედ მათ, „როგორც საისტორიო წყაროს“, ანალიზსაც.

ამ ამოცანის შესრულება მცირე სამსახურს როდი გაუწევდა ქართული საისტორიო მეცნიერებას. იგი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ბევრს, დღემდე ნაკლებად შესწავლილ საკითხს მოჰფენდა შუქს.

სარეცენზიო შრომის გამოცემით ავტორს გარკვეული წვლილი შეუტანია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა-გამოცემის საქმეში. წინათ გამოცემულ წარწერებიდან ზოგი სამართლიანად შეუსწორებია და ამასთანავე ძეგლების განხილვის შედეგად ზოგიერთ საკითხზე საკუთარი დაკვირვებებიც მოუტია. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნს გააჩნია ნაკლოვანებებიც, რომელთა აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია.

1. სასურველი იყო, რომ ჯავახეთის იმ ეპიგრაფიკული ძეგლების შინაარსი, რომლებიც ავტორს გამოუქვეყნებია, უფრო გულდასმით შეეჯერებინა ამ მხარის შესახებ არსებულ სხვა წყაროებთან, მოეხდინა მათი ანალიზი და გაეკეთებინა სათანადო დასკვნები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ჯავა-



ხეთი დროის გარკვეულ მონაკვეთებში; როდის იყო ეს მხარე ეკონომიკურად შედარებით ძლიერი, მჭიდროდ დასახლებული და როდის განიცადა დაქვეითება; რა მოვლენები უწყობდნენ ხელს ამ ცვლილებებს და სხვა. არსებული წყაროები ამის შესაძლებლობას აძლევდნენ, მაგრამ რატომღაც ავტორს ეს თავის მოვალეობად არ ჩაუთვლია.

2. ავტორი მთავარ ყურადღებას უთმობს ძეგლებში ხსენებულ პიროვნებების ვინაობისა და წარწერის მქონე ნაგებობათა აშენების თარიღების დადგენას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზოგჯერ ვერ მიმოიხილავს აუცილებელ წყაროებსა და ლიტერატურას.

განხილულ ძეგლებში ხსენებულ პირთაგან ყველაზე ვრცლად ზვიად ერისთავის ვინაობის შესახებ მსჯელობს ავტორი (გვ. 13—15), მაგრამ არ დაინტერესებულა გაეგო, თუ რა წყაროს ეყრდნობოდნენ მ. ბროსე, დ. ბაქრაძე და ერთ დროს ე. თაყაიშვილი, როდესაც ისინი ზვიადს ორბელიანად აღიარებდნენ. იგი ვალდებული იყო გასცნობოდა სომეხი ისტორიკოსების მათეოს ურჰაელისა და სამოელ ანელის ცნობებს, რომელთა საფუძველზე (როგორც ჩანს შეცდომით) ზვიადს ორბელიანთა სავგარეულოს წარმომადგენლად მიიჩნევდნენ.

3. ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობის დროს ავტორს კატეგორიული დასკვნების გაკეთება ახასიათებს მაშინ, როდესაც წყაროები მხოლოდ მოსაზრების წამოყენების შესაძლებლობას იძლევიან. ასეთად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად, ავტორის დასკვნა: „კუმურდოს წარწერაში მოხსენებული ზვიად ერისთავი მარუშიაია“ (გვ. 14); XI საუკუნის სვანთა ერისთავებს ვარდანიძეებს „გურიისა და სამეგრელოს ერისთავობაც მიუღიათ“ (იქვე) და სხვ.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ XI საუკუნეში ვარდანიძეები სვანთა ერისთავები იყვნენ და შემდეგ გურიისა და სამეგრელოს ერისთავობაც უნდა მიეღოთ, ადრე იყო გამოთქმული ქართულს ისტორიოგრაფიაში და იგი სინამდვილესთან ახლო უნდა იყოს. ამ საკითხზე დ. ბაქრაძე წერდა: «Лихаурский надписи... несомненно доказывают древность рода Гურიели и его происхождение от Варданидзе»¹.

იგივე ავტორი განაცხობდა: „По нашему личному убеждению, можно вероятностью допустить, что как Гურიели, так и первая династия Дадиянов должны быть признаны по происхождению принадлежащими одному и тому же роду Варданидзе, бывших сванетскими эриставами еще при грузинском царе Георгии II (1072—1089)»².

მაგრამ დ. ბაქრაძეს საკითხი მაინც არ მაჩნდა საბოლოოდ გადაწყვეტილად, იგი წერდა: „Я думаю, что... вопрос... о происхождении Гურიелей и Дадиянов от сванетских Варданидзе, могли бы быть окончательно разъяснены древними актами Шемокеди и Джумата, но к крайнему моему прискорбию, я их еще не видел»³.

ჩვენი ავტორი კი ზემოაღნიშნულ დასკვნას ისე აკეთებს, რომ დასახლებული აქტების ხსენება საქიროდ არ ჩაუთვლია და დ. ბაქრაძისაგან განსხვავებით სხვა რაიმე ახალი წყაროც არ მოუტანია. იგი ვალდებული იყო ანგარიში გაეწია მკვლევარის მოსაზრებისათვის იმის შესახებ, რომ შესაძლე-

¹ Археологическое путешествие по Гурии и Абхазии, 1878, гл. 109.

² იქვე, გვ. 269.

³ იქვე.

ბელია საკითხი გადაწყდეს შემოქმედისა და ჯუმათის აქტების გაცნობის შემდეგ.

4. იმის გამო, რომ ავტორი ფეოდალური მიწისმფლობელობის წესებს არ ითვალისწინებს, ზოგჯერ ერთიმეორის გამომრიცხველ აზრებს გამოთქვამს და ერთსა და იმავე მამულს, ერთსა და იმავე დროს მეფეს, კათალიკოსსა და ადგილობრივ ფეოდალს აკუთვნებს. მაგ., იგი ხორენის წარწერის განხილვის დროს (გვ. 63) დაინტერესებულა იმით, თუ რატომ გაიღეს მეფემ და კათალიკოსმა ამ ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით სათანადო თანხა, წერს: „ამ მხარეში (ჯავახეთში) როგორც კათალიკოსს, ისე მეფეებს ჰქონდათ მამულები. ვფიქრობთ, რომ ამ მხარეში მათ სამამულო მფლობელობასთან უნდა იყოს როგორღაც დაკავშირებული მათი დაინტერესება ამ საეკლესიო მშენებლობით“. ხოლო შემდეგ შრომის ამავე გვერდზე განაგრძობს: „ხორენისა და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე მეფის და კათალიკოსის ფულის დახარჯვა, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ეს თანხა, იმის მაჩვენებელია, რომ ადგილობრივ ფეოდალს—ჩოვას, სხვისი დახმარების გარეშე მარტო თვითონ არ ჰქონია იმდენი მატერიალური სახსარი, რომ ეკლესია აეშენებინა“-ო. ამ საკითხზე ასეთი ორი მოსაზრების წამოყენება ერთიმეორეს გამორიცხავენ. რა საჭირო იყო აქ უკანასკნელი მოსაზრების წამოყენება პირველი მოსაზრების შემდეგ? როგორ გავიგოთ ბოლოს და ბოლოს, ვისია ის მიწა, სადაც ხორენის ეკლესია ააგეს? მეფის, მცხეთის საკათალიკოსოსი თუ ადგილობრივ ფეოდალის—ჩოვასი? არ არის საჭირო, რომ ძნელად გასარკვევ და შეუსწავლელ საკითხზე ერთიმეორის გამომრიცხველი დასკვნები ვაკეთოთ.

5. წყისეს წარწერის განხილვის დროს ავტორი წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ნასყიდ მიწას ის სწირავს მცხეთის ჯვარს“ (გვ. 74). აქედან მკითხველს ის შთაბეჭდილება რჩება, რომ წარწერის ეს შინაარსი თითქო სარეცენზიო შრომის ავტორის მიერ იქნა პირველად შემჩნეული. სინამდვილეში კი ჯერ კიდევ 1938 წელს ამ წარწერის შესახებ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ამ დოკუმენტში მარტო მიწის ყიდვის აქტი როდია აღნიშნული. აქ აღბეჭდილია, როგორც ყიდვა მიწის, აგრეთვე შეწირვაც“⁴. თუ სარეცენზიო შრომის ავტორმა წყისეს წარწერის ამ შინაარსის მოტანა თავის ნაშრომში საჭიროდ მიიჩნია, ნ. ბერძენიშვილიც უნდა დავიმოწმებია.

6. ამა თუ იმ საკითხისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემის დროს მისი ავტორის მეცნიერულ და მორალურ მოვალეობას შეადგენს ხაზი გაუსვას და ღირსეულად შეაფასოს ყველა მკვლევარის ღვაწლი, რომელთაც ამ საკითხის შესწავლაში ამაგი მიუძღვით. ამ შემთხვევაში კი სარეცენზიო შრომის ავტორი ვალდებული იყო უფრო წარმოეჩინა იმ პირთა დამსახურება, რომლებმაც ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, მათ შორის ჯავახეთის ძეგლების შეგროვებისა, შესწავლისა და გამოცემის საქმეში დიდი დამსახური გაუწიეს ჩვენს საისტორიო მეცნიერებას. მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიანი, ე. თაყაიშვილი, ი. როსტომაშვილი და სხვები სარეცენზიო ნაშრომში მხოლოდ გაკვრით არიან მოხსენებული მათი შრომების დამოწმებასთან დაკავშირებით. სრულებით არ ახსენებს ავტორი ივ. გვარამაძეს (ვინმე მესხს), რომელსაც ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში შეკრებილი ბევრი საინტერესო მასალა აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის კუმურდოს 16 წარწერა⁵.

⁴ მიმოიხილველი, III, 1959, გვ. 304.

⁵ კუმურდოს წარწერები „დროება“, 1882, 20/VII, № 150 22/VII, № 151.

7. წინა თაობის იმ მკვლევარებს, რომელთაც ავტორი იხსენიებს, უწუნებს ნახელავს და წერს, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული «წარწერები ხშირად არაა სწორად წაკითხული და დათარიღებული, სწორად კომენტირებული, არ ახლავს ფოტო, სათანადო სამეცნიერო აპარატი და სხვა» (გვ. 3). შემდეგ ასახელებს იმ პირთა უმრავლესობას, რომელთაც ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები გამოუქვეყნებიათ (გვ. 4) და მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას გვპირდება. ზოგიერთი ძეგლის ძველი, არასწორი, წაკითხვა ავტორს მართლაც გაუსწორებია. ეს მისასალმებელია. მაგრამ სამწუხაროდ, მის ნაშრომშიაც საკმაო შეცდომებს ვხედავთ. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს.

I. არემის წარწერა (გვ. 7) ავტორს ასე წაუკითხავს: «შეწირა არშტი საყდარსა კუმურდოასა სად...»: ავტორისეული ეს წაკითხვა არ ემორჩილება ძველი ქართლის ნორმებს. იგი უნდა წაკითხულ იქნეს ასე: «შესწირა არშტი საყდარსა კუმურდოასასა დ...»

II. შრომის მე-II გვერდზე კუმურდოს II წარწერის მე-4 სტრიქონში ავტორი კითხულობს: «ლეონ მეფისა ზმობასა». სინამდვილეში ტექსტის ეს ადგილი წაკითხული უნდა იქნეს ასე «ლეონ მეფისა ზმ». ჯერ—ერთი, სიტყვა «ზეობის» დაწერის შემთხვევაში *შ* კი არ დაიწერებოდა. არამედ ჩვეულებრივი ე: «ზეობასა შინა განამრავლნა საჭურჭლენიცა»⁶.

მეორე, რაც მთავარია, ძველში სრულიად კანონიერად სწერია «ზმ» ისე როგორც ჩვეულებრივ ძველ ტექსტებშია: «მისვე მეფისა ზმ კათალიკოზი იყო ევლალ⁷»; «და მის ბაკურის ზევე ვარსკენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს»⁷ «მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ⁸ და სხვ.

ამავე წარწერის მე-12—13 სტრიქონებში მოტანილი სიტყვა «ერისთვობსა», ავტორს წაუკითხავს «ერისთაობასა». აქ სრულიად უკანონოდ არის ამოგდებული *ვ* და მის მაგიერ ჩამატებული *ა*. ეს სიტყვა წაკითხული უნდა იქნეს ასე: «ერისთვობასა».

საქვო ჩანს აგრეთვე ამავე წარწერის დაქარაგმებული სიტყვის «სძრკელი»-ს დედნისეულობა. აქ მოსალოდნელი იყო «საკირკუელი». «საძირკუელითგან... აღვაშენე ლავრაჲ ესე»⁹. თუმცა, ბროსეს მიერ გამოცემულ ტექსტშიაც ასევე «სძრკელი» სწერია და ბროსეც მას კითხულობს «საძირკველი»⁸, მაგრამ ძველი ქართული ენის ნორმის ეს დარღვევა ავტორს მაინც უნდა შეენიშნა და აღენიშნა.

ასევე უნდა ითქვას ამ წარწერაში ხსენებული სახელის ზვიადის შესახებ. ავტორის მიერ გამოცემულ ტექსტში ვკითხულობთ: **ხაჩხხხ**, ხოლო ბროსეს გამოცემაში «**ხაჩხხ**», ჩვენ არ ვიცით სარკვენიზო შრომის ავტორის წაკითხვა დედნისეული თუ ბროსესი. სიმართლედ მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ **4**-ს შემდეგ **7** ზედმეტია და სიტყვას ამახინჯებს. ხოლო ზემოთ მოტანილი პირის სახელი ნარატიულ ძეგლებში ყველგან იკითხება, როგორც «ზუადი»: «წამოიღო გუამი მისი ზუადმან ერისთავთ-ერისთავმან»¹⁰; «გიორგი მე-

⁶ ისტორიანი და აზნანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959, გვ. 17.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება, გამოსაცემად გამზადა ივ. ჯავახიშვილმა. გიორგი შთაწმიდელის ენა იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, 1946, 40,9.

¹⁰ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1, 1955, გვ. 283.

ფემან წარავლინა ზადი ერისთავი სპითა დიდითა¹¹: განავლინა ზადი ლაშქრითა დიდითა¹² და სხვ. თუნდაც სარეცენზიო შრომის ავტორის წაკითხვა დედნისეული იყოს, მას მაინც უნდა აღენიშნა ეს უხერხულობა, უნდა აღენიშნა აგრეთვე ბროსესეული წაკითხვისადმი თავისი დამოკიდებულება. ამასთანავე მხედრულად გადაწერის დროს ამავე სახელში ავტორს გაუმართლებლად ჩაუმატებია **ჟ** — „ზვიამასა“. ეს ასო არც ასომთავრულ ტექსტშია და არც საერთოდ იხმარებოდა ამ სახელში.

III. კუმურდოს IV წარწერის პირველ სტრიქონში მოტანილი სიტყვა „დ დვ“ (გვ. 16) ავტორს წაუკითხავს „დავდე“, უნდა წაეკითხა „დავდევ“; მეორე სტრიქონში „ეესა“ უნდა წაეკითხა „მეხუთესა“ და არა „ე“, როგორც ავტორი კითხულობს. მეცხრე სტრიქონში „ჯოთა“ უნდა გაეხსნა ასე: „ჯუართა“ და არა „ჯვართა“. სხვა შემთხვევაშიაც ავტორი ხშირად „ჯუართის“ მაგიერ „ჯვარს“ კითხულობს (გვ. მე-18, VIII წარწერის ბოლო სტრიქონი; გვ. მე-19, IX წარწერის ბოლო სტრიქონი და სხვ.).

IV. საეჭვო ჩანს კუმურდოს VII წარწერაში (გვ. 17) მოტანილი სიტყვის „მღ-დთა მოძღრთა“ დედნისეულობაც. პირველ სიტყვაში ბოლო ა ზედმეტია. ამასთანავე ამ სიტყვას ავტორი კითხულობს „მოვდეღთა მოძღუართა“, ასევე იქცევა იგი სხვა შემთხვევებშიაც (გვ. 21). სინამდვილეში, თუ ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ვიმსჯელებდით, იგი წაკითხულ უნდა იქნეს „მღდეღთ მოძღუართა“. აქვე ვკითხულობთ: გარდაიხდეს, ე. ი. გარდაიხადოს. ავტორს ი ამოუგდია და **ჟ** ჩაუსვამს, რაც შეცდომაა. ამავე წარწერაში — „ჩნთა ჯთა“ წაკითხულ უნდა იქნეს „ჩუენითა ჯუართა“ და არა, როგორც ავტორი კითხულობს — „ჩვენითა ჯვართა“.

V. 21-ე გვერდზე კუმურდოს XII წარწერის უკანასკნელი სტრიქონების ავტორისეული წაკითხვა „ვინცა... გარდაიქადოს... ღმერთმან მის იძიენ“ არ არის სწორი. ეს უნდა წავიკითხოთ ასე: „ვინცა (არა) გარდაიქადოს... ღმერთმან მის... იძიენ“. სიტყვა „არა“-ს აღდგენა აქ აუცილებელი და ბუნებრივია. სხვა რომ არა იყოს რა, უამისოდ შინაარსი სრულებით გაუგებარი გამოდის: ვინცა გადაიხადოს ალაპი, ღმერთმან მისგან იძიენო. ღმერთმან მისგან უნდა იძიოს, ვინც არ გადაიხდის.

VI. 22-ე გვერდზე XIV წარწერის სიტყვებს „აღმშნბლი“ და „მემცხედრე“ ავტორი კითხულობს: „აღმშენებელი“ და „მემცხედრე“. სინამდვილეში კი პირველი სიტყვა უნდა წავიკითხოთ „აღმშენებელი“. ხოლო მეორე ისე, როგორც ტექსტშია, „მემცხედრე“. ძველ ქართულში იწერებოდა და იკითხებოდა „თანამემცხედრე და არა „თანამემცხედრე“. ამავე წარწერაში ქარავმიანი სიტყვები „ჯოქი“, ვინაიდან წარწერა ადრეული ხანისაა, უფრო ბუნებრივ იქნებოდა ავტორს წაეკითხა „ჯუარი ქრისტესი“ და არა „ჯუარი ქრისტესი“. ასევე ითქმის წყისეს წარწერის (გვ. 74) ერთი ქარავმიანი სიტყვის **ქ**-ს შესახებაც. ამ წარწერას ავტორი ა. შანიძის პუბლიკაციის მიხედვით ბეჭდავს. დედანში **ქ** გასაგებად ჩანს და ა. შანიძეც ამ სიტყვას კითხულობს: „ქრისტესი“, მაგრამ ჩვენს ავტორს მაინც „ქრისტესი“ წაუკითხავს.

VII. ბურნაშეთის I წარწერაში (გვ. 28) ავტორს შეცდომით საუკითხავს „პირისგან ლომთასა“. უნდა წაეკითხა „პირისაგან ლომთასა“. ჯერ-ერთი,

¹¹ იქვე, გვ. 287.

¹² სუმბატ დავითის-ძე, იქვე, გვ. 384.



ფოტობირში (იხ. ტაბულა IV) გარკვევით ჩანს **ა** მაგრამ გარკვევითაც რომ არ ჩანდეს, ვინაიდან ძეგლი X საუკუნისაა, ავტორს უნდა ეფიქრა, რომ აქ **ა** იქნებოდა და არა ჩვეულებრივი ი. ცუდადაა ამ ტექსტში აღდგენილი სიტყვა „გელთაგან“-ის დაკლებული ასოები. დედანში წერია: „გელთაგ“, ავტორი კი წერს გელთაგან (6)“. აქ ფრჩხილებში ჩასმული **ნ** სრულიად ზედმეტია და მის მაგიერ უკანასკნელი ორი ასო (ან) უნდა იყოს ჩასმული.

VIII. ქარაგმიან სიტყვას „ცხოვრებათა“ (გვ. 32, ფოკას წარწერა) ავტორი კითხულობს „ცხოვრებათა“. აქ **ვ** ზედმეტია.

IX. ხერთვისის წარწერა ავტორს ე. თაყაიშვილის გამოცემის¹³ მიხედვით გამოუტყვევნებია და ამ წარწერაში არსებული ქარაგმიანი სიტყვა „ქვესა“-ც უცვლელად დაუტოვებია. ამასთანავე ეს ქარაგმა ისე, როგორც ე. თაყაიშვილს, ჩვენს ავტორსაც ასე გაუხსნია: „ქორონიკონსა“ (გვ. 111). მაგრამ იგი უნდა ჩაეფიქრებინა იმ გარემოებას, რომ სიტყვა „ქორონიკონში“ **ვ** არ არის და აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: ან დამახინჯებულად არის სიტყვა ვადმოწერილი, ან „ქორონიკონს“ არ ნიშნავს იგი. თუ ამჟამად წარწერიანი ქვა დაკარგულია და შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნული შესაბამისა ავტორს მაინც უნდა შეენიშნა.

X. ნაშრომში ბევრია შემთხვევა ასომთავრული ასოების აღრევისა: **ი**-ს მაგიერ ნახმარია **ი** (გვ. 45, საროს წარწერა, გვ. 47, წუნდის წარწერა, გვ. 69, ხორენიის წარწერა და სხვ.); **ყ**-ს მაგიერ **ვ** (გვ. 115 და სხვ.); **ღ**-ს მაგიერ **ღ** (გვ. 17, 18, 32 და სხვ.); **უ**-ს მაგიერ **ი** (გვ. 59 და სხვ.) და სხვ. თუმცა მხედრულად ვადმოწერის დროს ავტორი ამ ასოებს სწორად კითხულობს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ასომთავრულით ვადმოცემულ ტექსტებში შეცდომებია და ეს კი სიტყვების დამახინჯებას იწვევს.

XI. ზოგ შემთხვევაში ავტორი დაუდევრობას იჩენს გამოტყვევებული ძეგლების ვადმოწერის დროს. მაგ. თ. ჟორდანიას ქრონიკების I წიგნიდან წრომის სტელისეული წარწერა მას ასე ვადმოუწერია:

| თ. ჟორდანიას ნაშრომში | სარეცენზიო ნაშრომში |
|--|---|
| „ესე ჯუარი ძლიერი მამას (მშს) თაბორის ლ(ოცი)თა ავმართე სალოცველად სუ(ლისა) აბულცი(სა?)... ულ(?)“ ¹⁴ | „ესე ჯუარი ქრისტესი მე, მამასხლისმან გრიგოლ... ავმართე სალოცველად ჩუენდა და მოსახსენებლად სულისა“ ¹⁵ |

XII. ზოგჯერ ავტორი თვითნებურად ამატებს სიტყვას მის მიერ მოტანილ დედნისეულ ტექსტში. მაგ., წუნდის წარწერის (გვ. 47—48) III სტრიქონის სიტყვები: „სლცვლ ჩემთს და მშობელთა ჩმთათა“ ავტორს ასე წაუკითხავს: „სალოცველად სულისა ჩემთათს და მშობელთა ჩემთათა“. ჯერ ერთი, მართებული იქნებოდა წაეკითხა: „ჩემისათს“ (და არა ჩემთათს) და მშობელთა ჩემთათა“; შემდეგ: საიდან გაჩნდა აქ „სულისა“? ეს სიტყვა ხომ ავტორის მიერ მოტანილი წარწერის დედნისეულ ტექსტში არ არის.

ვ. კოპალიანი

¹³ Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, 22.
¹⁴ თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, 1892, გვ. 70 (ამავე შრომის ამავე გვერდს მიუთითებს სარეცენზიო ნაშრომის ავტორიც).
¹⁵ სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 73.

წერილი რედაქციას ერთი „ქრონიკის“ გამოც

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომების VI ტომის 1 ნაკვეთში მოთავსებულია „ქრონიკა“ (გვ. 235—239). იგი ეხება 1960 წლის 1-ლ ივნისს ისტორიის ინსტიტუტში კაპიტალიზმის ხანის ისტორიის განყოფილების ღია სხდომაზე მოწყობილ ჩვენი წიგნის — „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.)“ — განხილვას. არსებითად ეს არის განხილვის ანგარიში.

ჩვენი ამ შენიშვნის მიზანია შეავსოს აღნიშნული „ქრონიკის“ ხარვეზი: ქრონიკის შემდგენელთ დავიწყებით აღენიშნათ, რომ წიგნის განხილვის დასასრულს, პაექრობაში გამოსულ ამხანაგებისათვის პასუხის გასაცემად, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ავტორი — დ. გოგოლაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს, რომელსაც იგი შემდგომი მუშაობისას გაითვალისწინებს. მაგრამ, ასევე, ავტორმა რიგი მოსაზრება, მათ შორის „ქრონიკაში“ მოტანილი შენიშვნები, არ გაიზიარა.

ასე მაგალითად:

ავტორმა უარპყო ისტ. მეცნ. კანდ. ალ. ბენდიანიშვილის მოსაზრება წერილი სასაქონლო წარმოების რაობის, კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზების შესახებ და მისი სხვა შენიშვნები. აქ მათ შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენი პასუხი მის შენიშვნებზე დაბეჭდილია საქ. სსრ მეცნ. აკად. „საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბის“ 1961 წლის მე-3 ნომერში.

ისტ. მეცნ. კანდ. ი. უთურაშვილი შეგვნიშნავს, თითქოს ჩვენ ვთვლიდეთ, რომ „საბატონო მეურნეობათა დიდი ნაწილი“ „უკვე რეფორმამდელ ხანაში დაიღუპა“. მსგავსს არაფერს ვამბობთ ჩვენს ნაშრომში. ჩვენი განცხადება, რომ „სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებამ... გამოიწვია საბატონო მეურნეობათა დიდი ნაწილის (უმრავლესობის) დაღუპვა და მოშალა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება“. მან ისე გაიგო თითქოს მე იმას ვამბობდეთ, რომ უკვე რეფორმამდელ ხანაში საბოლოოდ დაიღუპა საბატონო მეურნეობანი, რაც, ცხადია, გაუგებრობაა. საგლეხო რეფორმის წინ სასაქონლო მეურნეობებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად (რამაც გაზარდა ფულზე მოთხოვნილება) საბატონო მამულების დიდი ნაწილი, თითქმის 2/3, დაკორავებული იყო ვალში და ვაზში, რაც, ცხადია, საბატონო მეურნეობის მოშლისა და დაღუპვის მაჩვენებელი იყო. მაგრამ ჩვენი განცხადება, რომ ამ ვა-

* წერილის ბოლოს იხილეთ რედაქტორის შენიშვნა.

რემოებამ, დაღუპა და მოშალა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება“. კონტექსტში სრულებით არ ამბობს იმას, რომ უკვე რეფორმამდელ ხანაში ჩვენ საბოლოოდ დაღუპულად მიგვაჩნია საბატონო მეურნეობათა უმრავლესობა. ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების „მოშლას“ და „დაღუპვას“ იგულისხმება პროცესი, რომელიც წლების მანძილზე გრძელდება. როგორც ვხედავთ, ი. უთურაშვილი შეცდომაში შეიყვანა ჩემმა რამოდენადმე უხერხულმა განოთქმამ „დაღუპა და მოშალა“ ნაცვლად ნაგულისხმევ: „დაღუპვისა და მოშლის გზაზე დააყენა“, როგორც მე ამას იქვე მომდევნო გვერდზე (91) ვამბობ.

ი. უთურაშვილის აზრით, საბატონო მეურნეობის რაციონალურ, ბურჟუაზიულ ყაიდაზე მომწყობი მემამულენი არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულ მოაზროვნებად. მისი განცხადებით „მეურნეობის რაციონალურად მოწყობა ეკონომიური ჩასიათის მოვლენა... და პროგრესული აზროვნება აქ არაფერია“.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მემამულეთა ნაწილი, რომლებიც საბატონო მეურნეობის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნას ცდილობდნენ, საერთოდ მემამულეთა დანარჩენ მასასთან შედარებით განათლებული და პროგრესულად მოაზროვნენ იყვნენ, რადგან ესმოდათ დროის მოთხოვნილება და სწორად უღებდნენ ეპოქას ალღოს (აღ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიჭავაძე, ელიზ. ერისთავი, ივ. მუხრანბატონი, კ. მამაცაშვილი და სხვ.). სავალდებულო არ იყო მათ, ამა თუ სხვა მხრივ, აუცილებლად თეორიული ტრაქტატები ეწერათ.

პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ „ნაშრომი კარგად არის შესრულებული. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების პროცესი არ ჩანს“-ო. ნაშრომში აურაცხელი ფაქტებით დადასტურებულია კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა-განვითარება რეფორმამდელი საქართველოს ეკონომიკაში როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. ამდენად შეუძლებელია მკითხველმა, და მით უმეტეს მკვლევარმა, ვერ დაინახოს საზოგადოებრივი განვითარების პროცესი ჩვენს ნაშრომში.

ამასთანავე პროფ. ს. კაკაბაძე გვისაყვედურებს მისი ნაშრომების გაუთვალისწინებლობას. პროფ. ს. კაკაბაძის ნაშრომები მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხს არ ეხებიან. ამდენად მათი გათვალისწინება და გამოყენება აუცილებელ საჭიროებად არ მიგვიჩნევა.

პროფ. მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ წიგნის შესავალში „დ. გოგოლაძე არ იხსენიებს არც ქართველ და არც რუს ავტორებს“, ეს შენიშვნა სწორი არაა. ჩვენ წინასიტყვაობაში აღვნიშნავთ, რომ პროფ. პ. გუგუშვილის გარდა მე-19 ს. საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების „საკითხს ეხებიან აგრეთვე რიგი მკვლევარები“: შ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, ი. ანთელავა, შ. მესხია, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე და სხვები“ (გვ. 4).

შემდეგ იგი განავრცობს: „საეჭვო ხდება, ვის ეკუთვნის წამოყენებული დებულება, რომელია ავტორის და რომელი სხვისი“. ამაზე რა შეიძლება ვუპასუხოთ? საჭირო იყო პროფ. მ. დუმბაძეს კონკრეტულად მიეთითებინა, რომელი დებულებაა ჩვენი და რომელი სხვისი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს წიგნში ყოველ დებულებას თავისი ავტორი ჰყავს მითითებული.

პროფ. დუმბაძის განცხადებით. „დ. გოგოლაძე არ იხსენიებს კოლონი-
ალურ-ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე საუბრისას ს. მარკოვას და მ. როჟ-
კოვას, მაშინ როცა წიგნის პირველ თავში მოცემული დებულებები ყველა მო-
ტიანილად მათ გამოკვლევებში“.

რა დებულებები? ჩვენი წიგნის პირველ თავში (რუსეთის ცარიზმის
კოლონიალურ-ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში). — მოცემულია მხო-
ლოდ ერთი დებულება: ცარიზმი დანტერესებული არ იყო საქართვე-
ლოში მრეწველობის განვითარებით, რომელსაც შეეძლო კონკურენციის გა-
წევა მეტროპოლიის მრეწველობისათვის, იგი დანტერესებული იყო აქ სოფ-
ლის მეურნეობის განვითარებით, რათა საქართველო რუსეთის მრეწველობის
ხედლეულის ბაზად ექცია. ეს არის საქვეყნოდ ცნობილი დებულება, რომელიც
გამომდინარეობს მეტროპოლიის დამოკიდებულებიდან კოლონიისადმი და
განა როჟკოვასა და მარკოვამდე არავის უთქვამს ეს ცნობილი დებულება? რამ-
დენიც გნებავთ! ხომ ცნობილია, რომ ეს ზოგადი დებულება, თუ უფრო ადრე-
ული არაა, მარქსიზმის კლასიკოსებიდან მოდის? ასე რომ ამ საქვეყნოდ ცნო-
ბილი ზოგადი დებულების განცხადებისა თუ დაწერისას სრულებით არ არის
აუცილებელი ვინმეს მითითება.

პროფ. მ. დუმბაძის განცხადებით ჩვენ მართებულად ვერ ვახასიათებო მე-
მამულურ მეურნეობებს. ჩვენ კი მიგვაჩნია: რომ იგი ჩვენს ნაშრომში მართე-
ბულად არის დახასიათებული, როგორც ეს პროფ. ირ. ანთელავამ აღნიშნა თა-
ვის გამოსვლაში.

შემდეგ იგი გვისაყვედურებს, რომ, თითქოს, ჩვენ მარტივ სასაქონლო
წარმოებას ვუწოდებდეთ კაპიტალიზტურს. ჩვენს ნაშრომში მარტივი სასაქონ-
ლო წარმოება არსად არ არის გაიგივებული კაპიტალიზტურთან. მისი განცხა-
დებით წიგნის „ავტორი კარგად არ იცნობს მარტივი სასაქონლო წარმოებას
ბუნებას“. ასეთი შენიშვნა ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად.

პროფ. მ. დუმბაძე აღნიშნავს: „ავტორს ჰგონია, რომ ნატურალური მეურ-
ნეობის რღვევა ყოველთვის იწვევს ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის მოშ-
ლას“. ჯერ ერთი. ჩვენს ნაშრომში არსად არ გვიწერია, რომ ნატურალური მე-
ურნეობის რღვევა ფეოდალიზმის დროს ყოველთვის იწვევს ფეოდალურ-
ბატონყმური სისტემის მოშლას. მეორე, ნატურალური მეურნეობის რღვევა
ყოველთვის იწვევს თუ არ იწვევს ბატონყმური სისტემის მოშლის პრო-
ცესს, ეს უკვე სხვა საკითხია, საკითხის თეორიული მხარეა. ჩვენს ნაშრომში
საკითხის ასეთი თეორიული დასმა არ არის. ჩვენს ნაშრომს აქვს ქრო-
ნოლოგიური ჩარჩო: 1830—1864 წლები, და ამ ხანის საქართველოში ნატუ-
რალური მეურნეობის რღვევის შედეგად ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის
მოშლის პროცესი ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია.

დაბოლოს, პროფ. მ. დუმბაძე აცხადებს, რომ: „დ. გოგოლაძის ნაშრომის
შესავალში კაპიტალიზმის გენეზისზე ლაპარაკისას ავტორი არასწორად იმო-
წმებს აკად. ნ. ბერძენიშვილს. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ცნობილია, კაპა-
ტალიზმის გენეზისის საკითხს საერთოდ საქართველოში არ შეხებია. მან შეის-
წავლა კერძო საკითხი სამღებროებში ბურჟუაზიული წარმოების წესის შექრის
შესახებ“. როგორც ვხედავთ, პროფ. მ. დუმბაძის აზრით, აკად. ნ. ბერძენიშვი-
ლი კაპიტალიზმის გენეზისის საკითხს საერთოდ საქართველოში არ შეხებია.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი შეეხო კაპიტალიზმის გე-

ნეზისის საკითხს და ის სწორად გააშუქა ნაშრომში: „სამღებროთა შესახებ მე-18 საუკუნის საქართველოში“.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა სამღებრო წარმოება მე-18 ს. საქართველოში. მისი სოციალ-ეკონომიური ბუნების შესწავლის შედეგად აღმოაჩინა წარმოების ამ დარგში კაპიტალისტურ წესზე მოწყობილი საწარმო, მიუთითა მსგავსი ჰოვლენების არსებობაზე, ახალ სამრეწველო წამოწყებებზე (ალავერდი, ჩათახი, ახტალა), მოგვცა ეპოქის ანალიზი და ყოველივე ამის შედეგად დაასკვნა: მე-18 ს. საქართველოს ეკონომიკაში წარმოების კაპიტალისტური წესის ჩასახვის შესახებ.

ასე რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი შეეხო კაპიტალიზმის გენეზისის საკითხს საქართველოში. აქვე აღვნიშნავთ, რომ კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა: ი. ანთელავამ, პ. რატიანმა, ი. უთურაშვილმა, ა. ბენდიანიშვილმა, გ. მარგიანმა, ე. ხოშტარიამ და სხვებმა ჩვენთან პირად საუბარში პროფ. მ. დუმბაძის ეს შენიშვნა არ გაიზიარეს.

როგორც ქრონიკაშია აღნიშნული, კამათის დასასრულს სიტყვით გამოვიცა პროფ. ი. ანთელავა. მან აღნიშნა, რომ თითქოს ჩვენ „გამოყენებული“ გვიქონდეს „ბევრი წიგნი“, „ზოგი მკვლევარის გავლენასაც“ განვიცდიდეთ, მაგრამ არც კი ვასახელებდეთ მათ. პროფ. ი. ანთელავა მიუთითებს პროფ. ა. ფანცხავას და აკად. გ. სტრუმბილის. აღნიშნავს, რომ სტრუმბილისის „მოსაზრებები“ თითქოს „ხშირად“ ემთხვეოდეს ჩვენს შეხედულებებს. იგი წერს: ნაშრომში «История черной металлургии в СССР — სტრუმბილინი იძულებითი შრომის გამოყენებას გვიანფეოდალური ხანის რუსეთის წარმოებაში განიხილავს როგორც კაპიტალისტური ურთიერთობის მოქმედების სფეროს გაფართოების მიჩვენებულ ფაქტს. ამასვე ამბობს დ. გოგოლაძეც, მაგრამ ის არსად არ მიუთითებს, რომ ეს დებულება რუსულ ლიტერატურაში მისი წიგნის გამოქვეყნების კარგა ხნით ადრე იყო გამოყენებული“.

ეს შენიშვნა ჩვენ უმართებულად მიგვაჩნია. „რუსულ ლიტერატურამდე“ კ. მარქსი მიუთითებდა კაპიტალისტურ წარმოებაში იძულებითი შრომის გამოყენებაზე. რაც კაპიტალისტური ურთიერთობის გაფართოებას ნიშნავს. რამდენადაც კაპიტალისტურ წარმოებაში ადამიანთა ახალი მასა ებმება. ამ მხრივ მარქსის სათანადო შრომები დამოწმებული გვაქვს (გვ. 208).

მიგვითითეს აგრეთვე პროფ. ა. ფანცხავას წიგნი: „К вопросу о развитии аграрных отношений дореформенной Восточной Грузии“.

პროფ. ი. ანთელავა ვერ მოიყვანს ვერც ერთ ფაქტს, რომელიც დაადართურებდა ჩვენ მიერ ა. ფანცხავას ნაშრომის გამოყენებას. სხვა ამბავია ის, რომ ამ ნაშრომის გამოყენება სასარგებლო იქნებოდა (რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვაპარებთ). მაგრამ იგი გამოვიდა შედარებით გვიან და მისი გაცნობა დაეწყო მამინ. როდესაც ჩვენი ნაშრომი უკვე სტამბაში იყო.

ასევე არამართებულად მიგვაჩნია პროფ. ი. ანთელავას შენიშვნა, — თითქოს ჩვენ საქართველოს ბურჟუაზიული გზით განვითარება გაზვიადებულად გვიქონდეს წარმოდგენილი და „ყველგან კაპიტალიზმს“ ვხედავდეთ, მამინ, როდესაც ჩვენ წიგნში ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული, რომ რეფორმამდელ საქართველოს ეკონომიკაში კაპიტალისტურ წარმოებას, ხვედრითი წონის მხრივ, „ძალიან მცირე ადგილი“ ეჭირა (გვ. 40).

რედაქტორის შენიშვნა: უფრ. მეცნ. თანამშრომელი დ. გოგოლაძე ცდილობს უარყოფს ხსენებულ „ქრონიკაში“ ფიქსირებული არასრული და მოკლე შენიშვნები, თუმცა მასი წიგნის განხილვაში მონაწილე ამხანაგები საკმაოდ ვრცელი და საბუთიანი კრიტიკით გამოვიდნენ. „ქრონიკაში“ არაა მითითებული, მაგრამ დ. გოგოლაძეს მოსმენილი აქვს იმ შენიშვნის დასაბუთება, რომ მან თავის წიგნში გვერდი აუარა თემის ისტორიოგრაფიას, არ მოიხსენია იგივე ავტორებისა, რომელთა დებულებები მას ვაზიარებული აქვს. მაგალითად, მ. ლუმბაძის, ისევე როგორც ი. ანთელავას, გამოცემაში დასახელებული იყვნენ ავტორები, რომლებმაც დ. გოგოლაძეზე ადრე წამოაყენეს დებულებები XIX ს. I ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. დ. გოგოლაძე აქ თავს იმართლებს იმით, რომ, ეკრძოდ, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესახებ დებულება „საყოველთაოდ ცნობილია“ და მარქსიდან მოდის. ამიტომ თითქოს არაგის დამოწმება არ იყო საჭირო! თითქოს მნიშვნელობა არ აქვს ზოგად დებულებათა შემოქმედებისთვით ვაზიარებას კონკრეტული სინამდვილის მიმართ და ასეთი ნაამაგარი არაგის არ უნდა დაუფასოთ! — განა მარკოვასა და როჯკოვას ნაშრომებში მარტო კოლონიურ პოლიტიკაზეა საუბარი? მათ ხომ მოგვეცეს მნიშვნელოვანი დაცერვებები XIX ს. I ნახევრის საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე. დ. გოგოლაძეს დაუსახელეს აგრეთვე მის მიერვე ფაქტიურად გვერდავლილი სხვა ავტორებიც — ფ. მახარაძე (იგი მხოლოდ წიგნის ბოლოს დართულ სიაშია მითითებული, მაგრამ ტექსტში არსად დამოწმებული არაა), ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე და სხვ. გამოუყენებია დ. გოგოლაძეს საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო (1956, 1958 წწ.), ისევე ზ. ანჩაბაძისა და მ. ლუმბაძის „თეზისები“ (1954 წ.), მაგრამ ისინი არც კი უხსენებია.

რაც შეეხება განსახილველ წიგნში აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომის არა სწორ დამოწმებას, ვერჩევთ ამს. დ. გოგოლაძეს ხელმეორედ გადაიკითხოს სამღებროთა შესახებ ცნობილი წერილი, რომელიც, ავტორის (მ. ბ-ლის) განცხადებით, წარმოადგენს საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისადმი მიძღვნილ ნარკვევს კი არა, არამედ არსებითად შეიცავს გ. ნათიძის მიერ თავის დროზე წამოყენებულ მცდარი დებულებების („სამომებროებისა“ და სხვაობების“ იგივეობის შესახებ...) სამართლიან კრიტიკას. ამ წერილში მოცემულია მსჯელობა სამღებროებში ბურჟუაზიული ურთიერთობის შეჭრის შესახებაც. გაკეთებულია ზოგადი შენიშვნები წარმოების ახალი წესის შესაძლებელი შემოსვლის გარშემო (გვ. 441, 446). ამ ასპექტში უნდა დამოწმებინა დ. გოგოლაძეს აკად. ნ. ბერძენიშვილი და არ მიეწერა მისთვის ის, რის გარკვევა მას მიზნად არ დაუსახავს... აკად. ნ. ბერძენიშვილმა განუცხადა რედაქტორს, რომ იგი „საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხს საეციალურად არ შეჰხებია“. ამასვე გულისხმობდა მ. ლუმბაძის მიერ წიგნის განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნა, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი გამოუქვეყნებია „ქრონიკის“ ჩამწერს. ამრიგად, დ. გოგოლაძის პასუხი, „გამაგრებული“ მის მიერვე მოხმობილ მოწმეთა ჩვენებით, საფუძველს მოკლებულია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დ. გოგოლაძის წიგნის განხილვაში მონაწილე ამხანაგებმა ი. ანთელავამ, ა. ბენდიაშვილმა, ი. უთურაშვილმა და სხვებმა სწორად მიუთითეს მის დამაფიქრებელ ნაკლოვანებებსა და დადებით მხარეებზე.

ასეთი მოკლე შენიშვნები და პასუხები ვერ ქმნის კამათის შესახებ სრულ მეცნიერულ წარმოდგენას. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს წიგნის განხილვის შესახებ სტენოგრაფიის გამოქვეყნება, რაც უფრო დამაჯერებელ სურათს მოგვეცემს. საჭირო იყო, რა ზემა უნდა, ქრონიკაში ადგილი დათმობოდა დ. გოგოლაძის საბოლოო სიტყვას.

შინაარსი - СОДЕРЖАНИЕ

| | |
|--|-----|
| 1. მ. ლორთქიფანიძე, მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX—X სს საქართველოში | 3 |
| 2. მამისა ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“... | 25 |
| 3. ვ. გუჩუა, ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის В. Г. Гучуа, К вопросу о сущности и происхождении хизанов | 43 |
| 4. გ. აქოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში | 67 |
| Г. Д. Ақопашвили, О социально-экономических категориях крестьян восточной Грузии XVII—XVIII вв. | 83 |
| 5. ავთ. იოსელიანი, ახალი მასალები ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ | 85 |
| 6. არჩილ ბარამიძე, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან | 95 |
| А. А. Барамидзе, К истории изучения «Картлис Цховреба» | 111 |
| 7. თ. ხაჯომია, „ათონის კრებულის“ ალაბთა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის | 113 |
| 8. მ. გონიკიშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ | 129 |
| 9. თ. ყაუხჩიშვილი, მემნონის „პერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ | 137 |
| 10. ნ. ქორთუა, იმერეთის გლეხთა ერთი აჯანყების შესახებ | 195 |

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| 11. ვ. კობალიანი, ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. | 201 |
| 12. დ. გოგოლაძე, წერილი რედაქციას ერთი „ქრონიკის“ გამო | 207 |

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორები: } თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი
 } მ. დ უ მ ბ ა ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი აკ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი ნ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 24 8.1961; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწერილი
დასაბეჭდად 12.4.1962; ქალაქის ზომა $70 \times 108 \frac{1}{16}$;
ქალაქის ფურცელი 6,75; საბეჭდი ფურცელი 18,5; საავტორო
ფურცელი 15,39; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 15,71;
შეკვეთა 1200; უე 02862; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 14 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, გ. ტაბიძის ქ., № 3/5

2.131 / 446



ფასი 1 მან. 14 კაპ.

3